მ. ს. გორბაჩოვი

გარდაქმნა და ახლებური აზროვნება

ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის

თბილისი
გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
1988

თარგმნეს
ა. მანჯგალაძემ და შ. ცირეკიძემ

გორბაჩოვი მ. ს.

Г 69Ж გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის. — თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წიგნი — ეს არის განსჯა გარდაქმნის, ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემების შესახებ, ჩვენი დროის ცვლილებათა მასშტაბის, სირთულის, პასუხისმგებლობისა და გახუმორებლობის შესახებ. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიას.

წიგნი ერთდროულად გამოვიდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

0902010000 — 175
Г ——————— ბრძ. № 401, 1988.
М 601(08) — 88

მკითხველისადმი

ეს წიგნი დამაწერინა სურვილმა უშუალოდ მიმემართა ხალხებისათვის. სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ყოველი ქვეყნის ხალხებისათვის.

მრავალი სახელმწიფოს ლიდერებსა და სხვა მოღვაწეებს, მათი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შევხვედრივარ. ამ წიგნის მიზანია უშუამავლოდ გავუზიარო მთელი მსოფლიოს მოქალაქეებს აზრები საკითხებზე, რომლებიც უკლებლივ ყველას ეხება.

ამ წიგნს რომ ვწერდი, მწამდა მათი საღი აზრი. მწამდა, რომ მათაც ჩემსავით, ყოველი ჩვენგანივით აწუხებთ ჩვენი პლანეტის ბედი, — და ეს არის ყველაზე მთავარი.

ჩვენ ცოცხალი ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ ერთმანეთთან, უნდა ვწყვეტდეთ პრობლემებს თანამშრომლობის, და არა მტრობის სულისკვეთებით. საუცხოოდ მესმის, რომ ყველა როდი გაიზიარებს ჩემს აზრებს. კაცმა რომ თქვას, არც მე დავეთანხმები ყოველივეს, რასაც სხვადასხვა პრობლემაზე ამბობენ სხვები. მით უმეტეს, დიალოგი უნდა მიმდინარეობდეს. და ეს წიგნიც ჩემი წვლილია დიალოგში.

ეს წიგნი არც მეცნიერული ტრაქტატია და არც პროპაგანდისტული პუბლიცისტიკა, თუმცა შეფასებები, დასკვნები, ანალიზისადმი მიდგომები, რომლებსაც მკითხველი ნახავს, ბუნებრივია, გარკვეულ ღირებულებებსა და თეორიულ წანამძღვრებს ეფუძნება. უფრო მეტად, ეს არის განსჯა და ფიქრი გარდაქმნის, ჩვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემების შესახებ, ცვლილებათა მასშტაბის, ჩვენი დროის სირთულის, პასუხისმგებლობისა და განუმეორებლობის შესახებ. მე შეგნებულად არ გადავტვირთე წიგნი ფაქტობრივი მონაცემებით, ციფრებით, დეტალებით. ეს გახლავთ წიგნი ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ვაპირებთ მის ხორცშესხმას, და ვიმეორებ, — ეს გახლავთ მოწვევა დიალოგისათვის. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას, საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიას. და თუკი ეს წიგნი

ხელს შეუწყობს საერთაშორისო ნდობის ზრდას, მიეიჩნევ, რომ მას შეუსრულებია თავისი როლი.

რა არის გარდაქმნა? რატომ გვჭირდება იგი, რა არის მისი არსი და დანიშნულება? რას უარყოფს და რას ქმნის იგი? როგორ მიმდინარეობს იგი და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას?

ეს ბუნებრივი კითხვებია. მათს პასუხს ეძებენ ბევრნი: პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, მეცნიერები და ჟურნალისტები, მასწავლებლები და ექიმები, სასულიერო პირნი, ლიტერატორები და სტუდენტები, მუშები და ფერმერები. ბევრს სურს გაიგოს, რა ხდება სინამდვილეში საბჭოთა კავშირში, მით უმეტეს, რომ დასავლეთის გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზორის ეკრანებზე არ ცხრება ჩემი ქვეყნის მიმართ მტრული დამოკიდებულების ტალღები.

გარდაქმნა თვით ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცენტრშია. ეს სავსებით ბუნებრივია: საქმე ხომ ქვეყნის ბედს ეხება. ცვლილებები, რომლებიც მას მოსდევს, ეხება ყველა საბჭოთა ადამიანს, ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს. ყველას გვაფიქრებს პასუხი კითხვაზე: რა საზოგადოებაში ვიცხოვრებთ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი შვილები და შვილიშვილები?

ბუნებრივია ცხოველი ინტერესი, რომელსაც საბჭოთა გარდაქმნისადმი იჩენენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. მათაც ხომ ძალზე რთული, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ძიების პერიოდი დაუდგათ თავიანთ განვითარებაში, ისინი ამუშავებენ და ცდიან ეკონომიკური და სოციალური ზრდის დაჩქარების გზებს. ეს წარმატება კი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ჩვენს თანამოქმედებას, ჩვენს ერთობლივ საქმეებსა და საზრუნავს.

ასე რომ, ახლანდელი ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი გასაგებია, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ იმ რეალურ წონას, რომელიც მას აქვს მსოფლიო საქმეებში.

სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით დავთანხმდი ამერიკელ გამომცემელთა თხოვნას დამეწერა ეს წიგნი. **ჩვენ გვინდა გაგვიგონ.**

საბჭოთა კავშირს მართლაც რომ უჩვეულო დრო დაუდგა. კომუნისტურმა პარტიამ კრიტიკულად გააანალიზა 80-იანი წლების შუახანებში შექმნილი სიტუაცია და შეიმუშავა კურსი, რომელიც ეფუძნება გარდაქმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს

განახლების იდეას. ეს პოლიტიკური კურსი გაიგეს და მიიღეს საბ-ჭოთა ადამიანებმა. გარდაქმნამ მთელი საზოგადოება აამოძრავა. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია, პრობლემები ძალზე ბევრი დაგვიგროვდა და მათი გადაჭრა იოლი არ არის. მაგრამ ცვლილე-ბები უკვე დაიწყო და საზოგადოების აღმასვლის ჩარხს უკან ვე-ღარავინ შეაბრუნებს.

დასავლეთში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, გარდაქმნას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. იმასაც კი ამბო-ბენ, გარდაქმნა საბჭოთა ეკონომიკის კატასტროფულმა მდგომარე-ობამ გამოიწვია, იგი სოციალიზმზე იმედის გაცრუებას, მისი იდე-ებისა და საბოლოო მიზნების კრიზისს გამოხატავსო. არაფერი შე-იძლება იყოს ისე დაშორებული ჭეშმარიტებას, როგორც ამგვარი განმარტებანი, რა მოსაზრებებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი ისინი.

რა თქმა უნდა, გარდაქმნას მნიშვნელოვანწილად მისცა სტიმუ-ული ჩვენმა დაუკმაყოფილებლობამ იმით, თუ როგორ მიგვიდიოდა საქმეები ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე. მაგრამ უფრო მეტად იგი იმის გაცნობიერებით აიხსნება, რომ სოციალიზმის პო-ტენციურ შესაძლებლობებს საკმარისად არ ვიყენებდით. ახლა, ჩვენი რევოლუციის 70 წლისთავის დღეებში, ჩვენ განსაკუთრებით ნათ-ლად გვესმის ეს. ჩვენ გვაქვს მტკიცე მატერიალური საფუძველი, დიდი გამოცდილება, სულიერი თვალსაწიერი საიმისოდ, რომ მიზან-დასახულად და განუწყვეტლივ სრულვყოფდეთ ჩვენს საზოგადოე-ბას, ვიღვწოდეთ სულ უფრო მაღალი — როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი უკუგებისათვის, მთელი ჩვენი საქმიანობის უკუ-გებისათვის.

წინასწარ ვიტყვი: გარდაქმნის საქმე უფრო რთული გამოდგა, ვიდრე თავიდან გვეგონა. ბევრი რამის გააზრება გვიხდება ხელახლა. მაგრამ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გვმატებს იმის სისწორის რწმენას, რაც დავიწყეთ და რასაც ვაკეთებთ.

ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ უდიდესმა ამოცანებმა, გარდაქმნამ რომ დააყენა ჩვენს ქვეყანაში, გვიკარნახეს საჭიროება იმ სამშვი-დობო ინიციატივებისა, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამოვიჩინეთ საერთაშორისო ასპარეზზე. ეს გამარტივებული განმარტებაა. კარ-გად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირი დიდი ხანია ადგას მშვი-დობისა და თანამშრომლობის კურსს, მას წინათაც წამოუყენებია ბევრი წინადადება, რომლებიც, თავის დროზე რომ მიეღოთ, უსა-თუოდ გააჯანსაღებდა საერთაშორისო ვითარებას.

დიახ, ჩვენ დაინტერესებული ვართ ნორმალური საერთაშორისო პირობებით ჩვენი შინაგანი პროგრესისათვის. მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ისეთ სამყაროში, სადაც არ იქნება ომი, არ იქნება გამალებული შეიარაღება, ვიცხოვროთ უბირთვო და უძალადო მსოფლიოში არა მარტო იმიტომ, რომ ეს ჩვენი შინაგანი განვითარების ოპტიმალური პირობაა. ეს არის მსოფლიო მასშტაბის ობიექტური მოთხოვნილება, რომელიც თანამედროვე რეალობათაგან გამომდინარეობს.

მაგრამ ჩვენი ახლებური აზროვნება არც ამას კმარობს. მსოფლიო ცხოვრობს არა მარტო ბირთვული საფრთხის ატმოსფეროში, არამედ აგრეთვე დიდი სოციალური საკითხების გადაუწყვეტლობის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციითა და გლობალური პრობლემების გამწვავებით წარმოშობილ ახალი სტრესების ვითარებაში. კაცობრიობა აღმოჩნდა უმაგალითო ამოცანების წინაშე, რომელთა ერთობლივი გადაწყვეტის გარეშე მისი მომავალი ეპვქვეშ დგება. ახლა ყველა ქვეყანა ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორც არასდროს. ხოლო იარაღის, მეტადრე ბირთვულსარაკეტო შეიარაღების დაგროვება სულ უფრო შესაძლებელს ხდის იმას, რომ იფეთქოს მსოფლიო ომმა თუნდაც შემთხვევით, განუზრახველად: ტექნიკური უწესივრობის ან ფსიქიკური გადაცდომის გამო. ამ შემთხვევითობას კი დედამიწაზე მთელი სიცოცხლე შეეწირება.

თითქოს უკვე ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ ასეთ ომში არ იქნებიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი. მაგრამ არ იქნებიან არც გადარჩენილნი. ეს სასიკვდილო საფრთხეა ყველასათვის.

ბირთვული სიკვდილის პერსპექტივა უდავოდ ყველაზე შემზარავია იმ „სცენართაგან", რომლებითაც შეიძლება წარიმართოს მოვლენათა განვითარება. მაგრამ არის სხვა პრობლემაც. გამალებული შეიარაღების სპირალი მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკურ რეალიებთან, ბირთვულამდელი პოლიტიკური აზროვნების შემორჩენილ ტრადიციებთან ერთად ხელს გვიშლის მოვაგვაროთ ქვეყნებისა და ხალხების ისეთი თანამშრომლობა, ურომლისოდაც — და ამას იზიარებენ აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც — დედამიწის სახელმწიფოები ვერ შეინარჩუნებენ ბუნებას, ვერ უზრუნველყოფენ მის სიმდიდრეთა გონივრულ გამოყენებასა და კვლავწარმოებას. და, მაშასადამე, ვერც გადავრჩებით ისე, რომ შეინარჩუნოთ ადამიანის ღირსეული სახე.

დიახ, დღეს მსოფლიო არ არის ისეთი, როგორიც გუშინ იყო, და მისი ახალი პრობლემები ვერ გადაიჭრება წინა საუკუნეებიდან მემკვიდრეობით მიღებული აზროვნების წესის საფუძველზე. განა შეიძლება ახლა ვებღაუჭებოდეთ ომის, როგორც პოლიტიკის სხვაგვარი საშუალებებით განგრძობის თეზისს?

ერთი სიტყვით, ჩვენ საბჭოთა ხელმძღვანელობაში გამოვიტანეთ დასკვნა — და არ მოგვბეზრდება იმის განმეორება, — რომ საჭირო ა ახლებური პოლიტიკური აზროვნება. ამასთან, საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობს ენერგიულად გადაიყვანოს იგი პრაქტიკული მოქმედების სიბრტყეში, უწინარესად განიარაღების სფეროში. ამით არის ნაკარნახევი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები, რომლებიც ჩვენ პატიოსნად შევთავაზეთ მსოფლიოს.

როგორია ახლებური ისტორიული აზროვნების მასშტაბი? იგი ნამდვილად მოიცავს ჩვენი დროის მთელ მთავარ პრობლემატიკას.

თანამედროვე სამყაროს მთელი წინააღმდეგობრიობის, მასში არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემების მთელი მრავალფეროვნების, იმ არჩევანის მთელი არაერთგვაროვნების მიუხედავად, სხვადასხვა დროს რომ გაუკეთებიათ ხალხებს, იგი გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს. ჩვენ ყველანი ერთი ხომალდის — დედამიწის მგზავრები ვართ და ვერ დავუშვებთ, რომ იგი დაიღუპოს. მეორე ნოეს კიდობანი არ იქნება.

პოლიტიკა რეალობებს უნდა ეფუძნებოდეს. ხოლო დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი რეალობაა ის, რომ კოლოსალური სამხედრო, კერძოდ, ბირთვული არსენალი აქვს სწორედ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს. ეს ჩვენს ქვეყნებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენც ამის შეგნება გვამოძრავებს და გულწრფელად ვისწრაფვით გავაჯანსაღოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, გვინდა მივაღწიოთ თუნდაც მინიმალურ ურთიერთგაგებას, რათა გადავწყვიტოთ საკითხები, რომლებზეც სამყაროს სვე-ბედია დამოკიდებული.

ჩვენ გულწრფელად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ მისაღები არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონისტური მისწრაფებები და გლობალისტური პრეტენზიები. ჩვენ არ მოგვწონს ამერიკული პოლიტიკისა და ცხოვრების გარკვეული ასპექტები. მაგრამ ჩვენ ვცნობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს, ისევე როგორც ყოველ სხვა ერს, უფლება აქვს იცხოვროს თავისი

წესებისა და კანონების მიხედვით, თავისი ჩვეულებებისა და გემოვნების მიხედვით. ჩვენ ვიცით და ვითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს როლს თანამედროვე სამყაროში. ვაფასებთ ამერიკელთა წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში, ანგარიშს ვუწევთ ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ეროვნულ ინტერესებს, გვესმის, რომ უამქვეყნოდ შეუძლებელია აღვკვეთოთ ბირთვული კატასტროფის საფრთხე, უზრუნველვყოთ სტაბილური მშვიდობა. ჩვენ არა გვაქვს არავითარი ავკაცური ზრახვები ამერიკელი ერის მიმართ. ჩვენ გვინდა ვითანამშრომლოთ და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა მიმართულებით.

ოღონდ ვითანამშრომლოთ თანასწორობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთმოძრაობის საფუძველზე. ჩვენ ხშირად არათუ გულს გვიტეხს, არამედ საგონებელშიაც გვაგდებს ის, რომ შეერთებულ შტატებში ჩვენს ქვეყანას აღიქვამენ აგრესორად, „ბოროტების იმპერიად" და ა. შ., ავრცელებენ მასზე ათასგვარ ჭორებს, მონაჩმახს, თესენ უნდობლობასა და ზიზღს ჩვენი ხალხისადმი, პროვოკაციულად გვაღიზიანებენ სხვადასხვაგვარი აკრძალვებით, გვექცევიან ისე, როგორც არ შეშვენის ცივილიზებულ ერს. ეს დაუშვებელი სიბეცეა.

დრო მიდის, და მისი დაკარგვა არ გვეპატიება. უნდა ვიმოქმედოთ. ვითარება არ გვანებებს ველოდოთ იდეალური მომენტის დადგომას: კონსტრუქციული და ფართო დიალოგი დღეს არის საჭირო. ჩვენ ამით ვხელმძღვანელობთ, როდესაც ვდებთ სატელევიზიო ხიდებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ქალაქებს შორის, საბჭოთა და ამერიკელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს შორის, უბრალო ამერიკელ და საბჭოთა მოქალაქეებს შორის. ჩვენ მასობრივი ინფორმაციის საკუთარი საშუალებებით ვაჩვენებთ დასავლეთის პოზიციების მთელ სპექტრს, მათ შორის, ყველაზე კონსერვატიულსაც. ხელს ვუწყობთ კონტაქტებს სხვაგვარი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსის წარმომადგენლებთან. ჩვენი მხრივ ამით გამოვთქვამთ გაგებას, რომ ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს ურთიერთმისაღები მშვიდობისაკენ სწრაფვას.

ნურავის ეგონება, რომ მხოლოდ ჩვენეული მიდგომა მიგვაჩნია ჭეშმარიტად. ჩვენ არა გვაქვს მზამზარეული რეცეპტები, მაგრამ მზად ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა ქვეყნებთან ერთად გულწრფელად ვეძებოთ პასუხი ყველა კითხვაზე, მათ შორის ყველაზე ძნელ კითხვებზე.

ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ

თავი I

გარდაქმნა: სათავეები, არსი, რევოლუციური ხასიათი

მაშ ასე, ვილაპარაკოთ გარდაქმნაზე. რატომ და როგორ იშვა ეს იდეა? რას ნიშნავს იგი სოციალიზმის ისტორიაში? რას უქადის გარდაქმნა საბჭოთა კავშირის ხალხებს? რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას თანამედროვე სამყაროზე? ყველა ეს კითხვა აღელვებს ფართო საზოგადოებრიობას და მათ აქტიურად განიხილავენ. დავიწყოთ პირველით.

გარდაქმნა მომწიფებული მოთხოვნილებაა

სსრ კავშირში გაჩაღებული გარდაქმნის სათავეებისა და არსის გასაგებად, ჩემი აზრით, მთავარია გავითვალისწინოთ შემდეგი: გარდაქმნა არ არის ცალკეულ პიროვნებათა ან მოღვაწეთა ჯგუფის ახირება, რომლებმაც ამბიცია ვერ დაიოკეს. ასე რომ ყოფილიყო, ვერავითარი მოწოდებები, ვერავითარი პლენუმები, ის კი არა, თვით პარტიის ყრილობაც კი ვერ დარაზმავდა ხალხს იმ მუშაობისათვის, რომელიც დღეს ჩაღდება ჩვენში და რომელშიც დღითი დღე სულ უფრო მეტი და მეტი საბჭოთა ადამიანი ებმება.

გარდაქმნა — ეს არის მომწიფებული აუცილებლობა, რომელიც ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების სიღრმეული პროცესებიდან იშვა. იგი მომწიფდა ცვლილებებისათვის, შეიძლება ითქვას, მან ტანჯვით შვა ისინი. ხოლო გარდაქმნის დაყოვნებას შეეძლო უახლოეს ხანებშივე მოჰყოლოდა შინაგანი სიტუაციის გამწვავება, რომელიც, დაუფარავად რომ ვთქვათ, შეიცავდა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის საფრთხეს.

ასეთი დასკვნები გამოგვატანინა იმ სიტუაციის ფართო და გულახდილმა ანალიზმა, რომელიც საზოგადოებაში შეიქმნა 80-იანი წლების შუა ხანებისათვის. სწორედ მას, მის პრობლემებს წააწყდა ქვეყნის ხელმძღვანელობა, რომლის შემადგენლობაშიც ამ ბოლო წლების მანძილზე თანდათან შედიოდნენ ახალი ადამიანები. მინდა გაგიზიაროთ ამ ანალიზის ძირითადი შედეგები, რომლის დროსაც მოგვიხდა ბევრი რამ ხელახლა გაგვეაზრებინა, მიგვემართა ჩვენი არა მარტო ბოლოდროინდელი, არამედ უფრო შორეული ისტორიისთვისაც.

რუსეთი, სადაც 70 წლის წინათ მოხდა დიდი რევოლუცია, ძველი ქვეყანაა. მისი თვითმყოფადი ისტორია აღსავსეა ძიებებით, გამარჯვებებითა და ტრაგიკული მოვლენებით. ამ ქვეყანამ კაცობრიობას ბევრი აღმოჩენა და გამოჩენილი სახელი შესძინა.

მაგრამ საბჭოთა კავშირი ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომლის მსგავსი არ არსებობს არც ისტორიაში და არც თანამედროვე სამყაროში. შვიდი ათწლეულის მანძილზე — ეს კი კაცობრიობის ცივილიზაციის საზომით სულ ცოტაა — ჩვენმა ქვეყანამ განვლო საუკუნეთა სადარი გზა. ყოფილი ჩამორჩენილი, ნახევრად კოლონიური და ნახევრად ფეოდალური რუსეთის იმპერიის ადგილზე იშვა მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი სახელმწიფო — უდიდესი საწარმოო ძალები, მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალი, მაღალგანვითარებული კულტურა, ასზე მეტი ერისა და ეროვნების უნიკალური თანამეგობრობა, დედამიწის მეექვსედ ტერიტორიაზე მცხოვრები 280 მილიონი კაცისათვის მტკიცე სოციალური დაცულობა. ყველა ეს მიღწევა უდიდესი და უდავოა. და საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ ამ მიღწევებით.

არ გეგონოთ, ამას მალაპარაკებდეს სურვილი ჩემი ქვეყანა წარმოვაჩინო უკეთესად, ვიდრე იგი იყო და არის. არ მინდა გეგონოთ ერთგვარი აპოლოგეტი, რომლისთვისაც რახან „ჩემია", მაშასადამე, ყველაზე კარგია და უსათუოდ საუცხოოა. ის, რაც აქ შეგახსენეთ, რეალური სინამდვილეა, უტყუარი ფაქტებია, ჩვენი ხალხის რამდენიმე თაობის გარჯის თვალსაჩინო ნაყოფია. და ასევე ცხადია, რომ ქვეყნის ეს აღმაფრენა შესაძლებელი გახდა რევოლუციის წყალობით. ეს არის მისი ნაყოფი, სოციალიზმის, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების ნაყოფი, იმ ისტორიული არჩევანის შედეგი, ჩვენმა ხალხმა რომ გააკეთა. მათი სათავეა ჩვენს

მამა-პაპათა, მილიონობით მშრომელ ადამიანთა — მუშათა, გლეხთა და ინტელიგენტთა გმირობა, რომლებმაც 70 წლის წინ იტვირთეს უშუალო პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნის სვე-ბედისათვის.

მინდა, მკითხველი ჩაუფიქრდეს ყოველივე ამას: სხვაგვარად ძნელია გაიგო, რა ხდებოდა და რა ხდება ჩვენს საზოგადოებაში. მე კიდევ დავუბრუნდები ჩვენი განვითარების ისტორიულ ასპექტებს. ახლა კი მოგახსენებთ იმ რთული სიტუაციის შესახებ, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში 80-იანი წლებისათვის და რომელმაც აუცილებლად საჭირო და გარდაუვალი გახადა გარდაქმნა.

რომელიღაც ეტაპზე — ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 70-იანი წლების მეორე ნახევარში — მოხდა ერთი შეხედვით ძნელად ასახსნელი რამ. ქვეყანამ თანდათან უკლო მოძრაობის ტემპს, ძლიერდებოდა შეფერხებები მეურნეობის მუშაობაში, ზედიზედ გროვდებოდა და მწვავდებოდა სიძნელენი, მრავლდებოდა გადასაჭრელი პრობლემები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩნდა, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, უძრაობისა და სხვა, სოციალიზმისათვის უცხო მოვლენები. წარმოიშვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭების თავისებური მექანიზმი. და ყოველივე ეს ხდებოდა პირობებში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ახალი პერსპექტივები დასახა.

იქმნებოდა საკმაოდ უცნაური სურათი: ტრიალებს მძლავრი მანქანის ვეებერთელა ბორბალი, სამუშაო ადგილებზე მისი გადამცემები კი ბუქსაობენ, ანდა ამძრავი ღვედებია ძალზე სუსტი.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ჩვენეულ ანალიზში უწინარესად წავაწყდით ეკონომიკის ზრდის დამუხრუჭებას. ეროვნული შემოსავლის მატების ტემპი უკანასკნელი სამი ხუთწლედის განმავლობაში ორჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო 80-იანი წლების დამდეგს დაეცა ისეთ დონემდე, რომელმაც ფაქტობრივად ეკონომიკურ სტაგნაციამდე მიგვიყვანა. ქვეყანა, რომელიც აქამდე ფეხდაფეხ მისდევდა მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, აშკარად ზედიზედ თმობდა პოზიციებს. თანაც წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის წარმოება-

ათვისების მხრივ ამ ქვეყნებისაგან განსხვავება იზრდებოდა არა ჩვენს სასარგებლოდ.

„მთლიან მაჩვენებელს“ გამოდევნება, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში, აღმოჩნდა „ზეამოცანა“, ნამდვილი თვითმიზანი. იგივე ხდებოდა კაპიტალურ მშენებლობაშიც, სადაც სამუშაოთა შესრულების ხანგრძლივი ვადების გამო გამკვდარებული იყო ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი. შენდებოდა ძვირადღირებული ობიექტები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ უმაღლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მაჩვენებელთა მიღწევას. საუკეთესო მუშაკად ან საწარმოდ ცნობდნენ იმას, ვინც მეტ შრომას, მასალასა და ფულს ხარჯავდა. ნორმალურია, როდესაც მწარმოებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ასიამოვნებს“ მომხმარებელს, ჩვენში კი მომხმარებელი მწარმოებელზე დაქვემდებარებული აღმოჩნდა და იძულებული გახდა ესარგებლა იმით, რის მიცემასაც ინებებდა მისთვის ეს უკანასკნელი. და ყოველივე ეს „მთლიანი მაჩვენებლის“ ხარკი იყო.

ბევრი ჩვენი სამეურნეო მუშაკის აზროვნებისათვის დამახასიათებელი გახდა ზრუნვა არა ეროვნული დოვლათის მატების, არამედ იმისათვის, რომ ამა თუ იმ ნაწარმში ჩაექსოვათ რაც შეიძლება მეტი მასალა და შრომა, სამუშაო დრო, და უფრო ძვირად გაეყიდათ. ამის შედეგად „მთლიანი მაჩვენებელი“ გვქონდა, საქონელი კი არ გვყოფნიდა. ჩვენ ვხარჯავდით და დღესაც გაცილებით მეტ ნედლეულს, ენერგიას, სხვა რესურსებს ვხარჯავთ ერთეულ პროდუქციაზე, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნები. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და შრომითი რესურსების სიუხვემ გაგვანებივრა, უხეშად რომ ვთქვათ, გაგვხრწნა. სწორედ ამიტომ ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვანწილად შესაძლებლობა ჰქონდა ათწლეულების მანძილზე ექსტენსიური გზით განვითარებულიყო.

წარმოების რაოდენობრივი ზრდის პრიორიტეტის იდეებით აღზრდილნი, ჩვენ ვცდილობდით შეგვეჩერებინა ტემპის დაცემა, მაგრამ ვმოქმედებდით უპირატესად სულ ახალი და ახალი დანახარჯების მეთოდით — ვზრდიდით სათბობ-ენერგეტიკულ დარგებს, ვაჩქარებდით ბუნებრივი რესურსების მოქცევას წარმოებაში.

დროთა განმავლობაში ისინი სულ უფრო ძნელად მისაწვდომი ხდებოდა, სულ უფრო მეტად ძვირდებოდა. საწარმოო ფონდების ზრდის ექსტენსიურ ფორმებს შედეგად მოსდევდა შრომითი რესურ-

სების ხელოვნური დეფიციტი. ამ დეფიციტის გავლენით, მდგომარეობის როგორმე გამოსწორების ვარაუდით დაიწყეს უსაფუძვლო, ფაქტობრივად გამოუმუშავებელი პრემიების დიდძალი თანხების გაცემა, შემოიღეს სხვადასხვა სახის დაუმსახურებული წახალისებანი, ხოლო ამას კი შემდეგ მოჰყვა უკვე გამდიდრების გულისათვის მიწერილი წამატებების პრაქტიკა. ძლიერდებოდა სხვათა მოიმედოობის განწყობილება, თანდათან ეცემოდა კეთილსინდისიერი და ხარისხოვანი შრომის პრესტიჟი, შეგნებაში ფეხს იკიდებდა „გათანაბრების" ფსიქოლოგია. შრომის ოდენობასა და მოხმარების ოდენობას შორის კავშირის დარღვევამ, რომელიც ლამის დამუხრუჭების მექანიზმის საკვანძო რგოლი გახდა, არა მარტო შეაფერხა შრომის ნაყოფიერების ზრდა, არამედ სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამახინჯებამდე მიგვიყვანა.

ასე მივყავდით ექსტენსიური ზრდის ინერციას ეკონომიკური ჩიხისაკენ, განვითარების უძრაობისაკენ. იზრდებოდა ფინანსური დაძაბულობა სახალხო მეურნეობაში. არ გვშველიდა, მხოლოდ აღრმავებდა დაავადებას ფართო გასვლა მსოფლიო ბაზარზე ნავთობითა და სხვა ნავთობ-ენერგეტიკული და ნედლეული პროდუქტებით. მათი გაყიდვით მიღებულ სავალუტო ამონაგებს ვიყენებდით ძირითადად მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად, და არა ეკონომიკის მოდერნიზაციის, მისი ტექნიკური ჩამორჩენის დაძლევის მიზნით.

ეკონომიკის დამუხრუჭებისა და უძრაობის მოვლენებს არ შეიძლებოდა დაღი არ დაესვა საზოგადოების ცხოვრების სხვა მხარეებზე. ნეგატიური პროცესები სერიოზულად შეეხო სოციალურ სფეროს. ფეხი მოიკიდა, როგორც ჩვენ ვამბობთ, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის სახსრების გამოყოფამ „ნარჩენების პრინციპით", ანუ მას ხმარდებოდა იმდენი, რამდენიც წმინდა საწარმოო საქმეებისაგან მოგვრჩებოდა ხოლმე. გაჩნდა ერთგვარი „სიყრუე" სოციალური საკითხებისადმი. სოციალური სფერო ჩამორჩებოდა როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ისე კადრების კვალიფიკაციით, და რაც მთავარია, თავისი მუშაობის ხარისხით.

და აქ კვლავ ვაწყდებით პარადოქსებს. ჩვენმა საზოგადოებამ წარმატებით გადაწყვიტა მოსახლეობის დასაქმების საკითხები, უზრუნველყო პრინციპული ხასიათის სოციალური გარანტიები, ჩვენ კი, ამავე დროს, სრულად ვერ განვახორციელეთ სოციალიზმის შე-

საძლებლობანი, რათა დაგვეკმაყოფილებინა მზარდი მოთხოვნილებანი საბინაო პირობების გაუმჯობესებით, სურსათის ხარისხით, ხშირად კი რაოდენობითაც, ტრანსპორტის მუშაობის, სამედიცინო მომსახურების, განათლების ჯეროვანი დონის ორგანიზაციით, სხვა პრობლემების გადაჭრით, რომლებიც, ბუნებრივია, წამოიჭრებოდა საზოგადოების განვითარების დროს.

იქმნებოდა უცნაური სიტუაცია. ფოლადის, ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უზარმაზარი მასშტაბის წარმოება, რაშიც სსრ კავშირს უკვე კარგა ხანია არ ჰყავს ბადალი, და იქვე — მათი ნაკლებობა, დეფიციტი მფლანგველური, არაეფექტიანი გამოყენების შედეგად. სასურსათო მარცვლეულის წარმოების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი — და აუცილებლობა ყოველწლიურად შევისყიდოთ მილიონობით ტონა მარცვლეული საკვებად. ყველაზე მეტი ექიმი, ყველაზე მეტი საავადმყოფო ადგილი ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — და ამავე დროს სერიოზული ნაკლოვანებანი, სამედიცინო დახმარების ხარისხის დაქვეითება. ჩვენი რაკეტები გასაოცარი სიზუსტით პოულობენ ჰალეის კომეტას და მიფრინავენ ვენერასთან შესახვედრად, ხოლო მეცნიერული და ინჟინრული აზროვნების ამ ტრიუმფთან ერთად ვხედავთ, რომ მეცნიერულ მიღწევათა გამოყენება აშკარად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის საჭიროებებს, ვრწმუნდებით, რომ ბევრი ჩვენი საყოფაცხოვრებო ხელსაწყო ჩამოუვარდება თანამედროვე დონეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს არის ყველაფერი. რაღაც ჩუმად, თითქოს შეუმჩნევლად დაიწყო ჩვენში იდეურ და ზნეობრივ ღირებულებათა გაუფასურება. ყველანი ვხედავდით, რომ მკვეთრად მცირდებოდა ზრდის ტემპი, უარესდებოდა ხარისხოვანი მაჩვენებლების მთელი კომპლექსი, უგულებელყოფილი იყო მეცნიერულ-ტექნიკური სიახლენი, ნელდებოდა ცხოვრების დონის ზრდის ტემპი, სიძნელეები გვქონდა სურსათის, საცხოვრებელი ბინების, ფართო მოხმარების საქონლისა და მომსახურების მხრივ. ხოლო დამუხრუჭების მომძლავრებულმა მექანიზმმა იდეოლოგიაშიც გამოიწვია ის, რომ მომწიფებული პრობლემების კონსტრუქციული ანალიზის ცდები და ახალი იდეები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ფეხს იკიდებდა რეალურ და მოჩვენებით წარმატებათა პროპაგანდა, ვეგუებოდით დაუდევარ დამოკიდებულე-

ბას რიგითი მშრომელების, საზოგადოებრიობის სამართლიანი მოთხოვნებისა და აზრისადმი. საზოგადოებრივ მეცნიერებებში აყვავდა სქოლასტიკური თეორეტიზება. საზოგადოებათმცოდნეობიდან აძევებდნენ შემოქმედებითს აზრს, ხოლო უდავო ჭეშმარიტებებად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კომენტირებას ექვემდებარებოდა, იქცა ზერელე, ვოლუნტარისტული შეფასებანი და მსჯელობანი. არსსგამოცლილი იყო მეცნიერული, თეორიული და სხვაგვარი პაექრობანი, ურომლისოდაც შეუძლებელია აზროვნების განვითარება, შემოქმედებითი ცხოვრება. ნეგატიურ ტენდენციებს არ აუვლია გვერდი არც კულტურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკის, პედაგოგიკის, მედიცინისათვის. იქაც წამოტივტივდა უნიჭობა, ფორმალიზმი, ფუჭი ყბედობა.

სინამდვილის „უპრობლემო“ ჩვენებამ ცუდი სამსახური გაგვიწია: ერთმანეთს დაშორდა სიტყვა და საქმე, რამაც წარმოშვა საზოგადოებრივი პასიურობა, გამოცხადებული ლოზუნგებისადმი უნდობლობა. გასაგებია, რომ ასეთ სიტუაციაში აღარავის სჯეროდა იმისა, რასაც მოუწოდებდნენ, რასაც ტრიბუნებიდან ამბობდნენ, გაზეთებსა და სახელმძღვანელოებში ბეჭდავდნენ. დაიწყო საზოგადოებრივი ზნეობის დაცემა, სუსტდებოდა ადამიანთა სოლიდარობის დიადი გრძნობა, რომელიც რევოლუციის, პირველი ხუთწლედების, სამამულო ომისა და ომისშემდგომი აღორძინების გმირულ ხანაში გამოიჭედა, თანდათან იწყო ზრდა ალკოჰოლიზმმა, ნარკომანიამ და დამნაშავეობამ, საბჭოთა საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს ჩვენთვის უცხო „მასობრივი კულტურის“ სტერეოტიპები, რომელიც თავს გვახვევდა უხამსობას, პრიმიტიულ გემოვნებას, სულიერ სიმწირეს.

მოხდა პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებაც, ხელიდან გავუშვით ინიციატივა ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროცესებში. უკვე ყველა ხედავდა უძრაობას ხელმძღვანელობაში, მისი ცვლის ბუნებრივი პროცესის დარღვევას. გარკვეულ ეტაპზე ამას შედეგად მოჰყვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს, მთლიანად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის შრომისუნარიანობის შესუსტება.

ნამდვილი ზრუნვა ადამიანებისათვის, მათი ცხოვრებისა და შრომის პირობებისათვის, სოციალური განწყობილებისათვის ბში-

რად იცვლებოდა პოლიტიკური ლაციცით, ჯილდოების, წოდებების, პრემიების მასობრივი დარიგებით. იქმნებოდა ყოვლისშემწყნარებლობის ვითარება, კნინდებოდა მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინა. ყოველივე ამის შენიღბვას ცდილობდნენ ზარზეიმული ღონისძიებებისა და კამპანიების მოწყობით, ცენტრში თუ ადგილებზე მრავალრიცხოვანი იუბილეების გამართვით. ყოველდღიურ რეალობათა სამყარო და მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყარო სულ უფრო მეტად სცილდებოდნენ ერთმანეთს.

ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო შეენარჩუნებინა პრინციპული პოზიციები, ეწარმოებინა გადამჭრელი ბრძოლა ნეგატიური მოვლენების, ყოვლისშემწყნარებლობის, ურთიერთთავდებობის, დისციპლინის შესუსტების წინააღმდეგ. სულ უფრო ხშირად ირღვეოდა პარტიის წევრთა თანასწორობის პრინციპები. ბევრი კომუნისტი, რომლებსაც ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ, კონტროლისა და კრიტიკის მიღმა აღმოჩნდა, რასაც შედეგად მოჰყვა ჩავარდნები მუშაობაში, სერიოზული დარღვევები.

ზოგიერთ ხელმძღვანელ რგოლში თავი იჩინა აგდებულმა დამოკიდებულებამ კანონებისადმი, ურიგდებოდნენ თვალის ახვევისა და მექრთამეობის, მაამებლობისა და ხოტბა-დიდების მრავალრიცხოვან ფაქტებს. მშრომელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა იმ მუშაკთა საქციელი, რომლებიც ნდობითა და რწმუნებებით იყენენ აღჭურვილნი და ამავე დროს ბოროტად იყენებდნენ ძალაუფლებას, ახშობდნენ კრიტიკას, მდიდრდებოდნენ. ზოგიერთები დანაშაულებრივ ქმედებათა თანამონაწილეები და ორგანიზატორებიც კი გახდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ წლებშიც ბევრი საარსებო მნიშვნელობის საკითხი მაინც წყდებოდა. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო მხოლოდ ნაწილი იმ პრობლემებისა, რომლებიც უკვე კარგა ხნის გადაჭრილი უნდა გვქონოდა, და მეორე, მიღებული გადაწყვეტილებებიც კი პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა ანდა მხოლოდ ნაწილობრივ სრულდებოდა. და რაც მთავარია, — ყველა ეს ღონისძიება ატარებდა უკომპლექსო ხასიათს, ეხებოდა საზოგადოების ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთ მხარეს და ხელშეუხებლად ტოვებდა დამუხრუჭების ფესვგამდგარ მექანიზმს.

რა თქმა უნდა, პარტიული ორგანიზაციები მოქმედებდნენ, კომუნისტთა უდიდესი უმრავლესობა გულწრფელად და უანგაროდ

იხდიდა ვალს ხალხის წინაშე. და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ წლებში ვერ შევძელით საიმედოდ გადაგვეკეტა გზა უპატიოსნო, გაიძვერა, ანგარების მოყვარული ადამიანებისათვის.

მთლიანად პარტიული და სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკული მოქმედება ჩამორჩებოდა დროის, თვით ცხოვრების მოთხოვნებს. პრობლემები გაცილებით სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იჭრებოდა. საზოგადოების მართვა სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობდით, რომ ვმართავთ, სინამდვილეში კი იქმნებოდა სიტუაცია, რომელზეც ჯერ კიდევ ლენინი გვაფრთხილებდა: მანქანა იქით არ მიდის, როგორც ეს საჭესთან მჯდომთ ჰგონიათო.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს პერიოდიც მარტოოდენ შავი საღებავით გადავხაზოთ. საბჭოთა ადამიანების უდიდესი უმრავლესობა პატიოსნად ირჯებოდა. წინსვლა მეცნიერებაში, ეკონომიკაში, კულტურაში გრძელდებოდა. მაგრამ მით უფრო შეუწყნარებელი და მტკივნეული იყო ნეგატიური მოვლენები და პროცესები.

ვფიქრობ, ნათქვამი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, რაოდენ საჭირო იყო ღრმა ცვლილებები. პარტიას აღმოაჩნდა ძალა და გაბედულება, რათა საღად შეეფასებინა ვითარება, ეცნო კარდინალური ცვლილებებისა და გარდაქმნების საჭიროება.

მიუკერძოებელმა პატიოსანმა მიდგომამ მიგვიყვანა ულმობელ დასკვნამდე: ქვეყანა კრიზისისწინა მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, რომელმაც დასახა შემობრუნება ახალი სტრატეგიული კურსისაკენ, გარდაქმნისაკენ, მოგვცა მისი კონცეფციის საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ანალიზი აპრილის პლენუმამდე კარგა ხნით ადრე დავიწყეთ, და ამიტომ მისი დასკვნები ღრმად გააზრებული იყო. ეს გახლდათ არა ექსპრომტი, არამედ მოფიქრებული, გამოზომილი პოზიცია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმიდან სულ რაღაც ერთ თვეში უეცრად გაჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც ყველაფერი გაიგო და გაიცნო-

ბიერა, და რომ ამ ადამიანებმა ყველა პრობლემაში სრული სიცხადე შეიტანეს. ასეთი სასწაულები არ ხდება.

ცვლილებათა პოტენციალი მწიფდებოდა არა მარტო ცხოვრების მატერიალურ სფეროში, არამედ საზოგადოებრივ შეგნებაშიც.

პრაქტიკული გამოცდილების, სამართლიანობის გრძნობის, ბოლშევიკური პრინციპულობის მქონე ადამიანები აკრიტიკებდნენ საქმის გაძღოლის ფესვგამდგარ პრაქტიკას, შეშფოთებით აღნიშნავდნენ ზნეობრივი დეგრადაციის, რევოლუციური, სოციალისტური ღირებულებების ეროზიის სიმპტომებს.

მუშათა კლასში, გლეხობაში, ინტელიგენციას შორის, პარტიულ აპარატში, ცენტრში და ადგილებზე თანდათან სულ უფრო სერიოზულად უფიქრდებოდნენ იმას, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში, იზრდებოდა იმის გაგება, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ძლიერდებოდა გაკვირვება და აღშფოთება იმის გამო, რომ ფეხქვეშ ითელებოდა ოქტომბრითა და სოციალიზმისათვის გმირული ბრძოლით შობილი დიადი ღირებულებანი. ყველა პატიოსანი ადამიანი სინანულითა და გულისტკივილით აღიქვამდა საზოგადოების საქმეებისადმი ინტერესის დაკარგვას, სულიერ სიმწირესა და სკეპტიციზმს, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისას, შრომისადმი პატივისცემის შესუსტებას, ყოველნაირი გზით გამდიდრებისაკენ სწრაფვას. ჩვენს ხალხს ძალზე კარგად ესმის სიტყვისა და საქმის განსხვავება, ტყუილად როდია ჩვენი ფოლკლორი გამსჭვალული მოჩვენებითობისა და ზარზეიმულობის დაცინვით, ჩვენი მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ოდითგან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში, დაუნდობელია უსამართლობისა და ბოროტმოქმედების გამოვლენებისადმი. თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებში მწერლები, კინოსა და თეატრის მოღვაწენი გვიღვივებდნენ სოციალიზმის იდეურ მონაპოვართა რწმენას, საზოგადოების სულიერი აღორძინების იმედს, თითქოს შეუმჩნეველად, ბიუროკრატიული დაცაცხანების საწინააღმდეგოდ, ხშირად კი დევნის მიუხედავად უნერგავდნენ ადამიანებს გარდაქმნისათვის ზნეობრივ მზადყოფნას.

ამას რომ ვამბობ, მინდა მკითხველებს გავაგებინო, რომ ჩვენს ხალხში, პარტიაში უკვე კარგა ხანია გროვდებოდა რევოლუციურ

ცვლილებათა ენერგია. გარდაქმნის იდეებთან ჩვენ მივედით არა მარტო პრაგმატული ინტერესებისა და მოსაზრებების გავლენით, არამედ აგრეთვე მოუსვენარი სინდისის კარნახით, უშრეტი, რევოლუციიდან მემკვიდრეობით მიღებული იდეურობის მეოხებით, იმ თეორიულ ძიებათა წყალობით, რომლებიც აღრმავებენ ჩვენს ცოდნას საზოგადოების შესახებ და განგვიმტკიცებენ სწრაფვას მოქმედებისაკენ.

ვ. ი. ლენინისადმი მიმართვა გარდაქმნის იდეური წყაროა

იმდენად მძლავრი იყო ჩვენი დიადი რევოლუციის მაცოცხლებელი იმპულსი, რომ პარტიასა და ხალხს არც შეეძლოთ შერიგებოდნენ მოვლენებს, რომლებიც მის მონაპოვართა დაკარგვას გვიქადდა. დიალექტიკური შემოქმედებითი აზროვნების, თეორიული სიმდიდრისა და პოლიტიკური შემოქმედებითი აზროვნების, თეორიული სიმდიდრისა და პოლიტიკური გამჭრიახობის უშრეტ წყაროდ გვქონდა ვ. ი. ლენინის შრომები, სოციალიზმის ლენინური იდეალი, ხოლო თვით მისი სახე — მაღალი ზნეობრივი ძალის, უნივერსალური სულიერი კულტურის, ხალხისა და სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების უტკბობ მაგალითად. ლენინი მილიონობით ადამიანის გონებასა და გულში განაგრძობდა ცხოვრებას. ლენინური მემკვიდრეობის ინტერესი, წყურვილი — უფრო სრულად, საფუძვლიანად, სერიოზულად ჩასწვდომოდნენ მას დედანში — სულ უფრო ძლიერდებოდა საზოგადოებაში ნეგატიურ მოვლენათა დაგროვებასთან ერთად, გზას იკვალავდა სქოლასტებისა და ბიუროკრატი შედავითნეების მიერ შექმნილ დაბრკოლებათა მიუხედავად.

ლენინისადმი მიმართვამ პარტიასა და საზოგადოებაში დიდი მასტიმულირებელი როლი შეასრულა წამოჭრილ კითხვებზე პასუხისა და განმარტების ძიებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ლენინის სიცოცხლის უკანასკნელი წლების ნაშრომები. ნათქვამის დასამტკიცებლად ჩემს გამოცდილებას მოვიშველიებ. 1983 წლის 22 აპრილს ლენინის დაბადების 113 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მე მოვიყვანე სწორედ ლენინური დებულებანი ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობის, დაგეგმვისა და სამეურნეო ანგარიშის შესახებ, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა, მატერიალური და მორალური სტიმულების უნარიანი

გამოყენების შესახებ. აუდიტორიამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ლენინური აზრების ამ შეხსენებას. ერთხელ კიდევ შევიგრძენი, რომ ჩემი შთანაფიქრი ემთხვევა პარტიელი ამხანაგების, იმ მრავალი ადამიანის განწყობას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი გაჭირვება, ვინც წრფელად ისწრაფვის გამოასწოროს საქმეთა ვითარება. დიახ, ბევრი პარტიელი ამხანაგი მწვავედ გრძნობდა საზოგადოების განახლების საჭიროებას, ცვლილებათა გარდაუვალობას. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ამ გამოსვლის შემდეგ სხვაც ვიგრძენი: ყველას როდი მოეწონა ჩემი მოხსენება — არ იყო ისეთი ოპტიმისტური, როგორსაც მაშინ მოითხოვდნენ.

დღეს ჩვენ უკეთ გვესმის ვ. ი. ლენინის უკანასკნელი ნაშრომების აზრი და მიზეზები ამ ნაშრომების შექმნისა, რომლებიც არსებითად მის პოლიტიკურ ანდერძს შეადგენენ. მძიმედ დასნეულებულ ლენინს უაღრესად შესტკიოდა გული სოციალიზმის ბედისათვის. იგი ხედავდა საფრთხეს, რომელიც ახალ წყობილებას ემუქრებოდა. და ჩვენ უნდა გავიგოთ ეს შეშფოთება. იგი ხედავდა, რომ სოციალიზმი აწყდება კოლოსალურ პრობლემებს, რომ მან უნდა გადაჭრას ძალზე ბევრი ისეთი რამ, რაც ვერ გადაჭრა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. აქედან მომდინარეობს იმ ფორმების გამოყენება, რომლებიც თითქოსდა „არ სჩვევია" თვით სოციალიზმს, ყოველ შემთხვევაში, რაღაცით არ ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულ წარმოდგენებს სოციალისტური მშენებლობის შესახებ.

დიახ, ლენინური პერიოდი ფრიად მნიშვნელოვანია. საგულისხმოა ძალა მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკისა, რომელიც თავის დასკვნებში ეყრდნობა რეალური ისტორიული ვითარების ანალიზს. ბევრ ჩვენგანს აპრილის პლენუმამდე დიდი ხნით ადრეც ესმოდა, რომ საჭიროა ყველაფერი კიდევ ერთხელ მოვიფიქროთ და მივუსადაგოთ ცხოვრების ყველა სფეროს: ეკონომიკას, კულტურას, დემოკრატიას, საგარეო პოლიტიკას. და რაც მთავარია — ავამეტყველოთ ცხოვრების პრაქტიკულ ენაზე.

არა ზარზეიმული დეკლარაცია, არამედ საგულდაგულოდ მომზადებული პროგრამა

გარდაქმნის კონცეფციის პრობლემატიკაც ასევე თანდათან მწიფდებოდა. ჯერ კიდევ აპრილის პლენუმამდე მოჰკიდა ხელი პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ჯგუფმა ეკონომიკის მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზს. სწორედ ეს ანალიზი დაედო შემდეგ საფუძვლად გარდაქმნის

დოკუმენტებს. ჩვენ გამოვიყენეთ მეცნიერთა, სპეციალისტთა რეკომენდაციები, არსებული პოტენციალი, ყოველივე საუკეთესო, რაც საზოგადოებრივ აზროვნებას შეუქმნია, და მოვამზადეთ ძირითადი იდეები და გზა იმ პოლიტიკაზე გადასასვლელად, რომლის ხორცშესხმასაც შევუდექით შემდეგ.

ასე რომ, კონსტრუქციული იდეების არსენალი გვიგროვდებოდა. ამიტომ აპრილის პლენუმზე შევძელით წამოგვეყენებინა ასე თუ ისე გააზრებული და სისტემატიზებული პროგრამა, შეგვემუშავებინა ქვეყნის შემდგომი განვითარების სტრატეგია და მოქმედების ტაქტიკა. ეჭვი არ იყო, რომ კოსმეტიკური რემონტით, საბათქაშო სამუშაოებით ფონს ვერ გავიდოდით, საჭირო იყო სერიოზული გადაკეთება. და ლოდინიც შეუძლებელი იყო, ისედაც ძალზე ბევრი დრო დავკარგეთ.

პირველ რიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ გაგვეჯანსაღებინა ეკონომიკური სიტუაცია, შეგვეჩერებინა და დაგვეძლია ამ სფეროში წამოჭრილი არასახარბიელო ტენდენციები.

უახლოესი რეზერვი, რომელსაც ჩვენ, ბუნებრივია, მივაპყარით ყურადღება, — ეს იყო ელემენტარული წესრიგის დამყარება მეურნეობაში, დისციპლინის განმტკიცება, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, ჩამორჩენილი უბნების დაწინაურება. შევუდექით და ახლაც განვაგრძობთ დიდსა და დაძაბულ მუშაობას. მან, როგორც ვიმედოვნებდით, პირველი შედეგები მოგვიტანა. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება შეჩერდა, ის კი არა, მისი ერთგვარი მატებაც კი შეინიშნება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმოდა, რომ მარტოოდენ ასეთი საშუალებებით ეკონომიკას დინამიზმს ვერ შევმატებდით. მთავარი სიღრმული რეზერვები, როგორც ცნობილია, დევს სულ სხვა სფეროში — ეკონომიკის სერიოზულ სტრუქტურულ გარდაქმნაში, მისი მატერიალური ბაზის რეკონსტრუქციაში, ახალ ტექნოლოგიებში, საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებებში, მმართველობითი სისტემების მაღალ დონეში. და ყოველივე ეს თავს იყრის უმთავრესში — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

და, რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, აპრილის პლენუმის შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის პირველი საპროგრამო აქცია გახდა ამ პრობლემების განხილვა სკკპ

ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის ივნისში გამართულ დიდ წარმომადგენლობითს თათბირზე. ეს უკვე სულ სხვა სჯა-ბაასი იყო, არა ისეთი, როგორსაც მრავალი წლის მანძილზე მივეჩვიეთ. ისმოდა ძალზე ბევრი კრიტიკა — მწარე, მაგრამ მგზნებარე. და მთავარი, რის შესახებაც გაიმართა საუბარი, ეს იყო ინტენსიურ ეკონომიკაზე, ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებაზე გადასვლის კონკრეტული, ეფექტიანი გზები და მეთოდები.

იმ წელს, უმოკლეს ვადაში, შევიმუშავეთ ფართო მასშტაბის კომპლექსური პროგრამები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების გამო. მათი მიზანია ის, რომ მიმდინარე საუკუნის ბოლომდე უზრუნველვყოთ სერიოზული დაწინაურება და მივაღწიოთ მსოფლიო დონეს.

არსებითად, შემუშავებულია ახალი საინვესტიციო და სტრუქტურული პოლიტიკა. ყურადღება ახალი მშენებლობიდან გადატანილია საწარმოთა ტექნიკურ განახლებაზე, რესურსების ეკონომიაზე, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ ამაღლებაზე. ჩვენ კვლავინდებურად დიდ ყურადღებას დავუთმობთ მომპოვებელი დარგების განვითარებას, მაგრამ მასალა-ნედლეულით, სათბობითა და ენერგიით ეკონომიკის უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი ეთმობა. რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვას, რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

განსაკუთრებული პროგრამა მიზნად ისახავს მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციასაც, რომელიც ხელმიშვებული აღმოჩნდა. მისი მიზანია მთლიანად განაახლოს მანქანათმშენებლობის პროდუქცია, მიაღწიოს მსოფლიო დონეს უკვე 90-იანი წლების დამდეგს. და, რა თქმა უნდა, ის მოიცავს ეკონომიკური მექანიზმის ძირეულ გარდაქმნას, ურომლისოდაც, როგორც ახლა ჩვენ კარგად გავარკვიეთ, შეუძლებელია მივაღწიოთ გარდატეხას ტექნიკურ პროგრესსა თუ შეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ იძულებული ვარ, მას მივმართო კიდევ არაერთგზის, ამ წიგნის მრავალ ფურცელზე.

ეკონომიკა, რა თქმა უნდა, იყო და არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ხელი მოვკიდეთ საზოგადოებაში ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ვითარების შეცვლის საქმესაც. ჯერ კი-

დევ 70-იან წლებში ბევრნი მიხვდნენ, რომ ფონს ვერ გავიდოდით აზროვნებასა და ფსიქოლოგიაში, მუშაობის ორგანიზაციაში, სტილსა და მეთოდებში, ყველგან — პარტიაშიც, სახელმწიფო აპარატშიც, ხელმძღვანელ ეშელონებშიც მკვეთრი ცვლილებების განუხორციელებლად. და ეს მოხდა, მათ შორის პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც და მთავრობაშიც. საჭირო გახდა გარკვეული საკადრო გადაადგილებანი ყველა დონეზე. ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მწვავედ შეიგრძნეს სიტუაცია, ჰქონდათ იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ რა და როგორ გვეკეთებინა.

გაჩაღდა უკომპრომისო ბრძოლა სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების დარღვევების წინააღმდეგ, განურჩევლად იმისა, თუ ვინ სჩადიოდა მათ. გამოვაცხადეთ საჯაროობის კურსი. ფართო გზა მივეცით იმათ, ვინც მოითხოვდა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დაუფარავ ხასიათს, გავაუქმეთ უსაფუძვლო შეზღუდვები და აკრძალვები.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ადამიანის ფაქტორის გაუაქტიურებლად, ანუ ადამიანების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესთა გაუთვალისწინებლად, მათზე დაუყრდნობლად, აქტიურ შემოქმედებაში მათს ჩაუბმელად წარმოუდგენელია გადავჭრათ რაიმე ამოცანა, შევცვალოთ ვითარება ქვეყანაში.

მე დიდი ხანია მიზიდავს შესანიშნავი ლენინური ფორმულა: სოციალიზმი — ეს არის მასების ცოცხალი შემოქმედება. სოციალიზმი არ არის აპრიორული თეორიული სქემა, რომლის შესაბამისადაც საზოგადოება იყოფა განმკარგულებლად და შემსრულებლებად. მძაგს სოციალიზმის ასეთი გაუბრალოებული, მექანიკური გაგება.

სწორედ ხალხი, ადამიანი მთელი თავისი შემოქმედებითი მრავალფეროვნებით არის ისტორიის მთავარი მოქმედი პირი. ამიტომ გარდაქმნის ამოსავალ ამოცანას მის სავალდებულო პირობასა და მისი წარმატების საწინდარს წარმოადგენს ის, რომ გამოაღვიძოს ადამიანი, გახადოს იგი ნამდვილად აქტიური და დაინტერესებული, მიაღწიოს იმას, რომ ყოველი მათგანი გრძნობდეს თავს ქვეყნის,

თავისი საწარმოსა თუ დაწესებულების, თავისი ინსტიტუტის ბატონ-პატრონად. ესაა მთავარი.

ჩავაბათ ადამიანი ჩვენი ცხოვრების ყველა პროცესში — აი, რა არის თავი და თავი ყოველივე იმისა, რისთვისაც ვიღვწით. გარდაქმნის „ქვაბში" გადაიდნობა საზოგადოება და უწინარეს ყოვლისა, თვით ადამიანი. ეს იქნება განახლებული საზოგადოება. აი, რა უაღრესად სერიოზულ საქმეს მოვკიდეთ ხელი.

საქმე ძალზე ძნელია. მაგრამ მიზანი ღირს იმად, რომ ძალღონე არ დავიშუროთ. ხომ შეიძლება ყველაფრის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებაც და შეფასებაც. არის ძველებური იგავ-არაკი. გამვლელი მიდის ადამიანებთან, რომლებიც რაღაც ნაგებობას აშენებენ და მუშაკებს ეკითხება: რას აკეთებთო? ერთმა გაბრაზებით უპასუხა: ჰა, ნახე — დილიდან საღამომდე ამ ოხერ ქვებს ვეზიდებითო... მეორე ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა და ამაყად უთხრა: ვერა ხედავ, ტაძარს ვაშენებთო!

აი, თუ ხედავ ამ მაღალ მიზანს — მწვანე გორაკზე მოელვარე ტაძარს, მაშინ ყველაზე მძიმე ლოდები გემსუბუქება, ყველაზე დამქანცველი შრომა გეამება.

იმისათვის, რომ რაღაც უკეთ გავაკეთოთ, უნდა მოვუმატოთ მუშაობას. მე მომწონს სიტყვა — **მოვუმატოთ**. ჩემთვის იგი მარტო დევიზი კი არა, ყოველდღიური მდგომარეობა, მსოფლშეგრძნებაა. ყოველი საქმე, რომელსაც ხელს კიდებ, სულითა და გულით, გონებით უნდა გაიგო, შეიგრძნო, და მხოლოდ მაშინ მოუმატებ.

სულიერად დასუსტებული კაცი ვერაფრის მომმატებელია. პირიქით, ასეთი კაცი ფარ-ხმალს დაყრის სიძნელეთა წინაშე, შეუშინდება მათ. ხოლო თუ კაცი ძლიერია მრწამსითა და ცოდნით, მტკიცეა მორალურად, — მას ვერ გატეხ, იგი ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებს. ეს ვიცით ჩვენი ისტორიიდან.

დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სულიერად ავამაღლოთ ადამიანი, პატივი ვცეთ მის შინაგან სამყაროს, განვამტკიცოთ მისი ზნეობრივი პოზიციები. ჩვენ ხომ ვისწრაფვით საზოგადოების მთელი ინტელექტუალური პოტენციალი, კულტურის ყველა შესაძლებლობა ჩავაყენოთ სოციალურად აქტიური პიროვნების, სულიერად მდიდარი, სამართლიანი და სინდის-ნამუსიანი კაცის ჩამოყალიბების სამსახურში. ადამიანმა უნდა იცოდეს და უნდა გრძნობ-

დეს, რომ მისი სიტყვა სჭირდებათ, რომ მის ღირსებას არავინ ამცირებს, რომ მას ნდობითა და პატივისცემით ეკიდებიან. როდესაც კაცი ყოველივე ამას ხედავს, მას ბევრი რამ ძალუძს.

რა თქმა უნდა, გარდაქმნა რაღაცნაირად ყველას შეეხება, გამოიყვანს მათ ბევრისათვის ჩვეული სიმშვიდის, დამკვიდრებული ცხოვრების წესით ტკბობის მდგომარეობიდან. აქ, კაცმა რომ თქვას, ურიგო როდი იქნება მივაპყროთ ყურადღება სოციალიზმის ერთ თავისებურებას. მე ვგულისხმობ ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის სოციალური დაცულობის მაღალ დონეს. ერთი მხრივ, ეს უდავოდ სიკეთეა, ჩვენი უდიდესი მონაპოვარია. მაგრამ ზოგიერთის შეგნებაში იგი სხვათა მოიმედობის განწყობილებად გარდაიქმნება.

მართლაც, უმუშევრობა არა გვაქვს. შრომითი მოწყობისათვის ზრუნვა სახელმწიფომ თავად იკისრა. ისეთი კაციც კი, რომელიც სიზარმაცისათვის ან საწარმოო დისციპლინის დარღვევისათვის დაითხოვეს, სხვა სამუშაოთი უნდა უზრუნველვყოთ. თან კიდევ გათანაბრებამ საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ყოველდღიურ ცხოვრებაში: კაცი ცუდადაც რომ მუშაობდეს, სულ ერთია, მაინც მიიღებს იმდენს, რომ თავის გასატანად ეყოს. თუ ვიღაცა უბრალოდ მუქთახორაა, მის შვილებს არავინ დატოვებს ბედის ანაბარა. ჩვენ უდიდესი სახსრები გვაქვს თავმოყრილი საზოგადოებრივ ფონდებში, საიდანაც ადამიანები მატერიალურ დახმარებას იღებენ. ამავე თანხებიდან ხმარდება დოტაცია საბავშვო ბაღების, ბავშვთა სახლების, პიონერთა სახლების, სხვა დაწესებულებების შენახვას, რომლებსაც საქმე აქვთ ბავშვთა შემოქმედებასა და სპორტთან. ჯანდაცვა უფასოა, უფასოა განათლებაც. ადამიანი დაცულია ცხოვრების სტიქიისაგან და ჩვენ ვამაყობთ ამით.

მაგრამ ამასთანავე ვხედავთ, რომ უპატიოსნო ადამიანები თითქოს ექსპლოატაციას უწევენ სოციალიზმის ამ უპირატესობებს, იციან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი უფლებები, მაგრამ არ სურთ იცოდნენ მოვალეობანი: ცუდად მუშაობენ, აცდენენ სამუშაოს, ლოთობენ. არიან ისეთებიც, რომლებმაც არსებული კანონები და წესები საკუთარ ანგარებითს ინტერესებს მოუმარჯვეს. ისინი ბევრს არაფერს აძლევენ საზოგადოებას და იმდენი კი შეძლეს, რომ მის-

გან მიეღოთ ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი, უშრომელი შემოსავლით გაჰქონდათ თავი.

გარდაქმნის პოლიტიკა ყველაფერს თავთავის ადგილს მიუჩენს. ჩვენ სრულად აღვადგენთ სოციალიზმის პრინციპს: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით", ვაღწევთ სოციალურ სამართლიანობას — ყველასათვის, თანასწორ უფლებებს — ყველასათვის, ერთ კანონს — ყველასათვის, ერთ დისციპლინას — ყველასათვის, მაღალ მოვალეობებს — თითოეულისათვის. გარდაქმნა სულ უფრო ზევით სწევს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის თამასას. ცვლილებები არ უნდა მას, ვისაც მიაჩნია, რომ უკვე აქვს ის, რაც სჭირდება, მაშ, რისთვისღა უნდა გარდაიქმნას? მაგრამ თუ კაცს აქვს სინდისი, თუ მას არ ავიწყდება თავისი ხალხის კეთილდღეობა, მაშინ არ შეუძლია და არც უნდა იმსჯელოს ასე. თან კიდევ საჯაროობა წარმოაჩენს, რომ ზოგ-ზოგები უკანონო პრივილეგიებით სარგებლობენ. უძრაობას ვეღარ შეეურიგდებით.

საკითხს ასე ვაყენებთ: მუშამ და დირექტორმა, მექანიზატორმა და კლუბის გამგემ, ჟურნალისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ — ყველამ უნდა გადასინჯოს ზოგი რამ თავისი საქმიანობის სტილსა და მეთოდებში, თვითკრიტიკულად შეაფასოს თავისი პოზიციები. ჩვენ მწვავედ დავაყენეთ ამოცანა — დავძლიოთ ინერცია, კონსერვატიზმი, ისე, რომ იგი თითოეულის თავმოყვარეობას ეხებოდეს. ზოგიერთებმა ეს მტკივნეულად აღიქვა — ასეთები უმრავლესობას შეადგენენ, ზოგ-ზოგებმა კი იწყინეს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ძველს ვერ შელევია. ჩვენ უნდა შევხედოთ საკუთარ თავს იმ თვალსაზრისითაც, ნამუსიანად ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ თუ არა. იქნებ რაღაც-რაღაცებში გადავუხვიეთ ჩვენთვის უცხო სტანდარტებს, მაგალითად, მოგვერია მეშჩანური მუშტრული ფსიქოლოგიის სენი. ვისწავლოთ უკეთ მუშაობა, უფრო პატიოსნად ცხოვრება, უფრო წესიერად მოქცევა — აი, ასე შევქმნით ჭეშმარიტად სოციალისტური ცხოვრების წესს.

მთავარია წინ ვიყურებოდეთ. ჩვენ უნდა გვეყოს პოლიტიკური გამოცდილებაც, თეორიული თვალსაწიერიც, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაც, რომ მივაღწიოთ წარმატებას, რათა გარდაქმნა შეესაბამებოდეს სოციალიზმის მაღალ ზნეობრივ კატეგორიებს.

ჩვენ გვჭირდება ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მთელი საწარმოო კოლექტივებისა და შემოქმედებითი კავშირების სრულფასოვანი, სისხლსავსე ფუნქციონირება, მოქალაქეთა საქმიანობის ახალი ფორმები და იმ ფორმების აღორძინება, რომლებიც დავიწყებული გვაქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, **გვჭირდება საზოგადოების მთელი ცხოვრების ფართო დემოკრატიზაცია.** სწორედ ეს დემოკრატიზაციაა დაწყებული პროცესების შეუქცევადობის მთავარი გარანტია.

ახლა ჩვენ ვიცით: თავიდან ავიცილებდით ბევრ სიძნელეს, დემოკრატიული პროცესი ჩვენში ნორმალურად რომ განვითარებულიყო.

ისტორიის ეს გაკვეთილი ჩვენ კარგად და სამუდამოდ შევითვისეთ და მუდამ მტკიცედ ვადგებით იმ აზრს, რომ მხოლოდ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული ფორმების თანამიმდევრული განვითარების, თვითმმართველობის გაფართოების მეოხებით შევძლებთ წინსვლას წარმოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურასა და ხელოვნებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მხოლოდ ასე შეიძლება უზრუნველვყოთ შეგნებული დისციპლინა. მხოლოდ დემოკრატიის გზით და დემოკრატიის წყალობით არის შესაძლებელი თვით გარდაქმნა. რახან ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ და განვახორციელოთ სოციალიზმის პოტენციალი ადამიანის ფაქტორის გაძლიერების მეშვეობით, ვერ იქნება სხვა გზა, გარდა დემოკრატიზაციისა, კერძოდ, სამეურნეო მექანიზმისა და მმართველობის რეფორმისა, რომლის მთავარი ელემენტიც არის შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ასე მაღლა ვაყენებთ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობთ სულიერ სფეროს, საზოგადოებრივ შეგნებას, აქტიურ სოციალურ პოლიტიკას. ამ გზით გვინდა მოვახდინოთ ადამიანის ფაქტორის დინამიზაცია.

დასავლეთში ლენინს ხშირად წარმოსახავენ მართვის ავტორიტარული მეთოდების მომხრედ. ეს მოწმობს, რომ ლენინს სრულიად არ იცნობენ, უფრო ხშირად კი განზრახ ამახინჯებენ. სინამდვილეში, ლენინის რწმენით სოციალიზმი და დემოკრატია განუყო-

ფელია. მშრომელები დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების გზით მიდიან ხელისუფლების სათავეში.

ამ ხელისუფლების დამკვიდრება და ხორცშესხმა მათ ასევე შეუძლიათ მხოლოდ დემოკრატიის განვითარების პირობებში. ლენინს აქვს მეორე უაღრესად სწორი მოსაზრებაც: რაც უფრო ფართოა სამუშაოთა გაქანება, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, მით უფრო მეტად უნდა ავამაღლოთ მისდამი ინტერესი და მის საჭიროებაში დავარწმუნოთ მილიონობით ახალ-ახალი ადამიანი. მაშასადამე: რა-ხან რადიკალურ, ყოველმხრივ გარდაქმნას მივმართავთ, ჩვენ უნდა განვავითაროთ დემოკრატიის მთელი პოტენციალიც.

უნდა შეგვეძლოს პოლიტიკის კორექტირება იმის შესაბამისად, თუ როგორ აღიქვამენ მას მასები, უზრუნველყოთ უკუკავშირი, ვსაზრდოობდეთ ხალხისაგან მიმდინარე იდეებით, აზრებით, რჩევებით. მშრომელები ბევრ სასარგებლო და საინტერესო რამეს გვთავაზობენ, რაც ყოველთვის კარგად როდი მოჩანს „ზემოდან". აი, რატომ არ შეიძლება არამც და არამც დავუშვათ აგდებული დამოკიდებულება იმისადმი, რასაც ხალხი ამბობს. საბოლოო ანგარიშით, გარდაქმნის წარმატებისათვის ყველაზე მთავარია ხალხის დამოკიდებულება მისდამი.

ამრიგად, არა მარტო თეორიამ, არამედ აგრეთვე მიმდინარე პროცესების რეალობამაც მიგვიყვანა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალმხრივი დემოკრატიზაციის პროგრამასთან, რომელიც 1987 წლის იანვრის პლენუმზე წამოვაყენეთ.

ამ პლენუმმა სტიმული მისცა მოქმედების ფართო სპექტრს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლების გაღრმავებისათვის, თვითმმართველობის განვითარებისათვის, მთელი ჩვენი სისტემის მუშაობაში საჯაროობის, გულახდილობის გაფართოებისათვის. ჩვენ ახლა კარგად ვხედავთ, თუ როგორ აამოძრავა საზოგადოება ამ მძლავრმა იმპულსმა. დემოკრატიული პროცესები გაჩაღდა ყველა შრომითს კოლექტივში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, პარტიაში.

დემოკრატიულმა პროცესმა ბიძგი მისცა მთელ გარდაქმნას, აამაღლა მისი მიზნები, უფრო ღრმად გააცნობიერებინა საზოგადოებას თავისი პრობლემები. მან შესაძლებლობა მოგვცა უფრო მასშტაბურად მივდგომოდით ეკონომიკის საკითხებს, წამოგვეყენებინა

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პროგრამა. სამეურნეო მექანიზმი ახლა ლოგიკურად ერწყმის განახლებული დემოკრატიული პრინციპებით სოციალური მართვის საერთო სისტემას.

ეს სამუშაო, როგორც ცნობილია, ჩვენ გავწიეთ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, რომელმაც დაამტკიცა „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი". კაცმა რომ თქვას, ეს არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის უდიდესი და ყველაზე რადიკალური პროგრამა მას შემდეგ, რაც ლენინმა 1921 წელს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შემოიღო. ახალი ეკონომიკური რეფორმა ითვალისწინებს ყველა დონეზე სიმძიმის ცენტრის გადატანას ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, მართვის ფართო დემოკრატიზაციას, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ აქტივიზაციას.

რეფორმას საფუძვლად უდევს გაერთიანებათა და საწარმოთა დამოუკიდებლობის ფარგლების მკვეთრი გაფართოება, მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, შრომითი კოლექტივების აღჭურვა საამისოდ საჭირო ყველა უფლებით. ახლა ისინი მთლიანად აგებენ პასუხს მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლის, მისი საბოლოო შედეგებისათვის. დგინდება, რომ კოლექტივის შემოსავლის დონე პირდაპირ დამოკიდებული იქნება მისი მუშაობის ეფექტზე.

ამასთან დაკავშირებით საწარმოთა ინტერესებისათვის გათვალისწინებულია ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ძირეული გარდაქმნა. საწარმოთა მართვის ოპერატიული ფუნქციებისაგან განთავისუფლებული მართვა დაეთმობა მთავარ პროცესებს, რომლებიც ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას განსაზღვრავენ. ეს რომ რეალობად გვექცია, ჩვენ შევუდექით დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, შრომისა და სოციალურ საკითხთა მართვის სერიოზულ, რადიკალურ რეფორმას. ამ რეფორმის მიზანია უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველვყოთ გადასვლა მმართველობის უაღრესად ცენტრალიზებული მბრძანებლობითი სისტემიდან დემოკრატიულ

სისტემაზე, რომელიც დაემყარება ცენტრალიზმისა და თვითმმართველობის დემოკრატიული შეხამების პრინციპებს.

ეკონომიკური მართვის ძირეული გარდაქმნების ძირითადი პრინციპების მიღება გახდა დიდი, წინგადადგმული პრინციპული ნაბიჯი გარდაქმნის პროგრამის განხორციელების გზაზე. ახლა მისი ყურადღების სფეროში აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ძირითადი მხარე. გარდაქმნის ზოგადი კონცეფცია, ზოგადი ჩანაფიქრი არა მარტო მისი არსის, არამედ აგრეთვე ძირითადი შემადგენელი ნაწილების თვალსაზრისით ჩვენთვის აშკარაა.

გარდაქმნა — ეს არის უძრაობის პროცესების მტკიცე დაძლევა და დამუხრუჭების მექანიზმის მსხვრევა, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, მისთვის მეტი დინამიზმის მინიჭება.

გარდაქმნა — ეს არის მასების ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობა. ეს არის დემოკრატიის, სოციალისტური თვითმმართველობის ყოველმხრივი განვითარება, ინიციატივის, თვითმოქმედების წახალისება, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ეს არის პიროვნების ღირებულებისა და ღირსებისადმი ამაღლებული და დაფასებული პატივისცემა.

გარდაქმნა — ეს არის საბჭოთა ეკონომიკის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, სახალხო მეურნეობის მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების აღდგენა და განვითარება, მართვის ეკონომიკური მეთოდების საყოველთაო დანერგვა, მბრძანებლობაზე და ადმინისტრირებაზე უარის თქმა, ნოვატორობისა და სოციალისტური გერგილიანობის ყოველმხრივი წახალისება.

გარდაქმნა — ეს არის მტკიცე შემობრუნება მეცნიერებისაკენ, უნარი — დააყენო ნებისმიერი წამოწყება სოლიდურ მეცნიერულ საფუძველზე. ეს არის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შერწყმა გეგმიან ეკონომიკასთან.

გარდაქმნა — ეს არის სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, რომელიც ემსახურება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების კარგი პირობების შექმნით.

ეს არის მუდმივი ზრუნვა თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების სულიერი სიმდიდრის, კულტურისათვის.

გარდაქმნა — ეს არის საზოგადოების ენერგიული განთავისუფლება სოციალისტური მორალის დამახინჯებათაგან, სოციალური სამართლიანობის პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება. ეს არის სიტყვისა და საქმის, უფლებებისა და მოვალეობების ერთობა. ეს არის პატიოსანი, მაღალხარისხოვანი შრომის ამაღლება, მის ანაზღაურებაში გათანაბრებითი ტენდენციების, მუშტრული დამოკიდებულების დაძლევა.

ასე წარმოგვიდგენია დღეს გარდაქმნა. ასეთია ჩვენი ამოცანები, ჩვენი მუშაობის აზრი და შინაარსი მომავალი პერიოდისათვის. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანს იგი. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს იქნება არა ორ-სამი წელიწადი, არამედ გაცილებით მეტი. ჩვენ განვეწყვეთ სერიოზული, დაძაბული, საგულდაგულო მუშაობისათვის, რათა XX საუკუნის დამლევამდე გავიყვანოთ ჩვენი სამშობლო ახალ მიჯნებზე.

ხშირად ვაწყდებით კითხვას: მაინც, რისი მიღწევა გვსურს გარდაქმნის შედეგად, რას ველტვით? ძნელია, ამ კითხვას გასცე დეტალური, პედანტური პასუხი. ჩვენ ტრადიციულად არ გვჩვევია მკითხაობა და იმის მცდელობა, რომ წინასწარ განვეკვრიტოთ არქიტექტურული ელემენტები საზოგადოებრივი შენობისა, რომელსაც გარდაქმნის პროცესში ავაგებთ.

მაგრამ პრინციპული თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა, რომ გარდაქმნის საბოლოო მიზანი ჩვენთვის ნათელია. ეს არის ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება, სოციალიზმისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე ფორმების მინიჭება, ჩვენი წყობილების ჰუმანისტური ხასიათის ყველაზე სრული გამოვლენა მისი მთელი გადამწყვეტი — ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტებით.

კვლავ აღვნიშნავ: გარდაქმნა — ეს არის არა რაღაც გონების განათება, წამიერი გაელვარება, არამედ ჩვენი საზოგადოების წიაღში შობილი განახლებისა და დაჩქარების ობიექტური საჭიროების გაგება. გარდაქმნის არსი სწორედ ის არის, **რომ იგი აერთიანებს სოციალიზმსა და დემოკრატიას**, თეორიულად და პრაქტიკულად მთლიანად აღადგენს სოციალისტური მშენებლობის ლენინურ კონ-

ცეფციას. აქედან მომდინარეობს მისი სიღრმე, მისი ნამდვილად რევოლუციური სულისკვეთება და ყოვლისმომცველი ხასიათი.

ასეთი მიზნისათვის ღირს გაისარჯო. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ღირსეულ წვლილს შემატებს კაცობრიობის სოციალურ პროგრესს.

მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია

გარდაქმნის შესახებ საუბარი სრული ვერ იქნება და ვერ შეიტანს სრულ სიცხადეს, თუ კი არ შევეხეთ საქმის კიდევ ერთ მხარეს, რომელზეც გაცხოველებით მსჯელობენ, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, — ეს არის გარდაქმნის კავშირი სოციალიზმთან, როგორც სისტემასთან.

ერთნი მალული იმედით, მეორენი კი შიშით ეკითხებიან საკუთარ თავს: ხომ არ ნიშნავს გარდაქმნა სოციალიზმისაგან განდგომას ან, სულ ცოტა, მისი საფუძვლების შერყევას?

დასავლეთში ზოგ-ზოგებს სურთ თავს მოგვახვიონ ასეთი ვერსია: სოციალიზმს ღრმა კრიზისი დაუდგა და მან საზოგადოება ჩიხში მოაქციაო. სწორედ ასეთი სულისკვეთებით განმარტავენ ქვეყანაში 70-იანი წლების დამლევს — 80-იანი წლების დამდეგს შექმნილი სიტუაციის ჩვენეულ კრიტიკულ ანალიზს. და, დასძენენ, გამოსავალი მხოლოდ ერთია: კაპიტალისტებს უნდა დაესესხონ მეურნეობის გაძღოლის მეთოდებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმებს, კაპიტალიზმის მიმართულებით დრეიფს უნდა შეურიგდნენო.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ გარდაქმნა არ გამოგვიგვა ამჟამად არსებული სისტემის ფარგლებში, და გვთავაზობენ შევცვალოთ იგი, მივმართოთ სხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების არსენალსა და გამოცდილებას. ამას კიდევ დასძენენ, რომ თუ სსრ კავშირი ამ გზას დაადგება, უარს იტყვის თავის სოციალისტურ არჩევანზე, მაშინ ეს გზას გაუხსნის დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასო. საქმე იქამდე მიდის, რომ 1917 წლის ოქტომბერიც თურმე შეცდომა ყოფილა, რომელმაც ლამის ააცდინა ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა საზოგადოებრივი პროგრესის მაგისტრალურ გზას.

იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვა და სპეკულაცია ამ საკითხზე, არადა, ასეთი რამ ხშირად გვესმის დასავლეთიდან, — მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო: მთელ

ჩვენს გარდაქმნებს ვახორციელებთ სოციალისტური არჩევანის შესაბამისად, ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხს ვეძებთ სოციალიზმის ფარგლებში, და არა მის ფარგლებს გარეთ. ყველა ჩვენს წარმატებასა და შეცდომას ვზომავთ სოციალისტური საზომით. ისინი, ვისაც იმედი აქვს, რომ ჩვენ სოციალისტურ გზას გადავუხვევთ, ღრმად შემცდარან. მთელი ჩვენი გარდაქმნის პროგრამა როგორც მთლიანად, ისე ცალკეული კომპონენტებით მთლიანად ეფუძნება პრინციპს: მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია.

მეტი სოციალიზმი — ეს ნიშნავს მეტი დინამიზმი და შემოქმედება, ორგანიზებულობა, კანონიერება და წესრიგი, მეცნიერულობა და ინიციატივა მეურნეობის გაძღოლაში. მეტი ეფექტიანობა მართვაში, ადამიანთა უკეთესი და უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრება.

მეტი სოციალიზმი — ეს ნიშნავს მეტი დემოკრატიზმი, საჯაროობა, კოლექტივიზმი საერთო ცხოვრებაში, მეტი კულტურა და ადამიანურობა საწარმოო, საზოგადოებრივ და პირად ურთიერთობებში, მეტი ღირსება და პიროვნების მეტი თვითპატივისცემა.

მეტი სოციალიზმი — ეს ნიშნავს მეტი პატრიოტიზმი, სწრაფვა მაღალი იდეალებისაკენ, მეტი ენერგიული მოქალაქეობრივი ზრუნვა მთელი ქვეყნის საქმეებისა და საერთაშორისო საქმეებზე მათი სასიკეთო გავლენისათვის.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფრო მეტი უნდა იყოს ის, რაც ჩაქსოვილია თვით სოციალიზმის ბუნებაში, მისი როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის თეორიულ წანამძღვრებში.

ჩვენ ვივლით უკეთესი სოციალიზმისაკენ, და არა მისგან დაშორებით. ჩვენ ვამბობთ ამას პატიოსნად, არ ვატყუებთ არც ჩვენს ხალხს და არც უცხოეთს. იმის მოლოდინი, რომ დავიწყებთ რაღაც სხვა, არასოციალისტური საზოგადოების შექმნას, გადავალთ სხვა ბანაკში, — უპერსპექტივო და არარეალისტური საქმეა. იმ დასავლელებს, ვისაც იმედი აქვს, რომ ჩვენ სოციალიზმზე ხელს ავიღებთ, იმედგაცრუება მოელით. დროა, გაიგონ ეს. და რაც მთავარია —იხელმძღვანელონ ამით საბჭოთა კავშირთან პრაქტიკულ ურთიერთობაში.

ამას რომ ვამბობ, მინდა ზუსტად გამიგონ: ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის მომხრენი ვართ (და ზევით მე უკვე

მოგახსენეთ — რატომ), მაგრამ ჩვენს რწმენას არავის არ ვახვევთ თავს. დაე, ყოველმა ადამიანმა თავისი არჩევანი გააკეთოს, ისტორია კი ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენს. ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ, და ეს ვთქვი კიდევაც ამერიკელ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფთან (ს. ვენსთან, ჰ. კისინჯერთან და სხვებთან) საუბრისას, რომ სწორედ სოციალისტური სისტემისა და გეგმიანი ეკონომიკის მეთხებით გვიადვილდება განვახორციელოთ შემობრუნება ჩვენს სტრუქტურულ პოლიტიკაში, და ეს გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე კერძო მეწარმეობის პირობებში, თუმცა ჩვენც გვაქვს ჩვენი სირთულენი.

ჩვენ გვინდა მეტი სოციალიზმი და ამიტომ — მეტი დემოკრატია.

ჩვენ იმ გაგებით ვხელმძღვანელობთ, რომ 70—80-იანი წლების სიძნელენი და პრობლემები — ეს არის არა სოციალიზმის როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის რაიმე კრიზისი, არამედ, პირიქით, სოციალისტური პრინციპების არასაკმარისი თანამიმდევრობით განხორციელების, მათგან გადახვევისა, და, ის კი არა, დამახინჯების, სოციალური მართვის იმ მეთოდებისა და ფორმების კონსერვირების შედეგი, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში, სოციალისტური განვითარების პირველდაწყებითს ეტაპებზე წარმოიშვა.

და, პირიქით, სოციალიზმს როგორც ახალგაზრდა საზოგადოებრივ წყობილებას, როგორც ცხოველქმედების წესს, აქვს უდიდესი და ჯერ კიდევ გამოუვლინებელი შესაძლებლობანი — თვითგანვითარების, თვითსრულყოფის, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური, საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული, სულიერი პროგრესის, ადამიანის პიროვნების განვითარების ძირეული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობანი. განა ამას არ მოწმობს ისტორიული გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა 1917 წლის ოქტომბრიდან, გზა, რომელიც აღსავსეა აურაცხელი სიძნელეებით, დრამატიზმით, დაძაბული შრომით, და ამავე დროს დიადი გამარჯვებებითა და მიღწევებით?

ისტორიის გაკვეთილები

მართლაც, ოქტომბრის შემდგომი განვითარების პროცესში გვქონდა ძნელი ეტაპები, ხშირად, ჩვენს საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ძალების უხეში ჩარევის შედეგად, ვუშვებ-

დით აგრეთვე შეცდომებს, ხარვეზებს პოლიტიკაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც წინ მიდიოდა, შეიქმნა საზოგადოება, რომელშიც ადამიანები ისე ცხოვრობენ, რომ თავიანთი მომავლისა არ ეშინიათ. და თუ სიმართლის პოზიციებზე იდგება, ყოველმა ობიექტურმა დამკვირვებელმა უნდა აღიაროს, რომ მთლიანად საბჭოთა ისტორია —ეს არის უცილობელი პროგრესის ისტორია, მთელი დანაკარგების, გადახვევების, მარცხის მიუხედავად. ჩვენ გაუკვალავი გზით მივდიოდით — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, — ყოფილა, რომ აგვრეულია გზა, შევმცდარვართ, საკმაოდ გვიღვრია სისხლი და ოფლი. მაგრამ მაინც წინ მივდიოდით და აზრადაც არ მოგვსვლია უკანდახევა, უკვე მიღწეულის დათმობა, არ დაგვიყენებია ეპვქვეშ ჩვენი სოციალისტური არჩევანი.

დამეთანხმებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ როდესაც უცნობ მომავალში ესწრაფვი, როდესაც მოკლე ვადებში გიხდება გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა, შეიძლებოდეს ფონს გასვლა ჩავარდნების გარეშე, ყველაფერი ისე სწორი იყოს, როგორიც ნევის გამზირის ტროტუარია. ავიღოთ ინდუსტრიალიზაცია. რა პირობებში მოგვიხდა მისი განხორციელება? სამოქალაქო ომმა და 14 სახელმწიფოს ინტერვენციამ ქვეყანას სრული ნგრევა მიაყენა. ჩვენ მოგვამწყვდიეს ეკონომიკურ ბლოკადაში, შემოგვარტყეს „სანიტარიული კორდონის“ ალყა. არავითარი დანაგროვი, არავითარი კოლონიები — პირიქით, ცარიზმის დროს ჩაგრული ეროვნული განაპირა მხარეების აღმავლობისათვის გვიხდებოდა სახსრების გაღება. იმისათვის, რომ რევოლუციის მონაპოვარნი გადაგვერჩინა, უნდა გვეშენებინა, — და გვეშენებინა სწრაფად — ქვეყნის სამრეწველო ბაზა შინაგანი წყაროების ხარჯზე, შეგვემცირებინა და მინიმუმამდე დაგვეყვანა მოხმარება. ახალი მშენებლობის მატერიალური ტვირთი დააწვა ხალხს, რომლის ძირითად მასას გლეხობა შეადგენდა.

არსებითად, ხელახლა უნდა შეგვექმნა მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა, ენერგეტიკა და მანქანათმშენებლობა. და ჩვენ თამამად მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს. ცხოვრებისეულობა პარტიის მიერ დასახული გეგმებისა, რომლებიც გაიგო და აღიქვა ხალხმა, ლოზუნგებისა და ჩანაფიქრისა, რომლებშიც ჩაქსოვილი იყო ჩვენი რევოლუციის იდეური ენერგია, გამოიხატა იმ ენთუზი-

აზმით, რომელმაც გააოცა მსოფლიო და რომლითაც ჩაება მილიონობით საბჭოთა ადამიანი სამამულო ინდუსტრიის მშენებლობაში. უმძიმეს პირობებში, ხშირად მშობლიური ადგილებიდან დაშორებულნი, როგორც წესი, ყოველგვარი მექანიზაციის გარეშე და, როგორც იტყვიან, ცარიელ ადგილზე, ისინი, მშიერ-მწყურვალნი, სასწაულებს ახდენდნენ. მათ აღაფრთოვანებდათ ის, რომ ეზიარებოდნენ დიად ისტორიულ საქმეს. მართალია, მაშინ დიდად განსწავლულნი არ იყვნენ, მაგრამ მაინც ესმოდათ, რაოდენ გრანდიოზული, უმაგალითო საქმის მონაწილე გახდა ყოველი მათგანი. ეს იყო ჭეშმარიტად მასობრივი გმირობა სამშობლოს მომავლის საკეთილდღეოდ, ეს იყო იმ თავისუფალი არჩევანისადმი ერთგულების საყოველთაო-სახალხო დემონსტრაცია, რომელიც 1917 წელს მოახდინეს.

ჩვენმა მამა-პაპებმა სძლიეს ყოველივეს, რაც მათ ხვდათ წილად, და უდიდესი წვლილი შემატეს ჩვენი საზოგადოების განვითარებასა და განმტკიცებას იმ პერიოდში, როდესაც მთელი მისი შემდგომი ბედი ისახებოდა.

20—30-იანი წლების ინდუსტრიალიზაცია მართლაც რომ უმძიმესი განსაცდელი იყო. მაგრამ შევეცადოთ ახლა, დღევანდელობის პოზიციებიდან, გავცეთ პასუხი კითხვას: გვჭირდებოდა თუ არა იგი. განა ისეთი უზარმაზარი ქვეყანა, როგორიც ჩვენია, შეძლებდა ეცხოვრა XX საუკუნეში, რომ არ ყოფილიყო ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფო? სულ მალე სხვა მიზეზითაც ცხადი გახდა, რომ ინდუსტრიალიზაციის დაუჩქარებლობა არ შეიძლებოდა. უკვე 1933 წლიდან სწრაფად იწყო ზრდა ფაშიზმის საფრთხემ. და სად ამოჰყოფდა თავს მსოფლიო, საბჭოთა კავშირი რომ არ გადაღობებოდა გზაზე ჰიტლერულ სამხედრო მანქანას? ჩვენმა ხალხმა შემუსრა ფაშიზმი იმ ძლიერების წყალობით, 20—30-იან წლებში რომ შექმნა. ინდუსტრიალიზაცია რომ არა, ჩვენ უმწეონი ვიქნებოდით ფაშიზმის წინაშე.

მაგრამ ჩვენ როდი გავასრესინეთ თავი გერმანელთა ტანკების მუხლუხებს. მთელმა ევროპამ ვერ შეაჩერა ჰიტლერი — იგი ჩვენ გავანადგურეთ. ჩვენ ფაშიზმი გავაცამტვერეთ არა მარტო ჯარისკაცთა გმირობისა და თავდადების წყალობით, არამედ აგრეთვე უკეთესი ფოლადის, უკეთესი ტანკების, უკეთესი თვითმფრინავების მე-

ოხებით. და ყოველივე ეს ჩვენი, საბჭოური დროებით იყო გამოჭედილი.

ანდა, აიღეთ კოლექტივიზაცია. ვიცი, რამდენი მონაჩმახი, სპეკულაცია, ღვარძლიანი კრიტიკა ყოფილა ჩვენი მისამართით მარტოოდენ ამ ტერმინის გამო, თვით პროცესზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ ბევრ მათგანს, ვინც ცდილობს ობიექტურად გაერკვეს ჩვენი ისტორიის ამ პერიოდში, მგონი, ნამდვილად ვერ გაუაზრებია ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული კოლექტივიზაციის მთელი მნიშვნელობა, საჭიროება და გარდაუვალობა.

თუ მართლაც ჭეშმარიტებისა და მეცნიერების პოზიციებიდან გავითვალისწინებთ იმდროინდელ ვითარებასა და სწორედ ჩვენი, საბჭოთა საზოგადოების განვითარების სპეციფიკას, თუ თვალს არ დავხუჭავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უკიდურეს ჩამორჩენილობაზე, რომელსაც არ ჰქონდა პერსპექტივა დაეძლია ეს ჩამორჩენა თუ წვრილი და დაქუცმაცებული დარჩებოდა, დაბოლოს, თუ სწორად შევაფასებთ კოლექტივიზაციის ნამდვილ შედეგებს, არ შეიძლება ერთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა არ გამოვიტანოთ. კოლექტივიზაცია იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა, 1917 წლის შემდეგ უთვალსაჩინოესი სოციალური ნიშან-სვეტი. დიახ, იგი მტკივნეულად მიმდინარეობდა, თან სდევდა სერიოზული გადახრები და შეცდომები მეთოდებსა და ტემპში. მაგრამ უამისოდ ჩვენი ქვეყნის შემდგომი პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა. კოლექტივიზაციამ სოციალური საფუძველი შეუქმნა ეკონომიკის აგრარული სექტორის მოდერნიზაციას, შესაძლებლობა მოგვცა დაგვენერგა კულტურული მეურნეობრიობის მეთოდები. მან უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა და საბოლოო ანგარიშით წარმოების მოცულობის ისეთი გადიდება, რომელიც ჩვენ არ გვექნებოდა, თუ სოფელში მის წინანდელ, ფაქტობრივად შუა საუკუნეებიდან მემკვიდრეობით გადმოცემულ მდგომარეობას შევინარჩუნებდით. გარდა ამისა, კოლექტივიზაციამ გამოათავისუფლა სახსრებისა და მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გვჭირდებოდა ჩვენი საზოგადოების სხვა სფეროების განვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობისათვის. მან დაგვისახა სახელმწიფოს საიმედო სასურსათო ფონდის შექმნის პერსპექტივა.

კოლექტივიზაციამ, მართალია, არცთუ უბრალოდ და ერთბა-

შად, მაგრამ მაინც შეცვალა გლეხობის ცხოვრების მთელი წესი, გაუხსნა მას გასასვლელი იმ გზისაკენ, რომ საზოგადოების თანამედროვე, ცივილიზებული კლასი გამხდარიყო. კოლექტივიზაცია რომ არა, ახლა ჩვენ ვერ ვიფიქრებდით 200 მილიონი ტონა მარცვლეულის წარმოებაზე, მით უმეტეს, 250 მილიონ ტონაზე, როგორც ეს უახლოესი მომავლის გეგმებში გვაქვს ჩაწერილი. არადა, უკვე გადავაჭარბეთ ერთად აღებულ „საერთო ბაზრის" ქვეყნებში მარცვლეულის წარმოების კრეფსით მოცულობას ჩვენი ნაკლები მოსახლეობის მიუხედავად.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია ზოგიერთი სასურსათო პროდუქტი, უწინარეს ყოვლისა — მეცხოველეობის პროდუქტები, და ბევრი რამ გვმართებს მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ კოლექტივიზაციის მეოხებით ჩვენ ახლა ვაწარმოებთ ერთ სულ მოსახლეზე იმდენ სურსათს, რომ იგი ძირითადად აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებას. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ გამოირიცხა შიმშილის, უკმარისი კვების პრობლემა. არადა, ეს ხომ რუსეთის უბედურება იყო საუკუნეთა მანძილზე. კვების კრეფსითი კალორიულობის მიხედვით საბჭოთა კავშირი მტკიცედ იმყოფება განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფში. და რაც ყველაზე მთავარია, კოლექტივიზაციისა და მისი უკვე ნახევარსაუკუნოვანზე მეტი გამოცდილების წყალობით შეიქმნა პოტენციალი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ახლა, გარდაქმნის პროცესში, მთელი აგრარული სექტორი მასშტაბურად ავიყვანოთ თვისებრივად ახალ საფეხურზე.

დიახ, ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია აუცილებლობა იყო. სხვაგვარად ქვეყანა წელში ვერ გაიმართებოდა. მაგრამ ამ გარდაქმნების განხორციელების მეთოდები და ხერხები ყოველთვის და ყველაფერში როდი შეესაბამებოდა სოციალისტურ პრინციპებს, სოციალისტურ იდეოლოგიასა და თეორიას. უწინარესად, თავი იჩინა საგარეო პირობებმა—ქვეყანა გამუდმებით გრძნობდა სამხედრო თავდასხმის საფრთხეს. მაგრამ გექონდა საკუთარი გადახრებიც, იმძლავრა ადმინისტრაციულმა ზემოქმედებამ, ადამიანებს უჭირდათ. ასეთია რეალობა. ასეთია ხალხის ბედი მთელი თავისი წინააღმდეგობებით: დიადი მიღწევებით, დრამატული შეცდომებითა თუ ტრაგიკული ფურცლებითურთ. \

არც ძლევამოსილი ომის შემდეგ ვცხოვრობდით ადვილად. დროდადრო ძალზე გვიჭირდა. მაგონდება ჩემი მოგზაურობა რუსეთის სამხრეთიდან მოსკოვში, როცა 40-იანი წლების დამლევს რკინიგზით გავეშურე სასწავლებლად. საკუთარი თვალით ვნახე გაპარტახებული სტალინგრადი, როსტოვი, ხარკოვი, ორიოლი, კურსკი, ვორონეჟი. მერედა, რამდენი იყო ასეთი დანგრეული ქალაქი?! ლენინგრადი, კიევი, მინსკი, ოდესა, სევასტოპოლი, სმოლენსკი, ბრიანსკი, ნოვგოროდი... ყველაფერი გაჩანაგებული იყო. ასობით და ათასობით ქალაქი და სოფელი, ქარხანა და ფაბრიკა. გაძარცული და გაპარტახებული იყო კულტურის უძვირფასესი ძეგლები — სამხატვრო გალერეები და სასახლეები, ბიბლიოთეკები და ეკლესიები.

მაშინ, დასავლეთში ამბობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ასი წლის შემდეგაც წელში ვერ გაიმართება, ახლა იგი დიდხანს ჩამოშორდება საერთაშორისო პოლიტიკას, ვინაიდან მიყენებული ჭრილობები როგორმე ხომ უნდა მოიშუშოსო. და დღეს ზოგნი აღტაცებით, ზოგნი კი აშკარა უკმაყოფილებით ამბობენ ჩვენზე — ზესახელმწიფოაო! ჩვენ თვითონ, საკუთარი ძალებით ავაღორძინეთ და ავამაღლეთ ქვეყანა სოციალისტურ წყობილებაში ჩაქსოვილი უდიდესი პოტენციის მეშვეობით.

და კიდევ შეუძლებელია არაფერი ვთქვათ საქმის კიდევ ერთ მხარეზე, რომელსაც დასავლეთში ხშირად უგულებელყოფენ ან ჩქმალავენ, ურომლისოდაც ჩვენ საბჭოთა ადამიანებს უბრალოდ ვერ გაგვიგებენ: საწარმოო და სოციალური მიღწევების გვერდით იყო ახალი სიცოცხლე, იყო ახალი სამყაროს მშენებელთა ენთუზიაზმი, იყო აღფრთოვანება რაღაც ახლითა და უჩვეულოთი, სიამაყის მკვეთრი შეგრძნება იმის გამო, რომ ჩვენ მარტოდმარტონი, სხვათა დაუხმარებლად, უკვე მერამდენედ ვაღორძინებთ ქვეყანას საკუთარი ძალებით. ადამიანები ხარბად ეწაფებოდნენ ცოდნას, კულტურას, ხარობდნენ სიცოცხლით, ილხენდნენ და ზრდიდნენ შვილებს, ეწეოდნენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას. და ყოველივე ამას ჩვენ ვაკეთებდით. ყოველივე ეს მოვახდინეთ სრულიად ახალ ატმოსფეროში, მკვეთრად რომ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც რევოლუციამდე იყო,—უბრალოების, თანასწორობის, მშრომელი კაცისათვის უდიდესი შესაძლებლობების ატმოსფეროში. კარგად ვიცით, რა მოგვიტანა სოციალიზმმა. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის

მშვიდობიანი მშენებლობის ყველა ეტაპზე ადამიანები ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ. წერილებში, რომლებსაც ვღებულობ, ჩემი თანამემამულენი ამაყად ამბობენ: მერე და რა, რომ ჩვენ სხვაზე უფრო ღარიბად ვცხოვრობდით, სამაგიეროდ უფრო მჩქეფარე და საინტერესო ცხოვრება გვქონდაო.

დღეს სსრ კავშირში მცხოვრები თხუთმეტი კაციდან ყოველი თოთხმეტი რევოლუციის შემდეგ დაიბადა, ჩვენ კი კვლავინდებურად მოგვიწოდებენ, რომ ხელი ავიღოთ სოციალიზმზე. საკითხავია, საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც სოციალიზმის დროს დაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ, რატომ უნდა თქვან უარი თავიანთ წყობილებაზე? ჩვენ კვლავაც ყოველნაირად განვავითარებთ და განვამტკიცებთ სოციალიზმს. ვფიქრობ, ახალი წყობილების ჯერ მხოლოდ ყველაზე მინიმალური შესაძლებობებია გამოვლენილი.

აი, რატომ გვეუცნაურება, როდესაც გვთავაზობენ — ზოგიერთები გულწრფელადაც კი — შევცვალოთ საზოგადოებრივი სისტემა, მივმართოთ მეთოდებსა და ფორმებს, რომლებიც სხვაგვარ სოციალურ წყობილებას ახასიათებს. ასეთი ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ ამგვარი რამ უბრალოდ შეუძლებელია, მაშინაც კი, თუ ვინმეს მოუნდება საბჭოთა კავშირის შემობრუნება კაპიტალიზმისაკენ. თავად იფიქრეთ: როგორ შევძლებთ დავთანხმდეთ იმას, რომ 1917 წელიც შეცდომა იყო, და ჩვენი ცხოვრების შრომის, ბრძოლისა და შეტაკებების მთელი 70 წელი — ასეთივე მთლიანი შეცდომაა, რომ ჩვენ „სულ სხვა მხარეს" მივდიოდით?! არა, ისტორიის ფაქტების მკაცრი და ობიექტური შეფასების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: სწორედ სოციალისტურმა არჩევანმა მიიყვანა ყოფილი ჩამორჩენილი რუსეთი სახელდობრ „იქ" — იმ ადგილზე, რომელიც საბჭოთა კავშირს უკავია ახლა კაცობრიობის პროგრესში.

ჩვენ არ გვაქვს მიზეზი რაღაც მორიდებით, ხმადაბლა ვილაპარაკოთ ოქტომბერზე, სოციალიზმზე. ჩვენი წარმატებანი უდიდესი და უცილობელია. მაგრამ ყოველივე მომხდარს მთელი სისრულითა და სირთულით აღვიქვამთ. ჩვენი ყველაზე გრანდიოზული მიღწევებიც კი ვერ დაფარავენ ვერც საზოგადოების განვითარების წინააღმდეგობებს, ვერც შეცდომებსა და ხარვეზებს. თვით ჩვენი იდეოლოგიაც ხომ თავისი ბუნებით კრიტიკული და რევოლუციურია.

და როდესაც ვეძებთ დღევანდელი სიძნელეებისა და პრობლემების ფესვებს, ამას ვაკეთებთ იმიტომ, რომ გავიგოთ მათი წარმოშობა, გამოვიტანოთ აქტუალური გაკვეთილები მოვლენებიდან, რომლებიც შორეულ 30-იან წლებში ხდებოდა.

ახლა ჩვენთვის წარსულ ისტორიაში ყველაზე მთავარია ის, რომ მისი გააზრების მეოხებით თანდათან ვიგებთ გარდაქმნის წანამძღვრებს. ჩვენი ისტორია შემთხვევითი ფაქტორების ძლიერი გავლენით ყალიბდებოდა. მაგრამ იგი აი ასეთი გვაქვს. და მასშია ჩაქსოვილი გარდაქმნის სათავეები.

მაინც რატომ მოხდა ყოველივე ის, რამაც გარდაქმნა საჭირო გახადა? რატომ დაიწყო იგი ესოდენ გვიან? რატომ ძლებდა ამდენხანს დრომოჭმული შუშაობის მეთოდები? რატომ მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და თეორიის დოგმატიზაცია?

ყოველივე ეს ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ხოლო ახსნისა და განმარტების დროს ჩვენ ვპოულობთ ბევრ საიმისო საბუთს, რომ პარტიაშიც და საზოგადოებაშიც ხედავდნენ ნეგატიური პროცესების მომძლავრებას. უფრო მეტიც, არაერთგზის მწვავედ შეუგნიათ ცვლილებათა საჭიროება. მაგრამ ეს ღონისძიებანი სანახევრო და არათანამიმდევრული გამომდგარა წარსულის, მისი მთელი დომინანტებისა და ატრიბუტების მემკვიდრეობის ზემოქმედებით.

ჩვენი ისტორიის თვალსაჩინო ნიშანსვეტი გახდა სკკპ XX ყრილობა. მან დიდი წვლილი შემატა სოციალისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას. ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ ყოველმხრივ შევეცადეთ, რომ ახალი კალაპოტით წარგვემართა ქვეყნის მოძრაობა, ბიძგი მიგვეცა იმისათვის, რომ გავთავისუფლებულიყავით ნეგატიური მოვლენებისაგან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც სტალინის პიროვნების კულტმა წარმოშვა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ზემოქმედებით განხორციელდა ფართო მასშტაბის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური ღონისძიებანი. მაგრამ დასახული შესაძლებლობანი სრულად მაინც ვერ გამოვიყენეთ. ამის მიზეზია ხელმძღვანელობის საქმიანობის სუბიექტივისტური მეთოდები, რომელსაც ზრუშჩოვი ედგა სათავეში. ეკონომიკის მართვა იმპროვიზაციის ძალაუფლებას დაექვემდებარა. მაშინდელი ხელმძღვანელობის ვოლუნტარისტული იდეები და მოქმედება ციებ-ცხელებას მართებდა პარტიასა და საზოგადოებას. ამბიციურმა, დაუსაბუთებელმა დაპირებებმა და პროგ-

ნოზებმა კვლავ შექმნეს სიტყვასა და საქმეს შორის დაშორების სიტუაცია.

აი რატომ იყო, რომ მომდევნო ეტაპზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმით აღინიშნა, მოგვიხდა უწინარეს ყოვლისა დაგვეძლია ეს უკიდურესობანი, გვებრძოლა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის წინააღმდგე. პარტია დაადგა სტაბილიზაციის გეზს.

და ეს გეზი გამართლებული გამოდგა. მას მხარი დაუჭირეს პარტიამ და ხალხმა. გაჩნდა გარკვეული პოზიტიური შედეგები. ვამუშავებდით და ვიღებდით უფრო აწონილ-დაწონილ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს. 1965 წლის სამეურნეო რეფორმის დასაბამი, ცენტრალური კომიტეტის ამავე წლის მარტის პლენუმი სოფლის მეურნეობის საკითხებზე — ეს არის ფრიად თვალსაჩინო ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ეკონომიკის პოზიტიურ გარდაქმნებს. მაგრამ ეს ინიციატივებიც, რომლებმაც არსებითი, მაგრამ დროებითი ეფექტი მოგვიტანეს, ჩაიხშო.

გულარხეინობის, ხელმძღვანელობის ცვლის ბუნებრივი პროცესის დარღვევის ნიადაგზე ქვეყანაში წარმოიშვა უძრაობისა და დამუხრუჭების მოვლენები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. არადა, ვითარება სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდა კარდინალურ გადაწყვეტებს სამეურნეო და სოციალური მმართველობის მექანიზმის სრულყოფისათვის.

რა დასკვნები გამოგვაქვს ჩვენ წარსულის ისტორიული გაკვეთილებიდან?

უწინარეს ყოვლისა, გამოგვაქვს ის დასკვნა, რომ სოციალიზმმა, როგორც საზოგადოებრივმა წყობილებამ დაამტკიცა თავისი უდიდესი შესაძლებლობანი საზოგადოებრივი პროგრესის ურთულესი პრობლემების გადაჭრის საქმეში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მას გააჩნია თვითსრულყოფის უნარი, შეუძლია კიდევ უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი, ძალუძს გადაჭრას საზოგადოებრივი პროგრესის ახლანდელი ფართო მასშტაბის ამოცანები, რომლებიც XXI საუკუნის დამდეგს წამოგვეჭრა.

ამასთანავე ჩვენ გვესმის, რომ სოციალიზმის სრულყოფა — ეს არის არა თავისთავადი პროცესი, არამედ საქმეა, რომელიც მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, პრობლემების მართალ, მიუკერძოე-

ბელ ანალიზს, მტკიცე უარის თქმას ყოველივე იმაზე, რაც მოძველდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქ სანახევრო ღონისძიებებით ფონს ვერ გავალთ. უნდა ვიმოქმედოთ ფართო ფრონტით, თანამიმდევრულად და ენერგიულად, არ მოვერიდოთ ყველაზე გაბედულ ნაბიჯებს.

და, კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი დასკვნა. მისი არსი ის არის, რომ უნდა ვეყრდნობოდეთ მასების თვითმოქმედებას და შემოქმედებას, აქტიურ მონაწილეობას ვაღებინებდეთ მშრომელთა უფართოეს ფენებს დასახული გარდაქმნების განხორციელებაში, ანუ, ეს არის დემოკრატიზაცია და ერთხელ კიდევ დემოკრატიზაცია.

გარდაქმნის გზით მოძრაობის იდეური წყარო

მცდარი და მავნეა წარმოვიდგინოთ სოციალისტური საზოგადოება რაღაც გახევებულ და უცვლელ ორგანიზმად, ხოლო მისი სრულყოფა — მარტოოდენ იმ ხერხად, რომ რთული სინამდვილე მოვარგოთ და შევუსატყვისოთ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ იდეებს, ცნებებსა და ფორმულებს. წარმოდგენა სოციალიზმზე ნიადაგ ვითარდება და მდიდრდება ისტორიული გამოცდილების, ობიექტური პირობების გათვალისწინებით.

ჩვენ ლენინისაგან ვსწავლობდით და ვსწავლობთ შემოქმედებით მიდგომას სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკისადმი, ვიარაღდებით მისი მეცნიერული მეთოდოლოგიით, ვეუფლებით კონკრეტული სიტუაციის კონკრეტული ანალიზის ხელოვნებას.

გარდაქმნის საქმეს წინ რომ ვწევთ, ჩვენ ნიადაგ ვუბრუნდებოდით და ვუბრუნდებით ლენინის შრომებს, მეტადრე, ვიმეორებ, მის უკანასკნელ ნაშრომებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ჩვენ დაგვიტოვეს სოციალიზმის ძირითადი, არსობრივი დახასიათებანი. ისინი დეტალიზაციას არ მოჰყოლიან, არც ცდილან დაწვრილებით დაეხატათ სოციალიზმის სურათი. ისინი ლაპარაკობდნენ თეორიულად ხილულ ეტაპებზე. ხოლო იმის ჩვენება, თუ როგორი უნდა იყოს ახლანდელი ეტაპი, ჩვენი ამოცანაა. სწორედ ჩვენ უნდა განვვლოთ პრაქტიკულად ეს ეტაპი, განვვლოთ ისე, რომ თავი არ ავარიდოთ რთულ საკითხებს. კლასიკოსები ჩვენ გვასწავლიან არა მეთოდიკას, არამედ მეთოდოლოგიას.

ახალ ეტაპზე ჩვენ აღმოვჩნდით უცილობელი საპირების წინაშე — ლენინურ მემკვიდრეობაზე, მის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გავრკვეულიყავით დაგროვებულ თეორიულ პრობლემებში, სოციალიზმის შესახებ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებში. ამ ამოცანის მნიშვნელობა კიდევ უფრო იმით არის ნაკარნახევი, რომ ლენინის შემდგომ პერიოდში განუხრელად არ მივსდევდით მის იდეებს. სოციალიზმის მშენებლობის ფორმები და მეთოდები, რომლებიც ვითარებით იყო ნაიძულევი და ასახავდნენ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს, დაკანონდა და გაიდეალდა, ზოგადი უცილობელი დოგმების რანგში იქნა აყვანილი. ამის შედეგად ჩამოყალიბდა სოციალიზმის გაღარიბებული, სქემატიზირებული სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ცენტრალიზებული მმართველობის ჰიპერტროფია, ადამიანთა მდიდარი და მრავალფეროვანი ინტერესების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური როლის შეუფასებლობა, აშკარად გამოხატული გათანაბრებითი ტენდენციები.

ავიღოთ, მაგალითად, ეკონომიკის მართვის მექანიზმი. კონკრეტულ ისტორიულ მდგომარეობას, რომელშიც საბჭოთა კავშირი ვითარდებოდა, არსებითად, ექსტრემალურ პირობებს არ შეიძლებოდა მასზე თავისი დაღი არ დაეჩნია. ომის საფრთხე და თვით ომები — ჩვენს ისედაც ძნელ ისტორიაში მძიმე და დამანგრეველი ომები, გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის ორგზისი აღდგენა ნანგრევებიდან, — ყოველივე ეს, ბუნებრივია, იწვევდა მკაცრ ცენტრალიზაციას მმართველობაში, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დემოკრატიული საფუძვლების შევიწროება.

დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ როგორ ჩამოყალიბდა ასეთი პარადოქსი. როდესაც ახალი საზოგადოების მშენებლობას იწყებდა, კაპიტალისტური სამყაროს წინაშე მარტოდმარტო მყოფი ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო რაც შეიძლება მალე დაეძლია ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა, მნიშვნელოვანწილად ხელახლა შეექმნა თანამედროვე ინდუსტრია. და ეს გაკეთდა უპრეცედენტოდ მოკლე დროში.

ასეთი ამოცანა რომ გადაგვეწყვიტა, იძულებული გავხდით მკვეთრად გაგვეზარდა დაგროვების წილი ეროვნულ შემოსავალში. თანაც, ამგვარად მობილიზებული სახსრების მეტი ნაწილი მოხმარ-

და მძიმე, მათ შორის, თავდაცვითი მრეწველობის განვითარებას. ასეთი განვითარების „ფასის“ საკითხი მაშინ ან საერთოდ არ დგებოდა, ანდა მეორე პლანზე იყო. სახელმწიფო არ ერიდებოდა არავითარ დანახარჯებს, ხოლო ადამიანები მზად იყვნენ ყველაფერი გაეწირათ, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი სამშობლოს დაჩქარებული განვითარება, განემტკიცებინათ მისი თავდაცვისუნარიანობა, დაეცვათ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სოციალისტური არჩევანი.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მმართველობის სისტემა, რომელიც მკაცრ ცენტრალიზმს, მუშაობის დეტალურ რეგლამენტირებას, სადირექტივო მიზნობრივ დავალებებსა და ბიუჯეტურ ასიგნებებს ემყარებოდა. და მან თავისი როლი შეასრულა.

რა თქმა უნდა, მმართველობის ასეთ ხასიათს მთლიანად ვერ გავამართლებთ ობიექტური მიზეზებით. იყო მცდარი მიდგომებიც, მიგვიღია სუბიექტივისტური ყაიდის გადაწყვეტილებებიც. ამასაც უნდა ვხედავდეთ და ვითვალისწინებდეთ თანამედროვე პრობლემების განხილვისას. მაგრამ ასეა თუ ისე, 30—40-იან წლებში დამკვიდრებული მმართველობის სისტემა თანდათან სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური განვითარების პირობებსა და მოთხოვნილებებს. მის დადებითს შესაძლებლობებს სულ უფრო მეტად გასდიოდა ყავლი, და პირიქით, ძლიერდებოდა მამუხრუჭებელი მოქმედება. ამას შედეგად მოჰყვა დამუხრუჭების მექანიზმის ფორმირება, რომელმაც შემდეგ ესოდენ ნეგატიური როლი შეასრულა. ექსტრემალურ პირობებში წარმოშობილი მუშაობის მეთოდების გამოყენებამ გამოიწვია შეცვლილ პირობებში სოციალურ-ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭება.

აქ გამოვლენილი დოგმატიზმი აძლიერებდა ჩვენი ეკონომიკის მხარჯველობით ხასიათს, რომელმაც ინერციის მძლავრი ძალა შეიძინა და 80-იანი წლების შუა ხანებამდე მოატანა. სწორედ აქ არის ყბადაღებული „ხელაღებული მიდგომის“ ფესვები, რომელზეც სულ ბოლო დრომდე იყო ორიენტირებული ჩვენი ეკონომიკა.

ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა აკვიატებული წარმოდგენა სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და ღირებულების კანონის მიმართ, ხშირად კი მათ პირდაპირ უპირისპირებდნენ სოციალიზმს, როგორც რაღაც უცხოს. ყოველივე ეს ეხა-

მებოდა სამეურნეო ანგარიშის დაუფასებლობას, წარმოშობდა თვითნებობას ფასწარმოქმნაში, უყურადღებობას ფულადი მიმოქცევისადმი.

ასეთ პირობებში უაღრესად ნეგატიურად იჩინა თავი მმართველობის დამკვიდრებული სისტემის დემოკრატიული საფუძვლების სივიწროვემაც. მასში თითქმის აღარ რჩებოდა ადგილი მშრომელთა თვითმმართველობის ლენინურ იდეას. საზოგადოებრივი საკუთრება თითქოს თანდათან ემიჯნებოდა თავის ჭეშმარიტ მფლობელს — მშრომელს. მას ხშირად ღრღნიდა უწყებრიობა და კუთხურობა, ხშირად ხდებოდა „არავისი“, უფასო, რეალურ პატრონს მოკლებული. სულ უფრო მეტად იჩენდა თავს ადამიანის განკერძოება საყოველთაო-სახალხო დოვლათისაგან, მშრომელის პირად ინტერესებთან საზოგადოებრივი ინტერესის ერთიანობის არარსებობა. სწორედ ეს არის მომხდარი ამბის უმთავრესი მანკი: წარსულში დამკვიდრებული მეურნეობრიობის სისტემა ახალ ეტაპზე სოციალიზმის განვითარების ფაქტორიდან მისი შემდგომი წინსვლის მუხრუჭი ხდებოდა.

თუკი დამუხრუჭების მექანიზმის პოლიტიკურ მხარეზე ვილაპარაკებთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, როდესაც განათლებულმა, ნიჭიერმა, სოციალისტური წყობილებისადმი ერთგულმა ხალხმა სრულად ვერ გამოიყენა სოციალიზმში ჩაქსოვილი შესაძლებლობანი, თავისი უფლება — რეალური მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს საქმეთა მართვაში. რა თქმა უნდა, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ყოველთვის იყვნენ წარმოდგენილნი ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოში, მაგრამ მათ ყოველთვის როდი აბამდნენ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაში იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდებოდა სოციალისტური საზოგადოების ჯანსაღ განვითარებას. მასები მომზადებული იყვნენ უფრო აქტიური პოლიტიკური შემოქმედებისათვის, მაგრამ საამისო გასაქანი არ ეძლეოდათ, მაშინ როდესაც სოციალიზმის ზრდასა და განმტკიცებას განსაზღვრავს სწორედ ის, თუ როგორ აბამს იგი ადამიანთა სულ უფრო მრავალრიცხოვან მასას აქტიურ პოლიტიკაში.

ეკონომიკის დამუხრუჭების მექანიზმს მისი მთელი სოციალური და იდეოლოგიური შედეგებითურთ მოჰყვა საზოგადოებრივი

სტრუქტურების ბიუროკრატიზაცია და „გაფართოებული კვლავწარმოება“ ბიუროკრატიული ფენის ყველა დონეზე, რომელიც განუზომელ გავლენას ახდენდა მთელ სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციულ და თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, რომ ასეთ პირობებში მმართველობისა და თვითმმართველობის, სამეურნეო ანგარიშის, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დაკავშირების შესახებ ლენინური იდეების სიმდიდრე ჯეროვნად არ გამოიყენებოდა და არ ვითარდებოდა. და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია საზოგადოებრივი აზრის გახევებისა, რეალურ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათაგან მისი მოწყვეტისა.

გარდაქმნამ ახალი ამოცანები დააყენა როგორც პოლიტიკური პრაქტიკის, ისე ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე. ბოლო მოგვეღო საზოგადოებრივი მეცნიერების გახევებულობისათვის, მიგვეცა მისთვის ფართო ასპარეზი, საბოლოოდ დაგვეძლია თეორიის იმ მონოპოლიის შედეგები, რომლებიც ახასიათებდა პიროვნების კულტის პერიოდს, როდესაც საბჭოთა საზოგადოების ექსტრემალურ პირობებში ჩამოყალიბებული განვითარების ფორმები — სტალინის ავტორიტეტით აბსოლუტად ქცეული — სოციალიზმისათვის ერთადერთ შესაძლო ფორმებად იყო მიჩნეული.

უნდა განვახორციელოთ მკვეთრი შემობრუნება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში. და აქაც კვლავ უნდა ვისწავლოთ ლენინისაგან. მას ჰქონდა უიშვიათესი უნარი — დროზე შეეგრძნო სიღრმისეულ ცვლილებათა, ღირებულებათა გადაფასების, თეორიული დებულებებისა და პოლიტიკური ლოზუნგების გადასინჯვის აუცილებლობა.

აი, უბრწყინვალესი მაგალითი. 1917 წლის აპრილში, რუსეთში დაბრუნებულმა ლენინმა მოკლე ვადაში ზუსტად შეაფასა თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი სიტუაცია. ქვეყნის განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობანი. და არა მარტო შეუცდომლად განსაზღვრა პარტიისა და საბჭოების საქმიანობის ერთადერთი შესაძლო ტაქტიკა, არამედ წამოაყენა კიდეც სტრატეგიული ამოცანა — მოემზადებინათ პარტია და მასები სოციალისტური რევოლუციისათვის. სხვაგვარად შეიძლებოდა დაგვეკარგა ცარიზმის დამხობის შედეგად მიღწეული მონაპოვარიც. თვით ბევრი

გამოცდილი ბოლშევიკისთვისაც კი საქმის ასეთი შემობრუნება მოულოდნელი აღმოჩნდა. აი, პოლიტიკური აზროვნების სწორედ ასეთ დიალექტიკას ვსწავლობთ, როდესაც გარდაქმნას ვახორციელებთ.

მაშინაც, და შემდეგაც არაერთგზის ყოფილა, რომ პარტია ერთბაშად ვერ გარკვეულა ახალ იდეებში. გასჭირვებიათ, ზოგჯერ კი გაუგებლობაც გამოუჩენიათ რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს. მაგრამ ლენინსა და მის თანამებრძოლებს შეეძლოთ დარწმუნება, განმარტება, შეეძლოთ არაერთხელ და ორჯერ დაბრუნებოდნენ ერთსა და იმავე საკითხს, აღენთოთ ენერგიით და თავიანთ მხარეზე გადმოეყვანათ მერყევნი და დაეჭვებულნი. ყოფილა, რომ თვით ლენინსაც ძალზე გასჭირვებია. ერთხელ გულისტკივილით წერდა ბარათში: „აი ჩემი ბედი. ერთი საბრძოლო კამპანია მეორეს მოსდევს — პოლიტიკურ სისულელეთა, უხამსობათა, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ა. შ.

ეს 1893 წლიდან. და უხამსების სიძულვილი ამის გამო. მაგრამ მე მაინც არ გავცვლიდი ამ ბედს უხამსებთან „ზავზე"[1].

მე უკვე არაერთგზის მითქვამს და ლენინიც დამიმოწმებია, რომ თუკი ხელს ჰკიდებ კერძო საკითხებს, ისე რომ არ გარკვეულხარ ზოგადში, ყოველთვის გადააწყდები ამ ზოგადს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გარდაქმნის დაწყებისთანავე, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზეც, უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებდით კონცეფტუალურ მიდგომას. რა თქმა უნდა, ვესწრაფოდით იმასაც, რომ ნაკლები ქაოსი გვქონოდა მეთოდებში. იმისათვის, რომ რაღაც არსებითს მიაღწიო, სულაც არ არის საკმარისი ყველაფერი თავდაყირა დააყენო, მერე კი მიჰყო ხელი შეცდომების გამოსწორებას.

ახალი ამოცანების გადაწყვეტა გვიხდებოდა „მზამზარეული რეცეპტების" გარეშე. ასეთი რეცეპტები არც დღეს არა გვაქვს. საზოგადოებათმცოდნეებს ჯერჯერობით მთლიანი რამ არაფერი შემოუთავაზებიათ. სოციალიზმის პოლიტეკონომიაც ჩვეულ ცნებათა ჩიხში მოექცა, ალღო ვერ აუღო ცხოვრების დიალექტიკას. საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებებს ჩამორჩებიან ფილოსოფია და სოციოლოგია. საფუძვლიანი გარდაქმნა მოუწევს ისტორიის მეცნიერებას.

---

[1] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 35, გვ. 267.

სკკპ XXVII ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა ფართო ასპარეზი გაუხსნეს შემოქმედებითს აზროვნებას, თავად მიანიჭეს მძლავრი სტიმული მის განვითარებას. რევოლუციური თეორიის გარეშე ვერ იქნება ვერც რევოლუციური მოძრაობა — ეს მარქსისტული დებულება ისე აქტუალურად ჟღერს, როგორც არასდროს.

გარდაქმნა — ეს რევოლუციაა

გარდაქმნა მრავალმნიშვნელოვანი, უაღრესად ტევადი სიტყვაა. მაგრამ თუ მის მრავალ შესაძლო სინონიმთაგან ავიღებთ უმთავრესს, ყველაზე მეტად რომ გამოხატავს მის არსს, შეგვიძლია ასე ვთქვათ: გარდაქმნა — ეს რევოლუციაა. საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების გადაჭრით დაჩქარება გულისხმობს რადიკალურ ცვლილებებს თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის გზაზე. და ეს უდავოდ რევოლუციური ამოცანაა.

ვფიქრობ, ჩვენ ყველა საფუძველი გვქონდა საიმისოდ, რომ 1987 წლის იანვრის პლენუმზე განგვეცხადებინა: თავისი ღრმა არსით, ბოლშევიკური გაქანებით, ჰუმანისტური სოციალური მიზანმიმართულებით ახლანდელი კურსი იმ დიადი მიღწევების უშუალო განგრძობაა, რომლებიც ლენინურმა პარტიამ დაიწყო 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. და ეს არის არა მარტო განგრძობა, არამედ აგრეთვე რევოლუციის ძირითადი იდეების განვითარება-გაღრმავებაც. ჩვენ ახალი დინამიზმი უნდა მივანიჭოთ ჩვენი რევოლუციის ისტორიულ იმპულსს, წინ წავწიოთ ყოველივე ის, რაც მან საზოგადოებაში ჩააქსოვა.

რა თქმა უნდა, გარდაქმნას ჩვენ არც ვადარებთ ოქტომბერს — ჩვენი სამშობლოს ათასწლოვან ისტორიაში გარდამტეხ მოვლენას, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება კაცობრიობის განვითარებაზე ზემოქმედების ძალით.

და მაინც რატომ არის, რომ ოქტომბრის 70-ე წლისთავზე ჩვენ ახალი რევოლუციის შესახებ ვლაპარაკობთ?

ამ კითხვის პასუხს შეიძლება ისტორიული ანალოგიების მეშვეობით მივადგეთ. ლენინმა თავის დროზე შენიშნა, რომ კლასიკური ბურჟუაზიული რევოლუციის ქვეყანაში, საფრანგეთში, მისი 1789—1794 წლების დიდი რევოლუციის შემდეგ საჭირო გახდა კიდევ სამი

(1830, 1848 და 1871 წლების) რევოლუცია, რათა ბოლომდე მიეყვანა მის მიერ დაწყებული საქმე. ასევე შეიძლება ითქვას ინგლისზეც, სადაც 1649 წლის კრომველის რევოლუციის შემდეგ მოხდა 1688—1689 წლების „სახელოვანი რევოლუცია", ხოლო შემდეგ საჭირო გახდა 1832 წლის რეფორმა, რომელმაც საბოლოოდ ჩააყენა ხელისუფლების სათავეში ახალი კლასი — ბურჟუაზია. გერმანიაში იყო ორი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია (1848 და 1918 წლებისა), ხოლო მათ შორის — 60-იანი წლების მკაცრი რეფორმები, რომლებსაც ბისმარკი „შანთითა და სისხლით" ახორციელებდა.

„ისეთი რევოლუციები, — წერდა ლენინი, რომლებიც, გამარჯვების შემდეგ, შეიძლება ჯიბეში ჩაიდო და განცხრომას მიეცე, ისტორიაში არ ყოფილა"[1]. მაშ ·აბა სოციალიზმმა, რომელიც ·მოწოდებულია განახორციელოს კაპიტალიზმზე უფრო ღრმა ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცვლილებები საზოგადოებაში, რატომ არ უნდა გაიაროს რამდენიმე რევოლუციური უღელტეხილი, რათა გამოავლინოს მთელი თავისი პოტენცია და საბოლოოდ გაკრისტალდეს პრინციპულად ახალ ფორმაციად? ლენინს არაერთგზის გაუმეორებია ასეთი აზრი: სოციალიზმი მრავალი ცდისაგან ყალიბდება. ყოველი ცდა გარკვეულწილად ცალმხრივი იქნება და თითოეულ მათგანს ექნება თავისი სპეციფიკა. ეს ყველა ქვეყანას ეხება.

ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არც სოციალისტური საზოგადოებაა დაზღვეული უძრაობის ტენდენციების გაჩენა-მომძლავრებისა და თვით სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური კრიზისებისაგანაც კი. ხოლო იმისათვის, რომ თავი დააღწიო კრიზისულ ან კრიზისისწინა სიტუაციას, სწორედ საჭიროა რევოლუციური ხასიათის ღონისძიებანი. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სოციალიზმს ხელეწიფება რევოლუციური ცვლილებები, ვინაიდან იგი თავისი ბუნებით დინამიკურია.

1985 წლის გაზაფხულზე პარტიამ დღის წესრიგში დააყენა ასეთი ამოცანა. დაგროვებული და მომწიფებული ახალი პრობლემების სერიოზულობა, მათს გააზრება-გადაწყვეტაში დაშვებული

[1] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 29, გვ. 62.

დაგვიანება, — აი, რამ მოითხოვა გვემოქმედა რევოლუციურად, გამოგვეცხადებინა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა.

გარდაქმნა „რევოლუციური პროცესია, ვინაიდან ეს არის სოციალიზმის განვითარებაში, მისი არსობრივი მახასიათებლების რეალიზაციაში მოხდენილი ნახტომი. ჩვენ თავიდანვე გვესმოდა: ზოზინის დრო არ არის. მთავარი იყო დაგვეჩქარებინა სტარტი, დაგვეძლია ჩამორჩენა, დაგვეღწია თავი კონსერვატიზმის ჭაობისათვის, გადაგველახა უძრაობის ინერცია. ამის ევოლუციურად მოხდენას ვერ შევძლებდით გაუბედავი, შემპარავი რეფორმის გზით.

ჩვენ არ შეგვიძლია, უბრალოდ, უფლება არა გვაქვს მოვდუნდეთ თუნდაც ერთი დღითაც კი. პირიქით, დღითი დღე უნდა ვუმატოთ მუშაობას, ვაძლიეროთ მისი ტემპი, მისი ინტენსიურობა. უნდა გავუძლოთ ამ დაძაბვას, როგორც კოსმონავტები ამბობენ, ამ დიდ გადატვირთვებს გარდაქმნის საწყის მონაკვეთში.

რევოლუციას ნიადაგ უნდა ვავითარებდეთ. არ შეიძლება ერთი ადგილის ტკეპნა. ამას გვიჩვენებს ჩვენი საკუთარი წარსულიც. ზოზინის შედეგებს დღესაც ვგრძნობთ. ამიტომ ახლა გვმართებს ორკეცი ვაჟკაცობა და გამბედაობა. ჩვენ არა გვაქვს უფლება კვლავ გავიჩხიროთ. ამიტომ მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ!

რა თქმა უნდა, რევოლუციურად მოქმედება წინ თავქუდმოგლეჯილ სირბილს როდი ნიშნავს. კავალერიული იერიშები ყოველთვის როდია გამართლებული. რევოლუციას განეკუთვნება პოლიტიკის, როგორც შესაძლებლის ხელოვნების კანონები. არ შეიძლება გადაახტე ეტაპებს, გამოიჩინო სულსწრაფობა. ახლა მთავარია შევქმნათ მარაგნაკეთი, რომელიც საჭიროა თვისებრივად ახალ მიჯნებზე გასასვლელად, თორემ სხვაგვარად, როგორც იტყვიან, შეიძლება შარშიაც გავეხვიოთ და დიად საქმესაც გავუტეხოთ სახელი.

რევოლუცია, როგორც ჩვენ გვესმის, — ეს არის აღმშენებლობა, მაგრამ ყოველთვის, რა თქმა უნდა, მსხვრევაც არის. რევოლუცია სწორედ იმიტომაა, რომ დაამსხვრიოს დრომოჭმული, ყავლგასული, ყოველივე ის, რაც ხელს უშლის სწრაფ წინსვლას. თუ არ ამსხვრიე, ახალი მშენებლობისათვის მოედანს ვერ გაინთავისუფლებ. სწორედ ამიტომ ნიშნავს გარდაქმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე აღმართული დაბრკოლებების, მეურნეობის მართვაში ფეხმოკიდებული წესების, აზროვნებაში გამ-

ჯდარი დოგმატიკური სტერეოტიპების დაუნდობელ მსხვრევას. გარდაქმნა მრავალთა ინტერესებს, მთელ საზოგადოებას შეეხება. და რა თქმა უნდა, მსხვრევა უკონფლიქტოდ არ იქნება, იგი გამოიწვევს ძველისა და ახლის მწვავე შეტაკებებსაც. რა თქმა უნდა, აქ არც ბომბები სკდება და არც ტყვიები ზუზუნებენ. მაგრამ დამუხრუჭების მექანიზმის კონკრეტული მატარებლები გვეწინააღმდეგებიან. ხოლო არაფრისკეთება, გულგრილობა, მცონარობა, უპასუხისმგებლობა და უყაირათობა — ესეც წინააღმდეგობაა.

ეს გასაგებია. საზოგადოებაში სიტუაცია ნამდვილად გამწვავდა, ვინაიდან გარდაქმნამ მის ღრმა ფენებში ჩააღწია. გვესმის ხოლმე ხმები: კი მაგრამ, საერთოდ საჭირო იყო ყოველივე ამის წამოწყება?

თვით სიტყვა „რევოლუციას“ ზოგიერთები გარდაქმნას ვერ უსადაგებენ. ზოგ-ზოგებს ტერმინი „რეფორმაც“ კი აშინებთ. არადა, ლენინს არ ეშინოდა ეხმარა ეს სიტყვა და ბოლშევიკებსაც კი ასწავლიდა „რეფორმიზმს“, როდესაც ეს საჭირო იყო ახალ პირობებში რევოლუციის საქმის განვითარებისათვის. და დღეს ჩვენ გვჭირდება რადიკალური რეფორმები რევოლუციური გარდაქმნების განსახორციელებლად.

რევოლუციური პერიოდის ერთ-ერთი ნიშანია მეტ-ნაკლები განსხვავება ადამიანთა ამწუთიერ ყოველდღიურ ინტერესებსა და იმ საზოგადოების ძირეულ ინტერესებს შორის, რომლის მოწინავე ნაწილიც მზად არის ფართო ცვლილებებისათვის. გარდაქმნა, უწინარესად, იმათ ურტყამს, ვინც ძველებურად მუშაობას ვერ შელევია. ჩვენ არა გვაქვს პოლიტიკური ოპოზიცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენში არ არის ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც სხვადასხვა მიზეზით იუცხოვებს გარდაქმნას. შესაძლოა, ყველას მოუხდეს რაღაცის დათმობა გარდაქმნის პირველ ეტაპზე. ხოლო რაც შეეხება დაუმსახურებელ პრივილეგიებსა და უკანონო გზით მიკუთვნებულ პრეროგატივებს, უფლებებს, რომლებითაც დამუხრუჭების მექანიზმს ემსახურებოდნენ, მათ სამუდამოდ უნდა შეელიონ.

ინტერესების საკითხი პარტიისათვის საკვანძო საკითხია, როგორც მუდამ ყოფილა მკვეთრი შემობრუნების დროს. გავიხსენოთ, როგორ იბრძოდა ლენინი ბრესტის ზავისათვის. შფოთიანი 1918 წელი. სამოქალაქო ომი. თან კიდევ უაღრესად სერიოზული საფრთხე გერმანიისაგან. ვლადიმერ ილიას ძე გერმანიას ზავის დადებას

სთავაზობს. ზავის პირობები, რომლებიც ულტიმატურად წამოგვიყენა გერმანიამ, ლენინის თქმით, „სამარცხვინო, უხამსი“ იყო. ისინი ითვალისწინებდნენ შევლეოდით უზარმაზარ ტერიტორიას და მის 56-მილიონიან მოსახლეობას. თითქოს ეს ყოველად მიუღებელი იყო. და მაინც ლენინი დაჟინებით მოითხოვს: ზავი აუცილებელია. ოპონენტები ცენტრალურ კომიტეტშიც კი ჰყავს. ისინი იმიზეზებენ, მუშები მოითხოვენ საკადრისი პასუხი გავცეთო გერმანელ ინტერვენტებს. ხოლო ლენინი კვლავ და კვლავ მოუწოდებს დასთანხმდნენ ზავს. რატომ? იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელობს არა ამწუთიერი, არამედ ძირეული ინტერესებით. ეს არის მუშათა კლასის, როგორც ერთი მთლიანის, ინტერესები, რევოლუციის, სოციალიზმის სვე-ბედის ინტერესები. ისინი რომ დაგვეცვა, საჭირო იყო სული მოგვეთქვა და მხოლოდ შემდეგ განგვეგრძო წინსვლა. მაგრამ ასეთი ღრმა გაგება ყველას როდი ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ იყო იოლი გეთქვა მტკიცედ და გადაჭრით: ლენინი სწორი ყოფილაო. სწორი იყო იმიტომ, რომ ხელმძღვანელობდა ძირეული ინტერესებით, სხვებზე შორს იხედებოდა და წარმავალს ძირითადზე მაღლა არ აყენებდა. აკი ამის მეოხებით იხსნა კიდეც რევოლუცია.

ასეა გარდაქმნის საქმეც. იგი შეესაბამება საბჭოთა ადამიანების ძირეულ ინტერესებს. იგი მოწოდებულია საზოგადოება გაიყვანოს ახალ მიჯნებზე, უზრუნველყოს მისი ახლებური თვისების მიღწევა. მოგვიწევს ზოგი რამ დავთმოთ, ზოგ რამეზე უარი ვთქვათ. ამის შელევა იოლი არ იქნება. ჩვენს თვალწინ იმსხვრევა ჩამოყალიბებული ჩვეულები და წარმოდგენები. რაღაც ჩვეული რამ გვაკლდება ცხოვრებაში — ეს კი პროტესტს იწვევს. კონსერვატიზმს არ სურს დათმოს პოზიციები. მაგრამ ყოველივე ამას მოევლება და უნდა მოევლოს კიდეც საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ხანგრძლივი ინტერესების გულისათვის.

ამწუთიერი და ხანგრძლივი ინტერესების თანაფარდობის საკითხს ჩვენ ჯიქურ წავაწყდით სახელმწიფო მიღების დაწესების დროს. იმისათვის, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის მიგველწია, ჩვენ შემოვიღეთ დამოუკიდებელი კონტროლი არსებული სტანდარტებისადმი პროდუქციის შესაბამისობაზე. პირველ ხანებში ბევრ მუშას მოაკლდა გასამრჯელო. მაგრამ ხარისხის გაუმ-

ჯობესება საზოგადოებას ესაჭიროება, და მუშები ამას გაგებით მოეკიდნენ. მათი მხრივ პროტესტები არ ყოფილა. პირიქით, მუშები ამბობდნენ: „სირცხვილია იღებდე იმას, რაც არ გამოგიმუშავებია!“ მაგრამ ამავე დროს მუშები მოითხოვენ ასეთსავე მიდგომას სამეურნეო ხელმძღვანელების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისაგან. ასე რომ, სახელმწიფო მიღება გარდაქმნის კარგი სკოლა გახდა. მან ბევრი რამ წარმოაჩინა: როგორია სხვადასხვა ადამიანების დამოკიდებულება საქმისადმი, როგორია ადამიანთა რეზერვები გარდაქმნისა. სახელმწიფო მიღება გახდა ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საბჭოთა მუშათა კლასი მთლიანად სულითა და გულით ემხრობა გარდაქმნას და მზად არის წინ წაწიოს იგი, საქმით დაამტკიცოს, რომ სოციალისტური საზოგადოების წამყვანი კლასის როლს ასრულებს.

გარდაქმნასთან, ისევე როგორც ყოველგვარ რევოლუციასთან, თამაში არ შეიძლება. აქ საჭიროა ბოლომდე მიიყვანო საქმე, მოიპოვო წარმატებები ყოველ საათს და ყოველ დღეს, რათა მასებმა იგრძნონ მისი სასიკეთო შედეგები, რათა ამ მექანიზმის მქნევარა უფრო სწრაფად ბრუნავდეს, იზრდებოდეს მოძრაობის, აღმავლობის სიჩქარე — მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით.

როდესაც ჩვენს ამ ღონისძიებებს რევოლუციურს ვუწოდებთ, მხედველობაში გვაქვს მათი ღრმა, რადიკალური, უკომპრომისო ხასიათი — ის, რომ განსახორციელებელი ღონისძიებანი მოიცავენ მთელ საზოგადოებას თავიდან ბოლომდე, ბაზისიდან, საკუთრების ურთიერთობიდან ზედნაშენამდე, ცხოვრების ყველა სფეროს, თანაც მოიცავდეს კომპლექსურად, ერთიანად. ეს არის არა შელამაზება, არა ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის ამა თუ იმ მუწუკებისა და წყლულების დაფარვა, არამედ მისი სრული გაჯანსაღება და განახლება.

რევოლუციურ პროცესში, როგორც ცნობილია, უცილობელი პირველობა ეკუთვნის პოლიტიკას. ასეა გარდაქმნაშიც. პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებს, ფართო დემოკრატიზაციის ამოცანებს საქმით, და არა სიტყვით, დაუნდობელ ომს ბიუროკრატიზმისა და უკანონობის წინააღმდეგ, მასების აქტიურ ჩაბმას ქვეყნის საქმეთა მართვაში. ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება ყოველგვარი რევოლუციის ძირითად საკითხს — ხელისუფლების საკითხს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების შეცვლას ჩვენ არ ვაპირებთ, მის პრინციპულ საფუძვლებს არ გადავუხვევთ. მაგრამ ცვლილებები აუცილებელია, თანაც ისეთი ცვლილებები, რომლებიც განამტკიცებენ სოციალიზმს, გახდიან მას პოლიტიკურად უფრო მდიდარსა და დინამიკურს. ამ მხრივ შეგვიძლია უფრო ფართოდ, პრინციპულად შევაფასოთ საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი დემოკრატიზაციის ჩვენი პროგრამა, როგორც არსებულ პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებათა განხორციელების პროგრამა.

აი რატომ არის გარდაქმნის წარმატებისათვის ესოდენ საჭირო, რომ მთელი ჩვენი მუშაობა წარვმართოთ პოლიტიკური ამოცანებისა და ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდებისაკენ. სწორედ ამიტომ პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კადრების საქმიანობაში ყველაზე მთავარია პოლიტიკური მუშაობა ადამიანებთან, მშრომელთა პოლიტიკური განათლება და აქტივიზაცია. კვლავ მწვავედ აქტუალურია „სოციალიზმის" ცნების პირველქმნილი აზრი — უწინარეს ყოვლისა, როგორც მასების იდეური და პოლიტიკური მოძრაობისა, მოძრაობისა, რომელიც მომდინარეობს ქვემოდან, ხალხის წიაღიდან, რომლის ძლიერების უმთავრესი წყაროა ადამიანის შეგნება და აქტიურობა

რევოლუცია უმაგალითო მოვლენაა. უმაგალითო და რევოლუციური უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობაც — ისეთი, როგორც რევოლუციას შეშვენის. გარდაქმნის პირობებშიც წარმოდგენა ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელის შესახებ განსაკუთრებით უახლოვდება რევოლუციონერ-ბოლშევიკის ლენინურ იდეალს. ამ სახესთან შეუთავსებელია ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული, ბატონკაცური, კარიერისტული ნიშნები. და დიდ პატივშია გამბედაობა, ინიციატივა, მაღალი იდეურობა, ზნეობრივი სისპეტაკე, ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობის მუდმივი მოთხოვნილება, უნარი — მედგრად იცავდე სოციალიზმის ჰუმანისტურ ღირებულებებს. რევოლუციური ვითარება მოითხოვს ენთუზიაზმს, თავდადებას, თავგანწირვას, მეტადრე — ხელმძღვანელებისაგან. მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. ჯერ კიდევ ბევრნი არიან ისეთებიც, ვინც „ევოლუციის მდგომარეობაშია", უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ლოდინს არჩევს.

„რევოლუცია ზემოდან"? პარტია და გარდაქმნა

არის ასეთი გამოთქმა ისტორიის მეცნიერებაშიც და პოლიტიკურ ხმარებაშიც: „რევოლუცია ზემოდან". და ამგვარი მოვლენები ისტორიაში მრავლად ყოფილა. ოღონდ ისინი არ უნდა აგვერიოს სახელმწიფო, სამეფო კარის გადატრიალებებში. მე ვგულისხმობ ღრმა, არსებითად რევოლუციურ გარდაქმნებს, რომლებიც ხორციელდება თვით ხელისუფლების ინიციატივით, თუმცა აუცილებლობად იქცევა საზოგადოებაში სიტუაციის და განწყობილებების ობიექტური შეცვლის შედეგად.

თითქოს ჩვენს ახლანდელ გარდაქმნასაც შეიძლება ვუწოდოთ „რევოლუცია ზემოდან". სწორია, რომ გარდაქმნა კომუნისტური პარტიის ინიციატივით დაიწყო და მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. პარტიამ მოიკრიბა ვაჟკაცობა და ძალები და შეიმუშავა ახალი პოლიტიკა, შეძლო სათავეში ჩადგომოდა საზოგადოების განახლების პროცესს, გაეჩაღებინა იგი. და მან დაიწყო საკუთარი თავით, თვითგანწმენდით. ეს გულახდილად ვთქვი 1986 წლის ზაფხულში, როდესაც ხაბაროვსკში შევხვდი პარტიულ აქტივს. უნდა დაგვეწყო საკუთარი თავით. თვითონ გვეკისრა პასუხისმგებლობა— პოლიტბიუროშიც, ადგილებზეც, პირველადს ორგანიზაციებშიც. განწმენდა ყველას სჭირდება, ხოლო ვინც ამას ვერ შეძლებს, უნდა დავეხმაროთ. მთავარია ყველაფერი ნამუსიანად გავაკეთოთ. ზოგ რამეს ხომ შევეჩვიეთ საჯაროობის არარსებობის ვითარებაში. ეს ეხება რიგით მშრომელებსაც და თანამდებობის პირებსაც.

ეს როდი ნიშნავს, რომ ლაციცი დავუწყოთ ადამიანებს, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში ხდება ხოლმე საარჩევნო კამპანიის პერიოდში. ჩვენს ხალხს ეს არ უყვარს. ადამიანებს უნდა ველაპარაკოთ სიმართლე, არ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ხალხისა. საჯაროობა — ეს სოციალიზმის ატრიბუტია. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი პირნი, მათ შორის ხელმძღვანელები, რომლებიც სხვებს ურჩევენ სოციალისტურ მორალს, თავისთვის კი არჩევენ რაღაც სუროგატს, ანუ იმას, რაც პირადად მათ ხელს აძლევს, ასე არ გამოვა.

საერთოდ, სწორედ პარტიითა და მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გარდაქმნა, ჩვენ, ასე ვთქვათ, პირამიდის წვეროდან მისი ფუძისაკენ წამოვედით. და მაინც „ზემოდან რევოლუციის" ფორმულა მთლად არ შეესატყვისება ჩვენს გარდაქმნას, ყოველ შემთხვევაში იგი არსებითს დამატებით შენიშვნებს მოითხოვს. დიახ, გარდაქმნის

ინიციატორი იყო პარტიის ხელმძღვანელობა, მისი პროგრამა შეეიმუშავეთ და შივიღეთ უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში. სწორია, რომ გარდაქმნა სტიქიური კი არა, მიზანმიმართული პროცესია. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

გარდაქმნა ვერ იქნებოდა ჭეშმარიტად რევოლუციური საქმე, ვერ შეიძენდა ახლანდელ გაქანებას, არ ექნებოდა წარმატების საიმედო შანსი, მასში ერთმანეთს რომ არ შეერთებოდა და შერწყმოდა ზემოდან მომავალი ინიციატივა და ქვემოდან მომავალი მასების ფართო მოძრაობა; მასში რომ არ ყოფილიყო გამოხატული ყველა მშრომელის ძირეული პერსპექტიული ინტერესები; მასებს რომ არ დაენახათ გარდაქმნაში თავიანთი პროგრამა, პასუხი თავიანთ ნაფიქრალზე, საკუთარი მომწიფებული მოთხოვნების, მტკივნეული დასკვნების პასუხი; ხალხს რომ არ დაეჭირა მისთვის მხარი ესოდენ მხურვალედ და აქტიურად.

თვით გარდაქმნის ხასიათი გულისხმობს, რომ იგი უნდა მიმდინარეობდეს ყოველ სამუშაო ადგილზე, თითოეულ შრომითს კოლექტივში, მმართველობის მთელ სისტემაში, პარტიულ, სახელმწიფო ორგანოებში, მათ შორის პოლიტბიუროსა და მთავრობაში. გარდაქმნა ეხება ყველას — რიგითი კომუნისტი იქნება ეს თუ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მუშა თუ მინისტრი, ინჟინერი თუ აკადემიკოსი. გარდაქმნას მხოლოდ მაშინ მივიყვანთ ბოლომდე, თუ საერთო-სახალხო საქმედ ვაქცევთ. მაგრამ ყოველთვის თითოეული ადამიანი თავის საქმეს უნდა აკეთებდეს ნამუსიანად, კეთილსინდისიერად, ძალებისა და ცოდნის დაუშურველად. ასეთი მოძრაობის დროს თანდათან ამოძრავდებიან და ჩაებმებიან გარდაქმნაში ხალხის სულ უფრო ფართო ფენები.

როდესაც მშრომელებს სერიოზულ, მოფიქრებულ მიდგომას ვთავაზობთ, ისინი უსათუოდ მოეკიდებიან მას გაგებითა და მხარდაჭერით. ჩვენც უკანასკნელ წლებში ვცდილობთ სწორედ ასე ვიმოქმედოთ. შეიძლება, ჯერ კიდევ ყველამ ბოლომდე ვერ შეიგნო, ვერ გაიცნობიერა თვითონ და ვერ დაანახა ხალხს იმ ვითარების მთელი სირთულე, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა, ვერ გაიცნობიერა გასაკეთებელი საქმის მასშტაბი. მაგრამ მთავარი თქვეს და პასუხად მიიღეს მოწონება და მხარდაჭერა.

„ზემოდან რევოლუციების“ ყველა ცნობილი სისუსტე და არათანამიმდევრულობა სწორედ იმით აიხსნება, რომ აკლდათ ასეთი

დასაყრდენი ქვემოდან, თანხმობა და თანამოქმედება მასებთან. და რადგან ყოველივე ეს არ არის საკმარისი. მაშასადამე, უნდა მოეხდინათ მეტნაკლებად ძალდატანებითი ზემოქმედება ზევიდან ქვევით. ამის შედეგად წარმოიშობოდა დეფორმაციები გარდაქმნების პროცესში, და სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათი მაღალი სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი „ღირებულება“.

გარდაქმნის თავისებურება და ძლიერება ის არის, რომ იგი ერთდროულად წარმოადგენს „ზემოდან“ და „ქვემოდან“ მომდინარე რევოლუციას. ეს არის მისი წარმატების, მისი შეუქცევადობის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გარანტია. ჩვენ მტკიცედ ვიღვაწებთ, რათა მასებმა, „ქვედა ფენებმა“ მიიღონ თავიანთი დემოკრატიული უფლებები და ისწავლონ მათი გამოყენება — ჩვეულად, კომპეტენტურად, პასუხისმგებლურად. ცხოვრება ნათლად ადასტურებს, რომ ისტორიის მკვეთრი შემობრუნების მომენტებში, რევოლუციურ ვითარებაში ხალხი ავლენს საოცარ უნარს — ისმინოს, გაიგოს და გამოგეხმაუროს, თუკი მას სიმართლეს ეუბნებიან. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და სამოქალაქო ომის დროს ყველაზე ძნელ მომენტებშიც კი ლენინი მუდამჟამს სწორედ ასე იქცეოდა, მიდიოდა მშრომელებთან და გულახდილად ელაპარაკებოდა მათ. ამიტომ არის ესოდენ საჭირო გარდაქმნისათვის შევინარჩუნოთ მასების პოლიტიკური და შრომითი ენერგიის მაღალი ტონუსი.

დასავლეთში ხშირად ამბობენ, გარდაქმნა სიძნელეებს წააწყდება, ეს კი მშრომელთა უკმაყოფილებას გამოიწვევსო. რა უნდა ითქვას ამის თაობაზე? სიძნელენი ასეთ დიდ საქმეში, რა თქმა უნდა, იქნება. და თუკი ჩვენ წავაწყდებით კანონიერი უკმაყოფილების ან პროტესტის გამოვლინებებს, მაშინ სერიოზულად გავერკვევით უწინარეს ყოვლისა ასეთი მოვლენების მიზეზებში. ადმინისტრაციული ცაცხანი აქ ვერაფერს გვიშველის. ხელისუფლების ორგანოებს, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებს მოუწევთ ისწავლონ ისეთი მუშაობა, რომ არავის მისცენ საბაბი ასეთი გამოსვლებისათვის, წინასწარ დროულად მოხსნან საკითხები, რომლებმაც შეიძლება ამგვარი რეაქცია გამოიწვიოს. ცნობილია: თუ ხელისუფალნი არ წყვეტენ რაღაც ამაღელვებელ პრობლემებს, მაშინ ხალხი ცდილობს თავად გააკეთოს ეს. თუკი ადამიანები გაუთავებლად ლაპარაკობენ კრებებზე, სწერენ გაზეთებში, მიმართავენ ხელმძღვანელ ინსტანციებს, და ყოველივე ამაზე ყურსაც არ იბერტყა-

ვენ, მაშინ წარმოიშობა ჩვენთვის უჩვეულო ქვემოდან მომდინარე მოქმედებაც. მათ კი მუშაობის ხარვეზები მოსდევს.

აქ კრიტერიუმი ერთია; ყოველივეს, რაც სოციალიზმს განამტკიცებს, — ყოველივე ამას ჩვენ ყურად ვიღებთ, ყოველივე ამას ანგარიშს გავუწევთ. ხოლო სოციალიზმისადმი უცხო ტენდენციებს შევებრძოლებით, ოღონდ, ვიმეორებ, — დემოკრატიული პროცესის ფარგლებში.

არ ვითამაშოთ რევოლუციურობანა, არ ავირიოთ თავგზა, არ მოვყვეთ ფაციფუცს და ბოროტად არ გამოვიყენოთ ადმინისტრაციული მეთოდები, — აი, რა არის ჭეშმარიტი, ლენინური რევოლუციურობის ერთ-ერთი პრინციპი.

როცა გვეკითხებიან, მეტისმეტად მკვეთრად ხომ არ მოგდითო მოხვევა, ჩვენ ვუპასუხებთ: არა. რევოლუციურ, დინამიკურ გარდაქმნას გონივრული ალტერნატივა არ მოეპოვება. მისი ალტერნატივაა უძრაობის კონსერვაცია. გარდაქმნის წარმატებებზეა დამოკიდებული სოციალიზმის ბედი, მსოფლიოს სვე-ბედიც. მიზანი მეტად დიდია. დღევანდელობა გვიკარნახებს რევოლუციურ არჩევანს — და ჩვენც არჩევანი მოვახდინეთ. გარდაქმნისაგან უკან არ დავიხევთ და მას ბოლომდე მივიყვანთ.

ჯ. კარტერმა, რომელსაც 1987 წლის ზაფხულში შევხვდი, მკითხა: „დარწმუნებული ხართ, რომ წარმატებით დაგვირგვინდება თქვენი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განსახორციელებლად?“

მე სიტყვასიტყვით ასე ვუპასუხე: „ჩვენ შევუდექით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში დიდსა და ძნელ საქმეს. გარდაქმნა საზოგადოების ყველა ფენას ეხება. ეს ადვილი საქმე არ არის. ჩვენ განვვლეთ გარდაქმნის გარკვეული, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი დაწყებითი საფეხურები. ჩვენ წამოვაყენეთ ცვლილებათა პოლიტიკა და ვხედავთ, რომ იგი საზოგადოებამ მოიწონა. და ამ პოლიტიკას ვახორციელებთ. რა თქმა უნდა, მრავალი პრობლემა წარმოიშობა.

დასავლეთში ერთბაშად ალაპარაკდნენ რაღაც ოპოზიციაზე. მაგრამ ეს ხომ არასერიოზულია. ჩვენ შევეჭიდეთ დიდ გარდაქმნას. ვცვლით მიდგომებს, აზროვნებას, მთელი ცხოვრების წესსა და ყა-

იდას, სტერეოტიპებს. საზოგადოებაში ატმოსფერო ძალზე შეიცვალა. იგი ამოძრავდა. ჩვენ მეტ მხარდაჭერას ვპოვებთ და მასზე დაყრდნობით წინ ვწევთ საქმეს. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით ამ პოლიტიკის სისწორეში დარწმუნებულნი, მაშინ მე და ჩემი ამხანაგები მას არც წამოვაყენებდით.

ახლა ჩვენ გვაქვს ორი წლის გამოცდილება, ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების გამოცდილება. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმის სისწორის რწმენა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. კვლავაც განვაგრძობთ ამ გზით წინსვლას, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს იგი. რა თქმა უნდა, ამ გზაზე იქნება ეტაპები. ზოგიერთ მიზნებს უახლოეს დროში მივაღწევთ. სხვა ამოცანებისათვის კიდევ რამდენიმე წელი დაგვჭირდება. გვაქვს უფრო შორეული მიზნებიც. ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ წინსვლას".

საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან: გარდაქმნის, დემოკრატიზაციის შედეგად ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი გახდება. უკეთესი ცხოვრება გვექნება. გარდაქმნის გზაზე, ვიმეორებ, გვაქვს და გვექნება სიძნელენიც, ზოგჯერ — არცთუ უმნიშვნელო, ჩვენ ამას არ ვმალავთ. მაგრამ მათ დავძლევთ. ამაში დარწმუნებული ვართ.

თავი II

გარდაქმნა დაიწყო. პირველი დასკვნები

ორ წელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაქმნის კურსი ავიღეთ. გვაქვს მისი თეორიული კონცეფცია და კონკრეტული პროგრამა, რომლებიც განუწყვეტლივ ვითარდება, ზუსტდება, მდიდრდება ახლებური მიდგომებითა და იდეებით. ეს მოითხოვს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დაძაბულ შემოქმედებითს ძალისხმევას, ღრმა დისკუსიებს. გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა და ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე პლენუმი. პრობლემებს, გარდაქმნის მიმდინარეობას მხურვალედ განიხილავენ საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენაში. გარდაქმნის პროგრამა უკვე განხორციელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწონებული სახელმწიფო საკანონმდებლო აქტების სერიით.

ამავე დროს მიმდინარეობს ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა გარდაქმნის სტრატეგიის რეალიზაციისათვის. ჩვენ გვაქვს გარკვეული — თუმც ჯერ შეზღუდული — გამოცდილება. გვაქვს პირველი დამაიმედებელი შედეგები, მაგრამ ვერც ხარვეზები და ნაკლოვანებები ავიცილეთ თავიდან. დღეს უკეთ ვხედავთ საკუთარ შესაძლებლობებსა და სისუსტეებს. ჩვენ ახლაც მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დაწყებითს ეტაპზე ვართ. და მაინც გარდაქმნა შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, მიიზიდა თავის ორბიტაში მოქალაქეთა ფართო მასები. ამ თვალსაზრისით იგი უკვე რეალობაა.

1. საზოგადოება ამოძრავდა

როგორ იწყებოდა ყოველივე

როდესაც ჩვენ ორ წელიწად-ნახევრის ნაღვაწზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ყრილობამდელ და ყრილობის შემდგომ დროს.

სკკპ ყრილობებს ჩვენს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი

უკავია: ეს ჩვენი გზების ერთგვარი ნიშანსვეტებია. XXVII ყრილობა მრავალი მიზეზის გამო მოწოდებული იყო პასუხი გაეცა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო კითხვებზე. მისი ვადები განსაზღვრა მოქმედმა პარტიის წესდებამ, მიმდინარეობდა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, მისი წესდების ცვლილებების მზადება, მუშავდებოდა XII ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის გეგმები. სირთულე ის იყო, რომ ყრილობისათვის პოლიტიკური დებულებები გარკვეულ პირობებში ყალიბდებოდა, მაგრამ ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების შემდეგ. დაიწყო ახალი პროცესები თვით პარტიაშიც და მთლიანად საზოგადოებაშიც.

აპრილის პლენუმის იდეების გაცნობიერების, შეთვისების პროცესი, პირდაპირ ვიტყვი, ძნელი გამოდგა. ახალი აზრები წარმოიშობოდა დისკუსიებში, რომლებიც მიმდინარეობდა ყველა დონეზე — პოლიტბიუროშიც, ცენტრალურ კომიტეტშიც, ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებშიც, სამეცნიერო წრეებსა თუ შრომითს კოლექტივებში. გაცხოველებული განხილვა, ხშირად კი პოლემიკაც ჩაღდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. დაიწყო ქვეყნის წარსულის კრიტიკული გააზრებაც. ამ საქმეში დაინტერესებულ მონაწილეობას იღებდა ათასობით ადამიანი — მუშა, გლეხი, ინტელიგენტი — სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, კოლექტივების კრებებზე, პრესაში, წერილებში, რომლებიც შეიცავდნენ კრიტიკასაც და წინადადებებსაც უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში. ბევრი კონკრეტული პრობლემის გამო გამოითქვა განსხვავებული, ზოგჯერ კი საწინააღმდეგო თვალსაზრისი. გაცხოველებულად და დაინტერესებულად მიმდინარეობდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება. აზრების ასეთი პლურალიზმი ჩვენ ბუნებრივად და სასარგებლოდ მიგვაჩნია. ცხადი გახდა. რომ XXVII ყრილობა უნდა მომზადებულიყო ახლებური მიდგომების საფუძველზე, თუმცა მისი გამართვის საავარაუდო ვადამდე წელიწადზე ნაკლები რჩებოდა.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გადაგვედო ყრილობა. და ასეთ აზრს დაბეჯითებით გამოთქვამდნენ, მოჰყავდათ დამაჯერებელი დასკვნები. მაგრამ ამის მიღმა იგრძნობოდა უძრაობის პერიოდის მიდ-

გომები, რომლებმაც ჩვენ ყველანი დაგვასენიანა. ბოლოს და ბოლოს, იმარჯვა, ჩემი აზრით, სიტუაციისათვის ყველაზე შესაფერისმა თვალსაზრისმა: გაგვემართა ყრილობა საწესდებო ვადებში და ჩაგვება მის სამზადისში საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები.

XXVII ყრილობამ მიიღო თვალსაჩინო გადაწყვეტილებანი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სვე-ბედისათვის. აქ ჩამოყალიბდა ძირითადი მიმართულებანი საქმიანობისა, რომელიც პარტიამ უნდა გასწიოს ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე წამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის სარეალიზაციოდ. დიახ, ეს იყო ყრილობა, რომლის დელეგატებმა თან მოიტანეს არა მარტო თავიანთი შეშფოთება, სიმართლე, არამედ აგრეთვე აზრები, გეგმები და მტკიცე გადაწყვეტილება — ახალი მძლავრი იმპულსი მიენიჭებინათ სოციალიზმის განვითარებისათვის.

ეს იყო გაბედული ყრილობა. ჩვენ გულახდილად ვაღიარეთ ნაკლოვანებები, შეცდომები და სიძნელენი. განსაკუთრებული ყურადღება მივაპყარით გამოუყენებელ შესაძლებლობებს, რომლებიც სოციალიზმს გააჩნია. ყრილობამ მიიღო მოქმედების ვრცელი პერსპექტიული გეგმა. XXVII ყრილობა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ყრილობა გახდა.

მაგრამ მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით თუ არ შევძელით სრულად გაგვეგო მიმდინარე პროცესებისა და მომწიფებული პრობლემების მთელი სიმწვავე და მასშტაბი. ახლა კი მათ უფრო უკეთ ვხედავთ. და ცხადია, რომ საჭირო იყო მტკიცედ განგვეგრძო ყრილობისწინა პერიოდში და თვით ყრილობაზე დაწყებული მუშაობა და ამავე დროს უფრო ღრმად შეგვესწავლა საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ. ამისათვის კი უნდა დავბრუნებოდით სათავეებს, ფესვებს, უფრო მწვავედ შეგვეფასებინა წარსული, განგვესაზღვრა, რა და როგორ მოგვემოქმედებინა უწინარეს ყოვლისა. ამის გაუგებლად შეიძლებოდა გზა-კვალი აგვრეოდა.

ყრილობიდან ერთი წლის შემდეგაც კი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში და თვით პარტიაში ზოგიერთები კვლავინდებურად ფიქრობდნენ, რომ გარდაქმნის კურსი, ეს არის არა ხანგრძლივი პოლიტიკა, არამედ მორიგი კამპანია. ადგილებზე სხვადასხვა დონის

მთელი რიგი ხელმძღვანელები, რომ იტყვიან, სულს არ ათქმევინებდნენ გარდაქმნის აქტიურ მომხრეებს, აფრთხილებდნენ „მეტისმეტად“ მომთხოვნ ენთუზიასტებს: მოიცადეთ, ამხანაგებო, ტყუილად ნუ ფაციფუცობთ, გავა ორიოდ წელი და ყველაფერი მოგვარდებაო. მათ გულწრფელად სწამდათ, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდებოდა, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა წინათაც. გაჩნდნენ არამკითხე სკეპტიკოსებიც, რომლებიც სამსახურის დერეფნებში ქირქილებდნენ: ბევრი ასეთი დრო გვინახავს, ამასაც გადავიტანთო. საზოგადოებაში ძლიერდებოდა შეშფოთება გარდაქმნის ბედისათვის: ხომ არ დაბრუნდება ყველაფერი ძველ კალაპოტში?

იანვრის პლენუმზე ჩვენ თვითკრიტიკულად გავაანალიზეთ რთული და წინააღმდეგობრივი სიტუაციის მიზეზები. იმას როდი ვესწრაფოდით, რომ მარტოოდენ გვეკრიტიკებინა წარსული, სათითაოდ ჩამოგვეთვალა ესა თუ ის მოღვაწე. განა მთავარი ის არის, რომ უსათუოდ დაასახელო მავანი და მავანი? საჭირო იყო შეგვეფასებინა მოვლენები, გაგვეანალიზებინა პროცესები, გამოგვევლინა ტენდენციები. და ჩვენც შევეცადეთ გაგვეკეთებინა ეს. დარწმუნებული ვარ: იანვრის პლენუმი წარსულისა და პიროვნებების კრიტიკას რომ დასჯერებოდა, თავის როლს ვერ შეასრულებდა.

გაკვეთილები და კრიტიკა ჩვენ გვჭირდება არა ანგარიშის გასასწორებლად, არამედ სადღეისოდ და სახვალიოდ.

იანვრის პლენუმზე რომ არ წამოგვეყენებინა მოქმედების კონსტრუქციული პროგრამა, რომ არ გვეთქვა მთავარი — რა უნდა ვაკეთოთ, რა დამატებითი ძალები უნდა ავამოქმედოთ დამუხრუჭების მექანიზმის დასაძლევად, როგორ შეექმნათ დაჩქარების ეფექტიანი მექანიზმი, — მაშინ ერთი ადგილის ტკეპნა გამოგვივიდოდა. პლენუმს რომ არ მიეთითებინა მიმართულება, თუ საით უნდა ვიაროთ, რომ არ წამოეყენებინა დემოკრატიზაცია გარდაქმნის მთავარ მამოძრავებელ ძალად, მაშინ ასეთი პლენუმი უბრალოდ არაფრის მაქნისი იქნებოდა.

იანვრის პლენუმის მთავარი შთანაფიქრი —იმის თვალსაზრისითაც, თუ როგორ გადავწყვიტოთ გარდაქმნის ამოცანები და იმის თვალსაზრისითაც, თუ როგორ დავიცვათ საზოგადოება წარსულის შეცდომების გამეორებისაგან, — დემოკრატიის განვითარებაა. ეს არის გარდაქმნის შეუქცევადობის ძირითადი გარანტია. რაც უფ-

რო მეტია სოციალისტური დემოკრატია, მით მეტია სოციალიზმი. ასეთია ჩვენი მტკიცე რწმენა, და მას ვერავინ შეგვაცვლევინებს.

ჩვენ განვავითარებთ დემოკრატიას ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც და თვით პარტიაშიც. მასების ცოცხალი შემოქმედება გარდაქმნის გადამწყვეტი ძალაა. სხვა, უფრო მძლავრი ძალა ჩვენ არ გვეგულება.

განვლილი თვეები ადასტურებს: სწორად მოვიქეცით იანვრის პლენუმზე. ჩვენს თაობას აკისრია უდიდესი ამოცანა — გარდაქმნას ქვეყანა. ყოველივეს, ალბათ, ვერ შევძლებთ, მაგრამ დაჩქარების პროცესის დაწინაურებას მაინც მოვასწრებთ. საფუძველს მაინც შევქმნით. დარწმუნებული ვარ, მთელი საზოგადოება გარდაქმნის გზას დაადგება.

მაგრამ მაშინაც კი, როდესაც უახლეს დემოკრატიულ მექანიზმს დაეხვეწთ და სრულად ავამოქმედებთ ზნეობრივ ბერკეტებს. ამოცანა არ გამარტივდება. კიდევ მეტი, ვფიქრობ, სამუშაო მოგვემატება და იგი სულ უფრო რთული იქნება. ცხადია, კვლავ არაერთგზის მოგვიხდება ფორმებისა და მეთოდების შეცვლა, იმიტომ, რომ მუშაობა მოგვიწევს ახალ პირობებში — ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ-სულიერ პირობებში.

გარდაქმნის მქნევარა ბრუნვების აჩქარების

იმედი მაქვს, შევძელი მეჩვენებინა, რომ საბჭოთა საზოგადოება ამოძრავდა და აღ მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ არარეალური მოლოდინის მოწინააღმდეგენი ვართ. ზოგ-ზოგები იმედოვნებენ, რომ ყველაფერი თავისთავად და ერთბაშად, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეიცვლება. ბევრნი ასე ფიქრობენ: მოვიდნენ ახალი ხელმძღვანელები, მოიკალათეს საავარძლებში — და ახლა ყველაფერი შეიცვლება, ყველაფერი რიგზე იქნებაო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქმე უკვე დაიძრა, და თავისით დაძლევს ალმართს, — ნურას უკაცრავად! ალმართს ჩვენ მხოლოდ ახლა შევუდექით. და ეს სიმძიმე ბოლომდე უნდა ვზიდოთ. უნდა თანდათან ავამოქმედოთ და გავაძლიეროთ გარდაქმნის მქნევარა.

გარდაქმნა — ეს-ეს არის იწყება... ეს ფაქტია. ჩვენ ჯერ მხოლოდ ვაყალიბებთ დაჩქარების მექანიზმს. ამ ბოლო დრომდე უფრო ვიცნობიერებდით, ვერკვეოდით, რა რისთვის იყო, ვეძებდით მიდგომებს, ვაგროვებდით იდეებსა და რეკომენდაციებს. წინ კი ყველამ

ერთად უნდა ვიაროთ. სხვა საკითხია, რომ სხვადასხვა ადამიანებს თვით გარდაქმნისა და ამ გარდაქმნაში თავიანთი როლის გაგების სხვადასხვა დონე აქვთ. როგორც უკვე ვთქვი, გარდაქმნის აშკარა, ჯიქური მოწინააღმდეგენი არც ისე ბევრნი არიან.

თუმცა არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ სიახლეებს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ უნდა გარდაიქმნან არა ისინი, არამედ ვიღაც სხვა, ზევით, ვიღაც სხვა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოები, სხვა დარგები, მომიჯნავე საწარმოები, საამქროში, ფერმაში თუ სამშენებლო მოედანზე მომუშავე მეზობლები. მოკლედ, ყველანი, ოღონდ არა თვით ისინი. რიგის უდიდესი ვეფ-ის ქარხნის მუშებთან საუბრისას, ლატვიაში რომ ვიყავი, საჭიროდ ვცანი მეთქვა: კი ბატონო, სიძნელეები არის, მაგრამ თუკი თქვენ მხოლოდ იმის კითხვაში იქნებით, იქ, „ზევით“ რა ხდებაო, და საკუთარ რეზერვებს არ ჩართავთ, — გარდაქმნა ადგილზე იბუქსაევებს, დამუხრუჭდება, სანახევრო იქნება.

არის ადამიანთა ისეთი ნაწილიც, რომლებსაც არ ესმით, როგორ იმუშაონ ახლებურად, და არ იციან გარდაქმნის პირობებში მუშაობა. მათ უნდა ვასწავლოთ. მათ უნდა დავეხმაროთ.

არის მოუქნელობა, არის ინერცია. არ დაგვიძლევია ჩვეულება — ყველაფერზე ველოდოთ ზემოდან მითითებებს, ყველაზე მაღალი ინსტანციების გადაწყვეტის იმედით ვიყოთ. გასაკვირი აქ არაფერია: ასე გვქონდა დამკვიდრებული — სახელოსნოებიდან სამინისტროებამდე. ეს ახლაც იჩენს თავს. თვით მმართველობის ზედა ეშელონებშიც კი. საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე ადამიანები გადაეჩვივნენ პასუხისმგებლურად, დამოუკიდებლად აზროვნებასა და მოქმედებას. ესეც დიდ სიძნელეს გვიქმნის.

მთავარი ამოცანაა ჩავაბათ გარდაქმნაში მთელი საზოგადოება. სოციალიზმი ჩვენს საზოგადოებაში თავის საკუთარ ბაზაზე ვითარდება. ჩვენ ისე არ ვაყენებთ საკითხს თითქოს გარდაქმნას უნდა ვეწეოდეთ სხვა ხალხის, სხვა პარტიის, სხვა მეცნიერების, სხვა ლიტერატურის მეშვეობით და ასე შემდეგ. არა, ჩვენ გარდაქმნას ვეწევით ყველანი ერთად, დიდიან-პატარიანად. მთელი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა ავამოქმედოთ. ჩემდათავად ვხედავ, როგორ ვიცვლებით ყველანი გარდაქმნის პროცესში. და უსამართლო იქნებოდა ვინმესთვის უარი გვეთქვა უფლებაზე — გარდაიქმნას, იმოქ-

მედოს დღეს სხვაგვარად, ვიდრე გუშინ მოქმედებდა, იხელმძღვანელოს დღეს იმ სიტუაციის, იმ მიზნების გაცნობიერების საფუძველზე, რომელიც დროებამ წამოაყენა.

ჩვენ „მზამზარეული რეცეპტები“ არ გაგვაჩნია

პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. შესაძლებლის ფარგლებს მილმა იწყება ავანტიურა. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ გულდასმით, საღად ვაფასებთ შესაძლებლობებს და ამის გათვალისწინებით ვსახავთ ჩვენს ამოცანებს. მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლნი, ვერიდებით სულსწრაფობას არჩეულ გზაზე და ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის აშკარა რეალიებს.

ყველაზე დიდი სიძნელე გარდაქმნის გზაზე ბუდობს ჩვენს აზროვნებაში, რომელიც წინა წლებში ჩამოყალიბდა. ყველას, გენერალური მდივნით დაწყებული და მუშით დამთავრებული, ყველას გვმართებს შევიცვალოთ ეს აზროვნება. და ეს გასაგებია: ბევრი ჩვენგანი ჩამოყალიბდა და ცხოვრობდა პირობებში, როდესაც ძველი წესები მოქმედებდა. უნდა დავძლიოთ კონსერვატიზმი საკუთარ თავში. დიახ, უმრავლესობა სწორ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პრინციპებს ადგას. მაგრამ სწორი პოზიციიდან მის რეალიზაციამდე დიდი მანძილია.

ხდება ხოლმე, რომ პოლიტბიუროში საკითხთა განხილვის დროსაც კი თითქოს დასაბუთებული დასკვნები გამოგვაქვს, ნოვატორულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, მაგრამ საკმარისია დავიწყოთ ლაპარაკი მათი განხორციელების მეთოდებზე, რომ აღმოჩნდება: თურმე ახალი ამოცანების გადაწყვეტას ძველი მეთოდებით ვაპირებთ.

პოლიტიკაში, იდეოლოგიაში ჩვენ ვცდილობთ ავაღორძინოთ ლენინიზმის ცოცხალი სულისკვეთება. მედავითნური სახელმძღვანელოებიდან შესისხლხორცებული დოგმების ათობით წლის ტყვეობამ თავისი გაიტანა. ახლა გვინდა ჭეშმარიტად შემოქმედებითი სულისკვეთება შევმატოთ ჩვენს თეორიულ მუშაობას. ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ აუცილებელია. და, როგორც ჩანს, შემოქმედებითი აზროვნება მტკიცდება.

დაზღვეული ვართ თუ არა შეცდომებისაგან? არა, დაზღვეული არა ვართ. რომელი მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე სერიოზული? ჩემი აზრით, ყველაზე დიდი შეცდომაა იმის შიში, რომ

შეცდომას ჩაიდენ, თუ გაჩერდები და არაფერს არ გააკეთებ. „არაფრის კეთების“ ეს შეცდომა საკუთარი გამოცდილებით ვიცით. მან ბევრი უბედურება მოგვიტანა. ჩვენმა დასავლელმა მოწინააღმდეგეებმაც შენიშნეს ეს ავადმყოფობა, განსაკუთრებით ძლიერად რომ იჩინა თავი 70—80-იანი წლების მიჯნაზე, და უკვე დააპირეს საბჭოთა კავშირი გადაეძახებინათ „ისტორიის სანაგვეზე“. მაგრამ აშკარად ნაადრევი რეკვიემი მოუვიდათ.

მახარებს, რომ პარტიაშიც და მთლიანად საზოგადოებაშიც ყალიბდება გაგება: ჩვენ შევუდექით **უპრეცედენტო** საქმეს — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ თუ გვინდა ხორცი შევასხათ საკუთარ შთანაფიქრს, მაშინ უნდა ვეწეოდეთ **უპრეცედენტო** პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ მუშაობას საშინაო თუ საგარეო სფეროებში. ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვაკისრია **უპრეცედენტო** პასუხისმგებლობა. და კარგად გვესმის, თუ რაოდენ საჭიროა მასშტაბური და გაბედული მუშაობა, მეტადრე პირველ ეტაპზე.

ახლა ბევრი რამ უჩვეულოა ჩვენს ქვეყანაში: ვთქვათ, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა არჩევნები; საბჭოების არჩევნების მრავალმანდატიანი ოლქები; უცხოეთის ფირმებთან ერთად მომუშავე საწარმოები; ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების თვითდაფინანსება; შეზღუდვების გაუქმება დამხმარე მეურნეობებისათვის, რომლებიც სასურსათო პროდუქციას უშვებენ თავიანთი საწარმოებისათვის; კოოპერაციული საქმიანობის გაფართოება; ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წახალისება წვრილ წარმოებასა და ვაჭრობაში; არარენტაბელური ფაბრიკა-ქარხნების, უეფექტოდ მომუშავე სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახურვა. უფრო მწვავედ მოქმედებს პრესა, რომელიც საზოგადოების ყველა სფეროს სწვდება და ითვისებს წინათ „აკრძალულ“ თემებს, უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ხდება საჯაროდ გამოთქმული თვალსაზრისი, დაუფარავად წარმოებს პოლემიკა ჩვენი განვითარების, ჩვენი გარდაქმნის ყველა საარსებო საკითხზე. ყოველივე ეს ბუნებრივი და აუცილებელია. თუმცა ამას დიდი ჯაფით ვაღწევთ საზოგადოებრივ აზრშიც თუ პარტიულ გარემოშიც.

არა მგონია, რომ განვლილი ორ წელიწად-ნახევარი ყველაზე მძიმე პერიოდი იყოს იმ წლებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის

კომუნისტური პარტიის ისტორიაში გვქონია, მაგრამ მაინც ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მომენტი, როდესაც გვმართებდა მაღალი პასუხისმგებლობა, მოწიფულობა და იდეალების, საპროგრამო მიზნების ერთგულება. მიუხედავად იმისა, გვაძლევს თუ არა ხელს ესა თუ ის ტენდენცია, ვცდილობთ საქმეს საღად და რეალურად ვუყურებდეთ. მხოლოდ ასე შეიძლება შესთავაზო ხალხს ასეთი პოლიტიკა, წამოაყენო ასეთი მიზნები, რომლებიც გასაგები იქნება მასებისათვის, დაარწმუნებს მათ და ფრთას შეასხამს წინსვლისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენს ხელმძღვანელობაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ როგორ დაგვეძლია უძრაობის მოვლენები და როგორ გვემუშავა შემდგომ. და ამაში არაფერი არ არის გასაკვირი. პირიქით, სულ ცოტა, უცნაურიც იქნებოდა, ეს განსხვავებანი საერთოდ რომ არ ყოფილიყო, ყველას რომ ერთნაირად გვეაზროვნა და აბსოლუტურად ერთნაირი აზრები გამოგვეთქვა. აზრთა შეტაკება კარგი საზრდოა განსჯისათვის. მაგრამ უმთავრესში ჩვენ ერთიანნი ვართ — ერთიანნი ვართ იმაში, რომ გარდაქმნა აუცილებელია, გარდაუვალია, რომ სხვა გზა არ გაგვაჩნია.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პარტია, მათ შორის ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო, მთავრობა გარდაქმნის პროცესში იმყოფებიან. ჩვენ, პოლიტბიუროს წევრები, რევოლუციურ მუშაობაში ვიძენთ გამოცდილებას საზოგადოების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად. იგივე რამ ხდება რესპუბლიკებში, ოლქებში, შრომითს კოლექტივებში, რომლებიც გარდაქმნაში მონაწილეობენ. წყვეტს რა ახალ ამოცანებს, მთელი ქვეყანა გადის გარდაქმნისეულ გამოცდას. და მთავარი ის არის, რომ შეიცვალა ატმოსფერო საზოგადოებაში. მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის გამოთავისუფლების პროცესი. ადამიანები უფრო გაბედულნი გახდნენ. მეტი სიმტკიცე დაეტყო მათს მოქალაქეობრივ პოზიციას. წარსული წლების მანძილზე დაგვიგროვდა ბევრი ისეთი რამ, რისი თქმაც მათ დაუფარავად უნდათ.

უჩვეულო სიტუაციის სიახლე ძლიერდება. 1985 წლის აპრილში ჩვენთვის რომ ეთქვათ: ორი წლის შემდეგ თქვენში ასე და ასე მოხდება, ანუ იქნება ის, რაც დღეს ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ამას ალბათ არ დავიჯერებდით და დაუშვებლადაც კი მივიჩნევდით. არა-

და, რა გამოვიდა? ის, რის გამოც ჩვენ სულ ერთი წლის წინ, უდავოდ დავადგებოდით ნეგატიურ პოზიციას ან ორჭოფულ პასუხს გავცემდით, დღეს ხდება არა მარტო განხილვის ჩვეული საგანი, არამედ ყოველდღიური სინამდვილის სრულიად ბუნებრივი კომპონენტი. საზოგადოება იცვლება, იგი მთლიანად ამოძრავდა.

ახლა ჩვენ უჩვეულო პერიოდი დაგვიდგა. უფროსი თაობის ადამიანები ქვეყნის ახლანდელ რევოლუციურ ატმოსფეროს ადარებენ პირველი, ოქტომბრის შემდგომი წლების ვითარებას, დიდი სამამულო ომის დროს. ჩემს თაობას კი შეუძლია პარალელი გააკეთოს დანგრეული ქვეყნის ომისშემდგომი აღორძინების პერიოდთან. ჩვენ ახლა გაცილებით უფრო საღად, უფრო რეალისტურად ვუყურებთ ვითარებას. და მით უმეტეს, ფასეული და ნაყოფიერია ენთუზიაზმი, რევოლუციური თავდადება, რომელიც სულ უფრო მეტად ემჩნევა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ განწყობილებას.

ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე მე უკვე ვთქვი, რაოდენ საშიშია შეუსაბამობა მასების მზარდ აქტიურობასა და ხელისუფლების ორგანოების, მმართველობის აპარატების, თვით პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ გამჯდარ ძველებურ მეთოდებსა და სტილს შორის. ჩვენ გადამჭრელ ღონისძიებებს ვახორციელებთ ამ წინააღმდეგობის დასაძლევად.

მაგრამ ამ სიტუაციას შეიძლება შევხედოთ სხვა თვალსაზრისითაც. გაცილებით უფრო უარესი იქნებოდა, გარდაქმნის სიძნელეთა მთავარი წყარო რომ ყოფილიყო მასების პასიურობა, მათი ჩამორჩენა გარდაქმნის მოთხოვნებისაგან. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის. მშრომელთა მომთხოვნელობა, მათი სიმტკიცე სულ უფრო ძლიერდება, ის კი არა, ასწრებს კიდეც გარდაქმნის რეალურ ტემპს.

საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის მასებთან „უკუკავშირის“ უმნიშვნელოვანესი საშუალება გახდა უშუალო ურთიერთობა მოქალაქეებთან და მათი წერილები. წერილებს იღებენ გაზეთები და ჟურნალები (ბევრ მათგანს აქვეყნებენ კიდეც), მთავრობა, უმაღლესი საბჭო. განსაკუთრებით ბევრი წერილი შემოდის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

და აი, რა არის საგულისხმო. წინათაც ბევრს სწერდნენ სხვა-

დასხვა ინსტანციებს, მაგრამ ახლა შეიცვალა თვით წერილების ხასიათი. სულ უფრო იშვიათად მოგვმართავენ, როგორც იტყვიან, „პირად საკითხზე“: დავეხმაროთ ბინის, პენსიის თაობაზე, გამოვიხსნათ არასწორად მსჯავრდებული, აღვადგინოთ სამუშაოზე და ა. შ. თუმცა ესეც არის. მაგრამ ახლა ეს როდია წერილების მთავარი დედაარსი. წერილებში ძირითადია განსჯა და ფიქრი ქვეყნის სვე-ბედის შესახებ. თითქოს გზა მიეცა მრავალი წლის მანძილზე დუმილისა და გაუცხოების ვითარებაში დაგროვილ საპირბოროტო საკითხებს. ახალი ვითარება ადამიანებს საშუალებას აძლევს გული გაგვიხსნან. და მათ სურთ გაგვიზიარონ თავიანთი ფიქრები, იდეები და გულისტკივილი, გაუზიარონ არა სხვებს, არამედ სწორედ ქვეყნის ხელმძღვანელებს. ზოგიერთი წერილი მართლაც რომ სულის სიღრმიდან აღმომხდარი ყვირილია. გამომცემლებმა, წიგნის ხელნაწერს რომ გაეცნენ, მთხოვეს მომეყვანა ციტატები ზოგიერთი ყველაზე საგულისხმო ბარათიდან. ინებეთ. აი, რას გვწერდა მუშა ა. ზერნოვი (33 წლისა), რომელიც იაკუტეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობს.

„სკკპ წევრი არ გახლავართ, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოგწეროთ წერილი და გამოვთქვა გულწრფელი მადლობა იმისათვის, რომ თქვენ გაგვიღვიძეთ ჩვენ, უბრალო მშრომელებს, მოქალაქეობრივი გრძნობები. ხალხი მოელოდა ამ ცვლილებებს...

გულახდილად ვიტყვი. თავდაპირველად ბევრნი უნდობლად შეხვდნენ გარდაქმნის საერთო გეზს. იმიტომ კი არა, რომ იგი ჩვენს სურვილს ეწინააღმდეგებოდა. სულაც არა. ადამიანებს ჰქონდათ მწარე გამოცდილება, რომ სწორი ხმამაღალი ფრაზები ხშირად სცილდებოდა სინამდვილეს. მაგრამ ჩვენ სულ მალე დავინახეთ, რომ გარდაქმნა ხანმოკლე კამპანია კი არა, ისტორიულად აუცილებელი პროცესი ყოფილა. და რაც მთავარია, შევნიშნეთ, რომ იგი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო.

ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესო გახდა. ადამიანებს გულწრფელად სწადიათ გაიგონ რა ხდება ქვეყანაში, შემოაქვთ წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე, გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს. კოლექტივებში უკვე სტიქიურად იმართება დისკუსიები წარმოების „მტკივნეული“ საკითხების გამო. მსჯელობენ მათი გადაწყვეტის გზებზე. ჩვენვე გვრცხვენია ჩვენი პროდუქციის ხარისხისათვის! ჩვენ ხომ საკუთარ თავს ვეურდავთ...

მადლობა თქვენდა! ცოტა არ იყოს, მერიდება, რომ ეს უცნობი კაცი უღრმესი მადლიერების სიტყვას გითვლით. მაგრამ ჩვენ ხომ არ გვრცხვენია იმისა, რომ მადლობა ვუთხრათ ექიმს, რომელმაც მძიმე სენისაგან განგვკურნა. თქვენ განგვკურნეთ ჩვენ მოქალაქეობრივი პასიურობისაგან, გულგრილობისაგან, გვაიძულეთ გვერწმუნა საკუთარი ძალები, სამართლიანობა, დემოკრატია... წინათ ხომ ბევრნი სერიოზულად არ ეკიდებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს, თვით პარტიის ყრილობებს. ხოლო დღეს ჩემი შვიდი წლის ბიჭუნაც კი მეძახის ხოლმე ტელევიზორის საყურებლად: „მამი, მოდი ჩქარა, მიხეილ სერგის ძე ლაპარაკობს!“.

მომავალი ჩვენია! ხოლო რაც შეეხება შეცდომებს, მათგან არავინ არ არის დაზღვეული. ჩვენ, პირველმკვალავებს, მასწავლებელი არ გვყოლია, ამიტომ საკუთარი შეცდომებით გვიხდება სწავლა“.

აი წერილი, რომელიც ლიტვიდან გამოგვიგზავნა ვ. ბრიკოვსკისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ. „გულში იმდენი შთაბეჭდილება დამიგროვდა, რომ უბრალოდ ვეღარ შევძელი დუმილი. ამდენი წლის შემდეგ ჩვენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში პირველად დავინახეთ ისეთები, რომლებიც ნამდვილად ღირსეული ადამიანები არიან. მარტოოდენ ეს უკვე დიდი მიღწევაა.

რას ფიქრობენ ადამიანები, როგორ აღიქვამენ თქვენს პოლიტიკას?

არ მოგატყუებთ, პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ, ვინაიდან ამან შეიძლება საერთო საქმეს ზიანი მოუტანოს. მოგახსენებთ წმინდა სიმართლეს.

მოსახლეობის პრივილეგირებულ ფენაზე არაფერს ვიტყვი. ისედაც ყველაფერი ცხადია. ბარემ ბევრს უნდა, როგორც ნარკოტიკულ სიზმარში, კვლავაც იცუროს თაფლისნაპირებიან რძის მდინარეში.

საქმე ეხება პროლეტარ ხალხს. იმათ, ვისთვისაც არის ჩაფიქრებული ეს გარდაქმნა. სამწუხაროდ, ბევრს ჯერ კიდევ ნამდვილად ღრმად ვერ შეუგნია თქვენი პოლიტიკა. ნაკლებად სჯერა მისი. მაგრამ ეს მოულოდნელობად არ უნდა გეჩვენოთ. იმ შემზარავი, ხანგრძლივი „ზამთრის“ შემდეგ ძნელი მოსალოდნელია, რომ ტვინი სწრაფად გალღვეს. ეს ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იქნება.

სამაგიეროდ, ყველაფერი რიგზე გვექნება.

მე გულწრფელად მორწმუნე კათოლიკე გახლავართ. ყოველ კვირა დღეს დავდივარ ეკლესიაში და ვლოცულობ, რომ ღმერთმა დაიფაროს ჩვენი სამყარო ჩადენილი ცოდვების გამო დასჯისაგან. თქვენ, რა თქმა უნდა, ათეისტი ბრძანდებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენი საქმენი და საქციელი მოწმობს, რომ ზოგიერთმა მორწმუნემ უნდა მოგბაძოთ. ამიტომ იცოდეთ, რომ მე, ყოველ კვირა დღეს 9-დან 13 საათამდე, ეკლესიაში ყოფნისას, ღმერთს შევავედრებ თქვენს თავსა და თქვენს ოჯახს".

ანდა, კიშინიოველი მასწავლებლის ბ. დობროვოლსკის წერილი: „ჩვენ დღევანდელი ახალგაზრდობა ვართ. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ლენინის საქმე, საბჭოთა ხალხის დიადი საქმენი. ძალუმია თქვენი გარჯა. მოდით, ისე ვქნათ, რომ იგი სიზიფეს გარჯად არ დარჩენილიყოს! ნუ მიწყენთ ამ წერილის ტონის გამო — იგი დამაწერინა მხოლოდ დიდმა გულისტკივილმა იმის გამო, რომ ზოგ-ზოგებს ვერ გაუგიათ პარტიის უკანასკნელი დადგენილებანი და პირადად თქვენი ცოცხალი ურთიერთობა ხალხთან. ამთავითვე ვამბობ: მე მომხრე ვარ! მომხრე ვარ მშრომელებთან შეხვედრებისა, ჭირ-ვარამის, სიძნელეების შესახებ პატიოსანი და გულახდილი სჯა-ბაასისა და ა. შ., მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ სჯა-ბაასს საქმე მოჰყვეს. მაგრამ ყველას როდი ესმის და ყველა როდი იწონებს თქვენი მუშაობის ლენინურ სტილს: ადამიანთა შორის მუშაობას, ადამიანებისათვის მუშაობას, ადამიანთა საკეთილდღეოდ მუშაობას! სწორედ ამიტომ გვიხდება ხოლმე ზოგჯერ კამათი ხმის ჩახლეჩამდე.

ბევრს (მე მოგახსენებთ 30—50-იან წლებში დაბადებულთა თაობებზე) ტვინი მართლაც გაჰქვავებია. არ შეშინია პირდაპირ ვთქვა: გაჰქვავებია! ანუ, სიტყვიერად და მიტინგებზე ისინი ყველანი (ახლა უკვე პატარა თუ დიდი უფროსები) „მომხრენი" არიან. ისინი „მომხრენი" არიან! მაგრამ რისი მომხრენი? ყველაფრისა! განახლებისა, გარდაქმნისა, ამისა და იმისა... ერთი სიტყვით, რას არ აკეთებენ! ლამისაა, პერანგი შემოიფხრიწონ. სინამდვილეში კი რა არის ეს?.. სიცრუე. ვსინჯე, დამედგინა — რატომ? რატომ არა გჯერათ კაცისა, რომელსაც ყველა ჩვენთაგანის კეთილდღეობისათვის არ ენანება არც სიცოცხლე, არც ჯანმრთელობა და არც ნერვები? იქნებ გგონიათ, რომ იოლი გასალვიძებელია მრავალმი-

ლიონიანი ქვეყანა, რომელსაც ათწლეულების მანძილზე უნანავებ-დნენ? იქნებ გგონიათ, იოლია გააღვიძო ინიციატივა, როდესაც ბევრს ამ სიტყვის მნიშვნელობა განმარტებითს ლექსიკონებში აქვთ საძებარი? განა ასე ადვილია გონს მოიყვანო ყველანი?! თითოეული?..

მე თქვენთან ძალზე პატიოსანი და ძალზე პრინციპული საუბარი წამოვიწყე. ჩემი სახით გამოვთქვამ უმაღლესი განათლების მქონე საბჭოთა ახალგაზრდობის მთელი თაობის აზრებსა და მისწრაფებებს“.

საქართველოში მცხოვრები გ. ვარდანიანის წერილი: „მიხეილ სერგის ძევ, ეგეგ გამიხსენოთ. ერთხელ, ჯერ კიდევ სტავროპოლის მხარეში მუშაობისას, თქვენ თათბირს უტარებდით იმათ, ვინც პირველად დაიწყო მექანიზატორთა შორის შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემისა და ბრიგადული იჯარის დანერგვა. მაშინ მე ალექსანდროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ მთავარ ეკონომისტად ვმუშაობდი. თქვენ დიდხანს მელაპარაკეთ, დაწვრილებით გამომკითხეთ ყოველივე — ცხოვრების, განწყობილების, მუშაობის შესახებ...

ახლა ყოველი თქვენი ინიციატივა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში ფრთას მასხამს, ფრთას ასხამს ყველა პატიოსან ადამიანს, იმიტომ, რომ ეს ინიციატივები ეხმიანება ჩვენს გულისთქმას, ჩვენს საზრუნავს. გულს მტკენს ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ყველა ადამიანი როდი გეთანხმებათ.

მიჭირს, მათ დავდო ბრალი. მოგახსენებთ ჩემს აზრს უაღრესი გულახდილობით, რომელიც თქვენ განსაკუთრებით მოგწონთ. უბედურება ის არის, რომ ადგილობრივი წინამძღოლები ყალიბდებოდნენ ძველი ბელადების ხატად და მსგავსად. ახლა მათი გამოსწორება ძალზე ძნელია.

ვგრძნობთ, გიჭირთ მუშაობა. მაგრამ გევედრებით: ერთი ნაბიჯითაც არ დაიხიოთ უკან! არაფერი გადაიფიქროთ და ოდნავადაც არ დაუშვათ რაიმე გადახვევა. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ იმათ, ვინც თქვენ არ გეთანხმებათ. სამაგიეროდ ხალხი ზეიმობს და მზად არის ყველაფერი გაწიროს იმ მიზნების მისაღწევად, რომლებისკენაც თქვენ მოგვიწოდებთ. სწორედ ეს მინდოდა მომეწერა“.

და, ბოლოს, ლენინგრადელი კ. ლასტას წერილი: „ჩვენ ყვე-

ლანი, თქვენ რომ გეხმარებით, უნდა ვებრძოდეთ საძულველი წარსულის ყოველგვარ გამოვლინებას: ბიუროკრატიზმს, კორუფციას, კონფორმიზმს, შაამებლობას და ა. შ. მათ შორის, ხელისუფალთა წინაშე შიშსაც. ახლა ეს ყველა იმათგანის ვალია, ვისაც არ სურს წარსულის დაბრუნება. და კიდევ, ყოველი კაცის ვალია ისე მუშაობდეს თავის ადგილზე, როგორც ამას აკეთებთ თქვენ, ძალ-ღონის დაუშურვებლად. ვინ არ იცის, რამდენ ენერგიას, დროს, სულიერ ძალებს, ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობას გართმევთ კოლოსალური, არაადამიანური ტვირთი, რომელიც თქვენ კისრად იღეთ. შენება ყოველთვის ძნელია, მაგრამ ერთიორად ძნელია აშენო ადგილზე, რომელიც წინასწარ უნდა გაწმინდო ჭუჭყისაგან. იქნებ თქვენ ცოტაოდენი შვება იგრძნოთ, თუ გაიგებთ, რომ უბრალო ადამიანთა უზარმაზარი მასა მთლიანად გიჭერთ მხარს, რომ მათ თქვენ უყვარხართ და გული შესტკივათ თქვენთვის".

კიდევ უამრავ ციტატას მოვიყვანდი. ამ წერილებს მთელი ეს წიგნი არ ეყოფოდა. ბევრ მათგანში ავტორები იუწყებიან, როგორ მიუდით საქმე ადგილზე — ფაბრიკაში, კოლმეურნეობაში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში. დაეწყოთ თუ... არ დაეწყოთ გარდაქმნა, რას აკეთებენ იმისათვის, რომ ჩაებან ამ პროცესში, როგორ აანალიზებენ მის გზაზე წამოჭრილ სიძნელეთა კონკრეტულ და ზოგად მიზეზებს.

ეს წერილები — ისინი კი ათასობითაა—მოწმობს უდიდეს ნდობას პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობისადმი. ნდობა აღორძინდა! ეს კი დიადი ძალაა, ფასდაუდებელი კაპიტალია. ამ წერილებში გაოცებს აზრის სილაღე, მაღალი პოლიტიკური კულტურა, მისწრაფება — იცხოვრონ და იმუშაონ კეთილსინდისიერად.

ამ წერილებს ჩვენ ერთად ვუყრით ხოლმე თავს და პერიოდულად განვიხილავთ პოლიტბიუროზე. ეს ეხმარება ქვეყნის ხელმძღვანელობას ნიადაგ გრძნობდეს სამშობლოს მაჯისცემას. სწორად აფასებდეს თავის პოლიტიკას და შეჰქონდეს მასში კორექტივები. შეიმუშაოს პრაქტიკული საქმიანობის თანამედროვე მეთოდები.

წერილების შინაარსის საერთო მნიშვნელია გარდაქმნის უდავო, მგზნებარე მხარდაჭერა. მწვავე, კრიტიკული მოსაზრებებიც კი გამსჭვალულია გარდაქმნისადმი დახმარების სურვილით. ამავე დროს, როგორც მკითხველი ალბათ შეამჩნევდა თუნდაც იქიდან.

რაც აქ მოვიყვანე, ამ წერილებში ისმის შეშფოთება — ვაითუ გარდაქმნას 50—60-იანი წლების რეფორმების ბედი ეწიოსო, გარდაქმნა არ ჩაკვდესო. ადამიანები ჩვენგან მოითხოვენ: ნუ გადავუხვევთ! არც ერთი ნაბიჯი უკან! უფრო თამამად, მტკიცედ ვიმოქმედოთ და მხოლოდ წინ ვიაროთ!

საერთოდ, კაცს უნდა შეგეძლოს არა მარტო პოლიტიკის კორექტირება იმის შესაბამისად, თუ როგორ აღიქვამენ მას მასები, როგორ აისახება იგი საზოგადოებრივ ცნობიერებაში, არამედ უნდა შეგეძლოს კიდეც უზრუნველყო უკუკავშირი, ანუ ისაზრდოო ხალხისაგან მომდინარე იდეებით, წინადადებებით, რჩევებით, მათ შორის, ადამიანებთან უშუალო კონტაქტებითაც.

ამას თანდათან უკვე ეჩვევიან, თავდაპირველად კი გვყავდნენ ისეთი „გულშემატკივრებიც", რომლებიც გვაფრთხილებდნენ: ემანდ, ღია ცის ქვეშ გორბაჩოვისა და მშრომელების შეხვედრისას არ მოხდესო „ეანგბადით მოწამვლა", ემანდ, რაიმე ზედმეტი არ უთხრან, არ დაუწყონ ყურების გამოჭედვა იმითი, რაც კრემლში არ უნდა იცოდნენო. იმასაც კი ამბობდნენ და ალბათ ახლაც ამბობენ, რომ უშუალო არაფორმალური შეხვედრები სხვა არა არის რა, თუ არა ხალხის გულისმოგების ცდებიო. ამის თაობაზე მე სხვაგვარი, საწინააღმდეგო თვალსაზრისი მაქვს. არ არსებობს იმაზე უფრო ძვირფასი რჩევები, რეკომენდაციები, გაფრთხილებები, ვიდრე ისინი, რომლებსაც უშუალოდ ადამიანებისაგან იღებ.

საერთოდ, ასეთი შეხვედრების დროს ადამიანები უფრო მეტად „გადაგიხსნიან" გულს. წინათ კი როგორ იყო? რაღაცას ეკითხები, კაცი კი დგას, დუმს: ან ეშინია შენი, ანდა არ სჯერა. თუმცა, დემაგოგიასაც ჰქონია ადგილი: კი მაგრამ, მოსკოვში რას ფიქრობენო? ეს ცუდია, ის არ ვარგა, არადა, არავითარი წინადადებები არ არისო. ახლა ყოველთვის იმართება დაინტერესებული, პასუხისმგებლური სჯა-ბაასი. მუშამ და გლეხმა თავი წამოყო, ინტელიგენციამ შემოგვაშველა თავისი გავლენიანი და მომთხოვნი ხმა, ხოლო უბედებმა მოუკლეს ლაპარაკს, გაურბიან სერიოზულ, საქმიან სჯა-ბაასში ჩარევას. იქ, სადაც ეს ხდება, თვით ხალხი ლაგმავს უბედებს.

1986 წლის შემოდგომაზე კრასნოდარის მცხოვრებთ შევხვდი ოქტომბრის მოედანზე. ამ შეხვედრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რომ იცოდეთ, რაოდენ საინტერესო საუბარი გვქონდა.

რა პრობლემებს აყენებდნენ ადამიანები! გულწრფელად გამეხარდა, რომ ისინი ასე თავგამოდებით უჭერენ მხარს ცენტრალური კომიტეტის გეზს. და მაშინ მივხვდი, რამდენი გულისტკივილი დაგროვებია ხალხს, რამდენი წინადადებებისა და რჩევის მოცემა სურთ ხელმძღვანელობისათვის.

ყუბანში გამოსვლას არ ვაპირებდი, ისე ჩავედი, რომ მენახა, როგორ მიუდით საქმე, საკუთარი თვალით დავრწმუნებულიყავ, როგორ ვითარდება ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური ექსპერიმენტი, — იქ მთელი რაიონის მეურნეობებმა იწყეს მოქმედება თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში. ჰოდა, მრავალი საუბრის შემდეგ მაინც საჭიროდ მივიჩნიე გამოვსულიყავი. ვფიქრობ, ყოველივე ნათქვამი, რამდენადაც თვით ცხოვრებიდან მომდინარეობდა, ქვეყნის სხვა რეგიონებისთვისაც სასარგებლო გამოდგა. ხალხთან მოთათბირება და შეხვედრები უბრალოდ აუცილებელია, დირექტიული მითითებებით ბევრს ვერაფერს იზამ.

გარდაქმნის უკვე არსებული გამოცდილება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ლენინური იდეების სისწორეს, რომ რევოლუცია მასების პოლიტიკური აღზრდისა და განათლების დიადი და ყველაზე ეფექტიანი სკოლაა.

გარდაქმნა — ეს არის რევოლუცია, თანაც ყველაზე მშვიდობიანი და დემოკრატიული. მცდარ პოზიციებს, რომლებსაც ვაწყდებოდით და წავაწყდებით საზოგადოების განახლების პროცესში და ჯიქურ წინააღმდეგობასაც კი ჩვენ დავძლევთ დემოკრატიული პროცესის ფარგლებში. ჩვენში არ არის მოსახლეობის რამდენადმე მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომელთა პერსპექტიული ინტერესებიც შეურიგებლად უპირისპირდებოდეს გარდაქმნას.

სიძნელენი, რომლებსაც დემოკრატიზაციის პროცესში განვიცდით, მნიშვნელოვანწილად ჩვენვე წარმოვშვით. ყველანი ჩვენი დროის, გარკვეული წესებისა და ჩვეულებების პირმშონი ვართ. აკი ამიტომაც ვამბობთ, რომ გარდაქმნა გვმართებს ყველას, მათ შორის, პოლიტბიუროში, მთავრობაში, ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში. ერთნი ამას უფრო იოლად და სწრაფად ახერხებენ, მეორეებს უჭირთ, მესამენი თავად ითხოვენ პენსიაზე ან სხვა სამუშაოზე გაშვებას.

ხალხი სძლევს ჩვეულ აპათიას, ენერგიულად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და ეს გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს პო-

ულობს. ვიღაც მწვავედ გამოვა კრებაზე, სადღაც კი ეწყობა მიტინგები ან მანიფესტაციები. კაცმა რომ თქვას, დემოკრატიული პროცესი არ გამორიცხავს საზოგადოებრივი თვითმოქმედების ამგვარ სპონტანურ გამოვლინებებს. ჩვენ უკვე წარსულს ჩავბარეთ ის დრო, როდესაც ასეთი რამ ჩინოვნიკურ შიშსა და ადმინისტრაციულ აკრძალვებს იწვევდა. თუმცა თავად ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია პაექრობის კულტურა, ხდება ხოლმე, რომ ტრიბუნაზე გამოსულ ორატორს პრეზიდიუმიდან ხმას აკმენდინებენ, ხოლო ზოგიერთ სტატიაში ავტორები პირად ანგარიშებს ასწორებენ ან საწყენ იარლიყებს არიგებენ. მაგრამ თანდათან მკვიდრდება გაგება იმისა, რომ დემოკრატია შეუთავსებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ბიუროკრატიულ ორგანიზაციულ გადამლაშებასთან. რა თქმა უნდა, ანარქიას, ყოვლისმპატიებლობასა და ქაოსს ვერ დაუშვებს ვერც ერთი საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს საკუთარ თავს. ბუნებრივია, ამას ვერც ჩვენ დავუშვებთ. დემოკრატია —ეს არის კანონიერება, კანონების უმკაცრესი დაცვა როგორც ხელისუფლების, ორგანიზაციების, ისე ყველა მოქალაქის მიერ.

მეტი სინათლე საჯაროობას!

კაცმა რომ თქვას, ახალი ატმოსფერო ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ფართო საჯაროობით. ჩვენ ვესწრაფვით მეტ საჯაროობას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ადამიანებმა უნდა იცოდნენ კარგიც და ავიც, რათა ამრავლონ კარგი და ებრძოლონ ავს. სწორედ ასე უნდა იყოს სოციალიზმის დროს.

მთავარია ხედავდე ყოველივეს, რაც კი რამ არის პოზიტიური, კონსტრუქციული, იარაღდებოდე ყოველივე ამით, აქცევდე მთელი ხალხის, მთელი პარტიის კუთვნილებად, იყენებდე ახლებური მიდგომების ყლორტებს გარდაქმნის პირობებში.

მაგრამ თავი და თავი მაინც ის არის, რომ სიმართლე იყოს. ლენინს ეკუთვნის სიტყვები: სინათლე, მეტი სინათლე, დაე პარტიამ ყველაფერი იცოდეს! ჩვენ ახლა განსაკუთრებით გვჭირდება, რომ არსად დაგვრჩეს ბნელი კუნჭულები, სადაც კვლავ გაჩნდებოდა ობი, აბლაბუდა, ისევ დაგროვდებოდა ყოველივე. რასაც ჩვენ მტკიცე ბრძოლა გამოვუცხადეთ. ამიტომაც ვაცხადებთ -- მეტი სინათლე!

საჯაროობა დღეს განუყოფელი ნიშანია იმ საზოგადოების ნორმალური სულიერი და მორალური ატმოსფეროსი, რომელიც

ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ღრმად გაიგოს რანი ვიყავით, რანი ვართ დღეს, რას ვესწრაფვით, რა გეგმები გვაქვს, და ამიტომ ეხმარება შეგნებულად მონაწილეობდეს გარდაქმნაში.

საზოგადოებრივი ატმოსფეროს დემოკრატიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზით მოძრაობა თანდათან ძლიერდება სწორედ საჯაროობის განვითარების მეოხებით. რა თქმა უნდა, ამ პროცესის საფუძველს პარტიის პოლიტიკა შეადგენს. მაგრამ თუ პოლიტიკური კურსი ისე არ წარვმართეთ, რომ მასებისათვის გასაგები იყოს, მაშინ საქმეს ადგილიდან ვერ დავძრავთ. მასებმა უნდა იცოდნენ ცხოვრება მთელი მისი წინააღმდეგობებითა და სირთულეებითურთ. როგორია მიღწევები და რა აფერხებს განვითარებას, რა გვიშლის ხელს და გვაცდენს გზიდან — ყოველივე ამის შესახებ მშრომელებს უნდა ჰქონდეთ სრული და უტყუარი ინფორმაცია.

ადამიანებმა, რომ იტყვიან, გაუგეს გემო საჯაროობას. და ეს დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ წადილთან —იცოდე, სად რა ხდება, ვინ და როგორ მუშაობს, არამედ აგრეთვე იმის მზარდ რწმენასთან, რომ საჯაროობა ქმედითი ფორმაა საყოველთაო სახალხო კონტროლისა უკლებლივ ყველა მმართველობის ორგანოს საქმიანობისადმი, ნაკლოვანებათა გამოსწორების მძლავრი ბერკეტია.

ამასთან დაკავშირებით ამოძრავდა საზოგადოების ზნეობრივი პოტენციალი. ჰარმონიულად შემართებულმა გონებამ და სინდისმა თანდათან დაათმობინეს პოზიციები პასიურობასა და გულგრილობას, რომლებიც სულს გვიჭამდნენ. რა თქმა უნდა, არ კმარა მარტოოდენ იცოდე სიმართლე და ლაპარაკობდე სიმართლეს, მთავარია იქცეოდე, მოქმედებდე ასეთი ცოდნისა და გაგების საფუძველზე.

ჩვენ უკვე გავიცნობიერეთ იმის საარსებო საჭიროება, რომ უნდა ვისწავლოთ სინამდვილესა და გამოცხადებულ პოლიტიკას შორის შემორჩენილი განსხვავების დაძლევა. ზნეობრივი სფეროს სწორედ ეს არსებითი ძვრა შეადგენს ჩვენი საზოგადოების თანამედროვე სოციალისტური რევოლუციურობის პათოსსა და არსს.

უკვე დაწყებულია იმ სამართლებრივი აქტების შემუშავება, რომლებიც საჯაროობის გარანტიას გვაძლევენ. მათ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმია-

ნობის მაქსიმალური კარგახსნილობა, მისცენ მშრომელებს რეალური შესაძლებლობა უშიშრად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფო საქმიანობის ნებისმიერ საკითხებზე.

გარდაქმნას რომ შეუდგა, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობოდა ორ მძლავრ რეალურ ძალას — პარტიულ კომიტეტებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ის კი არა, მე ვიტყოდი, პარტიას იქნებ ვერც მიეღწია გარდაქმნის მთელი პრობლემატიკის განხილვის დღევანდელი დონისათვის, — არადა იგი ვრცელი, რთული და წინააღმდეგობრივია, — ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დამთავრებისთანავე ამ პროცესში აქტიურად, ნამდვილად რომ არ ჩაბმულიყვნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს მათს წვლილს გარდაქმნაში. რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერი ადამიანის მეშვეობით ხდება. ადამიანია ბრძოლის მოწინავე ხაზზე, მისი გარჯით მიმდინარეობს მთელი გარდაქმნა. მაშასადამე, მის აზროვნებას, მისი საზოგადოებრივი შეგნების დონესა და მოქალაქეობრივ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, რომელიც მტკიცედ დაიძრა წინ დემოკრატიული განახლების გზით, უაღრესად არის დაინტერესებული იმით, რომ ყოველი კაცი — იქნება ეს მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენტი, — აქტიურად მონაწილეობდეს გეგმების განხილვასა და რეალიზაციაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ამ საქმეში ასრულებდნენ და კვლავაც შეასრულებენ უდიდეს როლს. ისინი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენენ ხალხის ნების გამოთქმის, მისი აზრისა და განწყობილების გამოხატვის ერთადერთ არხს. მაგრამ ეს არის საჯაროობის ყველაზე წარმომადგენლობითი და მასობრივი ტრიბუნა. პარტია დაინტერესებულია იმით, რომ მოქალაქეობრივი ხმა მტკიცედ გაისმოდეს ამ ტრიბუნიდან. რომ იგი არა მარტო იუწყებოდეს ქვეყანაში მიმდინარე დისკუსიებს, არამედ იყოს კიდეც გადაწყვეტილებათა სისწორისადმი, მასების ინტერესებისა და მოთხოვნილებებისადმი მათი შესაბამისობის, ხოლო შემდეგ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების დემოკრატიული კონტროლის გარანტი.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი არა მარტო აისახება პუბლიკაციებში, არამედ აგრეთვე სულ უფრო მეტად მოიცავს თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობას. თანდათან, თითქოს ლხვეებიანო, ახალ-ახალ თემებს აჩენენ ჩვენი გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია. პრესის საერთო გამოცოცხლების ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ დიალოგურ მასალებს უპირატესობა ენიჭება მონოლოგურ ფორმებთან შედარებით. ანგარიშები და თვითანგარიშები სულ უფრო მეტად უთმობენ ადგილს ათასგვარ ინტერვიუებს, „მრგვალ მაგიდასთან" გამართულ საუბრებს, მკითხველთა წერილების პუბლიკაციებს.

თუმცა, ვაწყდებით ინფორმაციის საშუალებათა ასეთ მიკერძოებასაც: შეზღუდონ ავტორთა კოლექტივი სამი-ხუთი მწერალი კაცით. ეს სხვა არა არის რა, თუ არა პროფესიული ქედმაღლობა. გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა გაგვემრავალფეროვნებინა გამოსვლები, ერათა მთელი საზოგადოება მონაწილეობდეს, ასე ვთქვათ, მთელ სოციალისტურ პლურალიზმში, წილნაყარი იყოს ყოველი გამოცემისა.

კარგია, როდესაც პროფესიონალი ავტორი ლაპარაკობს თავის პოზიციაზე, მაგრამ რაოდენ დიდი ინტერესით იკითხება საუბრები და ინტერვიუები მუშებთან, რაიკომის მდივნებთან, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებთან, მეცნიერებთან, კულტურის მოღვაწეებთან. აქ ხომ ცოცხალი აზრი ფეთქავს, ანდა, ავიღოთ წერილები... მაინც რაოდენ შესანიშნავი ადამიანური დოკუმენტებია ეს! პირდაპირ გულში გხვდება!

ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ასეთი სტილი ყველას როდი ეპიტნავა. განსაკუთრებით არ ეპიტნავათ იმათ, ვინც ვერ მიეჩვია, არ შეუძლია, ანდა საერთოდ არ უნდა იცხოვროს და იმუშაოს საჯაროობისა და კრიტიკის განვითარების პირობებში. სწორედ ამ გარემოდან მომდინარეობს უკმაყოფილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიმართ, ხშირად კი აშკარა მოთხოვნა — მოვუკლოთ საჯაროობას, ავლაგმოთ იგი.

ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია რაღაც ნეგატიურ მოვლენად დავა იმის შესახებ, მეტისმეტად ხომ არ იმრავლა კრიტიკამ, საჭირო არის თუ არა ესოდენ ფართო საჯაროობა, ხომ არ მიგვიყვანს დემოკრატიზაცია არასასურველ მოვლენებამდე. ამ დავაში თავისე-

ბურად გამოსჭვივის ზრუნვა ჩვენი საზოგადოების სტაბილურობისათვის. ხომ შეიძლება ლაყბობით მიაფუჩეჩო დემოკრატია, მიაფუჩეჩო საჯაროობა, გააუკულმართო ისინი. არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს სიახლისათვის იბრძვიან, მაგრამ საკმარისია საქმე საქმეზე მიდგეს, რომ დემოკრატიის, კრიტიკის, საჯაროობის განვითარებას ნაირნაირ პირობებს და შენიშვნებს უყენებენ.

განაგრძობს სკკპ ცენტრალური კომიტეტი თუ არა საჯაროობის გეზს პრესის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით, თვით მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით, ასეთი საკითხი აღარ დგას. საჯაროობა ყველას ჰაერივით გვჭირდება.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საჯაროობის გაფართოების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების კურსი — ეს არის არა დემოკრატობანას თამაში, არამედ პარტიის პრინციპული პოზიცია.

საჯაროობის განვითარება ჩვენ მიგვაჩნია იმ უაღრესად მრავალგვარ მოსაზრებათა და შეხედულებათა აკუმულაციის ხერხად, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენისა და პროფესიული ჯგუფის ინტერესებს. ჩვენ ვერ ვივლით წინ, თუ კრიტიკაში, მეტადრე „ქვემოდან" მომდინარე კრიტიკაში, მონაწილეობის გზით არ შევამოწმებთ ჩვენს პოლიტიკას, არ ვიბრძოლებთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, თავიდან არ ავიცილებთ მათ. პირადად მე ვერც კი წარმომიდგენია, როგორი დემოკრატია გვექნება უამისოდ.

სხვა საქმეა, რომ გარდაქმნის, დემოკრატიზაციის პირობებში კრიტიკის კრიტერიუმები და ხასიათი ასევე იცვლება. კრიტიკა — უწინარესად ეს არის პასუხისმგებლობა, და რაც უფრო მწვავეა იგი, მით უფრო პასუხსაგები უნდა იყოს. ვინაიდან საზოგადოებრივ თემაზე დაწერილი ესა თუ ის სტატია — ეს არის არა მარტო პიროვნული მეობის გამოხატვა, არა უბრალოდ საკუთარ მოსაზრებათა გამოხატვა, არამედ კომპლექსებისა და ამბიციების გამოთქმაც. ეს საზოგადო საქმეა. დემოკრატიზაციის პროცესს არსებითი კორექტივები შეაქვს გამკრიტიკებელთა და გაკრიტიკებულთა ურთიერთობაში. ურთიერთობა კი უნდა იყოს პარტნიორული, ემყარებოდეს საერთო დაინტერესების ნიადაგს. აქ უფრო უპრიანია დიალოგი და ყოველად დაუშვებელია სხვადასხვაგვარი ქედმაღლური ნოტაციები,

დიდაქტიკოსობა და მით უმეტეს პროკურორული ტონი. არადა, ასეთი რამ ჯერ კიდევ გესვდება მაღალპროფესიულ, პატივცემულ ავტორთა შორის. არავის არა აქვს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტების უფლება.

ერთი რამ ცხადია: კრიტიკა მუდამ უნდა ეფუძნებოდეს სიმართლეს, ეს კი დამოკიდებულია ავტორისა და რედაქტორის სინდისზე. ხალხის წინაშე მათი პასუხისმგებლობის გრძნობაზე.

ბეჭდვითი სიტყვა მოწოდებულია იყოს კიდევ უფრო ქმედითი. არ აძლევდეს გასაქანს უსაქმურებს, ანგარებიანებს, შემგუებლებს. კრიტიკის ჩამხშობებს, დემაგოგებს, უფრო აქტიურად ეხმარებოდეს იმათ, ვინც თავდადებით იბრძვის გარდაქმნისათვის. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებზე. თუ გარდაიქმნება პარტიული კომიტეტი, გარდაიქმნება ბეჭდვითი სიტყვაც.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო შემდეგი. პრესა უნდა აერთიანებდეს და რაზმავდეს ადამიანებს, და არა აცალკევებდეს მათ, არ წარმოშობდეს წყენას, საკუთარი თავის უნდობლობას. საზოგადოების განახლება — ეს არის აგრეთვე ბრძოლა ადამიანის ღირსების, მისი ამაღლების, მისი სახელისათვის. კრიტიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გარდაქმნის უაღრესად ეფექტიანი ინსტრუმენტი, როდესაც მას საფუძვლად ედება სრული სიმართლე და ზედმიწევნითი ზრუნვა სამართლიანობისათვის.

ჩვენს პრესას ტრადიციად მოსდგამს იცავდეს სოციალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებებს. ყოველგვარი ფაქტი — იქნება ეს დღევანდელი მტკივნეული წერტილები თუ ისტორიული წარსულის ზოგირთი მწარე გაკვეთილი — შეიძლება გახდეს პრესის ანალიზის საგანი. მაგრამ ამასთან უაღრესად მთავარი ის არის, თუ რა პოზიციას ადგახარ შენ, გაღელვებს თუ არა ხალხის სვე-ბედი, მისი მომავალი, — აი ეს არის თავი და თავი. არადა, ხდება ხოლმე, ზოგი ავტორი გაზეთის ფურცლებზე წამოატივტივებს თვალშისაცემ ფაქტს, მწვავეს, მტკივნეულს და მოჰყვება მის ირგვლივ როკვას, თავს ახვევს მკითხველს საკუთარ წარმოდგენებსა და სიმპათიებს.

მე ასე მიმაჩნია: პატიოსან, გულახდილ, წრფელ სჯა-ბაასს, თუნდაც ეპვების გამომწვევს, — გზა დაელოცოს! ხოლო თუკი შენ მოგიწადინებია სხვისი ნაცვამი ხიფთანი მოგვარგო, ნურას უკაცრავად... საჯაროობა მოწოდებულია განამტკიცოს ჩვენი საზოგა-

დოება. სათქმელს რა გამოლევს. ამაში დაეჭვება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც სოციალისტური დემოკრატია და ჩვენეული პასუხისმგებლობის მოთხოვნები ხელს უშლის დაიკმაყოფილოს ამბიციები, ესოდენ რომ შორდება ხალხის ინტერესებს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ არის საიმისო მოწოდება, რომ კრიტიკის ველს ამკრძალავი ფარცხებით გადავუაროთ, გადავიდეთ ტყუილნარევ სიმართლეზე, ოარი ვთქვათ კრიტიკულ ანალიზზე.

სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების, ხალხის პოლიტიკური კულტურის ამაღლების ინტერესები მოითხოვს უფრო სრულად ვიყენებდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საკითხების განსახილველად, საზოგადოებრივი კონტროლის გასაფართოებლად, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დასაცავად, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების წესის, ზნეობის ნორმებისა და სოციალური პრინციპების დარღვევათა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გასაჩაღებლად. ჩვენ ვისწრაფვით ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მოქმედებდნენ როგორც თავისუფალი, ერთიანი და მოქნილი ძალა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძალა, რომელსაც შეეძლება მობილურად გადაერთოს ყველაზე აქტუალური მოვლენებისა და პრობლემების გაშუქებაზე.

საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, — ეს მორიგი კამპანია როდია. ,ისინი გამოვაცხადეთ და უნდა ვაქციოთ საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმად. უამისოდ ყოველგვარი რადიკალური გარდაქმნები შეუძლებელია. საჯაროობის გარეშე დემოკრატია არ არის და არც იქნება. ხოლო უდემოკრატიოდ ვერავითარი თანამედროვე სოციალიზმი ვერ იქნება.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვლევიან მუშაკები, რომლებიც ძალზე მტკივნეულად რეაგირებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოთქმულ კრიტიკაზე, ამა თუ იმ სტატიისა და გადაცემის შეფასებას ატმასნიან პირად გემოვნებას, ყავლგასულ გამოცდილებას, ყალბად გაგებულ საზოგადოების ინტერესებს, ხშირად კი უბრალოდ თავს იაშკარავებენ, რომ ვერ გაუგიათ პრესის როლი თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში. ხდება ხოლმე, რომ

მოპყვებიან დაშინებას დასავლეთის პროპაგანდის საშუალებათა მხრივ ამა თუ იმ კრიტიკულ სტატიაზე რეაქციით. აიო, ამბობენ, დასავლეთში სწორედ ჩვენი თვითკრიტიკის მოლოდინში იყვნენ და ახლა მას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, სოციალისტური ცხოვრების წესის დისკრედიტაციისათვის მიმართავენო. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ამისა არ მეშინია. საკუთარი გამოცდილების ხელახალი კრიტიკული გააზრება ნიშანია ძალის და არა სისუსტისა. სწორედ ასეთი მიდგომა შეესაბამება სოციალისტური იდეოლოგიის პრინციპებს.

არადა, არის მეორეგვარი, ასე ვთქვათ, „ჩუმი" ხერხი კრიტიკის ჩახშობის ან მისთვის თავის არიდებისა. ეს ის ხერხია, როდესაც ზოგიერთი მუშაკი სიტყვიერად ეთანხმება საჯარო კრიტიკას, მადლობასაც კი იხდის მისთვის, და იფიცება, რომ ქმედითს ზომებს მიიღებს, სინამდვილეში კი არ ჩქარობს პრაქტიკული დასკვნების გამოტანას. ეტყობა, იმის იმედით არის, რომ ყველაფერი ლაყბობით დამთავრდება, „მიილევაო", და მათი ცოდვები აღარავის გაახსენდება. მათთვის მთავარია დროზე მოინანიონ ცოდვები.

ამას ვიმეორებ იმასთან დაკავშირებით, რაც იანვრის პლენუმზე ვთქვი: კრიტიკისადმი დამოკიდებულება — ეს არის დიდმნიშვნელოვანი კრიტერიუმი ადამიანის დამოკიდებულებისა გარდაქმნისადმი, ყოველივე იმ სიახლისადმი, რაც საზოგადოებაში მიმდინარეობს.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ვერავინ შეძლოს კრიტიკის ჩახშობა ან მისი ლაყბობით მიჩუმათება.

კრიტიკა მწარე წამალია. მაგრამ დაავადებანი მას საჭიროს ხდის. სიმწრით იმანჭები, წამალს კი მაინც სვამ. და არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომლებსაც ჰგონიათ, თითქოს შეიძლებოდეს კრიტიკის დოზირება დროის მიხედვით. არ არიან მართალნი არც ისინი, ვისაც ჰგონია, რომ უძრაობის მოვლენები უკვე მთლიანად დაძლეულია და დროა გავჩერდეთ. დავაცხროთ კრიტიკული ტალღა —ეს ნიშნავს ვავნოთ გარდაქმნას.

გარდაქმნა და ინტელიგენცია

მხურვალედ დაუჭირა მხარი გარდაქმნას ინტელიგენციამ. აქ თავს ნებას მივცემ, გავაკეთო ერთი წიაღსვლა. სოციალისტური ღირებულებების ერთგული ინტელიგენცია, საბჭოთა საზოგადოების ორგანული ნაწილი, თავისი სოციალისტური საქმიანობა-

სადმი ღრმად პატრიოტული ინტელიგენცია, — ეს არის ჩვენი დიადი, და შეიძლება ითქვას, უნიკალური მონაპოვარი, ეს არის ჩვენი ფასდაუდებელი სულიერი კაპიტალი. რთული ისტორია აქვს ჩვენს ინტელიგენციას. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის დემოკრატიული, მეფის რეჟიმს რომ სწყეველიდა და მის წინააღმდეგაც კი იბრძოდა, დაუფრთხა რევოლუციას, აჰყვა თეთრი ემიგრაციის ტალღას და გაირიყა საზღვარგარეთ, შეალია თავისი ნიჭი და ცოდნა სხვა ხალხებს. ეს ახალგაზრდა საბჭოთა საზოგადოებისათვის დიდი დანაკარგი იყო.

დიახ, შეიძლება ითქვას, გამოუსწორებელი დანაკლისი განიცადა ინტელიგენციამ, მათ შორის პარტიულმა, ბოლშევიკურმა ინტელიგენციამ 30-იან წლებში სოციალისტური კანონიერების დარღვევისა და რეპრესიების შედეგად. ამანაც ლახვარი ჩასცა ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს.

და მაინც, საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბების პროცესი გრძელდებოდა და ძლიერდებოდა, ასახავდა სოციალიზმის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას. ლენინურმა კულტურულმა რევოლუციამ ლამის უწიგნური და უბრალოდ წერა-კითხვის უცოდინარი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ სახელმწიფოდ აქცია.

მაგრამ უძრაობის პერიოდში წარმოიშვა პარადოქსული სიტუაცია: ჩვენმა საზოგადოებამ ჯეროვნად ვერ გამოიყენა თავისი ეს უზარმაზარი კულტურული პოტენციალი, შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მიზეზი კი ისევ ის იყო, რომ დემოკრატიის განვითარება ხელოვნურად მუხრუჭდებოდა. არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა ათასგვარ აკრძალვებს, სიახლის, მუშაობისადმი შემოქმედებითი მიდგომის შიშს.

მაგონდება, 1986 წლის ივნისში გაიმართა შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკებთან. იგი გარდაქმნას მიეძღვნა. მაშინ ამხანაგებს ვთხოვე ესწავლათ ინტელიგენციასთან ახალი სტილით მუშაობა, დროა, მოვრჩეთ მისადმი მბრძანებლობას. ეს მავნე და დაუშვებელია. ინტელიგენციამ გულითა და გონებით აღიქვა საზოგადოების დემოკრატიული განახლების პროგრამა.

გაიმართა შემოქმედებითი კავშირების: კინემატოგრაფისტთა, მწერალთა. მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა, თეატრა-

ლურ მოღვაწეთა, ჟურნალისტთა კავშირების ყრილობები. ისინი აქტიურად, დიდი ენერგიით ვითარებაში მიმდინარეობდა. ყველა ყრილობამ გულწრფელად დაუჭირა მხარი გარდაქმნას. მათი მონაწილენი მწვავედ აკრიტიკებდნენ საკუთარ თავსაც. კრიტიკა მწვავე იყო, და ამის შედეგად კავშირების ბევრი ყოფილი ხელმძღვანელი აღარ აურჩევიათ ხელმძღვანელ ორგანოებში. მაგრამ ამავე დროს, იქ არც ყბედები მოხვედრილან. კავშირების ხელმძღვანელობაში აირჩიეს თვალსაჩინო, ავტორიტეტული ადამიანები.

იმათ, ვისაც პაექრობა მეტისმეტად მძაფრი ეჩვენა, ვეუბნებოდი: არაფერია არც გასაოცარი და არც აღსაშფოთებელი. ეს ყრილობები უნდა მივიღოთ როგორც ახალი, მაგრამ მაინც ნორმალური მოვლენა, ვინაიდან დემოკრატიზაცია ყველგან მიმდინარეობს და ზოგჯერ მწვავე ფორმებსაც იძენს. ზოგ-ზოგები შემეპასუხნენ, ძალიან გაჭირდებაო მუშაობა ისეთ გარემოში, სადაც ყოველი კაცი ფილოსოფოსობს, ყველას მოაქვს თავი მთავარ ავტორიტეტად, ყველა იჩემებს, რომ სწორი მხოლოდ ის არის. მე კი ვუპასუხე: გაცილებით უარესია საქმე იქონიო პასიურ ინტელიგენციასთან, გულგრილობასა და ცინიზმთან.

ისევე როგორც ყოველგვარ რთულ საქმეში, რა თქმა უნდა, ემოციური მღელვარება აქაც არის: მკვეთრ მოსახვევებში, რევოლუციურ ხანაში მუდამ ასეა ხოლმე. ახლა ჩვენ თითქოს ხელახლა გავდივართ დემოკრატიის სკოლას. ვსწავლობთ. ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია პოლიტიკური კულტურა, იმის მოთმინებაც კი არ გვყოფნის, რომ მოვისმინოთ ჩვენივე მეგობრის, ამხანაგის აზრი. ყოველივე ეს ალბათ გაგვივლის. ამ ახალ მეცნიერებასაც დავეუფლებით. რაც უნდა მწვავე საკითხებს განვიხილავდეთ, საჭიროა პატივს ვცემდეთ ერთმანეთს. უკიდურეს თვალსაზრისშიც კი არის რაღაც ღირებული, რაციონალური, ვინაიდან ადამიანი, რომელიც მას პატიოსნად იცავს, რომელსაც წრფელად შესტკივა გული საერთო საქმისათვის, ცხოვრების რაღაც რეალურ მომენტებს გამოხატავს. ჩვენში ეს არის არა ანტაგონისტური ბრძოლა, არამედ ძიება, დისკუსია: როგორ გავიდეთ გარდაქმნის შარაგზაზე, როგორ მოვუჩქაროთ ნაბიჯს და გავხადოთ იგი კიდევ უფრო მტკიცე, ხოლო მოძრაობა —შეუქცევადი. ამიტომ ვერ ვხედავ ვერავითარ დრამას პაექრობაში, თვალსაზრისთა დაპირისპირებაში. ეს ნორმალურია.

ლიტერატორთა შორის საჯაროობის ნიადაგზე მართლაც იჩინა თავი ჯგუფობრივმა მიკერძოებამ, მოუთმენლობამ. იყო მომენტი, როდესაც მწერალთა ირგვლივ ამტყდარი ენებათა ღელვა გამძაფრდა. ჩვენ გავაცანით მათ ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისი: ძალზე სავალალო იქნება, თუკი შემოქმედებითი, მხატვრული ინტელიგენციის კონსოლიდაციის ნაცვლად ატყდება ლანძღვა-გინება და მისი მონაწილენი საჯაროობას, გზახსნილობას, დემოკრატიზმს გამოიყენებენ ანგარიშების გასასწორებლად, შეეცდებიან რევანშს ძველი წყენის გამო, შურს იძიებენ კრიტიკისათვის. ყველაზე ცუდია, თუკი რევოლუციურ ხანაში შემოქმედებითი ინტელიგენცია ჩაეფლობა წვრილმანების ჭაობში, ვერ დაიოკებს პირად ამბიციებს, ძალებს გაფლანგავს არა შემოქმედების, არამედ ყოვლად უმაქნისი კინკლაობისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტერატორებს მოუწოდა: დაიოკეთ თქვენი ემოციები, დათმეთ ხელსაყრელი ჩვევები და სტერეოტიპები. ამაღლდით მათზე უფრო მაღლა და იფიქრეთ ხალხზე, საზოგადოებაზე. დაე, ინტელიგენციის პასუხისმგებლობა ვლინდებოდეს იმითაც, რომ მისი შემოქმედებითი კავშირები ზრუნავდნენ უწინარეს ყოვლისა საზოგადოების სულიერი განვითარებისათვის.

ინტელიგენციას მოქალაქეობის დიდი პოტენციალი აქვს, და მან ხალისით იკისრა გარდაქმნის დიდი ტვირთი. ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია პარტიასთან ერთად შეუდგა ცვლილებათა განხორციელებას. სულ უფრო ძალუმად ვლინდება მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, და ჩვენ ყველას გვწადია ასეთი აქტიურობა, ვაფასებთ, რომ იგი ასე ჩაება საერთო ფერხულში 1985 წლის აპრილის შემდეგ, ვაფასებთ მის ენთუზიაზმსა და საზოგადოების გარდაქმნის ხელშეწყობის მისწრაფებას. იმედი გვაქვს, ინტელიგენციის წვლილი სულ უფრო გაიზრდება. იგი აღწევს აზროვნებისა და პასუხისმგებლობის ახალ დონეს. მისი ორიენტირები ემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ გეზს, ხალხის ინტერესებს.

II. ახალი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა მოქმედებს

როგორღა მიმდინარეობდა გარდაქმნა ეკონომიკაში?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელი ჩვენი მეცადინეობა სახალხო მეურნეობის სტრუქტურის შესაცვლელად, ინტენსიური განვითარების რელსებზე მის გადასაყვანად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად სულ უფრო მეტად აწყდებოდა სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმის, ეკონომიკის მმართველობის მთელი სისტემის გარდაქმნის საჭიროებას.

სოციალიზმი და მისი საფუძვლის შემადგენელი საზოგადოებრივი საკუთრება არსებითად შეიცავენ პროგრესული ეკონომიკური პროცესების შეუზღუდველ შესაძლებლობებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ყოველთვის პოულობდე სოციალისტური საკუთრებისა და მეურნეობის ორგანიზაციის ყველაზე ეფექტიან ფორმებს. ამასთან მთავარია, რომ კაცი სიტყვით კი არა, საქმით იყოს წარმოების ბატონ-პატრონი. უამისოდ ვერ იქნება ვერც მუშაკის და ვერც კოლექტივების დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით.

პირად ინტერესებთან საზოგადოებრივი საკუთრების შეერთების ყველაზე ეფექტიანი, თანამედროვე ფორმების მიგნების ლენინური იდეა უდევს სწორედ საფუძვლად მთელ ჩვენს კვლევა-ძიებას, ეკონომიკური მართვის რადიკალური რეფორმის მთელ ჩვენეულ კონცეფციას.

ეკონომიკური რეფორმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში მთავარი იყო არ დაგვეშვა იმ ძველი შეცდომების გამეორება, რომლებმაც მარცხისათვის გასწირეს 50-იანი, 60-იანი, 70-იანი წლების მეურნეობის მართვის სისტემის შეცვლის ცდები. ამავე დროს, ეს ცდები გამოდგა არასრული და არათანამიმდევრული, ვინაიდან ყურადღებას ამახვილებდნენ ერთ ასპექტზე და მხედველობიდან რჩებოდათ მეორე. ისე კი, კაცმა რომ თქვას, შემოთავაზებული გადაწყვეტები იყო არარადიკალური, ორპოფული, ხოლო ხშირად არც შეეხებოდა საქმის არსს.

ეკონომიკური რეფორმის კონცეფცია, რომელიც ჩვენ შევიმუ-

შავეთ და ივნისის პლენუმზე გამოვიტანეთ, ატარებს, მე ვიტყოდი, ყოვლისმომცველ და კომპლექსურ ხასიათს, არ ტოვებს ღრმა, კარდინალური ცვლილებების გარეშე საკითხის არც ერთ მხარეს. ეს არის საწარმოთა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ეს არის ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის რადიკალური გარდაქმნა. ეს არის დაგეგმვის ძირეული შეცვლა, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის რეფორმა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნა. ეს არის მმართველობის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურათა შექმნა. ეს არის მმართველობის დემოკრატიული საფუძვლების ყოველმხრივი განვითარება, თვითმმართველობის საწყისების ფართო დანერგვა.

მაგრამ ნებისმიერ რთულ პროცესში არის თავისი შინაგანი ლოგიკაც, რომელიც გამოხატავს ურთიერთკავშირს ამა თუ იმ ღონისძიებებს, ამა თუ იმ კონკრეტულ ნაბიჯებს შორის. და ჩვენ წინაშე გარდაუვალად წამოიჭრა კითხვა: მაინც, რით დავიწყოთ? როგორია მმართველობის გარდაქმნის ამოსავალი პუნქტი?

ერთი შეხედვით, ჩვენს გეგმიან მეურნეობაში თითქოს ლოგიკურად გვეჩვენებოდა დაგვეწყო გარდაქმნა ცენტრიდან, განგვესაზღვრა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, ხოლო შემდეგ მმართველობის საშუალო რგოლის ფუნქციები და სტრუქტურა, დაბოლოს, მივსულიყავით პირველადს რგოლამდე — საწარმოსა და გაერთიანებამდე. აბსტრაქტული ლოგიკის თვალსაზრისით, ეს, შესაძლოა, სწორადაც გამოიყურება, მაგრამ ცხოვრებამ, დაგროვილმა გამოცდილებამ გვიკარნახა სულ სხვაგვარი მიდგომა, მოქმედების სხვაგვარი ლოგიკა: დაგვეწყო ეკონომიკის ძირითადი რგოლიდან — საწარმოსა და გაერთიანებისაგან. უწინარესად განგვესაზღვრა მისთვის მეურნეობრიობის ყველაზე ეფექტიანი მოდელი, შეგვექმნა მისთვის ყველაზე ხელშემწყობი ეკონომიკური გარემო, გაგვეფართოებინა და დაგვემკვიდრებინა მისი უფლებები და უკვე ამ საფუძველზე შეგვეტანა ძირეული ცვლილებანი სამეურნეო მმართველობის ყველა ზემდგომი რგოლის საქმიანობაში.

როდესაც გარდაქმნის ასეთ თანამიმდევრობას განვსაზღვრავდით, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ სწორედ აქ მიმდინარეობს მთავარი ეკონომიკური პროცესები, აქ იქმნება მატერიალური ღირებულებანი, აქ იქცევა, ისხამს ხორცს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება. სწორედ შრომითს კოლექტივში რეალურად ყალიბ-

დება ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობანი. ერთმანეთს უკავშირდება ადამიანთა ინტერესები — პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი. დიახ, საკუთრივ. მთელ ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ კლიმატს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ვითარება, რომელიც შრომითს კოლექტივებში შეიქმნა.

გავითვალისწინეთ წარსული გამოცდილებაც, როდესაც არაერთგზის გვიცდია მოგვეხდინა მმართველობის ზედა ეშელონის რეფორმირება ისე, რომ იგი არ იყო განმტკიცებული „ქვემოდან" მომავალი მოძრაობით, განგვიცდია მარცხი, ვინაიდან ვაწყდებოდით მმართველობის აპარატის ჯიუტ წინააღმდეგობას, რომელსაც არ სურდა ხელი აეღო თავის უამრავ პრეროგატივასა და უფლებაზე. ამას ჩვენ ბოლო დროს გადავაწყდით და ახლაც ვხვდებით. აქ ისევე, როგორც მთელ გარდაქმნაში, უნდა დავუკავშიროთ ზემოდან მომავალი იმპულსები „ქვემოდან მომდინარე" მოძრაობას, ანუ მივანიჭოთ თვით გარდაქმნას ღრმად დემოკრატიული ხასიათი.

მაინც რა არის საწარმოს მეურნეობრიობის წინანდელი მექანიზმის ძირითადი ნაკლი?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის თვითგანვითარების შინაგანი სტიმულების სისუსტე. მართლაც, საწარმო საგეგმო მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით იღებს დავალებებსა და რესურსებს, პრაქტიკულად ყოველგვარი ხარჯები იფარება, პროდუქციის გასაღება, არსებითად, გარანტირებულია, და რაც მთავარია — მუშაკთა შემოსავალი სუსტად უკავშირდება კოლექტივის მუშაობის საბოლოო შედეგებს: ხელშეკრულებათა შესრულებას, პროდუქციის ხარისხს, მოგებას. გვინდა ჩვენ ეს თუ არა, ასეთი მექანიზმი გამიზნულია საშუალო, ის კი არა, ცუდი მუშაობისათვის. აბა, როგორ წაიწევს წინ ეკონომიკა, თუკი იგი სასათბურო პირობებს უქმნის ჩამორჩენილ საწარმოებს და ვნებს მოწინავეებს?

რა თქმა უნდა, საქმის ამგვარად გაძღოლა ჩვენ აღარ შეგვიძლია, და ახალმა სამეურნეო მექანიზმმა ყველაფერი თავ-თავის ადგილზე უნდა დააყენოს. იგი მოწოდებულია გახდეს მძლავრი ბერკეტი, კარგი, ფხიანი, ინიციატივიანი მუშაობის მამოძრავებელი ძალა. რეალურ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებიდან გამომდინარე თავად საწარმო უნდა განსაზღვრავდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმას. მისი საფუძველი იქნება არა უამრავი დეტალური საგეგმო დავალება, რომლებსაც ზემდგომი ორგანოები განსაზღვრა-

ვენ, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციების, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების, სავაჭრო ორგანიზაციების უშუალო შეკვეთა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის კონკრეტულ პროდუქციაზე. საწარმოები უნდა ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ მათ შორის მიმდინარეობდეს ეკონომიკური შეჯიბრება მომხმარებელთა მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის, ხოლო მუშაკთა შემოსავალი მჭიდროდ უკავშირდებოდეს წარმოების საბოლოო შედეგებს, მოგებას.

მეურნეობრიობის ყველა ეს პრინციპი და მისი კონკრეტული ფორმები გავითვალისწინეთ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პროექტში, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოვიტანეთ. ეს განხილვა ფართოდ გაჩაღდა შრომითს კოლექტივებში, მუშათა, პროფკავშირულ კრებებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. დოკუმენტი არსებითად შეეხო მთელ ხალხს. ადამიანებმა იგრძნეს, რომ მათი რჩევა სხვებს სჭირდებათ. წამოყენებულ წინადადებებს, შესწორებებსა და დამატებებს განიხილავდა სპეციალური ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მთავრობის, მეცნიერებისა და უწყებების წარმომადგენლები. საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით ყოველივე გონივრული შევიტანეთ კანონში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა არსებითად გაგვეუმჯობესებინა იგი.

ეს კორექტირება მეტწილად მიზნად ისახავდა კოლექტივის უფლებათა გაფართოებას. განხილვის დროს გამოთქვამდნენ საერთო მოთხოვნას: არ დაგვეხია უკან ინერციული ჩვევების დაწოლის წინაშე, მტკიცედ გვევლო წინ. ისიც ითქვა, რომ ახალი კანონი არ უნდა იყოს შემოზღუდული მრავალრიცხოვანი ინსტრუქციების მესრით, რომლებსაც შეუძლიათ გამოაცალონ მას არსი, დაამუხრუჭონ გარდაქმნა. საწარმოს ახალი კანონი სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო და იგი ძალაში შედის 1988 წლის 1 იანვრიდან.

მართალია, პრესის ფურცლებზე იყო წინადადებებიც, რომლებიც ჩვენი სისტემის ფარგლებს სცილდება, კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ საერთოდ უარი უნდა ვთქვათ გეგმიან ეკონომიკაზე, სანქცია მივცეთ უმუშევრობას. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ, რადგან განზრახული გვაქვს განვამტკიცოთ სოციალიზმი და არა შევცვალოთ იგი სხვა წყობილებით. ის, რაც დასავლეთიდან, სხვა ეკონომიკიდან სურთ შემოგვაჩეჩონ, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმს, თუკი ნამდვილად ავამო-

ქმედებთ მის პოტენციალს, დავიცავთ სოციალიზმის ძირითად პრინციპებს, სრულად მოვიცავთ ადამიანის ინტერესებს, გამოვიყენებთ გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობებს, გაცილებით მეტი ძალუძს, ვიდრე კაპიტალიზმს.

საწარმოს შესახებ კანონს ეკონომიკურ რეფორმაში ფუძემდებელ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ყველა სხვა ღონისძიებასა და ნაბიჯს მას ვუსადაგებთ, განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სრულად შეესაბამება ისინი კანონს, როგორ უწყობს ხელს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

პლენუმის მზადებისას პოლიტბიურომ რამდენიმე თვის განმავლობაში თანამიმდევრულად განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმომარაგების, ფინანსთა სამინისტროს, სახბანკის, ქვეყნის სხვა ეკონომიკური, უწყება-სამინისტროების, მმართველობის დარგობრივი ორგანოების საქმიანობის ყოველმხრივი და მკაცრად ობიექტური ანალიზის შედეგები. მომზადდა დადგენილებათა პროექტები, რათა ცენტრალური ორგანოების საქმიანობა წარგვემართა ისეთი კუთხით, რომ მათი საქმიანობა (კერძოდ, მათი ოფიციალური ფუნქციები) მკაცრად შეესაბამებოდეს კანონს სახელმწიფო საწარმოს შესახებ, არაფერში არ ეწინააღმდეგებოდეს მას. პროექტები განვიხილეთ პლენუმზე, დავხვეწეთ, მივიღეთ და ავამოქმედეთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, მისი გადაწყვეტილებანი, არსებითად აგვირგვინებენ სოციალიზმის ეკონომიკის თანამედროვე მ ო დ ე ლ ი ს შექმნას, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპს შეესაბამება.

პლენუმმა და მის შემდეგ გამართულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ განავითარეს და განამტკიცეს გეზი, რომლის მიზანია აქტიურად ჩავაბათ ადამიანი ეკონომიკურ და საწარმოო პროცესებში, ორგანულად შევუხამოთ სახელმწიფოს ინტერესები პიროვნების, შრომითი კოლექტივის ინტერესებს, გადავაქციოთ საბჭოთა მშრომელი ეკონომიკის ნამდვილად აქტიურ ბატონ-პატრონად.

რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ მოგვიწევს ზოგი რამის ბოლომდე მიყვანა, შესაძლოა, გადაკეთებაც. საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში არასდროს არ ხდება ისე, რომ მეურნეობის მმართველობის ერთი სისტემა მთლიანად მოვხსნათ და უცბად შევცვალოთ სხვა, თუნდაც უფრო სრულყოფილი სისტემით, თითქოს საქმე ეხებოდეს

რაღაც მექანიკურ კონსტრუქციას. უნდა მოგვარდეს დინამიკური და მოქნილი მექანიზმი, რომელიც ფაქიზად უღებს ალღოს წარმოების ცვლილებებს, ნიადაგ ახლდება, აღიქვამს ყოველივე პროგრესულს და უარყოფს დრომოჭმულს. ცხოვრება მოაწესრიგებს ამ პროცესს, შეიტანს მასში ცვლილებებს. ამ საქმის მთავარი საფრთხე ის არის, რომ გავჩერდეთ, გვეგონოს, რახან გადავწყვიტეთ, მივიღეთ დადგენილებანი, ისინი შეუცვლელად გამოგვადგება ყველგან.

შევიმუშავეთ რა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პროგრამა, ჩვენ ამის მეოხებით შევქმენით ვრცელი ფრონტი დაჩქარებისა და გარდაქმნის გაღრმავების უკვე ყველა მიმართულებით შეტევის გასაჩაღებლად. მიღებული გადაწყვეტილებანი საჭირო ორგანიზაციულ-ეკონომიკურ წანამძღვრებს უქმნიან მიმდინარე ხუთწლედისა და 2000 წლამდე გრძელვადიანი პერსპექტივის ამოცანების შესრულებას. ახლა საქმე ის არის, რომ გაუჭიანურებლად, მარჯვედ ავითვისოთ მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი.

ეკონომიკისა და მმართველობის გარდაქმნაში დგება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები მომენტი. დაიწყო კონსტრუქციული მუშაობის ეტაპი. ახლა ყოველი ჩვენგანისათვის მთავარია ხორცი შევასხათ ამას. ძალისხმევის თავმოყრის ცენტრმა — და ეს არის მიმდინარე მომენტის თავისებურება, — გადმოინაცვლა პრაქტიკული მოქმედების სფეროში.

სრული სამეურნეო ანგარიშისაკენ

იმისი არსი, რისი განხორციელებაც გვინდა ყველგან, ის არის, როგორც უკვე ვთქვი, რომ უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდები შევცვალოთ უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით. საბჭოთა ხელმძღვანელობის წინაშე არ დგას საკითხი: გადავიდეს თუ არა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

დიახ, არსებობს ობიექტური დაბრკოლებანი, სულ ცოტა — ორი დიდი დაბრკოლება. ერთი მათგანი ის არის, რომ ამის კეთება გვიხდება უკვე დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის პირობებში და, მაშასადამე, იძულებული ვართ გეგმას შევუურებდეთ. ეს სპეციფიკა ძალზე სერიოზულ დაღს აჩნევს გადასვლის პროცესს. მაინც როგორ მოვიქცეთ: განვაგრძოთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებაზე ორიენტირება თუ მისი დემონტაჟი დავიწყოთ? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. გადავწყვიტოთ ხუთწლედის ამოცანები! ხუთწლედი კი უძნელესი გვაქვს. ვქმნით დიდ მარაგნაკეთებს მეცნიერულ-ტექნი-

კური პროგრესის სფეროში. მიმდინარეობს სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები. წყდება ბევრი სოციალური საკითხი. და ამავე დროს, სწორედ ამ ხუთწლედის პროცესში უნდა ინერგებოდეს ბევრი სიახლე. ახლა ძნელი დრო დაუდგათ საწარმოთა დირექტორებს: დაგროვილი პრობლემების ტვირთი აწევთ — და ამავე დროს უნდა გადავიდნენ თვითდაფინანსებაზე.

მეორე დაბრკოლება უკავშირდება იმას, რომ ჯერ მზად არა ვართ შემოვიღოთ და უცებ ვერ შემოვიღებთ მმართველობის ახალი მექანიზმის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ორი-სამი წელი დასჭირდება ფასწარმოქმნის რეფორმის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მომზადებას, ხუთი-ექვსი წელი — წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლას. კიდევ ბევრი რამ გვაქვს გადასაწყვეტი სამინისტროების ფუნქციების, ტერიტორიული მმართველობის გარდაქმნის, აპარატის შემცირებასთან დაკავშირებით.

აქედან მომდინარეობს ძალზე რთული გარდამავალი პერიოდი, რომელშიც ერთხანს თანაარსებებს ძველი და ახალი ასათვისებელი მექანიზმი. მაგრამ სრულ სამეურნეო ანგარიშს დაუყოვნებლივ დავნერგავთ. შევიძენთ გამოცდილებას, ენერგიულად ვივლით ამ გზით. ყველაფერს გამოვცდით, დავხვეწთ.

როდესაც წარმოების მუშაკებს, ის კი არა, მინისტრებს ვხვდები, ვამბობ: ნუ გეშინიათ, უნდა ვეძიოთ, ვსინჯოთ. ხალხს აქვს საიმისო ჭკუა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ იმოქმედოს, და უნდა იმოქმედოს მტკიცედ, გაბედულად, შეიძლება შევცდეთ, მერედა რა? უმჯობესია დროზე გამოვასწოროთ შეცდომა, ვიდრე ვისხდეთ და ველოდოთ.

ცენტრალიზმის ახლებური გაგება

გარდაქმნის პროცესში მკვიდრდება დემოკრატიული ცენტრალიზმის ახალი გაგება. მთავარია ვიცავდეთ მისი ორი მხარის სწორ თანაფარდობას, ამასთან გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ეტაპზე სათანადო მხარეს გადავიტანოთ აქცენტები.

ახლა საქმე ასე გვაქვს: გვყვანან ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ ცენტრალიზმის განმტკიცებას. ბალანსები, პროპორციები, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის შესაბამისობა საქონლის მასისა და მომსახურების მოცულობისადმი, სტრუქტურული პოლიტიკა, სახელმწიფო ფინანსები, თავდაცვა — ყოველივე ეს მტკიცე, ცენ-

ტრალიზებულ საწყისს მოითხოვს. ყველა რესპუბლიკამ, ჩვენმა ყველა ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ მათ მართლაც აქვთ ერთნაირი პირობები და განვითარების ერთნაირი შესაძლებლობანი, ეს არის საბჭოთა საზოგადოების სტაბილურობის საწინდარი. ამიტომ არ გვინდა შევასუსტოთ ცენტრის როლი, ვინაიდან სხვაგვარად გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობას დავკარგავთ.

ამასთანავე არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ცენტრი წვრილმანებით არის გადატვირთული. თანდათან გავათავისუფლებთ მას ოპერატიული მუშაობისაგან, ვინაიდან ასეთი მუშაობის დროს მას სტრატეგიული საკითხებისათვის ვერ მოუცლია.

ბევრი რამ, რაც ჩვენ სამართლიანად გავაკრიტიკეთ იანვრისა და ივნისის პლენუმებზე, უწინარეს ყოვლისა უკავშირდება ცენტრის ხარვეზებს: იქ დროზე ვერ აუღეს ალღო საშიშ ტენდენციებს, ვერ მიაგნეს ახალი პრობლემების გადაჭრის გზებს და ა. შ. ცენტრალური აპარატისა და მისი ფუნქციების მთელ რეორგანიზაციას, ვიმეორებ, ზუსტად შევუსატყვისებთ კანონს სახელმწიფო საწარმოს შესახებ, გარდაქმნის პირობებში ცენტრალიზმს არაფერი აქვს საერთო საწარმოო, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო კოლექტივების მრავალმხრივი ცხოვრების ბიუროკრატიულ რეგლამენტაციასთან. ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიწევს დავანაწილოთ ცენტრისა და ადგილების ფუნქციები, შევცვალოთ სამინისტროთა მუშაობის არსი, თვით მისი დანიშნულება.

ვსახავთ აგრეთვე დაგეგმვის დემოკრატიზაციის გეზს. ეს ნიშნავს, რომ გეგმების შემუშავება — არა ფორმალურად, არამედ ნამდვილად — დაიწყება საწარმოებიდან, შრომითი კოლექტივებიდან. სწორედ ისინი დაგეგმავენ დამოუკიდებლად თავიანთი პროდუქციის წარმოებას იმ საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, რომლებიც გამოხატულია საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებითა და მომხმარებლებთან დამყარებული უშუალო სამეურნეო-სახელშეკრულებო ურთიერთობით.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მტკიცედ უნდა თქვას უარი უწყება-სამინისტროთა მუშაობის მიმდინარე რეგულირებასა და დეტალურ რეგლამენტაციაზე — იგივე შეიძლება ითქვას ამ უკანასკნელთა მიმართ საწარმოებთან დაკავშირებით. საწარმოთა საქმიანობის რეგულირებას (შრომის ანაზღაურების ფონდის, მოგების განაწილების, საბიუჯეტო გადასახდელების და ა. შ.) მივაღწევთ ხანგრძლივი

მოქმედების ეკონომიკური ნორმატივების მეშვეობით, ანუ არსებითად სწორედ ეს იქნება თვითრეგულირება.

გათვალისწინებული გვაქვს გავაფართოოთ საჯაროობა დაგეგმვის ყველა სტადიაზე, შემოვიღოთ პრაქტიკაში საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ეკოლოგიური პრობლემების ფართო განხილვა. დაგეგმვის სისტემაში ოპტიმალურ გადაწყვეტათა მიგნების მიზნით შევიტანთ ვარიანტულობის პრინციპს.

წინანდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით ცენტრალური ორგანოები კონტროლს გაუწევენ საწარმოებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მაჩვენებლების — სახელმწიფო შეკვეთის შესრულების, მოგების, შრომის ნაყოფიერების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სოციალური სფეროს განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით. საწარმოთა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი ხდება ის, თუ როგორ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების შესახებ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და დაწესებულ სახელმწიფო შეკვეთებს. ბაზრის გაჯერების კვალობაზე სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობა და მოცულობა თანდათან შემცირდება მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო ურთიერთობის სასარგებლოდ. როდესაც შევიძენთ შესაბამის გამოცდილებას, სახელმწიფო შეკვეთებს გავანაწილებთ საკონკურსო საფუძველზე, გამოვიყენებთ მეტოქეობის, ანუ სოციალისტური კონკურენციის პრინციპს.

კარდინალურად შეიცვლება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა. ცვლილებათა მთავარი მიმართულებაა ეგრეთ წოდებული ფონდირებისაგან, ანუ რესურსების ცენტრალიზებული განაწილებისაგან, საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა.

ერთი სიტყვით, დაგეგმვის უპირატესობანი სულ უფრო მეტად შეეხამება სოციალისტური ბაზრის მასტიმულირებელ ფაქტორებს. მაგრამ ყოველივე ეს წარიმართება მეურნეობრიობის სოციალისტური მიზნებისა და პრინციპების კალაპოტით.

საწარმოთა უფლებებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება, ცენტრალური ეკონომიკური და დარგობრივი უწყებების ფუნქციების შეცვლა მოითხოვს რადიკალურად შეიცვალოს მართველობის ორგანოების სტრუქტურა.

წინათ მმართველობის გაძლიერების ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტას არცთუ იშვიათად თან სდევდა ახალი ორგანიზაციული რგოლების შექმნა, რასაც მოსდევდა აპარატის უზომო გადიდება, გაბერვა, მისი მოუქნელობა, ბიუროკრატიზაცია.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიკის გარდაქმნის ტემპს მნიშვნელოვანწილად ამუხრუჭებს გაბერილი მმართველობითი აპარატის მოუქნელობა და არასაკმარისი ეფექტიანობა. ამიტომ მნიშვნელოვნად გვინდა შევამციროთ მმართველობითი აპარატი, და საჭიროებისამებრ გავამარტივოთ მისი სტრუქტურა, გავამსხვილოთ დარგობრივი სამინისტროები. გარკვეული გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს. მაგალითად, სოფლის მეურნეობას და მისი პროდუქციის გადამუშავებას ჩვენში უძღვებოდა შვიდი საერთო-საკავშირო სამინისტრო და უწყება. ჩვენ ავიღეთ და გავაერთიანეთ ყველა ეს უწყება. სახაგრომრეწვში, ამასთან თითქმის ორჯერ შევამცირეთ მმართველობის მუშაკთა რიცხვი. მეორე შემთხვევაში ვარჩიეთ სამინისტროების გამსხვილება, მათი შერწყმა. სწორედ ასე ვიმოქმედებთ კონკრეტული მიდგომის განხორციელებისას.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია: ეკონომიკის ახლანდელი მასშტაბის პირობებში ვერავითარ, უწყებისა თუ სამინისტროს თუნდაც ყველაზე კვალიფიციურ აპარატსაც კი არ შეუძლია იტვირთოს აბსოლუტურად ყველა საკითხის გადაწყვეტა, არ შეუძლია შეცვალოს შრომითი კოლექტივების აზრი და ინიციატივა. ამავე დროს ცენტრალურ უწყებებსა და საწარმოებს შორის უფლებათა გადანაწილების პროცესი ძნელად მიმდინარეობს. სამინისტროების აპარატი და თვით მინისტრებიც ვერ შელევიან წვრილმანი ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის ჩვეულებას. ეს წლების მანძილზე „გაუჯდათ ძვალსა და რბილში“, და ამის კეთება გაცილებით უფრო იოლი და მარტივია. ცენტრიდან ადგილებზე უფლებათა ნაწილის გადაცემა საერთოდ მტკივნეული პროცესია. თუმცა, ვიმეორებ, და ამის საჭიროება ესმის ყველას — მინისტრებსაც და აპარატის მუშაკებსაც. გონებით ესმით, რომ ასეთი აქცია მხოლოდ არგებს საქმეს, სინამდვილეში კი ხშირად ვიწროუწყებრივ, ზოგჯერ კი უბრალოდ ჯგუფობრივ ინტერესებს საზოგადოებრივ, სახალხო ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებენ.

და კიდევ ეკონომიკის მართვის სრულყოფის ერთი მიმართულების შესახებ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმაღლესი ეფექტი-

ანობის მიღწევის მრავალი რეზერვი შეგვიძლია გამოვნახოთ დარგების შესაყარზე. მაგრამ იმის იმედით ყოფნა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მთლიანად გასწვდება დარგთშორის ურთიერთობათა მთელ ჯაჭვს და მიაგნებს ოპტიმალურ ვარიანტს, ნიშნავს, ილუზიებს ავყვეთ. მითუმეტეს, ეს არ ძალუძთ სამინისტროებს. სწორედ ყოველივე ამან დააყენა დღის წესრიგში საკითხი შეგვექმნა დიდი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მართვის ორგანოები. როგორც ვხედავთ, მმართველობის სისტემაში დიდი ცვლილებები მოგვიწევს. ვიმოქმედებთ მტკიცედ, და ამავე დროს აწონ-დაწონილად, დინჯად.

ტექნიკური აღჭურვილობის მსოფლიო დონეზე

გეგმიანი და სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნასთან, საწარმოთა უფლებების გაფართოებასთან ერთად ჩვენ სერიოზულად მოვკიდეთ ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს. დარგებს, რომლებიც ამ პროგრესის ავანგარდში იმყოფებიან, დამატებითს ფინანსურ და მატერიალურ მხარდაჭერას ვუწევთ. ამისათვის შემუშავებული გვაქვს მიზნობრივი ეროვნული პროგრამა, გამოვძებნეთ სახსრები.

მეთორმეტე ხუთწლედში განვაახლებთ მანქანათმშენებლობის ძირითადი ფონდების მეტ ნაწილს. ამ მიზნით გამოვყოფთ თითქმის ორჯერ მეტ სახსრებს, ვიდრე წინა ხუთი წლის მანძილზე.

მრეწველობის მუშაობის ანალიზმა გამოავლინა ინვესტიციური პოლიტიკის შეცდომები. მრავალი წლის მანძილზე ხორციელდებოდა სულ ახალი და ახალი საწარმოების მშენებლობის გეზი. საამქროების, ადმინისტრაციული შენობების აგება უდიდეს სახსრებს ნთქავდა, ხოლო მოქმედი საწარმო უწინდელ ტექნიკურ დონეზე რჩებოდა. რა თქმა უნდა, თუ კარგად გამოვიყენებთ ყოველივე არსებულს ორ ან სამ ცვლად, მაშინ შევასრულებთ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებებს არსებული მოწყობილობითაც. მაგრამ მოძველებული ფონდები ასე თუ ისე მაინც უკან გვეწევიან, და ისინი ვერ შეგვაძლებინებენ თანამედროვე პროდუქციის გამოშვებას. ძველ მანქანებზე უარი უნდა ვთქვათ. სწორედ ამიტომ მკვეთრად ვცვლით სტრუქტურულ და საინვესტიციო პოლიტიკას.

1983 წელს ლიხაჩოვის სახელობის ქარხანაში გახლდით. მაშინ მიმდინარეობდა ამ ქარხნის — საბჭოთა ავტომობილმშენებლობის ერთ-ერთი პირმშოს რეკონსტრუქციის აქტიური სამზადისი. 1985

წელს კვლავ ვიყავი ლიხაჩოვის სახელობის ქარხანაში, დავინტერესდი, როგორ მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია. გამოირკვა, რომ იქ აუღიათ გეზი საშუალო ტექნიკურ დონეზე, არიან ხუთი-შვიდი წლის წინათ გამოშვებული მოწყობილობის იმედით. ასე რომ, ტექნოლოგიაში არსებითი ძვრების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. თანაც, დასჭირდებოდათ დამატებითი მუშახელიც. გუშინდელ ტექნიკაზე ორიენტაცია წარმოების არსებითს ინტენსიფიკაციას კი არ მიგვაღწევინებს, არამედ მხოლოდ დააკონსერვებს ჩამორჩენას. თურმე კოლექტივს ჰქონია სხვა, უფრო პროგრესული ვარიანტიც, მაგრამ მან ვერ პოვა მხარდაჭერა და ამ ვარიანტზე მუშაობას თავი ანებეს. ჩვენ მხარი დავუჭირეთ ქარხნის კოლექტივს — დაბრუნებოდა საწარმოს რეკონსტრუქციის გეგმას. შედგა რეკონსტრუქციის ახალი გეგმა. იგი წარმატებით ხორციელდება. ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა ნამდვილად თანამედროვე საწარმო გახდება.

საერთოდ, სრულიად ცხადია, რომ ტექნოლოგიასა და ტექნიკაში დიდი ცვლილებებისათვის დროებრივი ტრამპლინია საჭირო. როგორც ჩვენში ამბობენ: „მოსკოვი უცებ არ აშენებულაო“. ჩვენ რომც დაგვესახა ამოცანა ყველაფერი დაუყოვნებლივ გადაგვეწყვიტა, მაშინ იძულებული გავხდებოდით გაგვეხორციელებინა წარმოების მოდერნიზაცია ძველებური, მორალურად მოძველებული ტექნიკის საფუძველზე. ეს, არსებითად, ერთი ადგილის ტკეპნაა.

ჩვენ გავაანალიზეთ, რა ტექნიკა გვაქვს და შეესაბამება თუ არა იგი მსოფლიო დონეს. აღმოჩნდა, რომ ასეთ დონეზეა ჩვენს მიერ გამოშვებული ტექნიკის მცირე ნაწილი. დასკვნა ცხადი იყო: ვიდრე მრავალი წლით დავაკონსერვებდეთ ტექნიკურ ჩამორჩენილობას, უმჯობესია ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ ავადმყოფობას. მივიღოთ, ბოლოს და ბოლოს, ახალი ტექნიკა, შემდეგ კი მანქანათმშენებლობის აღმავლობის მეშვეობით გავიჭრათ უახლესი ტექნოლოგიებისაკენ. მაგრამ „შემდეგ“ სულაც არ ნიშნავს შორეულ დროს. არა. სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაცია მიმდინარეობს იმ უდიდეს ძალისხმევასთან შეხამებით, რომლის მიზანია აამოქმედოს მეცნიერული პოტენციალი — ეს არის ჩვენი ყველაზე არსებითი და გადაუდებელი, მე ვიტყოდი, პრიორიტეტული ამოცანა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დღევანდელ ვითარებაში ჩვენ უწინარესად აღმოვჩნდით იმიტომ, რომ ჯეროვნად ვერ

შევაფასეთ სამამულო მეცნიერება და ტექნიკა და უცხოეთის იმედად ვიყავით.

როგორც მესახება, ჩვენში ერთობ წარმტაცად, მე ვიტყოდი, მიმნდობად აღიქვეს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. ბევრმა ღაიჯერა, რომ იგი შეუქცევადია, რომ დაისახა უსაზღვრო შესაძლებლობანი, კერძოდ, დასავლეთთან საავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებისათვის. ის კი არა, ჩვენ შევწყვიტეთ ზოგიერთი მეცნიერული კვლევა, ტექნიკური მუშაობა საერთაშორისო შრომის დანაწილების იმედით, იმის იმედით, რომ ზოგიერთი ტექნიკური სიახლე უფრო ხელსაყრელია იყიდო, ვიდრე თვითონ გაიმეორო. მაგრამ რა აღმოჩნდა სინამდვილეში? ჩვენ სერიოზულად დავისაჯეთ ძიებ ტობისათვის. დადგა ემბარგოების, ბოიკოტების, აკრძალვების, შეზღუდვების, იმათი დაშინების პერიოდი, ვისაც ჩვენთან ვაჭრობა აქვს და ა. შ. ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი საჯაროდაც კი აცხადებდა: ცოტა ხანიც, და ნახავთ საბჭოთა ეკონომიკას რა მოუვა. მაგრამ ამჯერადაც აჩქარდნენ. ჩვენ გამოვიტანეთ საჭირო დასკვნები, გავაჩაღეთ საჭირო სამუშაოები და შევუდექით იმის დამზადებას, რაც უნდა შეგვესყიდა. ასე რომ, საბოლოო ანგარიშით, დასავლეთის ფირმები დარჩებიან ზარალში. სიტყვამ მოიტანა, და, ვფიქრობ, აკრძალვებთან და შეზღუდვებთან დაკავშირებული მთელი ეს დავიდარაბა მარტოოდენ სსრ კავშირის წინააღმდეგ როდი არის მიმართული. იგი ძალზე დიდად ვნებს სხვა ქვეყნების ფირმებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს.

მთლიანად კი, ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ათასგვარი „სანქციებით", „ემბარგოებითა" და სხვა აკრძალვებით დაგვეხმარა ბევრი რამ გაგვეგო. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩვენ შევძელით გამოგვეტანა დასკვნები ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგიერთი იმ ქვეყნის პოზიციიდან, რომლებმაც საბჭოთა კავშირს უარი უთხრეს მოწინავე ტექნოლოგიის მოყიდვაზე. შესაძლოა, ჩვენში სწორედ ამიტომ ატყდა ნამდვილი ბუმი ინფორმატიკის, კომპიუტერული ტექნიკის დარგში და საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა მიმართულებითაც.

მტკიცედ გადავწყვიტეთ ბოლო მოვუღოთ, როგორც ჩვენი სამეურნეო მუშაკები ამბობენ, „იმპორტის ჭირს". ამ მიზნით ავამოქ-

მედებთ ჩვენი მეცნიერებისა და მანქანათმშენებლობის მძლავრ პოტენციალს.

პარადოქსია, მაგრამ საბჭოთა მეცნიერების ბევრი მიღწევა უფრო სწრაფად ინერგებოდა დასავლეთში, ვიდრე ჩვენს საკუთარ ქვეყანაში. ვთქვათ, როტორულ-კონვეიერული ხაზები. დიდად დავაყოვნეთ მეორე შემთხვევაშიც. პირველებმა გამოვიგონეთ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა. მერედა, რა გამოვიდა? ახლა ზოგიერთი ქვეყანა ფოლადის 80 პროცენტს ჩვენებური მეთოდით ასხამს, ჩვენ კი — გაცილებით ნაკლებს. ერთობ დიდი გზა გვიძევს მეცნიერული აღმოჩენიდან წარმოებაში მის დანერგვამდე. ჰოდა, ამიტომაც მდიდრდებიან ჩვენი იდეებით ფხიანი საზღვარგარეთელი მეწარმენი. რა თქმა უნდა, ასეთი სიტუაცია ჩვენ ხელს არ გვაძლევს. აშკარაა, მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. ბოლო დროს იგი იცვლება კიდეც. უნდა იყოს ნაცვალგება გაცვლაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტივიზაციისათვის დიდი მუშაობა წარმოებს. ვნერგავთ მიზნობრივ პროგრამებს, შემოქმედებითი ძიებისათვის წარვმართავთ შრომითს კოლექტივებს, დარგობრივ და ეკონომიკურ მეცნიერებას, უკვე ავამოქმედეთ 20-ზე მეტი დარგთაშორისი მეცნიერულ-ეკონომიკური კომპლექსი, რომლებსაც სათავეში უდგანან წამყვანი მეცნიერები. დროის მტკიცე მოთხოვნაა, როგორც უკვე ვთქვი, სამამულო მანქანათმშენებლობის პრიორიტეტული განვითარება. მანქანათმშენებლობის ძირეული რეკონსტრუქციის პროგრამა შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1986 წლის ივნისში. დაისახა სამამულო ინდუსტრიის ისტორიაში უპრეცედენტო ამოცანა — უახლოეს ექვს-შვიდ წელიწადში მიგვეღწია მსოფლიო დონისათვის უმნიშვნელოვანესი მანქანა-მოწყობილობის და ხელსაწყოების პარამეტრების მიხედვით. ძირითადი ყურადღება უნდა დაგვეთმო ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის რეკონსტრუქციისათვის. მიმდინარეობს მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის ფართო მოდერნიზაცია.

ყველაზე საშიში საქმეა სინამდვილედ ასაღებდე სასურველს. და მაინც, მიმდინარე ძვრები დიდი იმედების მომცემია; ამ ცოტა ხნის წინათ გახლდით მოსკოვის ოლქის ქალაქ ზელენოგრადში, სადაც ელექტრონული მრეწველობის მეცნიერული ორგანიზაციებისა და საწარმოების ნაწილია თავმოყრილი. გამახარა მეცნიერთა და

სპეციალისტთა ცნობებმა: მთელი რიგი გადამწყვეტი პოზიციების მიხედვით ჩვენ არათუ არ ვუთმობთ, არათუ ერთ დონეზე ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ზოგ რამეში ვუსწრებთ კიდეც. ასე რომ, დასავლეთის ტექნოლოგიურმა ქედმაღლობამ გვარგო. წინ გვიძევს საწარმოო ათვისება — არანაკლებ ძნელი ამოცანა.

გარდაქმნის ცოცხალი ქსოვილი

ეკონომიკური გარდაქმნის დღევანდელი დღე იტევს წარსულისაგან შემორჩენილი პრობლემებისა და ამოცანების უდიდეს მრავალფეროვნებას, რაც უნდა გავაკეთოთ ახლა, დაუყოვნებლივ და რაც კარს მოგვდგომია. შეიძლება ნათქვამის გამეორება გამომივიდეს, მაგრამ მაინც მინდა შევთავაზო მკითხველს გარდაქმნის ნაირფერი მოზაიკა, ჩავახედო იგი ყოველდღიურობის იმ კალეიდოსკოპში, სადაც ჩვენი მომავლის ცოცხალი ქსოვილი ყალიბდება. ჩვენ ვამზადებთ მასებს რადიკალური ცვლილებებისათვის. აქ საჭიროა როგორც სამეურნეო, ისე ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა. იმიტომ, რომ არც ისე იოლია დაძლიო ძველებური მიდგომების ჩვეულება, გააქარწყლო კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბებული წარმოდგენები ცხოვრების სოციალური ფორმების შესახებ.

დღემდე გვესმის და ვკითხულობთ ჩვენი ზოგიერთი სიმართლის მაძიებლის მკაცრ მამხილებელ განცხადებებს. მოდის ასეთი გაბღენძილი „სიმართლის მაძიებელი“ და აქეთ-იქით თითით მიგვანიშნებს — აქ უწესრიგობაა, იქ უმსგავსოებაა, აქ გვაკლია, იქ არ გვყოფნისო. მაგრამ საკმარისია ვინმემ დაიწყოს რაღაც ხეირიანის, მაგრამ უჩვეულოს კეთება, რომ ეს ფსევდოსოციალისტი აყვირდება — სოციალიზმის საფუძვლებს უთხრისო ძირს! ესეც გარდაქმნის რეალობაა. იძულებული ვართ მოთმინებით ვეკამათოთ ასეთ მებრძოლებს „წმინდა“, თავისი აბსტრაქციით იდეალური, მიწით „გაუჭუჭყიანებელი“ სოციალიზმი რომ მოუწადინებიათ, ვუმტკიცოთ, რომ ცხოვრებაში ასე არ ხდება.

ლენინს არასდროს არ ჰგონებია, რომ სოციალიზმის გზა ლარივით სწორი იქნებოდა. მას შეეძლო შეეცვალა ლოზუნგები, როდესაც ამას ცხოვრება მოითხოვდა. და იგი არასდროს არ ყოფილა ერთხელ და სამუდამოდ მიღებული რეზოლუციების მონა. მას არ ეშინოდა, მაგალითად, კერძო შრომითი საქმიანობის გაფართოებისა ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი სექ-

ტორი მოისუსტებდა. ახლა კი ჩვენი ძლიერების პირობებში, გარდაქმნის დროს კოოპერაციის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, იჯარის განვითარების, თვითდაფინანსების ღონისძიებანი ზოგზოგებს აშინებს: „საფუძვლებს“· ხომ არ ვარყევთ, კერძო მესაკუთრეებს ხომ არ ვამრავლებთო? ენერგავთ სხვადასხვა ფორმის იჯარას — კოლმეურნეობებს ხომ არ ვუთხრითო ძირს? ხოლო იმას რა ვუყოთ, რომ მაღაზიებში ბევრი რამ არა გვაქვს? აი ამის გამო უნდა ავტეხოთ განგაში და პანიკას კი არ მივეცეთ: „არიქა, გვიშველეთ, სოციალიზმი საფრთხეშიაო!“

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირადი ინტერესის შეხამება სოციალიზმთან — ეს დღესაც არის მთავარი პრობლემა. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ფართოდ გაგებულ პირად ინტერესს, და არა მარტო მატერიალურს. ჩვენ გვჭირდება არა „წმინდა“, დოქტრინიორული, გამოგონილი სოციალიზმი, არამედ რეალური, ლენინური სოციალიზმი. ლენინმა ძალზე ზუსტად გამოთქვა აზრი ამ თემაზე: რახან მსხვილი მრეწველობა და ხელისუფლება ჩვენს ხელთაა, არაფრის არ უნდა გვეშინოდესო. ამ ძალაზე დაყრდნობით უნდა ვახორციელებდეთ გეგმაზომიერად სოციალისტურ გარდაქმნებს. სწორედ ეს არის ნამდვილად სოციალისტური მუშაობა. ეს სწორი იყო მაშინ და მით უფრო სწორია ახლა, როდესაც ჩვენი საზოგადოება ძლიერია ეკონომიკურად და პოლიტიკურად. ლენინი მუდამ იდგა რეალური ცხოვრების ნიადაგზე და მშრომელთა ინტერესებით ხელმძღვანელობდა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტიანი ფორმები სულ მალე მოგვცემს შედეგს აგროსამრეწველო კომპლექსში. ჯერ ერთი, აქ ჩვენი კოლმეურნეობების ღრმა ტრადიციები მოგვდგამს. მეორეც ის, რომ სოფლად ხალხი ფხიანი და თადარიგიანია. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მობილურად და მოქნილად ვწყვეტდეთ სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურების, თვითდაფინანსების საკითხებს.

სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების თვალსაზრისით კარგი გამოდგა კოლექტიური იჯარა. დავთანხმდით ოჯახური იჯარის შექმნას. პირველი შედეგები იმედის მომცემია.

1987 წლის აგვისტოში მოსკოვის ოლქის რამენსკის რაიონში

ვესაუბრე იმ რგოლის წევრებს, რომლებიც აგერ უკვე ხუთი წელიწადია იჯარით მუშაობს ინტენსიური ტექნოლოგიით. მათ სათესლე კარტოფილი მოჰყავთ და გასულ წელს ხუთმა კაცმა უდიდესი მოგება მოუტანა საბჭოთა მეურნეობას. საოცრებები ხდება, როდესაც ადამიანები თავად აგებენ პასუხს ყველაფრისათვის. სულ სხვაგვარ შედეგებს აღწევენ, და ხშირად კაცს ვეღარც კი იცნობ. საქმეც იცელება და საქმისადმი დამოკიდებულებაც.

ჩვენი საზოგადოების წევრს სურს მონაწილეობდეს ყველა საქმეში, და ეს კარგია. იგი უარყოფს სიტუაციას, რომლის დროსაც არავის აინტერესებს მისი აზრი, პოზიცია, როდესაც მასში ხედავენ უბრალო მუშახელს, და არ აფასებენ როგორც ადამიანს, მოქალაქეს. ხოლო კოლექტიური იჯარა, დემოკრატია, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, განუმტკიცებს ადამიანს მამულიშვილობის, ბატონპატრონის გრძნობას.

ახლა ჩვენ ბევრ სასოფლო-სამეურნეო ზონაში გვაქვს დიდი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა შემადგენლობაში არიან მსხვილი ბრიგადები, განყოფილებები, კომპლექსები. ისინი ურიგოდ როდი არიან ტექნოლოგიურად აღჭურვილნი, სულ უფრო ფართოდ იყენებენ ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს, მაგრამ გარკვეულწილად მიწას მოსწყდნენ. ეს გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე. ახლა ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფარგლებში კოლექტიური, ოჯახური იჯარის მეშვეობით, საარენდო იჯარის მეშვეობით უნდა უზრუნველვყოთ უფრო მტკიცე, უშუალო კავშირი ადამიანის ინტერესებთან. და მაშინ ჩვენ შევაერთებთ დიდი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას, ინდუსტრიულ მეთოდებს ადამიანის პირად ინტერესებთან. ეს კი სწორედ ის არის, რაც გვჭირდება. ასე თუ ვიმოქმედებთ, ორ-სამ წელიწადში შეიძლება სერიოზულად გავაუმჯობესოთ სურსათის საქმე.

როდესაც პირადი ინტერესები ირღვევა, არაფერი გამოგვიდის და საზოგადოებაც წაგებული რჩება. სწორედ ამიტომ უნდა ვეძებოთ ინტერესების წონასწორობა, და ჩვენ ამ წონასწორობას ვპოვებთ ახალი სამეურნეო მექანიზმის საშუალებით, დემოკრატიის ფორმების საშუალებით, საჯაროობის ვითარების საშუალებით, გარდაქმნის ყველა პროცესში ადამიანთა ჩაბმის საშუალებით.

პირველი, რაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, — ეს არის ატმო-

სფერო, რომელმაც გარდაქმნას უნდა შეუწყოს ხელი და ადამიანი სოციალურად აქტიური, პასუხისმგებელი გახადოს.

ეს არის გულახდილობის ატმოსფერო, ყველა, თუნდაც ყველაზე ძნელი საკითხების ხალხთან ერთად განხილვისა და გადაწყვეტის ატმოსფერო. ამისათვის საჭიროა მასების რეალური მონაწილეობა მმართველობაში. სწორედ ამიტომ ვამბობთ: გარდაქმნის საძირკველია დემოკრატიზაცია. უკვე კანონიერი გამოყენება პოვეს ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის ხელმძღვანელთა არჩევნები, კოლექტიეების საბჭოები ბრიგადის, საამქროს, თუ საწარმოს დონეზე. საიჯარო კოლექტივებისა და საოჯახო ფერმების მაგალითით ვხედავთ როგორ მონატრებია ჩვენ ხალხს მეურნის როლი. მათ სურთ არა უბრალოდ მეტი გამოიმუშაოს — ეს სურვილი არის, და იგი გასაგებია, არამედ გამოიმუშაონ პატიოსნად. კი არ წაჰგლიჯონ სახელმწიფოს, არამედ სწორედ გამოიმუშაონ. განა ეს არ არის სოციალისტური სურვილი? სავსებით სოციალისტურია და ამიტომ მას არ უნდა ექნეს არავითარი შეზღუდვა — ყოველივე, რასაც კაცი გამოიმუშავებს, მას უნდა მიეცეს. ამასთანავე ვერ დავუშვებთ, რომ ზოგზოგებმა არ გამოიმუშაოს და ისე მიიღონ უხვი გასამრჯელო.

გარდაქმნის სოციალური პოლიტიკა

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ მხოლოდ ძლიერი სოციალური პოლიტიკა, პარტიის XXVII ყრილობაზე გამოცხადებული პოლიტიკა, უზრუნველყოფს გარდაქმნის ყოველი საქმის წარმატებას. უნდა ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, მოვხსნათ ბინის პრობლემის დაძაბულობა, ვაწარმოოთ მეტი სურსათი, ავამაღლოთ საქონლის ხარისხი, განვავითაროთ მომსახურების სფერო, ჯანდაცვა, მოვახდინოთ უმაღლესი და საშუალო განათლების რეფორმა, გადავწყვიტოთ ბევრი სხვა სოციალური საკითხი.

მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტისას ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სურსათის წარმოების გადიდების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის, საბინაო მშენებლობის გაფართოების საკითხებს.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება. ვზრდით საბინაო მშენებლობას. ჩვენ იგი საყოველთაო-სახალხო ამოცანად მივიჩნიეთ. მას ვახმართ დამატებითს კაპიტალდაბანდებებს. უნდა ვეხმარებოდეთ

ადამიანებს აიშენონ და მოიწყონ სახლები ქალაქადაც და სოფლადაც.

კაცი კეთილმოწყობილი უნდა იყოს. თუ ამ საკითხებს ვწყვეტთ, მაშინ სტაბილური ხდება შრომითი კოლექტივიც. ადამიანები მეტად აფასებენ არა იმას, რომ სწრაფად იზრდება ხელფასი, არამედ იმას, როგორ იცვლება ქალაქი თუ სოფელი, საყოფაცხოვრებო პირობები, წარმოება, თვით შრომის ხასიათი.

დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით შეუწყნარებელია იმ ხელმძღვანელთა პასიურობა, რომლებიც არ იყენებენ უკვე არსებულ შესაძლებლობებს სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. აქ კვლავინდებურად იჩენს თავს, ერთი მხრივ, ძველი ჩვეულება — უდგებოდნენ ამ პრობლემებს ეგრეთ წოდებული მორჩენითი პრინციპის საფუძველზე, როდესაც სოციალურ საჭიროებებს ხმარდება ის, რაც დარჩება ხოლმე წარმოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, და მეორე მხრივ, — ძვალ-რბილში გამჯდარი სხვათა მოიმედობის ფსიქოლოგია. სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება აღკვეთენ ყოველივე ამას. თვით ეკონომიკური მექანიზმი გაიძულებს კაცს იმოქმედო მტკიცედ, გონივრულად, ფხიანად, ერთი სიტყვით, გერგილიანად.

ჩვენი მიღწევები განათლების დარგში საყოველთაოდ არის ცნობილი, და ისინი ერთობ მნიშვნელოვანია ყველაზე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვახორციელებთ უმაღლესი და საშუალო სკოლის რეფორმას. რამ განაპირობა ეს? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ახალმა მოთხოვნებმა, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება უყენებს ადამიანს. და გარდა ამისა, საზოგადოების უძრაობის მოვლენები შეეხო ჩვენს განათლების სისტემასაც: აქაც დავუშვით გულარხეინობა, დავჯერდით მიღწეულს, ამან კი ერთბაშად იმოქმედა ყველაფერზე.

უმაღლესი და საშუალო სკოლის ძირეული რეფორმის მთავარი მიმართულებაა ახალგაზრდობის შრომისათვის მომზადება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით და განთავისუფლება მეორეხარისხოვანი დეტალებისაგან, რაც ბევრს არაფერს აძლევს ადამიანს, და სამაგიეროდ იწვევს გადატვირთვას. საფუძვლიანად იხვეწება მოსწავლეთა ჰუმანიტარული მომზადება, რომლის მიზანია აღზრდა, კულტურის მიღწევათა დაუფლება. უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში მთავარი ყურადღება

ეთმობა სწავლებისა და აღზრდის შემოქმედებითი მეთოდების სტიმულირებას, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების კოლექტივთა თვითმოქმედებისა და დამოუკიდებლობის განვითარებას. ახალი ამოცანები მოითხოვს განათლების მატერიალური ბაზის შეცვლას და რაც მთავარია — მასწავლებელთა მუშაობის ახლებურ დონეს. კვალიფიკაციის ზრდას მატერიალურად მიეცემა სტიმული.

ახლა მიმდინარეობს ქვეყანაში ჯანდაცვის სრულყოფის ძირითად მიმართულებათა საყოველთაო-სახალხო განხილვა. მისი დამთავრების შემდეგ დოკუმენტს განვიხილავთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში, ხოლო შემდეგ — სსრ კავშირის უმაღლეს სობჭოში. ეს კომპლექსური პროგრამა მოითხოვს დიდ სახსრებსა და მასშტაბურ მუშაობას. პირველ ეტაპზე — მეთორმეტე ხუთწლედის დარჩენილი წლებისა და მეცამეტე ხუთწლედისათვის — ფინანსური და მატერიალური რესურსები გამოძებნილია.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ ეფექტიანი დასაქმების პრობლემებსაც, მოვახდინოთ მუშახელის გადაჯგუფება.

ამას რომ ვაკეთებთ, ჩვენ ამავე დროს უფრო ღრმად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ როგორ რეალიზდება სოციალური სამართლიანობის პრინციპი საზოგადოებაში. უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთი უსერიოზულესი დეფორმაციაა გათანაბრებითი მიდგომების ფართო გავრცელება. ამის საფუძველზე ვითარდებოდა სხვათა მოიმედოობა, მუშტრული დამოკიდებულება, მეშჩანური ფსიქოლოგია: რა ჩემი საქმეა, დაე ყველაფერზე უფროსობამ იფიქროსო.

პარტიის XXVII ყრილობაზე სოციალური სამართლიანობის პრობლემა ასე დავაყენეთ: სოციალიზმის დროს მისი საფუძველია შრომა. მხოლოდ ადამიანის შრომა განსაზღვრავს მის ჭეშმარიტ ადგილს საზოგადოებაში, მის სოციალურ სტატუსს, და რახან ასეა, მაშინ ეს გამორიცხავს ყოველგვარ გათანაბრებას.

გათანაბრებითი განწყობილება ზოგჯერ ახლაც იჩენს ხოლმე თავს. ზოგიერთმა მოქალაქემ სოციალური სამართლიანობის მოწოდება „ყველას გათანაბრებად“ აღიქვა. მაგრამ საზოგადოებაში დაყოფებით გაისმის მოთხოვნა — განუხრელად განვახორციელოთ სოციალიზმის პრინციპი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ახლა უწინარეს ყოვლისა მთავარია ადამიანის წვლილი ქვეყნის საქმეებში. უნდა წავახალისოთ

მაღალნაყოფიერი შრომა წარმოებაში, მწერლის, მეცნიერის, ნებისმიერი სხვა პატიოსანი, გამრჯე ადამიანის ნიჭი. ჩვენ აქ ვესწრაფვით სრულ სიცხადეს: სოციალიზმი — ეს გათანაბრება არ არის. სოციალიზმი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრებისა და მოხმარების პირობებს პრინციპით: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით". ასე იქნება კომუნიზმის დროს. ხოლო სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების კრიტერიუმი სხვაგვარია: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით". არ არის ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, არ არის დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, მილიონერებად და ღატაკებად, ყველა ერი თანასწორია, ყველა ადამიანი უზრუნველყოფილია სამუშაოთი, გვაქვს უფასო საშუალო და უმაღლესი განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უზრუნველყოფილი სიბერე. ასეთია სოციალური სამართლიანობის ხორცშესხმა სოციალიზმის დროს.

ახლა, როდესაც საზოგადოებაში მწვავედ დგას სოციალური სამართლიანობის საკითხი, ბევრს ვმსჯელობთ შეღავათების, ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფების წახალისების საკითხზე. ჩვენში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დაწესებული სხვადასხვაგვარი შეღავათები. ამ შეღავათებს ადამიანებს ვუწესებთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით. არის შეღავათები, რომლებიც რეალიზდება წარმოების სფეროში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. მაგალითად, ჩვენ განსაკუთრებულ მზრუნველობას ვიჩენთ თვალსაჩინო მეცნიერების, აკადემიკოსების, მწერლებისადმი. იმათ, ვისაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალისტურ მშენებლობაში, ვანიჭებთ საპატიო წოდებებს. მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, კულტურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, გარკვეული დამატებითი შეღავათებით სარგებლობენ. დაწესებული გვაქვს აგრეთვე შეღავათები სხვადასხვა დარგის, რეგიონის (უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთის, დაშორებული რეგიონების) მუშაკებისათვის, სამხედრო მოსამსახურეების, დიპლომატებისათვის და ა. შ. ვფიქრობ, ასეთი პრაქტიკა სამართლიანია, ვინაიდან იგი მთელი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება. მაგრამ აქაც მთავარია ადამიანის წვლილის მნიშვნელობა და

ოდენობა. ხოლო თუკი ჩნდება პრივილეგიები, რომლებიც სახელმწიფოს არ დაუწესებია, რომლებსაც ზოგ-ზოგები, სარგებლობენ რა თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით, ასე ვთქვათ, საკუთარი თავისათვის „იწესებენ“, ჩვენ მათ აღვკვეთთ როგორც მიუღებელს.

არის საკითხის კიდევ ერთი ასპექტი. ბევრი ჩვენი ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს გამგებლობაში შედის მომსახურების ობიექტები. დიდ საწარმოებში პრაქტიკულად ყველგან მოქმედებს საზოგადოებრივი კვების სისტემა. უმეტესად საწარმოები კისრულობენ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა შენახვის ხარჯების ნაწილს; ამას ერთობლივად აკეთებენ ადმინისტრაცია და პროფკავშირული კომიტეტი, ეს კი ამცირებს კვების ღირებულებას.

ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული სამედიცინო დაწესებულებების ქსელი, რომლებიც მუშაკებს მათი შრომითი საქმიანობის ადგილზე ემსახურებიან. ეს არის არა მარტო პოლიკლინიკები, არამედ აგრეთვე დასასვენებელი სახლები, პროფილაქტორიუმები, რომლებიც განლაგებულია საწარმოსთან ახლოს ან დასვენებისა და საკურორტო მკურნალობის ზონებში. ბევრ საწარმოს აქვს მაღაზიები, შეკვეთების მაგიდები, ატელიეები და ა. შ. აქვთ, ასე ვთქვათ, თავისი მომსახურების სფერო.

თანაც ეს მარტოოდენ საწარმოებში როდია. თუ ავიღებთ მეცნიერებათა აკადემიას, მწერალთა კავშირს, რომელიმე სხვა ორგანიზაციას, მათაც აქვთ თავიანთი სანატორიუმები, პანსიონატები, საგარაკო დასახლებანი. ანალოგიური სამსახურები აქვთ პროფკავშირებს (სხვათა შორის, ქვეყანაში ყველაზე მდიდარ ორგანიზაციას), აქვთ ისინი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებსაც. ასე დამკვიდრდა ისტორიულად.

რა თქმა უნდა, მომსახურების ასეთი ფორმების არსებობისას შეიძლება წარმოიშვას და წარმოიშობა კიდეც პრობლემები. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემულ ტერიტორიაზე მთელი მოსახლეობის მომსახურება ძლიერ ჩამორჩება ხარისხით აღნიშნულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებულ მომსახურებას. ასეთ მოვლენებს, ბუნებრივია, სამართლიანად აკრიტიკებენ მშრომელები. და სწორედ ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას მიღებული პროგრამების რეალიზაციის პროცესში.

ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ ბრძოლას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ამ სოციალურ ბოროტებას საუკუნეთა სიღრ-

მეში აქვს გადგმული ფესვი, ეს მოვლენა ჩვეულებად გვექცა, და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი როდია. მაგრამ საზოგადოება მომწიფდა მკვეთრი შემობრუნებისათვის. ლოთობა და ალკოჰოლიზმი, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, მრავალგზის გაიზარდა და საშიში გახდა თვით ერის მომავლისათვის. მშრომელები ნიადაგ შეგვახსენებენ, რომ გავაძლიეროთ ძალისხმევა ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთები საერთო-საკავშირო მშრალი კანონის შემოღებას მოითხოვენ. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ასეთი კანონის სახელმწიფო მასშტაბით შემოღება არ არის მიზანშეწონილი. და ვუპასუხებთ: გნებავთ — შემოიღეთ მშრალი კანონი თქვენს ოჯახში, დასახლებულ პუნქტში, რაიონში, ბოლოს-დაბოლოს. ათასობით სოფელსა და დაბაში მშრომელებმა ყრილობები გამართეს და დაადგინეს შეეწყვიტათ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა და მოხმარება. ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სანახევროდ შემცირდა. მაგრამ გაძლიერდა არყის შინ გამოხდა. მარტოოდენ ადმინისტრაციული ღონისძიებებით პრობლემას ვერ გადავწყვეტთ. ისეთი ბოროტების დაძლევის ყველაზე საიმედო გზა, როგორიც ალკოჰოლიზმია, გადის დასვენების, ფიზკულტურისა და სპორტის სფეროს განვითარებაზე, კულტურულ-მასობრივ საქმიანობაზე, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციაზე.

III. დემოკრატიზაციის გზით

ჩვენი მთავარი რეზერვი

გარდაქმნის პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ის კი არა, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ გავუღვივოთ და განვუმტკიცოთ საბჭოთა ადამიანებს ქვეყნის სვე-ბედისათვის ბატონპატრონული პასუხისმგებლობის გრძნობა, საზოგადოებრივ საქმეებში პირადი წილნაყარობისა და დაინტერესების გრძნობა. არ შეიძლება არ გვაფიქრებდეს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ იჩენს თავს გარკვეული გაუცხოების ელემენტები, რომლებიც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ურთიერთობების შესუსტე-

ბას კოლექტივებთან, რიგითს მშრომელებთან, სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში მათი როლის შეუფასებლობას.

ადამიანის ფაქტორი მისი ყველაზე ფართო გაგებით ჩვენი მთავარი რეზერვია და მისი რეალიზაციის გზა დემოკრატიზაციაზე გადის.

მთელ შესაძლებლობებს რომ ვამოქმედებთ, უწინარეს ყოვლისა ვაძლიერებთ მთელი ჩვენი ვეგმების სოციალურ მიმართულებას. მინდა მხოლოდ დავძინო, რომ ჩვენ ვიღვწით ორი მხარის: ეკონომიკისა და სოციალური სფეროს შეწონასწორებული თანაფარდობისათვის. თუ უგულებელვყოფთ ამ სფეროს ინტერესებს მარტოოდენ ეკონომიკის ტემპის გულისათვის, მაშინ იკარგება შრომის შედეგებით დაინტერესება. ეს გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, ძირს უთხრის ეკონომიკას. მეორე მხრივ, სოციალური სფერო ისე არ უნდა იყოს მოწყობილი, რომ აჩანაგებდეს ბაზას, ვინაიდან მაშინ ძირი ეთხრება თვით საზოგადოების დინამიკური განვითარების შესაძლებლობას. მაშასადამე, უნდა გამოვნახოთ ოპტიმალური ღონისძიება, რომელიც შეესაბამება ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს. როგორც ჩანს, ამ ორი მხარის თანაფარდობა არ არის რაღაც მუდმივი, სტატიკური მდგომარეობა, იგი იცვლება. დღეს წინა პლანზე დგება სოციალური პოლიტიკა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მორალურ ასპექტს. თუკი ნამდვილად არ ავაღორძინებთ სოციალისტურ ღირებულებებს და სოციალისტურ ატმოსფეროს ჩვენს შრომითს კოლექტივებსა და მთლიანად საზოგადოებაში — მაშინ გარდაქმნა არ გამოგვივა. შეიძლება წამოვაყენოთ სწორი პოლიტიკა, მისი ეფექტიანი მექანიზმები, მაგრამ ვერაფერს ვერ შევძლებთ, თუკი საზოგადოებაში არ მოხდება გაჯანსაღება სოციალიზმის ზნეობრივ ღირებულებათა დამკვიდრების საფუძველზე. და უწინარეს ყოველისა — სოციალური სამართლიანობის, შრომის მიხედვით განაწილების, ყველასათვის ერთიანი დისციპლინის, ერთიანი კანონის, ერთიანი წესისა და მოთხოვნების დამკვიდრების საფუძველზე.

ვაქტიურებთ ადამიანის ფაქტორს მართვის სისტემის, მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის მეშვეობითაც. რა არის სამეურნეო ანგარიში ამ თვალსაზრისით? ეს არის არა მარტო კოლექტივის უფლებები, არამედ მისი პასუხისმგებლობაც. თუკი ვამბობთ: როგორც მუშაობ, ისეც იცხოვრებო, მაშასადამე, ადამიანებს ვაკის-

რებთ პასუხისმგებლობას მათი საკუთარი ბედისათვის. კოლექტივს, ბუნებრივია, უჩნდება შემხვედრი სურვილი ჰქონდეს უფლება რეალურად მართოს საწარმო, შრომითი პროცესი, რომლის შედეგების მიხედვითაც განისაზღვრება მისი შემოსავალი, მისი ცხოვრება. აქაც ერთიანი პროცესის ორი მხარეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეურნეო ანგარიში დაკავშირებულია თვითმმართველობასთან, შრომითი კოლექტივების დამოუკიდებლობასთან.

ახლებურად ვუყურებთ საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის და ერთმმართველობის თანაფარდობასაც. ეს დღეს აქტუალურია. თუ მშრომელები — ბრიგადის, საამქროს, ქარხნის, კომბინატის დონეზე — არ იღებენ მონაწილეობას მმართველობაში შესაბამისი მექანიზმების მეშვეობით, არაფერი გამოვა. უფრო მეტიც, კოლექტივს უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს თავისი ხელმძღვანელი. ის კი უკვე კოლექტივის სახელით იღებს ერთმმართველობის უფლებას, აერთიანებს ყველას ერთიანი ნებით.

სამეურნეო ხელმძღვანელთა არჩევნები — ეს არის უშუალო დემოკრატია წარმოებაში. პირველ ხანებში ზოგ-ზოგები შეშინდნენ, მოჰყვნენ წუწუნს: ეს სად მიგვიყვანს, რით დამთავრდებაო ყველაფერი? მაგრამ იმას, ვინც ასე მსჯელობს, ავიწყდება მთავარი, ავიწყდება, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს საღი აზრი. სადღაც შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავი იჩინოს ჯგუფობრივმა ინტერესებმა, ურთიერთთავდებობამ, მაგრამ პრინციპულად ყველას უნდა, რომ ბრიგადას, საამქროს, საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას სათავეში ედგას საიმედო ხელმძღვანელი, გონიერი კაცი, რომელსაც შეუძლია წინამძღოლობა, რომელიც დაინახავს პერსპექტივას წარმოებისთვისაც და ცხოვრების გაუმჯობესებისთვისაც. ჩვენს ხალხს ეს ესმის, და მას სულაც არ სჭირდება ვითომ გულკეთილი ხელმძღვანელები. არა, მას სჭირდება ნიჭიერი, ყურადღებიანი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანად მომთხოვნი წინამძღოლები.

ადამიანებს სურთ, რომ შეიცვალოს ქარხნის დირექტორის, საამქროს უფროსის, ოსტატის დამოკიდებულება მათდამი. ადამიანები მოელიან ზნეობრივ მაგალითს და, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელებისაგან. ასეთი მაგალითები კი მრავლად გვაქვს. წარმატება იქაა, სადაც კარგი ხელმძღვანელია. მას შეუძლია იზრუნოს

ადამიანებისათვის. მასთან შეხვედრა ყველას უნდა. და ასეთ კაცს არ დასჭირდება ხმას აუწიოს, როდესაც განკარგულებას იძლევა. ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო კაცია, არადა, ყველაფერი ესმის და ახსნაც შეუძლია. ახსნა კი დღეს ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის! ადამიანები მზად არიან გაიჭირვონ, თუკი ესმით, რატომ არის შეუძლებელი ერთბაშად და სრულად დააკმაყოფილონ მათი ესა თუ ის მოთხოვნილებანი.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას ვესწრაფვით აგრეთვე დემოკრატიზაციის მეშვეობით, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, საზოგადოების მორალური ატმოსფეროს გაჯანსაღების მეშვეობით. ჯერ კიდევ ყველა როდი განიმსჭვალა მიმდინარე მომენტის სიმწვავის, მისი გარდამტეხი ხასიათის გაგებით. დიდი გარჯა გვმართებს, რათა გარდაქმნისაკენ ვაქნევინოთ პირი იმათ, ვინც კიდევ რაღაცის მოლოდინშია ან ვისაც ხელს აძლევს არსებული მდგომარეობა.

რუტინული წარმოდგენების ხერგილს ერთი ხელის მოსმით ვერ დასძლევ. ფსიქოლოგიურ ჩვეულებებს, წლების განმავლობაში რომ გვქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, ვერავითარი, თუნდაც ყველაზე მრისხანე დეკრეტით ვერ მოშლი. დასანანია, რომ დღემდე ვერ დაგვიძლევია ბოლომდე ადამიანებთან მუშაობის დრომოჭმული ფორმები, რომლებიც იდეოლოგიური „დარაზმვის“ ორიენტაციასა და ფუჭ ლაყბობასთან არის დაკავშირებული. აქ საჭიროა ხანგრძლივი, დაძაბული ბრძოლა, ძნელი ბრძოლა კაზიონურობასთან, გაზვიადებულ მონუმენტურობასთან, აბსტრაქტულ ლოზუნგობანასთან, ზარზეიმული პარადულობის რეციდივებთან. მთავარია, არ ავუვეთ მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიებს, არ შევაბოჭინოთ ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს ხალხის ინიციატივის მაცოცხლებელი წყარო.

როდესაც ადამიანებს ვესაუბრები ქუჩასა თუ სამუშაო ადგილზე, ყველგან მესმის: „ჩვენში გარდაქმნას ყველანი მხარს უჭერენ“. მე მჯერა ამ სიტყვების გულწრფელობა და სამართლიანობა და მაინც ყოველთვის ვუპასუხებ, რომ ახლა ყველაზე მთავარია ნაკლები ვილაპარაკოთ გარდაქმნაზე და მეტი ვიღვაწოთ მისთვის. საჭიროა მეტი წესრიგი, მეტი კეთილსინდისიერება, ერთმანეთის მეტი პატივისცემა და პატიოსნება. ნამუსიანად უნდა ცხოვრობდე. კარგია, რომ ჩვენს ადამიანებს ეს ესმით. უფრო მეტიც, გული-

თა და გონებით აღიქვამენ. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. არის პოლიტიკა, არის მთავრობა, რომელიც იბრძვის ამ პოლიტიკისათვის, არის ხალხი, რომელიც იზიარებს ამ პოლიტიკას. ეს ყველაზე მთავარია. დანარჩენს ყოველივეს მოევლება, გარდაქმნა გაიშლება, და შედეგიც გვექნება. მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც საბჭოთა ადამიანებთან ცოცხალი, უშუალო შეხვედრებიდან მრჩება, ის არის, რომ მათ თავიანთი ხალხური ალღოთი ღრმად შეუგრძნიათ გარდაქმნის პოლიტიკური და ზნეობრივი აზრი.

კანონიერება დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია

გარდაქმნისა და მისი დედაარსის — დემოკრატიზაციის ფართო და პრინციპული პოზიციებიდან ვუდგებით ჩვენ მტკიცე კანონიერების უზრუნველყოფას, კანონმდებლობის სრულყოფას. უდემოკრატიოდ კანონიერება არ გვექნება. თავის მხრივ, დემოკრატია ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება, თუ კანონიერებას არ ეყრდნობა, ვინაიდან იგი მოწოდებულია დაიცვას საზოგადოება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, უზრუნველყოს მოქალაქეთა, მათს ორგანიზაციათა და კოლექტივთა უფლებები და თავისუფლებები.

აი რატომ ვადგავართ ასე მტკიცედ ამ პოზიციებს. საკუთარი გამოცდილებით ვიცით ისიც, რა ხდება ხოლმე, როდესაც ასეთ პოზიციებს თმობ.

ლენინი, პარტია, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯებიდანვე უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კანონიერების დამყარებასა და დამკვიდრებას. და ეს გასაგებია. ამას მოითხოვდა ახალშექმნილი საზოგადოების პოლიტიკური რეალიები: ახალი ხელისუფლების დამკვიდრება, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმება, მიწის ნაციონალიზაცია, მშრომელთა კონტროლი წარმოებისადმი, მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვა კონტრრევოლუციის შემოტევისაგან — ყოველივე ეს კანონმდებლურად უნდა დაგვესაბუთებინა და გაგვეფორმებინა. სხვაგვარად რევოლუციურ პროცესს ქაოსი ემუქრებოდა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო დაგვემკვიდრებინა მონაპოვარი, უზრუნველგვეყო საბჭოთა ხელისუფლების ნორმალური ფუნქციონირება, დაგვემყარებინა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი წესები.

ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებოდა დეკრეტები. მათ თავიდანვე გამოაცხადეს კანონიერება სახელმწიფო ცხოვრების

ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპად, დასახეს ამოცანა — ჩაგვება მილიონობით მშრომელი ადამიანი ქვეყნის მართვა-გამგეობაში, გვესწავლებინა მათთვის, ლენინის თქმით, „ეომათ თავიანთი უფლებისათვის". ეს იდეა წითელ ზოლად გასდევდა 1918 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციას და მის საფუძველზე სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებას „კანონების ზუსტად დაცვის შესახებ".

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საკანონმდებლო მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. მისი აზრი ის იყო, რომ უზრუნველეყო სოციალისტური გარდაქმნების იურიდიული გაფორმება და დამკვიდრება. კანონმდებლობა და კანონების შესრულებასა და დაცვასთან დაკავშირებული ორგანოების მუშაობა გახდა სახელმწიფო მშენებლობის, ყოველივე იმის მოწესრიგების უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვაგვარი საქმიანობის პროცესში იქმნებოდა. ამასთან ვხელმძღვანელობდით ლენინური მოთხოვნით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერების ერთიანობის შესახებ, იმის საჭიროების შესახებ, რომ „არ უშვებდე ჩვენი კანონებისაგან ოტტისოდენა გადახვევას..."[1].

ამასთანავე არ შეიძლება არაფერი ვთქვათ ისეთ პერიოდზე, რომელსაც ჩვენ პიროვნების კულტის პერიოდს ვუწოდებთ. მან გავლენა მოახდინა კანონებზეც, მათს მიმართულობაზეც და განსაკუთრებით მათ დაცვაზე. უაღრესი ცენტრალიზაციის, თავიდან ბოლომდე მეთაურობის იმედად ყოფნა, ადმინისტრაციული მითითებებისა და აკრძალვების მოჭარბება აკნინებდა კანონის როლს. გარკვეულ ეტაპზე ეს გამოიხატა თვითნებობით, უკანონობის გამეფებით, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო არც სოციალიზმის პრინციპებთან და არც 1936 წლის კონსტიტუციის ნორმებთან. ამისათვის ქვეყნის ხელმძღვანელობას — სტალინსა და მის უახლოეს გარემოცვას — პასუხისმგებლობა ეკისრებათ. გაუმართლებელია ცდები — გაამართლო ეს უკანონობა რაღაც პოლიტიკური აუცილებლობით, საერთაშორისო ვითარების გამძაფრებით ან ვითომდა ქვეყანაში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. კანონების ფეხქვეშ გათელვას შედეგად მოჰყვა ტრაგიკული მოვლენები, რომ-

[1] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 45, გვ. 585.

ლებიც ჩვენ დღემდე ვერ დაგვივიწყებია და ვერ გვიპატიებია. სკკპ XX ყრილობამ მას ყველაზე მკაცრი შეფასება მისცა.

ეს გამოიხატა კანონმდებლობაშიც. აღდგა მისი დემოკრატიული პრინციპები, განმტკიცდა მართლწესრიგი, მოეწყო კანონმდებლობის გარკვეული კოდიფიკაცია.

თანდათან დაინერგა კანონების პროექტისა და სხვა ყველაზე არსებითი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვა. განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მრავალ მილიონ ადამიანს მიუღია მონაწილეობა ოცდაათამდე დიდმნიშვნელოვანი საკავშირო კანონპროექტის განხილვაში, გამოუთქვამს თავისი აზრი მათთან დაკავშირებით, შეუტანია შესწორებები და დამატებანი.

მაგრამ უძრაობის პერიოდი დაკავშირებულია იმასთანაც, რომ შესუსტდა კანონების შესრულების დისციპლინა. კვლავ იჩინა თავი თვითნებობისა და უკანონობის ელემენტებმა, მათ შორის ხელმძღვანელობაშიც. სასამართლოები, პროკურატურა, სხვა ორგანოები, რომლებიც მოვალენი არიან იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და ებრძოდნენ ბოროტმოქმედებას, ხშირად გარემოებათა ტყვეობაში აღმოჩნდებოდნენ და დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფნი, თმობდნენ პრინციპულ პოზიციებს კანონის დარღვევებთან ბრძოლაში. გახშირდა კორუფციის შემთხვევები თვით სამართალდამცველ აპარატში.

ახლა, როდესაც ჩვენ გარდაქმნას შევუდექით, როდესაც გვინდა მტკიცედ მოვიშოროთ თავიდან წარსულის ნეგატიური მოვლენები და ახალი იმპულსი მივანიჭოთ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, დავინახეთ, რაოდენ საჭირო ყოფილა ღრმა გარდაქმნები ჩვენი კანონმდებლობის სფეროში, მთლიანად სოციალისტური კანონიერების სრულყოფაში. ამას მოითხოვს რადიკალური ცვლილებებიც ეკონომიკის მართვის, სოციალური განვითარების მექანიზმში. ეს შეადგენს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის ორგანულ ნაწილს. კანონმდებლობისა და სამართლის სფეროში ჩვენს მიერ მიღებული ღონისძიებები გარდაქმნის პროცესის დასაყრდენი ხდება. ამ მუშაობას ვეწევით სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ სფეროებში რეფორმებთან მჭიდრო კავშირით, ვითვალისწინებთ მშრომელთა სურვილებს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს.

გარდაქმნას ესაჭიროება საზოგადოების ორგანიზებულობის უფრო მაღალი დონე, მოქალაქეთა შეგნებული დისციპლინა. ასე ვიტყვი: რაც უფრო განვითარდება გარდაქმნა, მით უფრო მტკიცედ და თანამიმდევრულად უნდა ვახორციელებდეთ სოციალიზმის პრინციპებს, ვიცავდეთ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რომლებიც კონსტიტუციით, ჩვენი კანონებით არის დამკვიდრებული.

გარდაქმნა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს თვით საკანონმდებლო აქტების შინაარსსაც. კანონი მტკიცედ უნდა იდგეს საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე, კრძალავდეს იმას, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს საერთო-სახალხო ინტერესებს. ეს აქსიომაა. მაგრამ ამ მკაცრ ფარგლებს რომ აწესებს, კანონი ამასთანავე მოწოდებულია საჭირო გასაქანი მისცეს მოქალაქეების, მშრომელთა კოლექტივების, მათი ორგანიზაციების ინიციატივას. კანონის ფარგლებში განვითარებულ აქტიურობასა და ინიციატივას ყოველნაირად უნდა ვუჭერდეთ მხარს და ვახალისებდეთ. ჩვენ ძალზე ბევრი დავკარგეთ, როდესაც, მაგალითად, ვცდილობდით წვრილად ჩამოგვეთვალა საწარმოთა მთელი უფლებები ნაირ-ნაირ ინსტრუქციებში. ამან პრაქტიკულად ის გამოიწვია, რომ ყოველგვარ თაოსნობას, რომლებიც ამ ინსტრუქციების ფარგლებს სცილდებოდა, მიუღებლად მიიჩნევდნენ. გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ ჩვენ გვჭირდება არა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენების საყოველთაო სამართლებრივი რეგლამენტაცია, არამედ ამ საქმეში გონივრული ზომიერების დაცვა, განუხრელი მზრუნველობა იმისათვის, თუ როგორ გავაღვივოთ და განვავითაროთ მუშაკთა, შრომითს კოლექტივთა აქტიურობა, სახალხო ინიციატივის ყველა ფორმა. მკაცრად დავიცავთ პრინციპს: ნებადართულია ყველაფერი, რაც არ არის კანონით აკრძალული.

გარდაქმნის პროცესში უკვე მივიღეთ დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების მთელი სერია. მათ შორის არის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, კანონები აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემის შეცვლის შესახებ, სკოლის რეფორმის შესახებ, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ლოთობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. გამოვეცით კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის

ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესებას, დედისა და ბავშვისათვის ზრუნვის გაძლიერებას.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების განმტკიცებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კრიტიკის ჩახშობისათვის, დადგენილია იმ ზარალის ანაზღაურების წესი, რომელიც მოქალაქეს მიადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების შედეგად. მიღებულია კანონი მოქალაქეთა უფლებების შემლახველი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ.

სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის პრაქტიკამ ახლა იურიდიული დამკვიდრება პოვა კანონში, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1987 წლის ივნისში.

ამავე დროს ჩვენ კარგად გვესმის, რომ გარდაქმნა კვლავაც მოითხოვს ახალ-ახალ ღონისძიებათა განხორციელებას კანონმდებლობისა და მართლწესრიგის სფეროში. დღის წესრიგში უკვე დგება კანონმდებლობის ზოგადი კოდიფიკაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ისეთ თანამედროვე ამოცანებს, როგორიც არის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება, ძლიერი სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალისტური დემოკრატიის ყველა ინსტიტუტის პოტენციალის წარმოჩენა, — ერთი სიტყვით, მან უნდა უზრუნველყოს ხალხის თვითმმართველობის სრული თავისუფლება.

არსებითი ცვლილებები უნდა შევიტანოთ არჩევნების კანონმდებლობაში. 1987 წლის ივნისში საარჩევნო კამპანიის დროს ამ მიზნით განხორციელებული ექსპერიმენტები შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ამ საკმაოდ რთული პრობლემის გადაჭრის მეთოდები. მუშავდება საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემის გარდაქმნასთან და ხელისუფლებისა და მართვა-გამგეობის ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლებასთან. ეს ძალზე შრომატევადი სამუშაოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ეკონომიკის სფეროში ამჟამად მოქმედებს დაახლოებით 30 ათასი საერთო-საკავშირო ნორმატიული აქტი. ბევრი მათგანი მოითხოვს

არსებითს ცვლილებებს, ხოლო ხშირად — უბრალოდ გაუქმებას. ათასობით ასეთი აქტი უკვე გაუქმდა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღების შემდეგ.

თავიანთი ამასწინანდელი ყრილობების შემდეგ პროფკავშირებმა და კომკავშირმა შემოიტანეს წინადადებანი ახალგაზრდობის შესახებ და პროფესიული კავშირების შესახებ კანონთა პროექტების შემუშავების თაობაზე. მიმდინარეობს შრომის კანონმდებლობის მომზადება, მზადდება კანონპროექტები კოოპერაციის შესახებ, შრომითი კოლექტივების კრებების მიერ გადასაწყვეტ საკითხთა წრის გაფართოების შესახებ, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა პენსიების ოდენობის შესახებ, პროდუქციის ხარისხის კრიტერიუმების შესახებ.

დიდი გარჯა მოგვიწევს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა შესატანად. ისიც ასევე მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს საბჭოთა საზოგადოების მოწიფულობის ახლანდელ დონეს. ჩვენი საკანონმდებლო-სამართლებრივი მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვანი ნაწილის სრულყოფა წარიმართება იმ უდიდესი გარდაქმნების კონტექსტით, რომლებიც გარდაქმნასა და დემოკრატიზაციასთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი არჩევითი ორგანოს როლის ამაღლებას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპების, ობიექტურობის, პაექრობის, საჯაროობის უმკაცრეს დაცვას. ამავე მიზნებს ემსახურება ღონისძიებანი, რომლებიც ბოლო დროს განხორციელდა კანონების დაცვისა და ერთგვაროვანი გამოყენებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გასაძლიერებლად, სახელმწიფო არბიტრაჟის ფუნქციების გასაფართოებლად, რომელიც სამეურნეო დავას განიხილავს, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის მოსაგვარებლად, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სხვადასხვა ფორმების გასავითარებლად.

ერთი სიტყვით, გასაწევი გვაქვს უდიდესი მოცულობის სამუშაო, რათა განვამტკიცოთ სოციალიზმის სამართლებრივი საფუძვლები. სამართალი, კანონი, კანონიერება — ეს მარტოოდენ ჩვენი დემოკრატიის გაღრმავებისა და საზოგადოებრივი პროგრესის დაჩ-

ქარების თანამგზავრები როდია. ეს არის გარდაქმნის საიმედო სამუშაო ინსტრუმენტი და მისი შეუქცევადობის მტკიცე გარანტია.

გარდაქმნა და საბჭოები

ახლა, გარდაქმნის ეტაპზე, დემოკრატიის გაჩაღების პირობებში, ახლებურად დადგა ის საკითხები, თუ როგორ შევუხამოთ პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლს.

ავიღოთ ჩვენი საბჭოები. გარდაქმნამ მოითხოვა მთელი სერიოზულობით გავერკვეთ და განვსაზღვროთ მათი ადგილი დაწყებულ ცვლილებებში. საზოგადოების არავითარ ნამდვილ დემოკრატიზაციაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თუკი ამ პროცესში არ ჩავაბით საბჭოები, თუ არ განვახორციელეთ ნოვატორული ცვლილებები მათს საკუთარ მდგომარეობასა და საქმიანობაში.

რუსეთის საბჭოები — ეს არის მსოფლიო პოლიტიკური ისტორიის უნიკალური მოვლენა. ეს არის მშრომელი ხალხის უშუალო შემოქმედების ნაყოფი. ალბათ დასავლეთში ბევრმა არც კი იცის, რომ თვით საბჭოების იდეა და მათი ორგანიზაციის პირველი ცდები ოქტომბრის რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1905 წელს შეიქმნა. ცარიზმის დამამხობელი თებერვლის რევოლუციის შედეგად საბჭოები ხელისუფლების ორგანოებად იქცა მთელი რუსეთის მასშტაბით, თუმცა ისინი შეზღუდული და „განახევრებული“ იყო ორხელისუფლებიანობით (ისინი დროებითი მთავრობის პარალელურად არსებობდნენ). და, ბუნებრივია, საბჭოები გახდა პოლიტიკური საფუძველი ახალი რესპუბლიკისა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში იშვა. თვით ჩვენს სახელმწიფოს საბჭოების რესპუბლიკა ეწოდა.

საბჭოები რომ არ გვქონოდა — ვერ გავიმარჯვებდით სამოქალაქო ომში. საბჭოები რომ არ გვქონოდა — ვერ შევაკავშირებდით უზარმაზარი ქვეყნის ხალხთა მრავალმილიონიან მასებს, უწინარეს ყოვლისა მუშებსა და გლეხებს. საბჭოები რომ არ გვქონოდა — არაფერი არ გამოგვივიდოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკით. მათი ძალა ის არის, რომ თვით მასების მიერ შექმნილი საბჭოები გამოვიდნენ მშრომელთა ინტერესების უშუალო გამომხატველებად და დამცველებად. მთელ ქვეყანაში მათი ელვისებური, შეიძლება ითქვას, სტიქიური გავრცელების თავისებურება და საიდუმლო ის არის, რომ ისინი თვითონ იღებდნენ გადაწყვე-

ტილებებს და თვითონ ახორციელებდნენ, თანაც საჯაროდ, იმათი მხრივ ღია კონტროლის პირობებში, ვისაც ეს გადაწყვეტილებები ეხებოდა. ეს არის უშუალო დემოკრატიისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის შეხამების უნიკალური და უაღრესად ეფექტიანი ფორმა.

მაგრამ მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემის წარმოშობამ თითქოს ერთგვარად შეავიწროვა საბჭოები. ბევრი საკითხი მათი გვერდის ავლით, მათი მონაწილეობის მიუღებლად წყდებოდა, ანდა უბრალოდ გადაუწყვეტელი რჩებოდა და პრობლემად იქცეოდა ხოლმე. ამან დაღი დაასვა საბჭოების ავტორიტეტს. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო სოციალისტური დემოკრატიის განვითარების დამუხრუჭება. გაჩნდა ნიშნები მშრომელთა გაუცხოებისა კონსტიტუციის უფლებისაგან — უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. სერიოზული ზიანი მიადგა სოციალისტური რევოლუციის პრინციპს — არა მარტო მშრომელთა ხელისუფლება, არამედ აგრეთვე ხელისუფლება, რომელსაც თვით მშრომელები ახორციელებენ.

რაღა დასამალია, და ასეთ პირობებში ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელიც უპატივცემულოდ ეკიდებოდა საბჭოების კანონიერ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს. თითქოს ყველასათვის ცხადი იყო, ამას ფორმალურად არავინ უარყოფდა, — რომ ადგილობრივი საბჭო უნდა იყოს სრული ბატონ-პატრონი თავის ტერიტორიაზე და პასუხს აგებდეს ყველაფრისათვის, რაც მის განვითარებასა და მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას შეეხება. მაგრამ მეურნეობის ორგანოების შესაძლებლობებთან შედარებით საბჭოების რეალური შესაძლებლობა არ აძლევდა მათ ამ ფუნქციების შესრულების საშუალებას. ბევრი, განსაკუთრებით დიდი საწარმოების დირექტორები, ადმინისტრაცია ისე კადნიერდებოდნენ, რომ არად აგდებდნენ საბჭოების დაჟინებულ და სწორ მოთხოვნებს — აეშენებინათ საცხოვრებელი სახლები, სოციალური და კულტურული ობიექტები, საწმენდი ნაგებობანი, განევითარებინათ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კეთილმოეწყოთ ტერიტორია და ა. შ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს არ აწუხებდა მშრომელებს, პარტიულ ორგანოებს. იყო ცდებიც — გამოესწორებინათ საქმე, შეეცვალათ

სიტუაცია. მაგრამ ეს კეთდებოდა დუნედ, გაუბედავად — არა იმდენად ობიექტური, რამდენადაც სუბიექტური გარემოებების გამო. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მიღებულია 14 დადგენილება საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. და არცთუ ურიგო დადგენილებები. მაგრამ საქმეს საშველი არ ადგებოდა. იმიტომ, რომ დამუხრუჭების მექანიზმის მთელი ვითარება — ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, მთელი თავისი მასით ეწინააღმდეგებოდა საბჭოების, თავიანთი ბუნებით ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის ორგანოების, როლის აქტივიზაციას.

ახლა ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ხელმძღვანელობისა და მმართველობის ადმინისტრაციულ-ძალდატანებითი მეთოდების ფართოდ გავრცელების შედეგად, როდესაც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მუშაობის ბევრ სფეროში იმძლავრა ბიუროკრატიულმა მიდგომებმა, ჩვენ სრულად ვერ გამოვიყენეთ საბჭოების პოტენციალი ხალხის სასიკეთოდ.

საბჭოების როლის შესუსტების პირობებში წარმოიშვა ფენომენი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციებისა და საქმიანობის შეცვლას პარტიული ორგანოების მიერ.

თავის მხრივ, პარტიული ორგანოების მიერ საბჭოების მაგიერობის პრაქტიკამ დაღი დაასვა თვით პარტიულ, საკუთრივ პოლიტიკურ მუშაობას. პარტიულ მუშაკთა ენერგია უნდებოდა სამეურნეო საქმეებს, ადმინისტრაციულ საქმიანობას. და კადრებსაც შესაბამისად არჩევდნენ ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც პროფესიულად მომზადებული იყვნენ, მაგრამ ხშირად არ გამოირჩეოდნენ საიმისო უნარითა და ცოდნით, რომ მასების ნამდვილი წინამძღოლნი ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, წარმოიშვა თავისებური გადახრა დემოკრატიული ორგანიზმის მთელ ფუნქციონირებაში, რომელიც თავის წარმოშობას ჩვენს სოციალისტურ რევოლუციას უნდა უმადლოდეს.

ამრიგად, გარდაქმნის პროცესში ჩვენს წინაშე დადგა უდიდესი ამოცანა: მთელი სისრულით აღგვედგინა საბჭოების, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოების, როგორც სოციალისტური დემოკრატიის მატარებლისა და მძლავრი ფაქტორის როლი.

ახლა ჩვენ ვაღორძინებთ საბჭოების მთელ ავტორიტეტსა და უფლებამოსილებას, ვუქმნით მათ პირობებს, რათა სრულფასოვნად, აქტიურად და შემოქმედებითად იმუშაონ გარდაქმნის პირობებში.

იანვრის პლენუმმა პარტიულ კომიტეტებს მოუწოდა მკაცრად დაეცვა საბჭოების როლის ამაღლების გეზი, უარი ეთქვათ მათს საქმეებში ჩარევაზე და მითუმეტეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მაგიერობაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ თვით საბჭოების ხელმძღვანელებიც, საბჭოთა აპარატი ამოქმედდნენ სრული ძალით, დაძლიეს ინერცია, ჩვეულება სულ მუდამ ვიღაცას შეჰყურებდნენ, ელოდონ მითითებებს. გარდაქმნის ეტაპზე საბჭოების როლის შესახებ მიღებული ახალი სამართლებრივი დოკუმენტები ხელს უწყობენ დემოკრატიული საწყისების გაძლიერებას მათს საქმიანობაში, საბჭოების აღმასრულებელ ორგანოებში. მათთვის მთავარი უნდა იყოს ხალხთან კავშირი. ახალი გადაწყვეტილებები საბჭოებს შესაძლებლობას აძლევს ისე წარმართონ თავიანთი მუშაობა, რომ სახალხო ხელისუფლების ნამდვილ ორგანოებად გამოიჩინონ თავი. მათ მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები, რათა კოორდინაცია და კონტროლი გაუწიონ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობას საბჭოსადმი საქვეუწყებო ტერიტორიაზე.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯები საბჭოების რევოლუციური, დემოკრატიული არსის აღდგენის გზაზე. მომავალ საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე ჩვენ განვიხილავთ საარჩევნო სისტემის, ყველა საფეხურის საბჭოების საქმიანობის სრულყოფის საკითხებს. უკვე მიმდინარეობს წინადადებათა მომზადება. ახლა ჯერჯერობით ნაადრევია მივცეთ მათ შეფასება, მაგრამ შეგვიძლია აღვნიშნოთ მათი მთავარი თავისებურება — ისინი მიზნად ისახავენ საბჭოთა დემოკრატიის გაღრმავებას.

პროფკავშირთა ახალი როლი

პირობები, რომლებშიც ახლა ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა, ამოცანები, რომლებიც დღეს წყდება, გვაიძულებს ახლებურად გავიაზროთ პროფესიული კავშირების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქ უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას: ჩვენი პროფკავშირები

უდიდესი ძალაა. არც ერთი კანონი შრომის შესახებ არ მზადდება საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობის მიუღებლად. შრომის კანონმდებლობის, მისი შესრულებისა და მშრომელთა უფლებების დაცვის საკითხებში პროფკავშირებს ეკუთვნით უკანასკნელი სიტყვა. თუკი რომელიმე ადმინისტრატორი პროფკავშირის დაუკითხავად გაათავისუფლებს მუშაკს, სასამართლო ავტომატურად აუქმებს ასეთ გადაწყვეტილებებს, ისე რომ, არც კი ჩაწვდება მის შინაარსს, და მხოლოდ იმიტომ, რომ პროფკავშირს არ გამოუთქვამს თავისი თვალსაზრისი. არც ერთი გეგმა — არც წლიური და არც ხუთწლიანი — არ შეგვაქვს უმაღლეს საბჭოში ისე, თუ პროფკავშირმა არ მოგვცა თანხმობა. და გეგმების მომზადების სტადიაშიც მონაწილეობენ ყველა საფეხურის პროფკავშირები.

სოციალური დაზღვევა, მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო უზრუნველყოფა, ტურიზმი, ფიზკულტურა, სპორტი, ბავშვთა დასვენება და გაჯანსაღება — ყოველივე ეს პროფკავშირთა ხელთ არის. მაშასადამე, მათს ხელთ არის რეალური ძალაუფლება. მაგრამ, ვაი რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დაქვეითდა პროფკავშირთა აქტიურობა. მთელი რიგი პოზიციების მიხედვით მათ დაუთმეს თავიანთი პრეროგატივები ადმინისტრაციას, ხოლო ზოგ უფლებას არაეფექტიანად იყენებდნენ.

სწორედ ამიტომ, გარდაქმნას რომ შევუდექით, ჩვენ დავინახეთ, რომ ვერ ვიქნებით კმაყოფილნი პროფკავშირთა მუშაობით. ყუბანში ყოფნისას მე ვუსაყვედურე პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ ისინი ხშირად ცდილობენ მაამებლურად მოერგონ ადმინისტრაციას, თვალებში შესციცინებენ და ექლესავეებიან. ხომ არ დადგა დრო, ბოლოსდაბოლოს დაადგნენ თავიანთ პრინციპულ პოზიციას, მტკიცედ გაატარონ მშრომელთა დაცვის გეზი?

გარდაქმნის პირობებში პროფკავშირთა ახალ როლად მიმაჩნია უწინარეს ყოვლისა ის, რომ მათ უნდა ილვაწონ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სოციალური მიზანმიმართულების გაძლიერებისათვის, წინააღუდგნენ ტექნოკრატიულ მისწრაფებებს ეკონომიკაში, რომლებმაც უკანასკნელი წლების მანძილზე ფართო გავრცელება პოვა. ეს კი ნიშნავს, რომ პროფკავშირებს მართებთ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო-სამეურნეო გეგმე-

ბის სოციალურ განყოფილებათა შემუშავებაში, ხოლო საპირეოების შემთხვევებში — წამოაყენონ და დაიცვან თავიანთი ალტერნატული წინადადებები.

პროფკავშირული კომიტეტი უნდა იყოს ადმინისტრაციის ნამდვილი, და არა მაამებელი პარტნიორი. შრომის ცუდი პირობები ზოგიერთ საწარმოში, სუსტი სამედიცინო სამსახური, უხეირო საყოფაცხოვრებო ოთახები — ყოველივე ამას პროფკავშირული ორგანიზაციები ყველგან თითქოს შეეგუენ. არადა, საბჭოთა პროფკავშირებს აქვთ უფლება კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის მიერ შრომითს შეთანხმებათა დაცვას, გააკრიტიკონ მისი მოქმედება, ის კი არა, აქვთ უფლება მოითხოვონ დირექტორის მოხსნა და მოახსნევინონ კიდეც, თუ იგი არღვევს მშრომელთა კანონიერ ინტერესებს.

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს სოციალიზმის დროს მშრომელებს დაცვა არ სჭირდებათ. ისინი კიდევ უფრო მეტად უნდა დავიცვათ, ვინაიდან სოციალიზმი მშრომელთა წყობილებაა. აქედან მომდინარეობს სოციალიზმის დროს პროფკავშირთა უდიდესი პასუხისმგებლობაც. მთელი საბჭოთა საზოგადოება სისხლხორცეულად არის დაინტერესებული პროფკავშირთა უფრო აქტიური მუშაობით.

ახალგაზრდობა და გარდაქმნა

გარდაქმნის უდიდესი პოტენციალია მოქცეული ჩვენს ახალგაზრდობაში. აკი სწორედ ახალგაზრდობამ უნდა იცხოვროს და იმუშაოს განახლებულ საზოგადოებაში. და, ბუნებრივია, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მისი შრომის, სწავლისა და დასვენების ორგანიზაციას. ახალგაზრდობა ახლა დგება ცხოვრების გზაზე, ეძიებს თავის ადგილს ცხოვრებაში. ეს ადამიანისათვის ძნელი პერიოდია. მიმდინარეობს ოჯახის, პროფესიული ჩვევების, პოლიტიკური სახის. მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბება. მიმდინარეობს თვით პიროვნების ჩამოყალიბება. ამიტომ მაქსიმალური ყურადღება გვმართებს ახალგაზრდობისადმი, კომკავშირისადმი.

გადავწყვიტეთ ასე გავუძღვეთ საქმეს: არც ერთი საკითხი, რომელიც ახალგაზრდობის არსებითს პრობლემებს ეხება, არ უნდა გადაიჭრას, თუ კომკავშირის აზრი არ გვეცოდინება. ეს როდი

ნიშნავს თითქოს ვცდილობდეთ ვიღაცას ვასიამოვნოთ, კომკავშირის გულის მოგებას ვაპირებთ. არა! ჩვენ გვმართებს მტკიცედ ავამაღლოთ მისი პასუხისმგებლობა. არაფერი არ ახდენს ისეთ ეფექტიან გავლენას მოზარდი თაობის სახის ჩამოყალიბებაზე, მის უნარზე — კისრად იღოს ქვეყნის აწმყო და მომავალი, როგორც ნდობა, როგორც ახალგაზრდობის ჩაბმა რეალურ-პოლიტიკურ და სამეურნეო პროცესში. რა ფასი ექნება იმას, თუ ახალგაზრდობას დავუწყებთ მხარზე ხელის თათუნს, ქედმაღლურ ყურებას ან ლაციცს. არა, კომკავშირსა და ახალგაზრდობას უნდა მივცეთ შესაძლებლობა ნამდვილად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი. საჭიროა თავიდან ავაცილოთ ახალგაზრდობას წვრილმანი მეურვეობა და ზედამხედველობა, გამოვუმუშაოთ პასუხისმგებლობა და ნდობა რეალურ საქმეში.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა პარტიულ ხელმძღვანელებს მოუწოდა გააძლიერონ ყურადღება ახალგაზრდობის შრომითი, იდეური და ზნეობრივი წრთობისადმი. მასთან მუშაობაში შეუწყნარებელია ჭკუის სწავლების ტონი და ადმინისტრირება. რითიც უნდა აიხსნებოდეს ისინი — ახალგაზრდების მისწრაფებებისა და ქცევის სიმწიფისადმი უნდობლობით თუ ელემენტარული თავიზღვევიაობით, სურვილით — გავუადვილოთ შვილებს ცხოვრების გზა, — ასეთ პოზიციას ვერანაირად ვერ დავეთანხმებით. დღეს ახალგაზრდობის ცხოვრებასა და საქმიანობაში არის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ჯერ ერთი, იგი უნდა დაეუფლოს სახალხო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის საშუალებათა მთელ არსენალს, შთაბეჭროს თავისი ახალგაზრდული ენერგია დემოკრატიზაციას ცხოვრების ყველა დონეზე, აქტიურად ჩაებას სოციალურ შემოქმედებაში. უამისოდ შეუძლებელია დაჩქარება და საერთოდ ყოველგვარი პროგრესი. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ახალგაზრდა გრძნობდეს თავის წილნაყარობას ქვეყნის მთელი საქმეებისა და საზრუნავისადმი. მეორე, ახალგაზრდა თაობა მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მონაწილეობდეს ჩვენი ეკონომიკის უდიდეს მოდერნიზაციაში, უწინარეს ყოვლისა, კომპიუტერიზაციის, ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების ათვისების მეშვეობით. საზოგადოების ინტელექტუალური პოტენცია-

ლის განახლება, გამდიდრება — აი, რას მოველით ახალგაზრდობისაგან.

რთულია ახალგაზრდობის სოციალურ პრობლემათა კვანძი. ბევრი ხელმძღვანელი ხშირად მოუწოდებს ახალგაზრდობას დახმარებას, მაგალითად, ახალმშენებლობებზე, მაგრამ მაშინვე ავიწყდება იგი, როცა სოციალური საკითხები წყდება. ჩვენ ასეთ მიდგომას უარვყოფთ. მხარს ვუჭერთ ახალგაზრდობის შესახებ ისეთი კანონის მიღების იდეას, რომელშიც კი არ გავიმეორებთ ყოველივე იმას, რაც ყველა საბჭოთა მოქალაქეს ეხება, არამედ საგანგებოდ გამოვყოფთ ქალიშვილთა და ჭაბუკთა სპეციფიკურ პრობლემებს, უფლება-მოვალეობებს. ახალგაზრდობის შესახებ კანონი შესაძლებლობას მოგვცემს დავაკონკრეტოთ კომკავშირისა და სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების, სხვა ორგანიზაციების თანამოქმედება ახალგაზრდების სწავლის, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების საკითხებში. იგი აამაღლებს სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობას ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია 1987 წელს გამართულმა კომკავშირულმა ყრილობამ. მან ცხადყო, რომ კომკავშირს ესმის თავისი პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, გამოავლინა ახალგაზრდობის მხურვალე მისწრაფება კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივი განახლების პროცესში. ამასთანავე გაგვახარა თვით ყრილობის მომთხოვნმა ატმოსფერომაც. მართალი გითხრათ, არასდროს გვქონია დისკუსიაში მონაწილეობის ისეთი დიდი სურვილი, როგორც ამ ყრილობაზე. დამყარდა უაღრესად ცოცხალი კონტაქტი გულისხმიერ აუდიტორიასთან, რომელიც აღგანთებდა თავისი ენერგიით.

ყველაფრით იგრძნობა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთელი სულითა და გულით იზიარებს ქვეყანაში დაწყებულ რევოლუციურ ცვლილებებს, მზად არის შეუერთოს მათ თავისი ახალგაზრდული ენერგია, თავისი სულიერი შემართება.

ქალებისა და ოჯახის შესახებ

დღეს ქვეყანას სჭირდება, რომ ეკონომიკის, კულტურის მართვაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალები. ამ მიზანს ემსახურება ქალთა საბჭოები, რომლებიც დღეს მთელ ქვეყანაში შეიქმნა.

იანვრის პლენუმზე დავაყენეთ საკითხიც ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა უფრო ფართო დაწინაურების შესახებ, მითუმეტეს, რომ მილიონობით ქალი მუშაობს ჯანდაცვაში, განათლებაში, კულტურაში, მეცნიერებაში. ბევრი ქალი შრომობს მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

როგორც ცნობილია, საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ დონეზე ქალთა ემანსიპაციის მიხედვით მსჯელობენ.

საბჭოთა სახელმწიფომ მტკიცედ და უცილობლად მოუღო ბოლო ქალის ყოველგვარ დისკრიმინაციას, რომელიც მეფის რუსეთს ახასიათებდა. მთლიანად გაუთანასწორა იგი საზოგადობრივი მდგომარეობით მამაკაცს და უზრუნველყო ეს კანონით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ქალს: მამაკაცის თანასწორი შრომის უფლება, არავითარი განსხვავება იგივე შრომისათვის ანაზღაურებაში, სოციალური დაცვა. ქალს მიენიჭა განათლების მიღების, სამსახურებრივი კარიერის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ყველა შესაძლებლობა. და ქალთა აქტიური წვლილი და თავდადება რომ არა, ჩვენ ვერ ავაშენებდით ახალ საზოგადოებას და ვერ გადავრჩებოდით ფაშიზმთან ომში.

მაგრამ ძნელი ყოველდღიური საქმეებით დატვირთულთ, ჩვენ თითქოს მხედველობიდან გამოგვრჩა ქალის სპეციფიკური უფლებები და მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკავშირებულია დედის, ოჯახის დიასახლისის როლთან, მის უბადლო ფუნქციასთან, შვილების აღზრდის ფუნქციასთან. ქალს, რომელიც დაკავებულია მშენებლობაზე, წარმოებაში, მომსახურების სფეროში, მეცნიერებაში, ეწევა შემოქმედებითს მუშაობას, უბრალოდ აღარ დარჩა დრო ცხოვრებისეული საქმეებისათვის — ოჯახური მეურნეობის, შვილების აღზრდისა და უბრალოდ ოჯახში მყუდროების დაცვისათვის. აღმოჩნდა, რომ ბევრი უბედურება — ბავშვთა და ახალგაზრდათა ქცევაში, საზოგადოებრივი ზნეობის, კულტურის საკითხებში თუ წარმოებაში — დაკავშირებული ყოფილა ოჯახური ურთიერთობის შესუსტებასთან, ოჯახური მოვალეობის დევალვაციასთან.

აი, ასეთი პარადოქსი მოხდა, თუმცა ჩვენ გვქონდა გულწრფელი და პოლიტიკურად საესებით გამართლებული მისწრაფება ყვე-

ლაფერში გაგვეთანაბრებინა ქალი მამაკაცთან. მაგრამ ამ ხარვეზის გამოსწორება, რომელიც თითქოს საზოგადოების ღირსებათა გაგრძელება გახდა, ჩვენ დავიწყეთ გარდაქმნის პროცესში. ამიტომაც არის, რომ ახლა ასე მწვავედ და მგზნებარედ განვიხილავთ პრესაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საერთოდ ყველგან — შინ თუ სამუშაოზე — იმ საკითხს, თუ როგორ დავუბრუნოთ ქალს სრულად მისი ჰეშმარიტად ქალური დანიშნულება.

გვაქვს ასეთი პრობლემაც — ქალთა დასაქმება მძიმე სამუშაოებზე, რომლებიც ვნებენ მათს ფიზიკურ მდგომარეობას. ეს შედეგად მოჰყვა ომს, მოსახლეობის მამრობითი ნაწილის კოლოსალურ დანაკარგებს და მუშახელის მწვავე ნაკლებობას ყველგან და ყველაფერში, წარმოების ყველა სფეროში. ჩვენ ამ პრობლემის გადაჭრასაც სერიოზულად მოვკიდეთ ხელი.

ოჯახის გაჯანსაღება, საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში მისი როლის ამაღლება ახლა ჩვენთვის ყველაზე აქტუალური სოციალური ამოცანაა, მათ შორის, ლოთობასთან ბრძოლაში. ჩვენ ბევრს მოველით ქალთა საბჭოების აქტიურობისა და ინიციატივისაგან. ისინი აჩაღებენ მუშაობას. და ბევრის გაკეთება შეუძლიათ — აბა, სხვა რომელი ორგანიზაცია ეხება ასე ახლოს ცხოვრების პირად გარემოებებს, ქალის საფიქრალ-საზრუნავს.

საზოგადოების დემოკრატიზაცია, რომელიც არის გარდაქმნის ხერხემალი და გარანტი, წარმოუდგენელია, თუ არ ავამაღლეთ ქალის როლი, თუ არ გვექნა ქალთა ქმედითი და სპეციფიკური ჩარევა და მონაწილეობა მთელ ჩვენს გარდაქმნებში. დარწმუნებული ვარ, ქალთა როლი ჩვენს საზოგადოებაში განუხრელად გაიზრდება.

სოციალისტური ერების კავშირი უნიკალური წარმონაქმნია

ჩვენ მრავალეროვან სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ეს თვისება ფაქტორია მისი ძლიერებისა, და არა სისუსტის, არა დეზინტეგრაციისა. მეფის რუსეთს ხალხთა საპყრობილეს უწოდებდნენ. რევოლუციამ, სოციალიზმმა ბოლო მოუღეს ეროვნულ ჩაგვრას, უთანასწორობას, უზრუნველყვეს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკური და სულიერი პროგრესი. წინათ ჩამორჩენილმა, ბეჩავმა ხალხებმა შეიძინეს განვითარებული მრეწველობა, თანამედროვე სოციალური სტრუქტურა, გავიდნენ მოწინავე კულ-

ტურის დონეზე, თუმცა წინათ ზოგიერთ მათგანს თავისი საკუთარი დამწერლობაც კი არ ჰქონდა. ყოველმა მიუკერძოებელმა კაცმა არ შეიძლება არ აღიაროს, რომ ჩვენმა პარტიამ ამ სფეროში გიგანტური გარდამქმნელი მუშაობა გასწია. მისმა შედეგებმა გაამდიდრეს საბჭოთა საზოგადოება და საერთოდ მსოფლიო ცივილიზაცია.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ერმა და ეროვნებამ წვლილი შეიტანეს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დამკვიდრებასა და განვითარებაში, ერთად იცავდნენ მის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, მის რევოლუციურ მონაპოვრებს მტრის შემოსევისაგან. ჩვენს ქვეყანაში პრინციპულად გადაწყვეტილი რომ არ გვქონოდა ეროვნული საკითხი, მაშინ არ გვექნებოდა არც ის საბჭოთა კავშირი, რომელიც ახლა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, თავდაცვითი თვალსაზრისით წარმოგვიდგება. ჩვენი სახელმწიფო ვერ გადარჩებოდა, რომ არ მომხდარიყო რესპუბლიკების ფაქტობრივი გათანასწორება, რომ არ წარმოშობილიყო ძმობისა და თანამშრომლობის, პატივისცემისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე დამყარებული ერთობა.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს ეროვნული პროცესების უპრობლემობას. წინააღმდეგობანი სჩევია ყოველგვარ განვითარებას, ისინი აქაც წარმოიშვა. სამწუხაროდ, წინათ ჩვენ ძირითადად მივმართავდით ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში ნამდვილად დიდი შიღწევების კონსტატაციას, ვაფასებდით მდგომარეობას საზეიმო სიტყვების მეშვეობით. არადა, ეს არის მჩქეფარე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მთელი თავისი სირთულეებით.

აქ დიალექტიკაა: განათლებისა და კულტურის ზრდასთან, ეკონომიკის მოდერნიზაციასთან ერთად ყოველ ხალხს უჩნდება თავისი ინტელიგენცია, ეზრდება ეროვნული თვითშეგნება, უვითარდება ბუნებრივი ინტერესი თავისი ისტორიული ფესვებისადმი. ეს შესანიშნავია. ეს ის არის, რასაც ესწრაფვოდნენ სხვადასხვა ეროვნების რევოლუციონერები, რომლებიც ჩვენს რევოლუციას ამზადებდნენ და ახალი საზოგადოების შენებას იწყებდნენ მეფის იმპერიის ნანგრეეებზე. ასეთ დროს ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ადამიანთა გარკვეულ ნაწილში თავს იჩენს ნაციონალიზმი. ვლინდება ეროვნული შეზღუდულობა, ეროვნული მეტოქეობა, ამპარტავნობა.

მთავარია არა მარტო ეს, არამედ ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს საზოგადოებაში, უწინარეს ყოვლისა ის, რომ ერთ თა-

ობას მეორე ცვლის და ყოველმა თაობამ უნდა გაიაროს მრავალეროვან სახელმწიფოში ცხოვრების სკოლა. ეს პროცესი ყოველთვის როდი მიმდინარეობს იოლად და უბრალოდ. სოციალიზმს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ყოველ ერს ფრთა გაეშალა, ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ გადაჭრას ეროვნული პრობლემები ხალხთა თანასწორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. ამასთან უნდა ვმოქმედებდეთ სოციალისტური პრინციპების სულისკვეთებით, ნიადაგ გვახსოვდეს, რომ დაზრდილმა ახალმა თაობებმა ხშირად არც კი იციან, როგორ მიიღწიეს მათმა ხალხებმა ასეთ აღმაფრენას. მათთვის არავის აუხსნია ხეირიანად, რამდენ წელიწადს და როგორ უწყობდა მათ ხელს ინტერნაციონალიზმი.

ეროვნებათშორისი შუღლის ფონზე, რომლისგანაც მსოფლიოს თვით ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც კი არ არიან თავისუფალნი, სსრ კავშირი წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში ნამდვილად უნიკალურ მაგალითს. და ეს არის ნაყოფი იმ ეროვნული პოლიტიკის, რომლის სათავეებთანაც იდგა ლენინი. არა_ და, რაოდენ ძნელი, ძნელზე ძნელი იყო დასაწყისი, პირველი ნაბიჯები მრავალეროვანი სახელმწიფოს შშენებლობაში. სწორუპოვარი როლი შეასრულა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში რუსმა ერმა. ლენინური ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე ქვეყნის მრავალმა ერმა გამოიარა თავისებური აღორძინებისა და განათლების გზა. და როდესაც ამას ვიღაც უპასუხებს ეროვნული მედიდურობით, იკეტება საკუთარ თავში და ცდილობს „თავისი“ გაასაღოს აბსოლუტურ ღირებულებად— ეს უსამართლობაა, ამას ვერ დავეთანხმებით. ეს მუდამ ხდება ხოლმე საბჭოთა საზოგადოებაში გაცხოველებული და საფუძვლიანი სჯა-ბაასის საგანი.

ყოველი ეროვნული კულტურა ისეთი განძია, რომლის დაკარგვაც წარმოუდგენელი უაზრობაა. მაგრამ ჯანსაღი ინტერესი ყოველივე ფასეულისადმი, რაც გააჩნია თითოეულ ეროვნულ კულტურას, არ უნდა გადაგვარდეს იმ ცნებად, რომ გაემიჯნო ეროვნული კულტურების თანამოქმედებისა და დაახლოების ობიექტურ პროცესს.

მეორე საფრთხე ის არის, როდესაც ერთი ეროვნების წარმომადგენლებს ეტყობათ მეორე ეროვნების ადამიანთა მიმართ უპატივცემულობა. ჩემი ცხოვრების მრავალი წელი გავატარე ჩრდი-

ლოეთ კავკასიაში — ეს კი ნამდვილად მრავალეროვანი მხარეა. აქ ყოველ ქალაქში, დაბაში, სოფელში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, იგივე ითქმის საერთოდ მთელ რეგიონზეც. კავკასიის ისტორიას ბევრი მძიმე მოვლენა ახსოვს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ სიტუაცია ძირეულად შეიცვალა. არ გეგონოთ, რაიმეს ვაიდეალებდე, მაგრამ ამ მრავალეროვანი რაიონის ბინადარ ეროვნებათა ურთიერთობისათვის მაინც მთავარი დამახასიათებელი ნიშანია პატივისმცემლური დამოკიდებულება, თანამშრომლობა, დაახლოება და შეკავშირება. საკუთარი გამოცდილებით ვიცი: მთიელები ძალზე აფასებენ მეგობრობას და ამავე დროს ძალზე მგრძნობიარენი არიან შათ მიმართ ქედმაღლობის თუნდაც უმცირესი გამოვლენისადმი. მაგონდება: ყარაჩაი-ჩერქეზეთში — სტავროპოლის მხარეში შემავალ ავტონომიურ ოლქში — ცხოვრობენ ყარაჩაელები, ჩერქეზები, რუსები, აბაზინები, ნოღაელები, ოსები, ბერძნები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. და ცხოვრობენ მეგობრულად. ამის საფუძველია თანასწორობა და სამართლიანი მიდგომა ყველა პრობლემის გადაჭრისადმი. თუ ოდესმე მომხდარა ამ პრინციპებისაგან გადახვევა, ეს ძვირად დაგვჯდომია. ამ პატარა ავტონომიაში შემოინახა და ვითარდება ყველა ეროვნებათა კულტურა, უფრთხილდებიან მათს ტრადიციებს, უშვებენ ლიტერატურას აქ მცხოვრებ ყველა ხალხთა ენებზე. და ეს კი არ აცალკევებს ხალხებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს დაახლოებას. არ არის საკმარისი გამოაცხადო ერების თანასწორუფლებიანობა, მთავარია. ყველა ერი მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში იყოს ჩაბმული.

მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა: თუკი წარმოიშობა ნეგატიური მოვლენები ადამიანური ურთიერთობის ამ ფრიად ფაქიზ სფეროში, ისინი წარმოიშობა არა ცარიელ ადგილზე, არამედ კერძოდ ბიუროკრატიზმის, კანონიერ უფლებათა უგულებელყოფის გამო. დროდადრო ჩვენში ჩაღდება ხოლმე დისკუსიები ეროვნული ენების განვითარების შესახებ. რა შეიძლება აქ ითქვას? ყველაზე მცირერიცხოვან ერსაც კი ვერ ეტყვი უარს ენაზე. ეს ხომ საკაცობრიო კულტურაა მთელი მისი მრავალფეროვნებით, როგორც მოატანა ჩვენამდე, მთელი თავისი მრავალენოვნებით, ჩაცმა-დახურვით, ადათ-წესებით, გარეგნული იერსახით. ეს ჩვენი საერთო სიმდიდრეა. განა შე-

იძლება იჩენდე მისდამი უყურადღებობას, ურიგდებოდე მის დაკნინებას?

მაგრამ ამავე დროს, როდესაც კაცი ჩვენს უზარმაზარ მრავალეროვან ქვეყანაში ცხოვრობ, ფონს ვერ გახვალ ისეთი ურთიერთობის საშუალების გარეშე, როგორიც ბუნებრივად გახდა რუსული ენა. ეს ენა ყველას სჭირდება, თვით ისტორიამაც განსაზღვრა, რომ ურთიერთობის ობიექტური პროცესი ვითარდება ყველაზე დიდი ერის ენის საფუძველზე. ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში თავი მოიყარეს მრავალი ერის წარმომადგენლებმა, მაგრამ საერთო ენა გახდა ინგლისური. ეტყობა, ეს ბუნებრივი არჩევანი იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლებული ყველა ერის წარმომადგენლებს თავ-თავიანთ ენებზე რომ ელაპარაკათ და არ მოენდომებინათ ინგლისურის სწავლა! ასეა ჩვენს ქვეყანაშიც. მით უმეტეს, რომ რუსმა ერმა მთელი თავისი ისტორიით დაამტკიცა, რომ მას აქვს ინტერნაციონალიზმის, სხვა ხალხებისადმი პატივისცემისა და კეთილმოსურნეობის უდიდესი პოტენციალი. ცხოვრებამ დაამტკიცა — უნდა ვსწავლობდეთ ორ ენას (უცხოურის გარდა): მშობლიურს და ურთიერთობისათვის — რუსულს.

ეროვნულ ნიადაგზე ვნებათა გაღვივების ყოველმა ცდამ შეიძლება შხოლოდ გააროულოს გონივრული გადაწყვეტილების ძიება. ჩვენ არ ვაპირებთ თავი ავარიდოთ ამ და სხვა წამოჭრილ პრობლემებს, ჩვენ გადავწყვეტთ მათ დემოკრატიული პროცესის ფარგლებში, განვამტკიცებთ ჩვენს ხალხთა ინტერნაციონალისტურ ერთობას.

ლენინი გვასწავლიდა უაღრესი სიფრთხილე და სიფაქიზე გამოგვეჩინა ეროვნულ საკითხში. ასეთ საქმეებში არ შეიძლება და არც უნდა იყოს სქემები. ერთი რამ ცხადია: როდესაც ერების ძირეული ინტერესები ემთხვევა, როდესაც ეროვნებათშორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს ყველაფერში თანასწორობის პრინციპი — არადა, სწორედ ასე გვაქვს საქმე საბჭოთა საზოგადოებაში,— მაშინ ყველაზე ძნელ სიტუაციებშიც კი შესაძლებელია გადავწყვიტოთ ყოველგვარი წამოჭრილი პრობლემა და წინააღმდეგობა. რა თქმა უნდა, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც ბევრნი არიან ისეთები, ვისაც სურს ძირი გამოუთხაროს, შეასუსტოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და შეკავშირება. მაგრამ ეს უკვე ᲡᲣᲚ სხვა მოვ-

ლენაა. აქ სადარაჯოზე დგას საბჭოთა კანონი, რომელიც იცავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის შონაპოვრებს.

ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვენ მტკიცენი და პრინციპული ვიქნებით. ადამიანთა ეროვნულ გრძნობებს პატივს უნდა სცემდე, მათი უგულებელყოფა არ იქნება, მაგრამ ეროვნული გრძნობებით სპეკულირება დანაშაული თუ არა, პოლიტიკური უპასუხისმგებლობაა. ჩვენს პარტიას ტრადიციულად მოსდგამს პრინციპული ბრძოლა ეროვნული შეზღუდულობისა და შოვინიზმის, კუთხურობის, სიონიზმისა და ანტისემიტიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა იყოს გამოხატული ისინი. ჩვენ ამ ტრადიციების ერთგულნი ვართ. მთელი ჩვენი გამოცდილება ცხადყოფს: ნაციონალისტურ მიმდინარეობებს ყოველთვის შეიძლება წარმატებით დაუპირისპირდეს მხოლოდ თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი, ინტერნაციონალისტური აღზრდა.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ეროვნულ რაიონებში რომ ვმოგზაურობ, ადამიანებთან შეხვედრისას სულ მუდამ ვრწმუნდები, რომ ისინი აფასებენ და ამაყობენ იმით, რომ მათი ხალხები ეკუთვნიან ერთ დიდ ინტერნაციონალურ ოჯახს, რომ ისინი განუყოფელი ნაწილი არიან უზარმაზარი და დიადი სახელმწიფოსი, რომელსაც ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაცობრიობის პროგრესში. სწორედ ეს არის **საბჭოთა** პატრიოტიზმი. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი ერების კავშირსა და ძმობას.

ავტორიტეტი და ნდობა

გარდაქმნამ მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა — როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. იგი სიღრმე-სიგანით შიემართება. გარდაქმნა ვითარდება და ამავე დროს წყვეტს პრობლემებს, სძლევს სიძნელეებს. ინიციატორად, იდეების გენერატორად, ორგანიზატორად, ხელმძღვანელად და, მე ვიტყოდი, სოციალიზმის განმტკიცების ინტერესებისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის მიმდინარე გარდაქმნის გარანტად გვევლინება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ჩვენს პარტიას აკისრია ჭეშმარიტად ისტორიული პასუხისმგებლობა. თავის დროზე, 1917 წელს, ვ. ი. ლენინმა თქვა: რევოლუციას რომ დაიწყებ, იგი ბოლომდე უნდა მიიყვანოო. ასეა გარდაქმნაც — პარტია ბოლომდე მიიყვანს მას. პარტიის ავტორიტეტი და მისდამი ნდობა იზრ-

დება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის ეტაპზე ვიმყოფებით, პარტიული ორგანოები ცდილობენ შეძლებისდაგვარად არ იკისრონ სამეურნეო და ადმინისტრაციულ უწყებათა ფუნქციები. თუმცა ეს არ არის ადვილი: თითქოს ნაცადი გზაა — გაისარჯო პარტიული ხაზით და უზრუნველყო გეგმის შესრულება. მაგრამ პარტიის ამოცანა სხვაა — უწინარეს ყოვლისა, თეორიულად იაზრებდეს პროცესებს, დროზე აგნებდეს წინააღმდეგობათა განვითარების კრიზისულ წერტილებს, შეჰქონდეს კორექტივები სტრატეგიასა და ტაქტიკაში, ამუშავებდეს პოლიტიკას და განსაზღვრავდეს მისი რეალიზაციის მეთოდებსა და ფორმებს, არჩევდეს და ანაწილებდეს კადრებს, უზრუნველყოფდეს გარდაქმნას ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად. ყოველივე ამას მის გარდა სხვა ვერავინ შეძლებს.

მმართველობის საქმეებს, სამეურნეო საქმეებს უნდა უვლიდნენ სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, ვის კომპეტენციაშიც შედის ეს. ასეთი მიდგომა გვიკარნახა ისტორიულმა პრაქტიკამ, და იგი არ არის უბრალოდ ვიღაცის მოგონილი. პარტიამ უნდა აკეთოს თავისი საქმე. ყველა სხვამ — თავისი. იქ, სადაც ეს არ არის, სუსტდება პარტიული ხელმძღვანელობა, იდეოლოგიური, საკადრო მუშაობა.

ჩვენი საზოგადოება ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ პარტიაში მიმდინარე ყველა მოვლენა გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე. ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ოპოზიცია არ არის. მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, როგორც შმართველ პარტიას. აი, რატომ არის, რომ ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია შემდგომ განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია, განვამტკიცოთ მუშაობაში კოლეგიურობის პრინციპები, გავაფართოოთ საჯაროობა პარტიაშიც. ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული ადამიანებისაგან მოითხოვს თავმდაბლობას, წესიერებას, პატიოსნებას, მაამებლობისა და პირფერობისადმი შეუწყნარებლობას. პარტიაში არ შეიძლება იყვნენ ისეთები, რომლებსაც არ ეხებოდეთ კრიტიკა, ისევე როგორც არ შეიძლება იყვნენ ისეთები, რომლებსაც არ ჰქონდეთ კრიტიკის უფლება.

ჩვენთვის ცხადი იყო, რომ უნდა დაგვეწყო აზროვნებისა და ფსიქოლოგიის, მუშაობის ორგანიზაციის, სტილისა და მეთოდების

გარდაქმნით. უნდა დაგვეწყო ადამიანებით, და უწინარესად ხელმძღვანელი კადრებით.

ჩვენ მტკიცედ დავადექით ინიციატივიან, მოაზროვნე, ენერგიულ ადამიანთა მხარდაჭერის კურსს, რომლებსაც შეუძლიათ თვითკრიტიკულად აფასებდნენ საქმის მდგომარეობას, დასძლიონ ფორმალიზმი და შაბლონი მუშაობაში, მიაგნონ ახალ, არაორდინალურ გადაწყვეტებს, შეუძლიათ და სწადიათ გაბედულად იარონ წინ, მიაღწიონ წარმატებას. გარდაქმნა მათ შემოქმედებითი საქმიანობის ფართო გასაქანს ანიჭებს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არ არის საჭირო მთლიანად შეცვალო მთელი კადრები. ეს შეუძლებელიც კია. რა თქმა უნდა, შეიძლება გვექნეს გადაადგილება როგორც უმაღლეს, ისე შუა ეშელონებში, მურნეობათა დონეზე, საჭიროა ახალი, მაცოცხლებელი ძალების მოზღვავება. კაცმა რომ თქვას, სწორედ ასეც ხდება ახლა. გარდა ამისა, თავს იჩენს ბუნებრივი პროცესიც: ზოგიერთები უკვე მიუახლოვდნენ თავიანთი შრომითი საქმიანობის საბოლოო შედეგს. ეს გასაგებიცაა. ანდა ზოგს აღარ ძალუძს იტვირთოს ახალი ამოცანები. ესეც გასაგებია, და არაა საჭირო სიტუაციის დრამატიზება.

ყოველ დროს აქვს თავისი მოთხოვნები, თავისი მიდგომები, ჰყავს თავისი მოწინავენი. ვისაც შეუძლია გარდაქმნას და ახალ გზებს დაადგეს პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში, ის იმუშავებს და ექნება მშრომელებისა და პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერა. ჩვენი კადრების ძირითადი მასა მზად არის ამისათვის, თუნდაც მეტ-ნაკლებად: ერთი უფრო მალე აღიქვამს ახალ მოთხოვნებს, მეორემ, შესაძლოა კიდევ იფიქროს. პრინციპულად ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ჩვენი კადრების ძირითად შემადგენლობას ხელეწიფება გადაჭრას გარდაქმნის ამოცანები. ამავე დროს ვერ შევურიგდებით იმას, რომ ყველაფერი მიგვიდიოდეს უწინდებურად, აუჩქარებლად, ახალ სიჩქარეთა ჩაურთველად.

გარდაქმნა მუშაკთაგან მოითხოვს კომპეტენტურობას და მაღალ პროფესიონალიზმს. დღეს ფონს ვერ გავალთ, თუ არ გვექნა თანამედროვე და მრავალმხრივი მომზადება, თუ არ გვექნა ღრმა ცოდნა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, მართვის, ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგში. საერთოდ, ჩვენ გვმართებს მაქსიმალუ-

რად ავამოქმედოთ ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი, არსებითად გავზარდოთ მისი შემოქმედებითი უკუგება.

მინდა, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო პარტიის თეორიული საქმიანობის მნიშვნელობა. ამ მიმართულებითაც დიდი მუშაობა გვაქვს გაჩაღებული. მაგრამ აქაც ვისწრაფვით გავაღრმაოთ დემოკრატიული საწყისები, არ დავუშვათ ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მონოპოლია. სკკპ ცენტრალური კომიტეტი საკითხს ისე აყენებს, რომ ამ მუშაობაში ჩავაბათ პარტიის, საზოგადოების მთელი შემოქმედებითი ძალები. თუ ჩვენს საქმიანობაში მხოლოდ ცენტრიდან, ანდა, კიდევ უარესი — ერთი პირის ან პირთა ჯგუფისაგან იქნება ყველაფერი მომდინარე, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ აზრის გაყინვამდე მივიდეთ. ეს კი მომაკვდინებელ ლახვარს ჩასცემდა გარდაქმნასაც და, საერთოდ, მთელი საზოგადოების განვითარებასაც. ამისი გაკვეთილები გვაქვს სკკპ ისტორიაში — მწარე, მძიმე გაკვეთილები. არ შეიძლება საზოგადოებრივ მეცნიერებას, შემოქმედებითს ძალებს პარტიაში უთმობდე მხოლოდ ამა თუ იმ გადაწყვეტილებებისა თუ დიდთანამდებობიანი ამხანაგების სიტყვების კომენტატორთა როლს, ჩვენ ვარჩიეთ სხვაგვარი მიდგომა — ვიმოქმედებთ ლენინური სულისკვეთებით, ლენინური ტრადიციებით.

IV. დასავლეთი და გარდაქმნა

ჩვენ ნიადაგ გვაინტერესებს, როგორ აღიქვამენ ჩვენებურ გარდაქმნას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, დასავლეთში. გვაინტერესებს არა ცნობისმოყვარეობის გამო, არამედ პოლიტიკოსთა მოვალეობისა გამო. ვხედავთ, რომ გარდაქმნის პროცესები მზარდ ინტერესს იწვევს არა მარტო თავისთავად, არა მარტო როგორც დიადი ხალხის სვე-ბედის საკითხი. ჩვენს გარდაქმნას საამართლიანად აღიქვამენ როგორც დიდი საერთაშორისო შედეგების მქონე მოვლენას. „ის, რაც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს, მთელ მსოფლიოს შეეხება“, — წერდა ერთი დასავლეთგერმანული გაზეთი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხალხთა უდიდესი უმრავლესობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რომლებიც შეუნელებელი ცხოველი ინტერესით ეკიდებიან ჩვენს გარდაქმნას, ოპტიმიზმით შემოგვყურებს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს გარდა-

ქმნებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხი შეუდგა. ჩვენი გარდაქმნისაგან ბევრს მოელიან მთელ მსოფლიოში, მოელიან იმედით, რომ იგი პოზიტიურ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიო განვითარებაზე, მთლიანად, საერთაშორისო ურთიერთობებზე.

რაც შეეხება ოფიციალურ წრეებს და დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეტ ნაწილს, ამ გარემოში თავდაპირველად ბევრს არ სჯეროდა იმ ცვლილებათა რეალობა, რომლებიც ჩვენ 1985 წლის აპრილში გამოვაცხადეთ. საკმარისად იყო გესლიანი გამოთქმებიც: რა დიდი რამეა, ერთმა გუნდმა შეცვალა მეორე და ახლა მოიჩქარის ახალი კონცეფციებითა და პროგრამებითო. რუსები ემოციური ხალხია, მათთან ეს მიღებულია — ახალი ხელმძღვანელები მთელ ცოდვებს წინანდელებს აბრალებენ, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩებაო. გავა ხანი, ეს კრიტიკაც ჩაცხრება და ახალი თაოსნობებიც დაავიწყდებათო.

მაგრამ, ასეთი პოზიცია დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. უაღრესად ცხადი იყო, რომ გარდაქმნა ისტორიული რეალობაა, რომ პროცესი ძალას იკრებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ უკვე ვეღარ აუვლიდნენ გვერდს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად დაუდგა გაბედული და შორსგამიზნული გარდაქმნების ხანა.

კიდევ უფრო მკაფიოდ აღერდა ახალი მოტივები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის კომენტარებში. თანდათან აღიარებდნენ, რომ მეურნეობის მართვის დარგში წამოყენებული რეფორმების გაქანებამ და რადიკალობამ მეტ წილ სოვეტოლოგთა პროგნოზებს გადააჭარბა. დასავლეთში ბევრნი, ჩვენ ვხედავთ ამას, არ მოელოდნენ ესოდენ გულახდილსა და ღრმა სჯაბაასს, ესოდენ მასშტაბურ კონსტრუქციულ ღონისძიებებს. „სანახევრობის“ ეპითეტი, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაკრავდნენ ივნისამდე, ვგონებ, უკვე მოდიდან გამოიყვანეს ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა. ჩვენ შორს გავცდით იმ „ცარცის წრის“ ფარგლებს, დასავლელმა ინტერპრეტატორებმა რომ შემოუხაზეს ჩვენს შესაძლებლობებსა და განზრახვებს. არადა, ჯერ კიდევ პლენუმის წინ საკმაოდ იყო მტკიცებები, „გორბაჩოვის ცვლილებათა კამპანია“ თანდათან ცხრებაო.

ახლა ალაპარაკდნენ „მეორე რევოლუციაზე“, გარდაქმნის შე-

უქცევადობაზე, ამბობენ, ახლად შექმნილ ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძველზე იგი „ახალ ნახტომს“ აკეთებსო. კაცმა რომ თქვას, სწორად შეუგრძვნიათ გარდაქმნის გზებზე ივნისის პლენუმის საეტაპო ხასიათი. მით უფრო აქტუალურად დადგა საკითხი მისდამი დამოკიდებულების შესახებ. ყოველი მხრიდან გვაკრიტიკებენ გარდაქმნის ტემპის გამო. „მარცხნიდან“ — იმისათვის, რომ ნელა მივდივართ, „მარჯვნიდან“ — იმისათვის, რომ ერთობ ჩქარა მივაბიჯებთ. მაგრამ მაინც ყველანი ერთსულოვანი არიან თუნდაც იმაში, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი რეფორმების საქმეს.

დასავლელ მეთვალყურეებს აღელვებთ, რა შედეგებს მოუტანს საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოს ის, თუ გარდაქმნა არ გაჩერდება. ვერ გაუციათ პასუხი კითხვაზე: რა აჯობებს დასავლეთისათვის, მისი წარმატება თუ წარუმატებლობა?

ამ კითხვებზე პასუხების დიაპაზონი, ბუნებრივია, უაღრესად ფართოა. ბევრი სერიოზული სპეციალისტი აღიარებს, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვნად დაჩქარდეს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ხაზს უსვამს, რომ გარდაქმნის წარმატებანი პოზიტიურ შედეგებს მოიტანენ საერთაშორისო მასშტაბითაც. მსოფლიო გაერთიანება, მათი საღი აზრით, მხოლოდ მოგებული დარჩება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის, დემოკრატიის შემდგომი განვითარების შედეგად. თვით საბჭოეთში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების გაქანება არის მისი მშვიდობისმოყვარე საგარეო-პოლიტიკური კურსის დამამტკიცებელი საბუთიცა და თავისებური მატერიალური გარანტიაც. აქედან მომდინარეობს პრაქტიკული რეკომენდაციებიც დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელობისადმი: არ შეუშინდნენ გარდაქმნას, არ გადააქციონ იგი ფსიქოლოგიური ომის ობიექტად, პირიქით, ხელი შეუწყონ მას ეკონომიკური ურთიერთობის, კულტურული და ჰუმანიტარული გაცვლის შექანიზმის მეშვეობით, სერიოზულად აღიქვან საბჭოთა კავშირის ინიციატივები განიარაღებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საკითხებზე, ესწრაფონ შეთანხმებებს ამ საკითხთა გამო.

აქ აღარ მოვიყვანთ ბევრ, ჩვენი აზრით, სადავო შეფასებასა და გაანგარიშებას, მთლიანად კი ასეთი პოზიცია რეალისტურად მიგვაჩნია, მივესალმებით მის ზოგად კონსტრუქციულ მიზანმიმართულო-

ბას. იგი შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღების ამოცანებს, გამოხატავს ფართო საზოგადოებრიობის განწყობილებას.

თავიანთ შორსმჭვრეტელობას ავლენენ ის პოლიტიკური მოღვაწენი, ვისაც მიაჩნია, რომ დასავლეთი ისტორიული მასშტაბის შეცდომას ჩაიდენდა, რომ არ გამოხმაურებოდა მოსკოვიდან მიღებულ პოზიტიურ სიგნალებს, რომ არ უკუეგდო ცრუ წარმოდგენები საბჭოთა კავშირზე, საკუთარი მცდელობით შექმნილი მისტიფიკაციები.

მაგრამ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, პოლიტიკურ დისკუსიებში ფრიად აქტიურად უწევენ პროპაგანდას მეორე, აშკარად საპირისპირო პოზიციასაც. არ ცხრება ცდები— სახელი გაუტეხონ ჩვენს პოლიტიკას და განზრახვებს. პრესა სავსეა პესიმისტური წინასწარმეტყველებითა და შიშისმომგვრელი მასალებით საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დინამიზმის მოჭარბებასთან დაკავშირებით. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რაოდენ ძლიერი ყოფილა „ცივი ომის“ ინერცია, რაოდენ ღრმად ჰქონია გამჯდარი ფესვი ანტისაბჭოურობას, ფესვი, რომელსაც გარკვეული წრეების ანგარებითი ინტერესები ასაზრდოებს. ყოველივე მარტოოდენ თეორიული პაექრობითა და პროპაგანდისტული მეცადინეობით რომ ამოიწურებოდეს, შეიძლებოდა ამაზე ყურადღება არც კი მიგვექცია. ბოლოს და ბოლოს, თვით ცხოვრება გამოაჩენს, სად არის სიმართლე. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქედან მომდინარეობს გარდაქმნით დაშინების დებულებაც, აი, ნახავთ, რას მოგვიტანსო საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის და, მაშასადამე, „საბჭოთა საფრთხის“ გაძლიერება. და რახან ასეა, მაშინ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაშ- ყველაფერი უნდა ვიღონოთ გარდაქმნის დასამუხრუჭებლად და ჩასაშლელადო. ამასთან ხელმძღვანელობენ პირწავარდნილი ანტისაბჭოელების პრინციპით: „რაც უარესია სსრ კავშირისათვის, მით უკეთესია დასავლეთისათვის“.

უკიდურესი მემარჯვენე წრეები არ მალავენ მტრულ დამოკიდებულებას გარდაქმნისადმი. ეს გარდაქმნა ხომ აცამტვერებს მათ ვარაუდებს, რომ სოციალიზმი მიმზიდველს ვერაფერს დაუპირისპირებს „თავისუფალ სამყაროს“. ამ ჯურის ხალხისათვის საბჭოთა საზოგადოების „სოციალური უძრაობის“ დახავსებულ დოგმაზე უარის თქმა იდეოლოგიური კატასტროფის ტოლფასია. მაშინ იძულე-

ბული გახდებოდნენ გადაესინჯათ ანტისაბჭოურობის მთელი დოქტრინაც, მისგან გამომდინარე პოლიტიკური დებულებები. მაშინ ხომ აორთქლდებოდა მონაჩმახიც „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, რომელიც ვითომდა იქიდან მომდინარეობს, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ვერ აუდის შინაგან სიძნელეებს, ექსპანსიას მიმართავს.

ის კი არა, თვით საჯაროობისა და დემოკრატიზაციის სახელის გატეხვასაც კი ცდილობენ. მაგალითად, იუწყებიან ცრუ ამბებს სსრ კავშირიდან, თანაც საბჭოთა პრესას იმოწმებენ. შემდეგ აღმოჩნდება ხოლმე, რომ საბჭოთა გამოცემებში მსგავსი არაფერი დაწერილა. სურთ პროვოკაციულად გამოგვიწვიონ, რათა შეეზღუდოთ, დავამუხრუჭოთ საჯაროობა, განვუდგეთ დემოკრატიზაციას, გამოიწვიონ, ასე ვთქვათ, გაღიზიანება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. აქ ძევს მიზანიც — ძირი გამოუთხარონ გარდაქმნის პროცესებს, რომლებიც წარმოუდგენელია საჯაროობისა და დემოკრატიზაციის განუხორციელებლად.

გააქტიურდა ცდები — უნდობლად განაწყონ ჩვენი მოქალაქენი გარდაქმნის პოლიტიკური კურსის სისწორისადმი, გვაშინებენ სიძნელეებით, აღვივებენ არარეალისტურ მოლოდინს. იმედი აქვთ, რომ ხელმძღვანელობას დაუკარგავენ ნდობას ხალხის თვალში, ერთმანეთს წაჰკიდებენ ცალკეულ ხელმძღვანელებს, გათიშავენ პარტიას, გათიშავენ საზოგადოებას.

ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, მეტადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა წარმოსახონ „ლიბერალიზაციად“, რომელიც დასავლეთის ზემოქმედებით ხორციელდება. რა თქმა უნდა, რაც აქვთ, იმას ვერ დაუკარგავ დასავლელ პროპაგანდისტებს — ისინი ფრიად პროფესიულად ეწევიან დემოკრატიობანას სიტყვიერ თამაშს. მაგრამ ჩვენ დასავლეთის საზოგადოებათა დემოკრატიზმს ვირწმუნებთ მაშინ, როდესაც იქ მუშები და მოსამსახურეები თავიანთ საერთო კრებებზე თავისუფლად აირჩევენ ფაბრიკა-ქარხნების მფლობელებს, ბანკების დირექტორებს და ა. შ., როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი რეგულარულად გააკრიტიკებენ კორპორაციებს, ბანკებსა და მათ მესვეურებს, გააცნობენ მკითხველებს დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე რეალურ პროცესებს და თავს გაანებებენ მარტოოდენ უსაშველო და უმაქნის კამათს პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

ჩვენი რეფორმის ზოგიერთ კრიტიკოსს გარდაქმნის დროს მტკივნეულ მოვლენათა გარდაუვალობა დაუჩემებია. გვიქადიან ინფლაციას, უმუშევრობას, ფასების ზრდას, სოციალურ ფენებად დაშლის გაძლიერებას, ანუ ყოველივე იმას, რაც ასე „უხვად“ არის დასავლეთში. ანდა ასეთ რამეს გვიჩიჩინებენ: ცენტრალურ კომიტეტს უძლიერესი ოპოზიცია — პარტიულ-სახელმწიფო აპარატი უპირისპირდებაო. ან მიმართავენ ასეთ სვლას: თქვენშიო, არმიაც წინააღმდეგია და ჯერ არც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს უთქვამსო თავისი სიტყვა. რას აღარ კადრულობენ.

შაგრამ გული უნდა დავწყვიტოთ ჩვენს ოპონენტებს. დღეს პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის წევრები შეკავშირებული არიან ისე, როგორც არასდროს, და ამ შეკავშირებას ვერავინ შეარყევს. არმიაშიც, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტშიც და ნებისმიერ სხვა უწყებაშიც უმაღლესი ავტორიტეტია პარტია, პარტიას ეკუთვნის პოლიტიკურად გადამწყვეტი სიტყვა. გარდაქმნამ მხოლოდ კიდევ უფრო მეტად განაშტკიცა პარტიის პოზიციები, მიანიჭა ახლებური თვისება მის მორალურსა და პოლიტიკურ როლს საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ სერიოზული დასავლელი მიმომხილველნი ხედავენ ჩვენი ცვლილებების სოციალისტურ ხასიათს, ხედავენ შათს მიზანსწრაფვას სოციალიზმის დასამკვიდრებლად. იმათ კი, ვინც დასავლეთის საზოგადოებრიობას გარდაქმნით აფრთხობს, ნამდვილად ეშინია მისი წარმატებისა. ეს იმიტომ არის, რომ გარდაქმნა ძირს უთხრის შესაძლებლობას გამოიყენონ „საბჭოთა მუქარის“ საფრთხობელა, მიჩქმალონ ჩვენი ქვეყნის რეალური სახე კარიკატურული და ამაზრზენი „მტრის სახით“, განაგრძონ ამ დემაგოგიური ლოზუნგებით უაზრო გამალებული შეიარაღება და გამდიდრდნენ მისი წყალობით.

მართლაც, თუ ჩვენი განვითარების გეგმები წარმატებით შესრულდება, შაშინ რაღა აზრი აქვს გამოუტენონ ადამიანებს თავი სისულელით, თითქოს სოციალიზმი ცხოველუუნარო სისტემაა და არ შეუძლია ადამიანები საჭმელ-სასმელითა და ჩაცმა-დახურვით უზრუნველყოსო? ირღვევა მთელი კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ქვეყანას სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ, როგორც „ბოროტების იმპერიას“, წარმოსახავდნენ ოქტომბერს ისტორიულ შეცდომად, ხოლო ჩვენს ოქტომბრისშემდგომ გზას „ისტორიის

ზიგზაგად". ასეთი გარდაქმნა ბევრ ვინმეს მართლაც არ აძლევს ხელს.

„ახლა უგუნურად ცდილობენ ჩირქი მოსცხონ და სახელი გაუტეხონ სსრ კავშირში მიმდინარე რეფორმებს, — წერს დასავლეთ-გერმანული ჟურნალი „შტერნი", — თანაც ამტკიცებენ, სინამდვილეში ეს რეფორმები მხოლოდ კომუნიზმს აძლიერებენ და კრემლს სწადია ერთი რამ: სისტემა უფრო ეფექტიანად აქციოსო. მაგრამ, ღმერთო ჩემო, თუკი კორუფციისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლა, თუკი აზრთა მეტი თავისუფლება კომუნიზმს აძლიერებს, მაშინ, ამ ლოგიკის თანახმად, დემოკრატია საუკეთესო შასაზრდოებელი გარემო ყოფილა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის!" ამ მრავლისმთქმელ ციტატას დაესძენ რამდენიმე სიტყვას. სოციალიზმი სინამდვილეში პრინციპულად შეუთავსებელი რომ იყოს დემოკრატიასა და ეკონომიკურ ეფექტიანობასთან, როგორც მისი მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, მაშინ ამ უკანასკნელთ არაფერი ჰქონიათ სადარდებელი თავიანთი ბედისა და თავიანთი მოგების გამო.

და თუ ჩვენ საკუთარ თავს ვაკრიტიკებთ ისე, როგორც არასდროს და არავის გავუკრიტიკებივართ — არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, და არც არსად, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ და არ გვეშინია ჩვენი მომავლისა. ჩვენ გავუძლებთ ამ კრიტიკას, ხალხიც გაუძლებს და პარტიაც გაუძლებს. ხოლო როდესაც ჩვენი რეფორმები გათვალისწინებულ შედეგს მოგვიტანს, მაშინ სოციალიზმის კრიტიკოსებსაც მოუწევთ „გარდაიქმნან".

ჩვენ ისინი ჩავაყენეთ რთულ მდგომარეობაში, იმიტომ, რომ გაცილებით უკეთ ვიცით ჩვენი ნაკლოვანებანი, ვწერთ და ვლაპარაკობთ მათ შესახებ გაცილებით უფრო გულახდილად და საქმის ზუსტი ცოდნით. და ადამიანებს დასავლეთში თანდათან აღარ სჯერათ ის სისულელე საბჭოთა კავშირის შესახებ, რომლითაც კვლავინდებურად უტენიან მკითხველს თავს დასავლეთში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს როდი უწყობს ხელს დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

ამერიკელებთან, დასავლეთის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან საუბრებისას მე პირდაპირ ვეკითხები ხოლმე, გწადიათ თუ არა თქვენ, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლოს მეტი სახსრები მოახმაროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებს თა-

ვის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების წილის შემცირების გზით? ანდა, პირიქით, დასავლეთი ცდილობს ეკონომიკურად გააცალოს ქანცი საბჭოთა კავშირს გამალებული შეიარაღების გზით, ჩაგვიშალოს დაწყებული უზარმაზარი მუშაობა ქვეყანაში, აიძულოს საბჭოთა ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტი და მეტი სახსრები გამოყოს არასაწარმოო ხარჯებისათვის, შეიარაღების მიჯნებისათვის? ნუთუ იმის იმედად არიან, რომ საბჭოთა კავშირი შინაური პრობლემების გადამკიდე, სხვა ვერაფრისთვის მოიცლის, თვითონ კი მსოფლიოში იპარპაშებენ?

არის საკითხის მეორე მხარეც. ისინი, ვისაც საბჭოთა კავშირისათვის ქანცის გაცლის იმედი აქვს, ერთობ თვითდაჯერებულად აფასებენ საკუთარ ეკონომიკურ ჯანმრთელობას. რაოდენ მდიდარიც უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატები, ყოველწლიურად მესამედ ტრილიონამდე დოლარის გაღება სამხედრო ხარჯებისათვის მასაც არ დააყრის კარგ დღეს. სამხედრო დანახარჯების მრუდთან ერთად ზევით-ზევით მიიწევს საბიუჯეტო დეფიციტის მრუდი. თუ მის მასშტაბს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების ორი მესამედი კრედიტით ხორციელდება. ამერიკის შეერთებული შტატების საზელმწიფო ვალი — ეს არის, არსებითად, პენტაგონის ვალი, რომლის გასტუმრება ამერიკელთა მრავალ თაობას შოუწევს. ოდესმე ხომ დაადგება საშველი ამ საქმეს. თუმცა ეს თვით ამერიკელთა საქმეა.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი მექმნება, ზოგიერთ ამერიკელ პოლიტიკოსს, გამუდმებით რომ აქებ-ადიდებენ კაპიტალისტურ სისტემას და რეკლამას უწევენ თავიანთ დემოკრატიას, მიუხედავად ამისა, მაინცდამაინც არ სჯერათ მათი, უფრთხიან სსრ კავშირთან შშვიდობიან პირობებში შეჯიბრებას. სწორედ ამიტომ ვერ ელევიან სამხედრო მანქანას, მიმართავენ დაძაბულობის გამძაფრებას და ა. შ. გული მიგრძნობს, ამ სტრიქონების წამკითხავი მიმომხილველნი დაწერენ, სამწუხაროდ, გორბაჩოვს ცუდად სცოდნიაო დასავლური დემოკრატია. ვაი, რომ, ზოგი რამ ვიცი, ყოველ შემთხვევაში საიმისოდ საკმარისი, რომ ურყევად მწამდეს სოციალისტური დემოკრატია, სოციალისტური ჰუმანიზმი.

ჩვენ მოვერევით პრობლემებს, რომლებსაც თავად ვაყენებთ ძალზე მწვავედ, და გავალთ დასახულ მიჯნებზე. გასათვალისწინე-

ბელია ჩვენი ხალხის ხასიათიც. თუკი მას, როგორც იტყვიან, „გულში მოხვდა რაიმე“, თუ მის პატრიოტულ გრძნობებს შეეხნენ, იგი ძალ-ღონეს არ დაიშურებს და თავისას მიაღწევს, ვინაიდან მართლაც რომ სასწაულების მოხდენა შეუძლია. საბჭოთა კავშირი — ეს არის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მქონე უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, აქვს დიდი მეცნიერება. მუშათა უმრავლესობას სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული. ასე რომ, ნუ იჩქარებენ ჩვენს მოსროლას „ისტორიის სანაგვეზე“. საბჭოთა კავშირში ეს მხოლოდ ღიმილს იწვევს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის დელეგაციასთან საუბრისას 1987 წლის აპრილში მე ვთქვი, რომ ჩვენი განახლების გეგმების განხორციელება არ უქმნის არავითარ — არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც რაიმე სხვაგვარ საფრთხეს ამერიკელ ხალხს, ნებისმიერ ქვეყანას. იგივე კიდევ ერთხელ ითქვა კრემლში „უბირთვო სამყაროსათვის“, „კაცობრიობის გადარჩენისათვის“ ფორუმის მონაწილეთა წინაშე. გვინდა გაგვიგონ, იმედი გვაქვს, მსოფლიო საზოგადოებრიობა აღიარებს: იმით, რომ გვინდა ჩვენი ქვეყანა უკეთესი გავხადოთ, არავის არაფერს ვავნებთ, ამით მთელი მსოფლიო მხოლოდ მოიგებს.

ასე რომ, არც საბჭოთა კავშირი, არც გარდაქმნა არავის და არაფრით არ ემუქრება, თუ არ ვიგულისხმებთ მაგალითს, რომელიც შეიძლება ზოგისათვის მისაღები აღმოჩნდეს. მაგრამ ჩვენ კვლავ და კვლავ გვწამებენ განზრახვას, თითქოს მთელ დედამიწის ზურგზე ვაპირებდეთ კომუნიზმის დანერგვას. სისულელეა რაღაც! კი ბატონო, თუკი ამას ფულის საშოვნელად აკეთებენ ისინი, ვისთვისაც სულ ერთია, რაზე წეროს, ეგ კიდევ არაფერი. მაგრამ ასეთი განცხადებებით დღესაც საჯაროდ გამოდიან, თითქოსდა, პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწენი. და უკვე მთლად გავოცდი, როდესაც გარდაქმნის დაწყებიდან ორიოდე წლის შემდეგ ასეთი რამ გავიგონე ჩემგან პატივცემული პოლიტიკოსისაგან. კი მაგრამ, რა საფუძველზე? — შევეპასუხე მე. ცნობილია, ტრუმენის, ეიზენჰაუერის, რეიგანის დოქტრინები. აი, ჩვენი განცხადებები კი „კომუნისტური ბატონობის დანერგვის“ თაობაზე არ ყოფილა და არც იქნება. ლენინს უთქვამს: მსოფლიო განვითარებაზე მთავარ გავლენას ჩვენ, ანუ სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი სამეურნეო საქმიანობის წარმატებებით მოვახდენთო.

გარდაქმნის წარმატება გვიჩვენებს, რომ სოციალიზმს არა მარტო ხელეწიფება გადაწყვიტოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალების დალაშქვრის ისტორიული ამოცანა, არამედ გადაწყვეტს კიდეც მას უმაღლესი სოციალური და მორალური ეფექტიანობით, დემოკრატიის მეთოდებით, ადამიანის გულისათვის და მისი საკუთარი გარჯით, მისი გონებით, ოსტატობით, ნიჭით, სინდისით და სხვა ადამიანთა წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

გარდაქმნის წარმატება წარმოაჩენს ამჟამად დასავლეთში გაბატონებული ძალების კლასობრივ შეზღუდულობას და ეგოიზმს. ძალებისას, რომლებსაც გონება დაუბნელა მილიტარიზმმა, გამალებულმა შეიარაღებამ და მთელ მსოფლიოში „მტრების“ ძიებამ.

გარდაქმნის წარმატება დაეხმარება განვითარებადს ქვეყნებს განსაზღვრონ ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის გზები ისე, რომ არაფერი დაუთმონ ნეოკოლონიალიზმს და არ აღმოჩნდნენ კაპიტალიზმის ქვაბში.

გარდაქმნის წარმატება გადამწყვეტი არგუმენტი იქნება ისტორიულ დავაში: რა წყობილება შეესაბამება უფრო მეტად ადამიანთა ინტერესებს. ექსტრემალურ პირობებში წარმოშობილი დანაშრევებისაგან განწმენდილი საბჭოთა კავშირის სახე ახალ მიმზიდველობას შეიძენს და გახდება სოციალისტურ სისტემაში პრინციპულად ჩაქსოვილ უპირატესობათა ცოცხალი განსახიერება სოციალიზმის იდეალებს ახალი იმპულსი მიეცემა.

არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ ჩემს დასავლელ მოსაუბრეებს ეს კარგად ესმით. „თუ თქვენ გააკეთებთ იმას, რაც ჩაგიფიქრებიათ, ამას კოლოსალური, ჭეშმარიტად მსოფლიო შედეგები ექნებაო“, — ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ დასავლელ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც კომუნისტობას ვერ დავწამებ.

ალბათ, ბევრი ჩვენი პრობლემა იოლი გასაგები არ იქნება საზღვარგარეთელი მკითხველისათვის. ეს ბუნებრივია. ყოველ ხალხს, ყოველ ქვეყანას აქვს თავისი ცხოვრება, თავისი კანონები და წესები, თავისი იმედები და შეცდომები, თავისი იდეალები. ასეთი მრავალფეროვნება შესანიშნავია, მას უნდა ავითარებდე, და არ ცდილობდე ყველას მოქცევას ერთ ტაფაზე. პირადად მე მძაგს ზოგიერთ პოლიტიკოსთა ცდები — ასწავლიდნენ სხვებს როგორ იცხოვრონ, როგორ წარმართონ პოლიტიკა, და ამასთან ქედმაღლურად ჰგონიათ, რომ მათი ქვეყნის პოლიტიკა თავისუფლების, დემოკრა-

ტიის, ეკონომიკური საქმიანობის, სოციალური მდგომარეობის და ა. შ. ნიმუში, ეტალონია. ვფიქრობ, გაცილებით უფრო დემოკრატიულია დაუშვა, რომ სხვა ქვეყნების ხალხებს შეუძლიათ არც დაეთანხმონ ამას. არ შეიძლება ჩვენს რთულსა და შფოთიან სამყაროში ყველაფერს შენი ადლით ზომავდე. ახლა ყველგან გაუვიდა ყავლი არა მარტო სამხედრო დიქტატის, არამედ აგრეთვე მორალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების ცდებს. ეს საშიშია, ეს აღიზიანებს მსოფლიო საზოგადოებრიობას, და მაშასადამე, აძნელებს მშვიდობისა და თანამშრომლობის გზით მოძრაობას.

სწორი წარმოდგენა გარდაქმნაზე — აი, რა არის საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის გაგების გასაღები. გარდაქმნის სიმართლე შეესაბამება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. როდესაც დასავლეთს მოვუწოდებთ ჩვენი მუშაობის პასუხისმგებლურ, პატიოსან, პირუთვნელ ანალიზს, ჩვენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით როდი ვხელმძღვანელობთ. გარდაქმნის არსის გაგების უუნარობა თუ უნდომლობა — აი ამოსავალი პუნქტი შეცდომებისა ჩვენს განზრახვებთან დაკავშირებით და ახალი ცდა ქვეყნებსა და ხალხებს შორის უნდობლობის შენარჩუნება-გაღრმავებისა.

ყოველი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ორგანული კავშირი განსაკუთრებით მჭიდრო და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ხდება გარდამტეხ მომენტებში. საშინაო კურსის შეცვლას გარდაუვალად მოსდევს ახლებური მიდგომაც საგარეო-პოლიტიკური პრობლემატიკისადმი. ამიტომ ახლა, გარდაქმნის პირობებში, როგორც არასდროს, ნათლად და კონკრეტულად ვლინდება ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ასპარეზზე ჩვენი საქმიანობის ერთიანი აზრი. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, მისი საპროგრამო დებულებები და პრაქტიკული ნაბიჯები — ყოველივე ეს არის გარდაქმნის ფილოსოფიის, პროგრამისა და პრაქტიკის პირდაპირი და უშუალო გამოხატულება.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი ახალ შესაძლებლობებს უსახავს საერთაშორისო თანამშრომლობას. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ჩვენ ბევრ ფენომენს ვაფასებ, ბევრ ფენომენს ვაფასებ, ბევრ ფენომენს ვაფასებ,

ბას, მათ შორის, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა ხაზითაც.

ჩვენ პატიოსნად, საქვეყნოდ ვაცხადებთ: გვჭირდება მტკიცე მშვიდობა, რათა ჩავუღრმავდეთ ჩვენი საზოგადოების განვითარებას, რათა გადავწყვიტოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების ამოცანები. ჩვენს გეგმებს გრძელვადიანი ფუნდამენტური ხასიათი აქვთ. ამიტომ ყველამ, მათ შორის ჩვენმა დასავლელმა პარტნიორ-მეტოქეებმაც უნდა შეიგნონ, რომ ასევე ფუნდამენტური, ასევე საიმედოა თავისი პრინციპული საფუძვლებით ჩვენი საერთაშორისო კურსი — უბირთვო და უძალადო სამყაროს, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ცივილიზებული საწყისების დამკვიდრების კურსი.

კარი მეორე

ახლებური აზროვნება და მსოფლიო

თავი III.

როგორ მხედავთ თანამედროვე მსოფლიოს

სად ვიმყოფებით?

ჩვენ გარდაქმნას მზარდი საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში შევუდექით. 70-იანი წლების დაძაბულობის შენელება პრაქტიკულად ჩამცხრალი იყო. ჩვენი სამშვიდობო მოწოდებანი არ პოულობდნენ გამოხმაურებას დასავლეთის მმართველ წრეებში. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ბუქსაობდა. გამალებული შეიარაღება სულ უფრო ძლიერდებოდა. ომის საფრთხე იზრდებოდა.

იმისათვის, რომ გვეპასუხა კითხვისათვის, როგორ მიგვეღწია სასიკეთო შემობრუნებისათვის, საჭირო იყო საკუთარი თავისათვის დაგვესვა კითხვა: რატომ ხდება ასე? რა მიჯნას მიადგა მსოფლიო თავის განვითარებაში? ამისათვის კი საჭირო იყო სალად და რეალისტურად გაგვესწორებინა თვალი მთელი მსოფლიო პანორამისათვის, თავი დაგვეღწია ჩვეულ სქემათა ტყვეობისათვის. შეგვეხედა, როგორც ჩვენში იტყვიან, ახალი თვალით.

მაინც როგორია იგი, ჩვენი საერთო სამყარო, ადამიანთა მოდგმის ახლანდელ თაობათა სამყარო? იგი მრავალსახოვანია, ჭრელი, დინამიკურია, გამსჭვალულია წინააღმდეგობრივი ტენდენციებით, მწვავე შეუსაბამობებით. ეს არის ფუნდამენტური სოციალური ძვრების, ყოვლისმომცველი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, გლობალური — ეკონომიკური, ნედლეულის და სხვა პრობლემების გამწვავების, ინფორმაციის რადიკალური ცვლილებების მსოფლიო. სამყარო, სადაც ერთმანეთის მეზობლად არის განვითარების, პროგრესის უმაგალითო შესაძლებლობანი და სასტიკი სიღატაკე, ჩამორჩენილობა, შუასაუკუნეობრიობა, მსოფლიო, სადაც არსებობს ვრცელი „დაძაბულობის ველები“.

ოდესღაც ყველაფერი უფრო მარტივად იყო. იყო რამდენიმე სახელმწიფო და ისინი განსაზღვრავდნენ, აწონასწორებდნენ თავიანთ ინტერესებს, თუკი შეძლებდნენ გაეწონასწორებინათ, თუ არადა — ომობდნენ. და ამ რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესების ბა-

ლანსს ემყარებოდა საერთაშორისო ურთიერთობანი. აქ ერთის სამკვიდრო იყო, იქ მეორის, მესამისა. მაგრამ ახლა კი, ნახეთ, რა მოხდა ომისშემდგომი 40 წლის მანძილზე.

მსოფლიოს პოლიტიკური სურათი შეიცავს სოციალისტური ქვეყნების მნიშვნელოვან ჯგუფს, რომლებმაც თავიანთი არცთუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პროგრესული განვითარების დიდი გზა გამოიარეს; შეიცავს განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების ვრცელ მასივს მათი ინტერესებით, მათი ისტორიით, მათი საზრუნავითა და პრობლემებითურთ; და შეიცავს უკანასკნელი 30—40 წლის მანძილზე შობილ „მესამე სამყაროს" ოკეანეს, როდესაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეიძინა აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ათეულობით ქვეყანამ.

თითქოს ცხადია, რომ სახელმწიფოთა ყოველ ჯგუფს, თითოეულ ქვეყანას თავ-თავისი ინტერესები აქვს. თითქოს ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით მთელი ეს ინტერესები უნდა პოულობდეს გონივრულ ასახვას მსოფლიო პოლიტიკაში. მაგრამ სწორედ ეს არ არის. მე არაერთჯერ მითქვამს კაპიტალისტურქვეყნელი მოსაუბრეებისათვის: მოდით, დავინახოთ და გავითვალისწინოთ რეალობანი — არის კაპიტალიზმის სამყარო და სოციალიზმის სამყარო, არის განვითარებადი ქვეყნების უზარმაზარი სამყარო. იქ მილიარდობით ადამიანი ცხოვრობს. პრობლემები ყველას გვაქვს. მაგრამ განვითარებადს ქვეყნებში ისინი ასკეც უფრო მეტი აქვთ. და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ ქვეყნებს აქვთ საკუთარი ეროვნული ინტერესები. ისინი ათწლეულების მანძილზე კოლონიები იყვნენ, შეუპოვრად იბრძოდნენ განთავისუფლებისათვის, მოიპოვეს დამოუკიდებლობა, სურთ გაუუმჯობესონ ცხოვრება თავიანთ ხალხებს, თავისუფლად განაგებდნენ თავიანთ რესურსებს, შექმნან დამოუკიდებელი ეკონომიკა და კულტურა.

განა შეიძლება ვიქონიოთ ნორმალური და სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობის იმედი, თუკი ვიხელმძღვანელებთ, ვთქვათ, მარტოოდენ საბჭოთა კავშირის ან შეერთებული შტატების, ინგლისის ან იაპონიის ინტერესებით? არა! საჭიროა ინტერესების შეწონასწორება. ეს ჯერჯერობით არა გვაქვს. ჯერჯერობით მდიდრები მდიდრდებიან, ღატაკები კი ღატაკდებიან. „მესამე სამყაროში" ისეთი პროცესები ხდება, რომლებმაც შეიძლება თავიდან ბოლომდე შეძრან საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემა.

არავის აქვს უფლება დახუროს სოციალიზმის სამყარო, განვითარებადი სამყარო თუ განვითარებული კაპიტალიზმის სამყარო. არადა არის, არსებობს ასეთი, უკაცრაული პასუხია, თვალსაზისი, რომ სოციალიზმი ისტორიული შემთხვევითობაა და დროა მას სანაგვეზე გადაუძახონ. აი მაშინ „მესამე სამყარო“ თვინიერი გახდება. ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დაბრუნდება — შეიძლება ბედნიერადაც კი იცხოვრო სხვების ხარჯზე. მაგრამ წარსულში ოტება — ეს არის არა პასუხი მყოფადის გამოწვევაზე, არამედ ავანტიურიზმი, რომელსაც წარმოშობს შიში და საკუთარი თავისადმი ურწმუნოება.

ჩვენ კი მრავალფეროვანი, მრავალგანზომილებიანი მსოფლიოს რეალობანი არა მარტო თავიდან წავიკითხეთ. ჩვენ მარტოოდენ ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესების განსხვავება როდი შევეფასეთ. ჩვენ დავინახეთ მთავარი — დავინახეთ, როგორ იზრდება მსოფლიო გაერთიანების სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ტენდენცია. ეს არის თანამედროვე განვითარების დიალექტიკა. ძნელად, გარკვეულწილად წინასწარ გაუთვალისწინებლად, დაპირისპირებათა ბრძოლის მეშვეობით ყალიბდება წინააღმდეგობრივი, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით მრავალგვარი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული, და მრავალმხრივ ერთიანი მსოფლიო.

ჩვენი დროის მეორე ასეთივე აშკარა რეალობაა ეგრეთ წოდებული გლობალური პრობლემების წარმოშობა და გამწვავება, რომლებსაც ასევე ენიჭებათ საარსებო მნიშვნელობა ცივილიზაციის სვე-ბედისათვის. საქმე ეხება ბუნების დაზოგვას, გარემოს, საჰაერო აუზისა და ოკეანეების კრიზისულ მდგომარეობას, პლანეტის ტრადიციულ რესურსებს, რომლებიც თურმე ულევი როდი ყოფილა. საქმე ეხება ძველსა და ახალ მრისხანე დაავადებებს, კაცობრიობის საერთო საზრუნავს — როგორ მოუღოს ბოლო შიმშილსა და სიღატაკეს დედამიწის ვრცელ რაიონებში. საქმე ეხება გონივრულ ერთობლივ მუშაობას კოსმოსისა და მსოფლიო ოკეანის შემეცნებისათვის, შეძენილი ცოდნის მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოყენებას.

შემეძლო ბევრი რამ შეამბნა იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენს ქვეყანაში, ეროვნულ დონეზე, რათა ხელი შევუწყოთ ამ პრობლემების გადაჭრას. რაშდენადმე უკვე შეეხე კიდეც მათ, როდე-

საც ჩვენს გარდაქმნაზე ვლაპარაკობდი. იმას, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, გავაკეთებთ.

მაგრამ საბჭოთა კავშირი მარტოდმარტო ვერ გადაჭრის ყველა ამ პრობლემას. და ამიტომ კვლავ და კვლავ შივმართავთ და მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. უგულებელვყოფთ რა ცრუ „პრესტიჟულ“ მოსაზრებებს, ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყველანი სულ უფრო მეტად ვართ ერთმანეთზე დამოკიდებულნი, სულ უფრო მეტად ვხდებით ერთურთისათვის საჭირონი. და რამდენადაც ვიცით, რომ ამ მსოფლიოში, ფართო მასშტაბით თუ ვილაპარაკებთ, ჩვენ ყველას ერთი ბედი გვაკავშირებს, ჩვენ ყველანი ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, მისი რესურსებით ვსარგებლობთ, ერთმანეთს ვუცვლით ამ რესურსებს და ვხედავთ, რომ ისინი ულევი არ ყოფილა, რომ მათ უნდა გავუფრთხილდეთ, გაეუფრხილდეთ ბუნებას, გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — ეს რეალობაა ყველა ჩვენგანისათვის. სულ უფრო მწვავედ გამოიკვეთა იმ ეფექტიან, საერთაშორისო პროცედურების თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული მექანიზმების საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პლანეტის რესურსების როგორც საკაცობრიო კუთვნილების რაციონალურ გამოყენებას.

აქაც ვაწყდებით ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, ვაწყდებით მსოფლიოს მთლიანობას, სასიცოცხლო მოთხოვნილებას გავაერთიანოთ კაცობრიობის ძალისხმევა მისი თვითშენარჩუნების სასიკეთოდ, მის საკეთილდღეოდ დღეს, ხვალ, მუდამ-ჟამს.

დაბოლოს, არის კიდევ ერთი რეალობა, რომელიც უსათუოდ უნდა გავიცნობიეროთ. მას შემდეგ, რაც ბირთვული ხანა დაუდგა, რაც ატომის ენერგიამ სამხედრო დანიშნულება შეიძინა, კაცობრიობამ დაჰკარგა უკვდავება. ყოფილა ომები, საშინელი ომები. მათ შეუწირავთ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, ნაცარტუტად უქცევიათ ქალაქები და სოფლები, გაუქელტიათ მთელი ხალხები და გაუნადგურებიათ შთელი მათი კულტურა. მაგრამ ადამიანთა მოდგმის გაგრძელება ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა კი ბირთვული ომი რომ ატყდეს, მთელ დედამიწის ზურგზე სიცოცხლე მოისპობა.

ტექნიკურად შესაძლებელი გახდა აგრეთვე ლოგიკურად შეუძლებელი რამ, სახელდობრ — კაცობრიობის მრავალგზისი მოსპობა. არსებული ბირთვული არსენალები ისეთია, რომ დედამიწის

ყოველ მცხოვრებზე მოდის მუხტი, რომელსაც შეუძლია მის ირგვლივ უზარმაზარი ტერიტორია ფერფლად აქციოს. დღეს ერთ სტრატეგიულ წყალქვეშა ნავს აქვს განადგურების ისეთი პოტენციალი, რომელიც რამდენიმე მეორე მსოფლიო ომის პოტენციალის ტოლია. არადა, ასეთი წყალქვეშა ნავების რიცხვი მრავალ ათეულს შეადგენს!

შეუძლებელია მოიგო გამალებულ შეიარაღებაში შეჯიბრება, ისევე როგორც შეუძლებელია მოიგო თვით ბირთვული ომი. ასეთი შეიარაღების გაგრძელება დედამიწაზე, და მით უმეტეს მისი კოსმოსზე გავრცელება, დააჩქარებს ბირთვული იარაღის დაგროვება-სრულყოფის ისედაც სწრაფ ტემპს. მსოფლიო ვითარებამ შეიძლება შეიძინოს ისეთი ხასიათი, როდესაც იგი უკვე აღარ იქნება დამოკიდებული პოლიტიკოსებზე. იგი შემთხვევითობათა ტყვეობაში აღმოჩნდება. ჩვენ ყველანი აღმოვჩნდით პირისპირ აუცილებლობასთან — ვისწავლოთ მშვიდობიანად ცხოვრება ამ მსოფლიოში, შევიმუშაოთ ახლებური პოლიტიკური აზროვნება, ვინაიდან დღეს სულ სხვა პირობებია, ვიდრე თუნდაც სამი-ოთხი ათწლეულის წინ იყო.

დადგა დრო, ბოლო მოვუღოთ შეხედულებებს საგარეო პოლიტიკაზე იმპერიული პოზიციებიდან. ვერც საბჭოთა კავშირი შეძლებს მოახვიოს თავზე ვინმეს რაღაც თავისი, და ვერც შეერთებული შტატები. შეიძლება დროებით ჩაახშო, აიძულო, მოისყიდო, გატეხო, ააფეთქო. მაგრამ ეს მხოლოდ — დროებით. გრძელვადიანი, ფართო, დიდი მასშტაბის პოლიტიკის თვალსაზრისით ვეღარვინ შეძლებს სხვის დამორჩილებას. მაშასადამე, გვრჩება ერთი რამ — თანასწორი ურთიერთობა. აი, სწორედ ეს უნდა გავიცნობიეროთ ყველამ. იმ რეალობებთან ერთად, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკე— ბირთვული იარაღი, ეკოლოგია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაა ეს თუ ინფორმატიკა, — ესეც გვავალებს პატივისცემით ვეკიდებოდეთ ერთმანეთსა და ყველას.

აი იგი, ჩვენი მსოფლიო: რთული, მაგრამ არცთუ უიმედო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაფრის გადაწყვეტას შევძლებთ, მაგრამ საამისოდ ყველას მართებს ახლებურად გაიაზროს თავისი როლი ამ მსოფლიოში და შესაბამისი პასუხისმგებლობით მოიქცეს.

ახლებური პოლიტიკური აზროვნება

1985 წლის აპრილიდან განვლილი ორწელიწად-ნახევრის მანძილზე ჩვენ დიდი გზა გამოვიარეთ როგორც მსოფლიო სიტუაციის, ისე მისი სასიკეთო ცვლილებების საშუალებათა გააზრების თვალსაზრისით. მე კიდევ ვიტყვი პრაქტიკულ ნაბიჯებზე, ჩვენ რომ მოვიმოქმედეთ საერთაშორისო ატმოსფეროს რადიკალური გაჯანსაღების ინტერესებისათვის. მაგრამ ახლა — ყველაზე არსებითის შესახებ.

როდესაც ჩვენს XXVII ყრილობაზე შევიმუშავეთ წინააღმდეგობრივი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული, და არსებითად, მთლიანად ერთიანი მსოფლიოს კონცეფცია, ჩვენ ამ საფუძველზე დავიწყეთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის აგება. დიახ, ჩვენ სხვადასხვაგვარნი ვრჩებით იმაში, რაც შეეხება სოციალურ არჩევანს, იდეოლოგიურ და რელიგიურ მრწამსს. ცხოვრების წესს. განსხვავებანი, რა თქმა უნდა, დარჩება. მერედა რა, ამის გულისთვის დავხოცოთ ერთმანეთი? უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა საკაცობრიო ინტერესებისათვის, ქვეყნად სიცოცხლისათვის გადაგველახა დაბრკოლებანი, რომლებიც ჩვენ გვაცალკევებს? არჩევანი რომ მოვახდინეთ, ჩვენ ვამკვიდრებდით ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას სავალდებულო განცხადებებითა და კონკრეტული მოქმედება-ქცევითურთ.

ხალხები დაღალა დაძაბულობამ, კონფრონტაციამ. მათ სწადიათ უფრო უსაფრთხო და საიმედო მსოფლიოს ძიება, მსოფლიოსი, რომელშიც ყოველი კაცი შეინარჩუნებდა თავის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ შეხედულებებს, თავისეულ ცხოვრების წესს.

ჩვენ თვალგახელილნი ვუყურებთ მიმდინარე ამბებს, ვხედავთ, რომ სტერეოტიპები გამძლეა, ღრმად არის გამჯდარი ძველებური აზროვნება, რომელიც ასაზრდოებს მილიტარიზმსაც და იმპერიულ ამბიციებსაც, როდესაც სხვა ქვეყნებს კვლავინდებურად თვლიან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი პოლიტიკის და სხვაგვარი საქმიანობის ობიექტად, არ უტოვებენ შათ საკუთარი არჩევანის, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უფლებას.

ჩვენ სულაც არ ვთვლით საჭიროდ წამოვაყენოთ რადიკალური მეთოდები იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა რაიონს ეხება. თუმცა, ზოგან შესაძლოა

ისინიც გამოდგეს. ჩვენ არ გვსურს საერთაშორისო ურთიერთობაში ისე ვიმოქმედოთ, რომ გავაძლიეროთ კონფრონტაცია. მართალია, ჩვენთვის მიუღებელია დასავლეთისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობის ახლანდელი ხასიათი, მაგრამ ამ ურთიერთობის აფეთქებას როდი მოვუწოდებთ. მიგვაჩნია, რომ ეს ურთიერთობა უნდა გარდაიქმნას, რისთვისაც დაძლეულ უნდა იქნეს ნეოკოლონიალიზმი, რომელიც ძველი კოლონიალიზმისაგან განსხვავდება მხოლოდ და მხოლოდ ექსპლუატაციის უფრო გაწაფული შექანიზმით. საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებშიც განვითარებადს ქვეყნებს შეეძლებათ განაგებდნენ თავიანთ რესურსებს ბუნებრივსა და ადამიანურს, და რომ ეს ხდებოდეს არა სხვის, არამედ მათს სასიკეთოდ.

ეკონომიკაში, ინფორმაციისა და ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია უნდა ემყარებოდეს ფართო ინტერნაციონალიზაციის საფუძველს. დასავლეთს თითქოს ურჩევნია მოქმედებდეს „შვიდეულებისა" და „ხუთეულების" ფარგლებში, ასე ვთქვათ, ერთმანეთში, თავიანთ „შინაურულ წრეში". ცხადია, ამასთან არის დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისკრედიტაციის ცდებიც. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ იგი ჰკარგავს სახეს, ლამის გადაგვარების გზაზეაო. და ამას ამბობენ დღეს, როდესაც მსოფლიოში ამდენი ცვლილებებია, როდესაც იგი აღსავსეა მრავალრიცხოვან სახელმწიფოთა სულ სხვადასხვაგვარი ინტერესებით და როდესაც ამ ინტერესების შეწონასწორების ძიება უმთავრესი საზრუნავია. ასეთ პირობებში, როგორც არასდროს, დიდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის მოგვარებაში მისი გამოცდილების როლი.

მართალია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევა ყოველთვის ვერ ყოფილა წარმატებული. მაგრამ ჩემი აზრით, სწორედ ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ყველაზე შესაფერის ფორუმს სახელმწიფოთა ინტერესების წონასწორობის მისაღწევად, ურომლისოდაც ვერ იქნება სტაბილურობა მსოფლიოში.

მესმის, რომ ერთ დღეში ყველაფერი ვერ შეიცვლება, მესმის, რომ ჩვენშიც და დასავლეთშიც დარჩება განსხვავებული მიდგომები კონკრეტული სიტუაციებისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს მსოფლიოს ხალხები, როგორც არაერთგზის მითქვამს, ციცაბოზე

შემდგარ ერთი თოკით ჩაბმულ მთამსელელებს წააგვანან. მათ შეუძლიათ ან ეროად განაგრძონ აღმასელა ზევით, მწვერვალისაკენ, ანდა ერთად მოსწყდნენ და გადაიჩეხონ უფსკრულში. ხოლო იმისათვის, ეს რომ არ მოხდეს, პოლიტიკურ მოღვაწეებს მართებთ ვიწროდ გაგებულ ინტერესებზე უფრო მაღლა დადგნენ და გაიცნობიერონ თანამედროვე სიტუაციის მთელი დრამატიზმი. აი, რატომ დგას ესოდენ მწვავედ მთელი საერთაშორისო ვითარების, ყველა მისი გამომწვევი ფაქტორის ახლებურად გააზრების საჭიროების საკითხი.

ახლანდელ მსოფლიოში ვეღარ წარმართავ პოლიტიკას 1947 წლის მიდგომების, ტრუმენის დოქტრინისა და ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმული სიტყვის საფუძველზე. დღეს ახლებურად გვმართებს ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ. თანაც, ისტორია გვაჩქარებს, სულს არ გვათქმევინებს და აღარ გვიტოვებს ზოზინის დროს. ხვალ შეიძლება უკვე გვიანი იყოს. ხოლო ზეგინდელი დღე შესაძლოა აღარც გაგვითენდეს.

ახლებური პოლიტიკური აზროვნების ძირითადი, ამოსავალი პრინციპი მარტივია: ბირთვული ომი ვერ იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, ნებისმიერი მიზნების მიღწევის საშუალება. ეს დასკვნა ატარებს ჭეშმარიტად რევოლუციურ ხასიათს, ვინაიდან ნიშნავს ომისა და მშვიდობის შესახებ ტრადიციულ წარმოდგენათა ძირეულ უკუგდებას. აკი სწორედ ომის პოლიტიკური ფუნქცია იყო მუდამ მისი გამართლება, მისი „რაციონალური“ საზრისი, რაც შეეხება ბირთვულ ომს — იგი უაზროა, ირაციონალურია. გლობალურ ბირთვულ კონფლიქტში არ აღმოჩნდებიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი, მაგრამ უსათუოდ დაილუპება მსოფლიო ცივილიზაცია. ეს, კაცმა რომ თქვას, ომიც კი არ არის ჩვენეული გაგებით, ეს თვითმკვლელობაა.

სხვათა შორის, სამხედრო ტექნიკის განვითარებამ ისეთი ხასიათი შეიძინა, რომ ახლა არაბირთვული ომიც კი, რომელსაც დამღუპველი შედეგები მოჰყვება, ბირთვული ომის სადარი ხდება. ამიტომ მართლზომიერია დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული შეტაკების ამ „ვარიანტსაც“ შევუსატყვისოთ შეფასებანი, რომლებიც ბირთვული ომის მიმართ გამოვიტანეთ.

აქედან მომდინარეობს სრულიად ახალი სიტუაცია. აზროვნების წესი და მოქმედების წესი, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში

ძალის გამოყენებას ეფუძნებოდა, ყალიბდებოდა საუკუნეების, ის კი არა, ათასწლეულების მანძილზე. ისინი მკვიდრდებოდა თითქოსდა ურყევ აქსიომებად. ახლა კი მათ დაჰკარგეს ყოველგვარი გონივრული საფუძველი. თავისი დროისათვის კლაუზევიცის კლასიკური ფორმულა, რომ ომი— ეს არის პოლიტიკის განგრძობა, ოღონდ სხვა საშუალებებით, — უიმედოდ მოძველდა. მისი ადგილი ბიბლიოთეკებშია. ისტორიაში პირველად გახდა საარსებო მოთხოვნილება ის, რომ საერთაშორისო პოლიტიკას საფუძვლად დავუდოთ საკაცობრიო მორალურ-ეთიკური ნორმები, გავაადამიანუროთ, გავაჰუმანუროთ სახელმწიფოთა ურთიერთობანი.

სამხედრო, ბირთვული ომის გზით საერთაშორისო წინააღმდეგობათა გადაწყვეტის შეუძლებლობიდან გამომდინარეობს ძალისა და უშიშროების ახალი დიალექტიკა. დღეს უშიშროებას ვერ უზრუნველვყოფთ სამხედრო საშუალებებით — იარაღის გამოყენებით, დაშინებით თუ „ფარ-ხმალის“ მუდმივი სრულყოფით. სასაცილო და უაზროც კია სამხედრო უპირატესობის მოპოვების ახალი ცდები, დღეს კი — კოსმოსის მეშვეობით. ეს არის წარმოუდგენელი ანაქრონიზმი, რომელიც დღემდე შემორჩა იმ განუზომელი როლის წყალობით, პოლიტიკაში რომ ასრულებდნენ მილიტარისტული წრეები. უშიშროების თვალსაზრისით აბსურდული ხდება გამალებული შეიარაღება, ვინაიდან მის ლოგიკას შედეგად მოსდევს საერთაშორისო ურთიერთობათა დესტაბილიზაცია, და, საბოლოო ანგარიშით,—ბირთვული კონფლიქტი. იგი კოლოსალურ რესურსებს ართმევს სხვა საჭიროებებს და ამით ამცირებს უშიშროების დონეს, ძირს უთხრის მას. იგი თავისი არსებითი მშვიდობის მტერია. უშიშროების ერთადერთი გზა — ეს არის პოლიტიკურ გადაწყვეტათა გზა, განიარაღების გზა. ჭეშმარიტ, თანაბარ უშიშროებას ჩვენს ხანაში უზრუნველყოფს სტრატეგიული წონასწორობის სულ უფრო დაბალი დონე, საიდანაც საჭიროა შთლიანად გამოირიცხოს ბირთვული და მასობრივი მოსპობის იარაღის სხვა სახეობანი.

ზოგ-ზოგებს ეს, შესაძლოა, აშინებდეს. კი მაგრამ, მაშინ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს რაღა ვუყოთ? იგი ხომ ამდენ ადამიანს ეშსახურება, მოაქვს შემოსავალი. ეს საკითხი საგანგებოდ აქვს გაანალიზებული თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ნობელის პრემიის ლაურეატს ვ. ლეონტიევს, რომელმაც დაამტკიცა, თუ რაოდენ უსაფუძვლოა ეკონომიკური თვალსაზრისით მილიტარისტთა

არგუმენტები. ვიტყვი ჩემს აზრს: სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში ყოველ სამუშაო ადგილზე იხარჯება ორ-სამჯერ მეტი სახსრები, ვიდრე სამოქალაქო მრეწველობაში, ანუ აქ შეიძლებოდა სამი სამუშაო ადგილი შეგვექმნა. ეს, ჯერ ერთი. მეორეც ის, რომ უკვე დღეს სამხედრო ეკონომიკის სექტორები დაკავშირებული არიან სამოქალაქო სექტორებთან. ბევრს აკეთებენ მათთვის, მაშასადამე, არის მარაგნაკეთი, რათა თავიანთი შესაძლებლობანი მოახმარონ მშვიდობიან მიზნებს. მესამე, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლებოდათ მოეფიქრებინათ დიდი ერთობლივი პროგრამები, გაეერთიანებინათ ჩვენი რესურსები, მეცნიერული, ინტელექტუალური პოტენციალი კაცობრიობის საკეთილდღეო უმრავალფეროვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

ახლებური პოლიტიკური აზროვნება მოითხოვს ვცნოთ კიდევ ერთი უბრალო აქსიომა: უშიშროება განუყოფელია. იგი შეიძლება მხოლოდ თანაბარი იყოს ყველასათვის, ანდა საერთოდ არ იყოს. მისი ერთადერთი სოლიდური საფუძველია ყველა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების, საერთაშორისო ცხოვრებაში მათი თანასწორობის აღიარება. საჭიროა, საკუთარი უშიშროება ეხამებოდეს მსოფლიო გაერთიანების ყველა სხვა წევრთა ასეთსავე უშიშროებას. განა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს არგებს, რომ სსრ კავშირი აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც ჩათვლის, რომ მისი უშიშროება ჩამორჩება ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას? ანდა განა ჩვენ ხელს გვაძლევს საწინააღმდეგო სიტუაცია? სრულიად გარკვევით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ეს არ გვინდა. გამოდის, რომ მოწინააღმდეგენი იძულებული არიან პარტნიორები გახდნენ და ერთად ეძებონ საყოველთაო უშიშროების გზა. ჩვენ ვხედავთ ახლებური აზროვნების ჩამოყალიბების ნიშნებს ბევრ ქვეყანაში, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ეს არის გზა ურთიერთხელსაყრელი შეთანხმებების და ორმხრივი კომპრომისებისა საერთო უზენაესი ინტერესის ბაზაზე -- არ დავუშვათ ბირთვული კატასტროფა. გამოდის, რომ არ შეიძლება ესწრაფოდე საკუთარ უშიშროებას სხვების ხარჯზე.

ახლებური პოლიტიკური აზროვნება ასევე კატეგორიულად გვიკარნახებს სამხედრო დოქტრინების ხასიათს. ისინი მკაცრად თავდაცვითი უნდა იყოს. ეს კი დაკავშირებულია ისეთ ახალ ან

შედარებით ახალ ცნებებთან, როგორიც არის შეიარაღების გონივრული საკმარისობა, არაშემტევი თავდაცვა, სხვადასხვა სახეობათა შეიარაღებულ ძალებში დისბალანსისა და ასიმეტრიების ლიკვიდაცია, ორ ბლოკს შორის ჯარების შემტევ დაჯგუფებათა დაშორიშორება და ა. შ.[1]

ჩვენს დროში საყოველთაო უშიშროების პრინციპული საფუძველია ვცნოთ, რომ ყოველ ხალხს აქვს სოციალური განვითარების საკუთარი გზის არჩევანის უფლება, უარი ვთქვათ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევაზე, პატივი ვცეთ სხვებს საკუთარ საზოგადოებაზე ობიექტურ, თვითკრიტიკულ შეხედულებასთან შეხამებით. ხალხს შეუძლია ამოირჩიოს კაპიტალიზმიც და სოციალიზმიც. ეს მისი სუვერენული უფლებაა. ხალხებს არ შეუძლიათ და არ უნდა მოერგონ არც აშერიკის შეერთებულ შტატებს და არც სსრ კავშირს. მაშასადამე, უნდა გავათავისუფლოთ პოლიტიკური პოზიციები იდეოლოგიური შეუწყნარებლობისაგან.

არ შეიძლება გადაგვქონდეს იდეოლოგიური უთანხმოებანი სახელმწიფოების ურთიერთობათა სფეროში, ვუქვემდებარებდეთ მათ საგარეო პოლიტიკას, ვინაიდან იდეოლოგიები შეიძლება იყოს

---

[1] ევროპის სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ დაადგნენ ამ გზას. 1987 წლის 29 მაისს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირზე მათ მიიღეს პრინციპული დოკუმენტი — „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ“. დოკუმენტში გამოვლენილია ამ დოქტრინის უაღრესად თავდაცვითი ხასიათის არსი. არასდროს, არავითარ ვითარებაში, ნათქვამია დოკუმენტში, ჩვენ არ დავიწყებთ საომარ მოქმედებას არც ერთი სახელმწიფოსა ან სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ თავად არ შევიქენით შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი. ჩვენ არასდროს არ ვიხმართ პირველნი ბირთვულ იარაღს. ჩვენ არა გვაქვს ტერიტორიული პრეტენზიები არც ერთი სახელმწიფოს მიმართ არც ევროპაში და არც ევროპის ფარგლებს გარეთ, არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ სახელმწიფოს ხალხს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილენი არ უყურებენ როგორც თავიანთ მტერს: მზად არიან უკლებლივ ყველა ქვეყანასთან წარმართონ ურთიერთობა უშიშროებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესების ორმხრივი გათვალისწინების საფუძველზე.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები არ ისწრაფვიან ჰქონდეთ იმაზე მეტი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება, რამდენიც თავდაცვითი მიზნებისათვის სჭირდებათ. ისინი მკაცრად დაიცავენ საკმარისობის პრინციპს — თავიანთი უშიშროების დასაცავად საკმარისობისა. მათ შესთავაზეს ნატოს ქვეყნებს ერთად მიუსხდნენ მაგიდას და შეადარონ ორი კავშირის სამხედრო დოქტრინები, და ამრიგად მიაღწიონ ერთურთის განზრახვათა უკეთეს გაგებას. პასუხად დუმილი იყო.

პოლარული, ხოლო გადარჩენის, ომის თავიდან აცილების ინტერესი — საყოველთაო და უზენაესი.

ბირთვულ საფრთხესთან ერთად ახლებური პოლიტიკური აზროვნება აგრეთვე ყველა სხვა გლობალური პრობლემის, მათ შორის, ეკონომიკური განვითარებისა და ეკოლოგიის პრობლემებს განიხილავს როგორც მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფის ორგანულ პირობას. ვაზროვნებდეთ ახლებურად — ეს ნიშნავს, კერძოდ, ვხედავდეთ უშუალო კავშირს განიარაღებასა და განვითარებას შორის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ განიარაღების განვითარების ფაქტორად გადაქცევისათვის ძალისხმევის ინტერნაციონალიზაციას. ამ საკითხზე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიმართვაში, რომელიც 1987 წლის აგვისტოს დამლევს გაიმართა ნიუ-იორკში, მე ვწერდი: „განვითარებისათვის განიარაღების“ ფუნდამენტური პრინციპის რეალიზაციას შეუძლია შეაკავშიროს და უნდა შეაკავშიროს კიდეც კაცობრიობა, ხელი შეუწყოს მისი ზოგადპლანეტარული ცნობიერების ჩამოყალიბებას“.

დელის დეკლარაციაში ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ, რომელსაც 1986 წლის ნოემბერში ინდოეთს გამართული ვიზიტის დროს მოვაწერეთ ხელი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რ. განდიმ და მე, არის სიტყვები, რომლებიც შინდა აქ ასევე მოვიყვანო: „ბირთვულ ეპოქაში კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს ახლებური პოლიტიკური აზროვნება, ახლებური მშვიდობის კონცეფცია, რომელიც კაცობრიობის გადარჩენის საიმედო გარანტიებს მოგვცემს. ადამიანებს სურთ იცხოვრონ უფრო უშიშარ და უფრო სამართლიან მსოფლიოში. კაცობრიობა იმაზე უკეთესი ხვედრის ღირსია, ვიდრე ბირთვული საშინელებისა და სასოწარკვეთის მძევლობაა. საჭიროა შეიცვალოს შექმნილი მსოფლიო სიტუაცია და აშენდეს მსოფლიო, რომელშიც არ იქნება ბირთვული იარაღი, არ იქნება ძალადობა და სიძულვილი, შიში და უნდობლობა“.

არის სერიოზული ნიშნები ახლებური აზროვნების, იმის გაგების ჩამოყალიბებისა, თუ რას მიუახლოვდა მსოფლიო. ძალზე ძნელად მიმდინარეობს ეს პროცესი. და ყველაზე ძნელია მიაღწიო, რომ ეს გაგება გამოიხატებოდეს პოლიტიკოსთა მოქმედებაში, მათს

გონებაში. მაგრამ მე მჯერა, რომ ახლებური პოლიტიკური აზროვნება გაიკვალავს გზას, ვინაიდან იგი თავისი დროების რეალობებმა წარმოშვეს.

ახლებური აზროვნების ჩვენეული გზა

ჩვენ არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილები მივცეთ სხვებს. სხვებისაგან გაუთავებელ შეგონებათა მოსმენის შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს ყოვლად ფუჭი საქმეა. ახლებური აზროვნების სწავლება ხდება უწინარეს ყოვლისა თვით ცხოვრების მეშვეობით. ჩვენ თანდათან მივდიოდით მისკენ, თანდათან ვეუფლებოდით, ახლებურად ვიაზრებდით ჩვენეულ წარმოდგენებს ომისა და მშვიდობის, ორი სისტემის ურთიერთობის საკითხებზე, ვუფიქრდებოდით გლობალურ პრობლემებს.

ეს იყო გრძელი გზა. ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინ სკკპ XX ყრილობამ გამოიტანა ფუნდამენტური დასკვნა, რომ არ არსებობს ახალი მსოფლიო ომის ფატალური გარდაუვალობა, რომ შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ იგი. საქმე ეხებოდა არა უბრალოდ მოახლოებული კონფლიქტის გადაწევას, არა უბრალოდ „მშვიდობიანის სულის მოთქმის" გახანგრძლივებას, ამა თუ იმ საერთაშორისო კრიზისის მშვიდობიანი დაძლევის შესაძლებლობებს, ჩვენმა პარტიამ გამოაცხადა თავისი რწმენა. რომ შესაძლებელია და აუცილებელია აღმოვფხვრათ ომის საფრთხე როგორც ასეთი, გამოვრიცხოთ ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან. მაშინ განვაცხადეთ, რომ ომი სულაც არ არის სოციალური რევოლუციების სავალდებულო წანამძღვარი. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპმა განვითარება პოვა მეორე მსოფლიო ომის შედეგად მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით.

დაძაბულობის შენელების წლებში ჩვენ ეცდილობდით შთაგვებერა ამ პრინციპში კონკრეტული შინაარსი თანასწორუფლებიანი საერთაშორისო დიალოგისა და თანამშრომლობის საფუძველზე. სწორედ ამ პერიოდში დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი, რომლებმაც საკუთრივ, დააგვირგვინეს „ომისშემდგომი" პერიოდი ევროპაში, გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, რამაც გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიო სიტუაციაზე.

თვით დაძაბულობის შენელების ლოგიკას გვიკარნახებდა ბირ-

თვეულ ომში გამარჯვების შეუძლებლობის სულ უფრო სრული გაცნობიერება. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ სულ ხუთი წლის წინ საქვეყნოდ განვაცხადეთ, რომ არასდროს და არავის წინააღმდეგ არ ვიხმართ პირველნი ბირთვულ იარაღს.

ღრმა კონცეფციური შემობრუნება უკავშირდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს, პარტიის XXVII ყრილობას. ეს იყო აგრეთვე შემობრუნება ახლებური პოლიტიკური აზროვნებისაკენ, ახლებური წარმოდგენისაკენ თანამედროვე სამყაროში კლასობრივი და საკაცობრიო საწყისების თანაფარდობის შესახებ.

ახლებური აზროვნება არ არის არც იმპროვიზაცია და არც ტვინის ვარჯიში. ეს არის თანამედროვე სამყაროს რეალობათა ღრმა განსჯის, იმის გაგების შედეგი, რომ პოლიტიკისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება მოითხოვს მის მეცნიერულ დასაბუთებას. და იმ ზოგიერთ პოსტულატზე უარის თქმას, რომლებიც წინათ ურყევი გვეგონა. არაობიექტური მიდგომა, კონიუნქტურული შეღავათები წარმავალი მიზნების მიღწევის გულისათვის, სიტუაციის ანალიზში მეცნიერული პირუთვნელობისაგან გადახვევები ჩვენ ძვირად დაგვჯდომია.

შეიძლება ითქვას, რომ ახლებურ აზროვნებას ძალზე ძნელად მტანჯველი ფიქრითა და განსჯით ვეუფლებოდით. ხოლო შთაგონებას ვეწაფებით ლენინთან. მუდამჟამს, როცა კი ლენინს მიმართავ, ახლებურად „კითხულობ" ლენინის შრომებს, გაოცებს მისი უნარი — როგორ სწვდებოდა მოვლენათა არსს, როგორ ხედავდა მსოფლიო პროცესების ურთულეს დიალექტიკას. პროლეტარიატის პარტიის ბელადს — ლენინს, რომელიც თეორიულად და პოლიტიკურად ასაბუთებდა მის რევოლუციურ ამოცანებს, შეეძლო უფრო შორს გაეხედა, გასცდომოდა მათს კლასობრივ ფარგლებს. და არაერთგზის გამოუთქვამს აზრი კლასობრივთან შედარებით საკაცობრიო ინტერესების პრიორიტეტის შესახებ. ამ აზრების მთელი სიღრმე და მნიშვნელობა ჩვენ მხოლოდ ახლა გავიცნობიერეთ. სწორედ ისინი ასაზრდოებენ საერთაშორისო ურთიერთობის ჩვენეულ ფილოსოფიას, ახლებურ აზროვნებას.

შეიძლება შემეპასუხონ: „მარადიული" საკაცობრიო ღირებულების იდეებს ყველა დროის ფილოსოფოსები და თეოლოგები სწავლობდნენო. დიახ. მაგრამ მაშინ ეს იყო „გონებრივი კონსტრუქცი-

ებიო, რომლებიც უტოპიას, ოცნებებს ვერ გასცდებოდნენ. XX საუკუნეში, ამ დრამატული საუკუნის მიწურულში, კაცობრიობამ უნდა აღიაროს ცხოვრებისეული საჭიროება საკაცობრიო პრიორიტეტისა, როგორც ეპოქის მთავარი იმპერატივისა.

საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც საშინაოში, ოდითგან კლასობრივი ინტერესი ძირითადი იყო. რა თქმა უნდა, ოფიციალურად იგი, როგორც წესი, შენიღბული იყო რაღაც სხვით — წარმოსახავდნენ როგორც ეროვნულს, სახელმწიფოებრივს ან ბლოკურს, აბუნდოვანებდნენ „საყოველთაო სიკეთის" ან რელიგიური მოტივების მომიზეზებით. მაგრამ საბოლოო ანგარიშით, არა მარტო მარქსისტების, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა საღად მოაზროვნე ადამიანის ღრმა რწმენით, ყოველგვარი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირის პოლიტიკას განსაზღვრავს მათში გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური ძალების ინტერესები. საერთაშორისო ასპარეზზე ამ ინტერესების მწვავე შეტაკებებს მთელი ისტორიის მანძილზე შედეგად მოსდევდა შეიარაღებული კონფლიქტები და ომები. ასეც გამოვიდა, რომ კაცობრიობის პოლიტიკური ისტორია — ეს არის მნიშვნელოვანწილად ომების ისტორია. დღეს ამ ტრადიციას პირდაპირ ბირთვული უფსკრულისაკენ მივყავართ. მთელი კაცობრიობა იმყოფება ერთ ნავში, და ჩაძირვა თუ გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ერთად. ამიტომ განიარაღების შესახებ მოლაპარაკება — ეს არ არის მოგებაზე თამაში. უნდა მოიგოს ყველამ, თორემ სხვაგვარად ყველა წაგებული აღმოჩნდება.

ახლებური აზროვნების თავი და თავია ვცნოთ საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტი, უფრო ზუსტად — კაცობრიობის გადარჩენის პრიორიტეტი.

ზოგ-ზოგებს შეიძლება უცნაური ეჩვენოს, რომ საკაცობრიო ინტერესებსა და ღირებულებებზე ასე აშახვილებენ ყურადღებას კომუნისტები. მართლაც, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენისადმი კლასობრივი მიდგომა — ეს არის მარქსიზმის ანაბანა. ასეთი მიდგომა დღესაც საკმაოდ შეესაბამება იმ კლასობრივი საზოგადოების რეალობებს, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან კლასობრივი ინტერესები, და საერთაშორისო ცხოვრების რეალობებს, რომლებიც ასევე გამსჭვალულია ამ ორთაბრძოლით. და სულ ბოლო დრომდე კლასობრივი ბრძოლა რჩებოდა საზოგადოებრივი განვითარების ხერხემლად, ასეთად რჩება იგი დღესაც კლასებად

დაყოფილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, მარქსისტულ მსოფლმხედველობაშიც დომინირებდა — საზოგადოებრივი ყოფიერების მთავარი საკითხების კვალობაზე — კლასობრივი მიდგომა. ზოგადსაკაცობრიოს ცნება განიხილებოდა როგორც ფუნქცია და საბოლოო შედეგი მუშათა კლასის — უკანასკნელი კლასის ბრძოლისა, რომელიც ათავისუფლებს რა საკუთარ თავს, ათავისუფლებს მთელ საზოგადოებასაც კლასობრივი ანტაგონიზმებისაგან.

მაგრამ ახლა, მასობრივი — საყოველთაო! — განადგურების იარაღის გაჩენის შემდეგ, კლასობრივ კონფრონტაციას წარმოეშვა ობიექტური ზღვარი საერთაშორისო ასპარეზზე: ეს არის საფრთხე, ყოვლისალმგველი მიწისაგან პირისა. პირველად გაჩნდა რეალური, და არა გონებაჭვრეტითი, დღევანდელი, და არა შორეული, საკაცობრიო ინტერესი — თავიდან ავაცილოთ ცივილიზაციას კატასტროფა.

ახლებური აზროვნების სულისკვეთებით შეეიტანეთ ცვლილებები სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, რომელიც პარტიის XXVII ყრილობამ მიიღო. კერძოდ, ჩვენ შეუძლებლად ვცანით დაგვეტოვებინა მასში განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, როგორც „კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმის“ განსაზღვრა.

გავრცელებული იყო აზრი, თითქოს მსოფლიო ომის წყაროს შეადგენდეს ორი სოციალური სისტემის წინააღმდეგობანი. 1917 წლამდე მსოფლიოში იყო ერთი სისტემა — კაპიტალისტური, და მაინც ატყდა მსოფლიო ომი ამ ერთი სისტემის სახელმწიფოებს შორის. ყოფილა სხვა ომებიც. და, პირიქით, მეორე მსოფლიო ომის დროს ერთიანი კოალიციის ფარგლებში ებრძოდნენ ფაშიზმს და გააცამტვერეს იგი სხვადასხვა სისტემების წარმომადგენელმა ქვეყნებმა. ფაშისტური საფრთხის წინაშე დამდგარი ყველა ხალხისა და სახელმწიფოს საერთო ინტერესმა სძლია მათ შორის არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ განსხვავებებს და უზრუნველყო საფუძველი ანტიფაშისტური „სისტემათაზედა“ კოალიციის შესაქმელად. მაშასადამე, დღესაც — კიდევ უფრო საშიში საფრთხის წინაშე — სხვადასხვა სოციალურ სისტემათა სახელმწიფოებს შეუძლიათ ითანამშრომლონ და უნდა ითანამშრომლონ ერთურთთან მშვიდობისათვის, საკაცობრიო, გლობალური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ჩვენეულ მშვიდობის ფილოსოფიას რომ ეავითარებდით, ახლებურად შეეხედეთ ომისა და რევოლუციის ურთიერთკავშირსაც. წი-

ნათ ომი არაერთგზის გამხდარა რევოლუციურ აფეთქებათა დეტონატორი. გავიხსენოთ პარიზის კომუნა, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის გამოძახილად მოგვევლინა, ანდა რუსეთის 1905 წლის რევოლუცია, რომელსაც რუსეთ-იაპონიის ომმა მისცა ბიძგი. პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია რევოლუციურმა ქარიშხალმა. და მისი მეცხრე ზვირთი გახდა ოქტომბრის რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომმა ააგორა რევოლუციათა ახალი ტალღა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში, აგრეთვე დასაბამი მისცა მძლავრ ანტიკოლონიურ რევოლუციას.

ეს განამტკიცებდა მარქსისტულ-ლენინურ ლოგიკას: იმპერიალიზმი გარდაუვალად წარმოშობს დიდ საომარ შეტაკებებს, და ისინი კანონზომიერად ქმნიან მთელ რიგ ქვეყნებში სოციალური უკმაყოფილების „კრიტიკულ მასას“, რევოლუციურ სიტუაციას. აქედან გამომდინარეობდა პროგნოზიც, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანს იზიარებდნენ: მესამე მსოფლიო ომს, თუ მას იმპერიალიზმი გააჩაღებს, შედეგად მოჰყვება ახალი სოციალური ძვრები, რომლებიც საერთოდ დაამხობენ კაპიტალისტურ სისტემას და ეს იმავდროულად საყოველთაო მშვიდობის დადგომის მომასწავებელი გახდებაო.

მაგრამ როდესაც პირობები ძირფესვიანად შეიცვალა, როდესაც ბირთვული ომის შედეგი შეიძლება გახდეს მხოლოდ საყოველთაო განადგურება, ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა ომსა და რევოლუციას შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის გაქრობის შესახებაც. სოციალური პროგრესის პერსპექტივა „შეესატყვისა“ ბირთვული ომის თავიდან აცილების პერსპექტივას. სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენ მტკიცედ „გავმიჯნეთ“ რევოლუციის თემა და ომის თემა, ამოვრიცხეთ ჩვენი პარტიის პროგრამის ახალი რედაქციიდან შემდეგი ორი ფრაზა: „იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტური აგრესორები მაინც გაბედავენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას, ხალხები აღარ მოითმენენ წყობილებას, რომელიც მათ თავს ატეხს გამაჩანაგებელ ომებს. ისინი აღგვიან და დაასამარებენ იმპერიალიზმს“. ეს დებულება, რომელიც უშვებდა ახალი მსოფლიო ომის თეორიულ შესაძლებლობას, მოიხსნა როგორც ბირთვული ეპოქის რეალობებისადმი შეუსაბამო.

კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური შეჯიბრება გარდაუვალია. მაგრამ

იგი შეიძლება დავანარჩუნოთ და უნდა დავანარჩუნოთ მშვიდობიანი მეტოქეობის ფარგლებში, რომელიც უსათუოდ გულისხმობს თანამშრომლობას. ამა თუ იმ სისტემის ავ-კარგს ისტორია უნდა განსჯიდეს. და იგი განსჯის კიდეც ყოველივეს. დაე, თითოეული ერი გაერკვეს, რომელი წყობილება სჯობია, რომელი იდეოლოგია ურჩევნია. დაე, ეს გადაწყვიტოს მშვიდობიანმა შეჯიბრებამ, დაე ყოველმა სისტემამ დაამტკიცოს თავისი უნარი, როგორ უპასუხებს ადამიანის ინტერესებსა და საჭიროებებს. დედამიწის სახელმწიფოები და ხალხები სულ სხვადასხვაგვარნი არიან. და კარგიც არის, რომ ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს მეტოქეობის იმპულსია. ასეთი გაგება ესატყვისება მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფციას. სწორედ ეს არის წინააღმდეგობათა დიალექტიკური ერთიანობა.

ასეთია, ზოგადად, ძირითადი ნიშანსვეტები ჩვენი გზისა, რომელსაც მივყავართ ახლებური მშვიდობის ფილოსოფიისაკენ, თანამედროვე ეპოქაში ზოგადსაკაცობრიო და კლასობრივი საწყისების ახლებური დიალექტიკის შემეცნებისაკენ.

ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ ჩვენ ხელი ავიღეთ ბირთვული საფრთხის მიზეზებისა და ზოგიერთი სხვა გლობალური პრობლემის კლასობრივ ანალიზზე? პირდაპირ ვიტყვი: სულაც არა. არ შეიძლება არ ითვალისწინებდე მსოფლიო ასპარეზზე მოქმედი ძალების კლასობრივ ნაირგვარობას, მხედველობიდან გრჩებოდეს, რა გავლენას ახდენს კლასობრივი ანტაგონიზმი საერთაშორისო ურთიერთობებზე, კაცობრიობის ყველა სხვა ამოცანის გადაწყვეტის მიდგომებზე.

ჩვენ ვხედავთ, რაოდენ ძლიერია წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში აგრესიულად და მილიტარისტულად განწყობილი და მოქმედი მმართველი კლასის ნაწილის პოზიციები. მისი ბურჯია მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომლის ინტერესებს ღრმად გაუდგამს ფესვი კაპიტალისტური წყობილების თვით ბუნებაში და რომელიც იარაღის წარმოებიდან უდიდეს მოგებას იღებს გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე. ხოლო იმისათვის, რომ ადამიანებს სჯეროდეთ, ფულს ტყუილად არ გვახარჯვინებენო, მათ უნდა შთააგონონ რწმენა „გარეშე მტრის“ არსებობისა, რომელიც ხელყოფს მათ კეთილდღეობას და მთლიანად „ეროვნულ ინტერესებს“. აქედანვე მომდინარეობს ძალისმიერი პოლიტიკაც — უგუნური და უპასუხის-

მგებლო პოლიტიკა. „ძალა, კვლავ ძალა და ერთხელ კიდევ ძალა“ — განა შეიძლება ასე უძღვებოდე საქმეებს დღეს, ჩვენს ბირთვულ ხანაში, როდესაც იმდენი იარაღია დაგროვილი, რომ საკმარისია მისი მცირეოდენი ნაწილი აამოქმედო და კაცობრიობისაგან აღარაფერი დარჩება. აი, ეს არის სწორედ „ცივი ომის“ სულისკვეთებით აზროვნება. მაგრამ იგი დაბუდებულია იარაღის მწარმოებელი მონოპოლიების კონკრეტულ ეკონომიკურ ინტერესებში, გავლენაში არმიის პოლიტიკაზე, რომელსაც არ სურს შეელიოს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას, აგრეთვე მილიტარიზმის მომსახურე მოხელეთა აპარატის ინტერესებში.

შეიძლება მკითხონ: კი მაგრამ, რატომ არსებობს და იხვეწება იარაღი და არმია საბჭოთა კავშირში? გიპასუხებთ, ვინაიდან ზუსტად ვიცი, რამეთუ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე გახლავართ. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის დროიდან სულ მუდამ თავდასხმის საფრთხის წნეხის ქვეშ ვართ. თავად განსაჯეთ, დააყენეთ თქვენი თავი ჩვენს ადგილზე. სამოქალაქო ომი, რომელშიც უცხოელები მონაწილეობდნენ, 14 სახელმწიფოს ინტერვენცია, ეკონომიკური ბლოკადა და „სანიტარიული კორდონი“, დიპლომატიური არცნობა (ამერიკის შერთებული შტატების მხრივ 1933 წლამდე), სამხედრო პროვოკაციები აღმოსავლეთში და, ბოლოს, გამაჩანაგებელი და სისხლისმღვრელი ომი ფაშიზმთან, რომელიც დასავლეთიდან მოვიდა. ვერ ამოვიგდებთ მეხსიერებიდან ვერც ამერიკელი სამხედრო პირებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს გეგმებს — საბჭოთა კავშირზე ატომური თავდასხმის გეგმებს. ვსვამთ ასეთ კითხვასაც: პირველმა რატომ შექმნა დასავლეთმა ნატო, რატომ არის, რომ ყოველთვის პირველი ქმნიდა იარაღის ახალ სისტემებს? და არც ასეთი კითხვა უნდა იყოს უადგილო: რატომ არის, რომ ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას არ სურს შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდა და ყოველნაირად ცდილობს ამერიკელებს დაანიავებინოს უზარმაზარი თანხები „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამისათვის? განა ყოველივე ეს შეიძლებოდა მშვიდობიანი მისწრაფებებისათვის მიგვეკუთვნებინა? ვიმეორებ, დააყენეთ საკუთარი თავი ჩვენს ადგილზე და თქვით: თქვენ როგორ მოიქცეოდით?

და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენ გულწრფელად მზად ვართ განვიარაღდეთ, ოღონდ თანაბარი უშიშროების სამართლიან საფუ-

ძველზე, მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველაზე ფართო ფრონტით. ამასთან, კარგად გვახსოვს მწარე გაკვეთილები, და ვერ დავთანხმდებით დიდ ცალმხრივ ნაბიჯებს, ვინაიდან ვშიშობთ, ვაითუ ისინი მაცდუნებელი გამოდგეს „გლობალური ეროვნული ინტერესების" მოყვარულთათვის. ჩვენი აზრით, ახლა მთავარია ავამოქმედოთ კაცობრიობის თვითშენარჩუნების მექანიზმი, ხელი შევუწყოთ მშვიდობის, გონიერებისა და კეთილი ნების პოტენციალის ზრდას.

„მოსკოვის ხელი"

დასავლეთში, ალბათ, საბჭოთა ხელმძღვანელთა გამონათქვამებიდან ყველაზე ყბადაღებულია ცნობილი რეპლიკა, გაგულისებულმა ნ. ს. ხრუშჩოვმა რომ წამოიძახა: „ჩვენ თქვენ დაგასამარებთ!" საზღვარგარეთელ მკითხველს უნდა განვუმარტო: 20-იანი წლების დამლევს — 30-იანი წლების დამდეგს ჩვენში მიმდინარეობდა აგრარიკოს მეცნიერთა მწვავე დისკუსიები, რომლებსაც ზოგ-ზოგები (გულისხმობდნენ რა დისკუსიის წმინდაწყლის პოლიტიკურ სარჩულს) მწარე ირონიით უწოდებდნენ — „ვინ ვის დაასამარებსო". ალბათ, ამ დისკუსიებმა გაახსენეს ხრუშჩოვს ეს ყოველმხრივ უხეირო გამოთქმა.

მაგრამ თვით ამ გამოთქმასაც უნდა ხედავდე ხრუშჩოვის მთელი სიტყვის კონტექსტში და არ ანიჭებდე მას სამხედრო ასპექტს. იგი გულისხმობდა ორი სისტემის შეჯიბრებას და უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სოციალიზმს არ ეშინია კაპიტალიზმთან დაპირისპირებისა, რომ მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის. ხრუშჩოვი ემოციური კაცი იყო, გულთან ახლოს მიჰქონდა ყველაფერი, როდესაც საერთაშორისო ვითარების გასაუმჯობესებლად მისი წრფელი ძალისხმევა, მისი კონკრეტული წინადადებები აწყდებოდა გაუგებრობისა და წინააღმდეგობის გაუვალ კედელს.

ვიტყვი, მაგრამ ახლა უკვე საკუთარი გამოცდილებით: დასავლეთთან რომ აწარმოო მოლაპარაკება განიარაღების პრობლემებზე, რაკი აქ ეკონომიკური ინტერესებია ჩარეული, ჯოჯოხეთური მოთმინება გმართებს. და კიდევ, კაცმა რომ თქვას, საჭიროა დავძინო: ჩვენ, საბჭოთა კავშირში რომელიმე სხვა ქვეყნის პოლიტიკაზე მის ლიდერთა ცალკეული გამონათქვამების მიხედვით რომ გვემსჯელა, კარგა ხანია, სროლა უნდა დაგვეწყო. მაგრამ ასეთი რამ ხომ არ ხდება. ასე რომ, არ არის საჭირო განსვენებულის სამი სი-

ტყვით გაუთავებელი სპეკულირება და მათი გადაქცევა ჩვენი სახელმწიფოს პოზიციად.

რაც შეეხება თეორი სახლის იდუმალ საციტატოს, რომელსაც იმოწმებენ, როდესაც ლაპარაკობენ ლენინის „დოქტრინაზე" მიელ-მსოფლიოში კომუნიზმის დანერგვისა და ევროპის დაპყრობის გეგმების შესახებ, უნდა გითხრათ: არავითარი ასეთი „დოქტრინა" არ ქონიათ არც მარქსს, არც ლენინს, არც რომელიმე სხვა საბჭოთა ხელმძღვანელს. ეს ეგრეთ წოდებული „ციტატები", რომლებსაც ზოგჯერ მოიშველიებენ ხოლმე ფრიად დიდი თანამდებობის ორატორები, — არის უხეში ფალსიფიკაციის, უკეთეს შემთხვევაში — უმეცრების ნაყოფი.

ყბადაღებული „მოსკოვის ხელის" თაობაზე კი მინდა ვთქვა შემდეგი. მარქსისტული მსოფლმხედველობის თანახმად, მომავალი ეკუთვნის საზოგადოებას, სადაც არ იქნება ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, არ იქნება ეროვნული და რასობრივი ჩაგვრა. მომავალი ეკუთვნის სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პრინციპებს. მაგრამ ყოველი ერის საქმეა გადაწყვიტოს — მიიღოს ისინი ორიენტირად, მისდიოს მათ თავისი ცხოვრების გარდასაქმნელად, ხოლო თუ მისდიოს — რა ფორმითა და რა ტემპით.

„ძლევამოსილი პროლეტარიატი ვერ შეძლებს თავს მოახვიოს ვერანაირ უცხო ხალხს ვერავითარი გაბედნიერება ისე, თუ არ გამოუთხარა ამით ძირი თავის საკუთარ გამარჯვებას"[1]. ენგელსის ეს სიტყვები ზუსტი ფორმულაა ჩვენი დამოკიდებულებისა „რევოლუციის ექსპორტის" ყველანაირი სახეობისადმი. რევოლუციები ხომ, როგორც ლენინი ამბობდა, მაშინ იზრდება, როდესაც ათეულ მილიონობით ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ისინი „ისტორიული განვითარების პროცესში მწიფდება და იფეთქებს იმ შომენტში, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების კომპლექსით".[2] რევოლუციის „შეკვეთით" მოხდენის ყოველ ცდას, მისი „რიგის დაწესებას", მისი ვადის მითითებას ლენინი გმობდა როგორც „ყალთაბანდობას".

თეორია, ის, რასაც ჩვენ მეცნიერულ სოციალიზმს ვუწოდებთ, გვეუბნება, რომ ადამიანთა საზოგადოება თავის განვითარებაში

[1] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზ., ტ 35, გვ. 298. (რუს.).
[2] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 27, გვ. 673.

გარკვეულ ეტაპებს გადის. იყო პირველყოფილ-თემური წყობილება, შემდეგ მონათმფლობელური, ფეოდალური. ფეოდალიზმი შეცვალა კაპიტალიზმმა. ხოლო XX საუკუნეში სტარტი აიღო სოციალისტურმა საზოგადოებამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ეს ერთი ისტორიული კიბის კანონზომიერი საფეხურებია. ეს არის გარდაუვალი მსოფლიო პროცესი. დაე, დასავლეთში იფიქრონ, რომ კაპიტალიზმი ცივილიზაციის უმაღლესი მიღწევაა. ასე ფიქრი მათი საქმეა. ჩვენ ამას უბრალოდ არ ვეთანხმებით. დაე, ისტორიამ განსაჯოს, ვის მხარეზეა სიმართლე.

რევოლუციები და გამათავისუფლებელი მოძრაობები ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშობა ხოლმე. და წარმოიშობა მაშინ, როდესაც აუტანელი ხდება მასების სიღატაკე და უუფლებობა, როდესაც ითრგუნება ეროვნული ღირსება და უარყოფილია დამოუკიდებელი არჩევანის უფლება. თუკი ადამიანთა მასები საბრძოლველად ემზადებიან, მაშასადამე, მათი სასიცოცხლო ინტერესები შეულახავთ. აქ სულაც არ ეხება საქმე ვიღაცების გარეშე ამბიციებსა და ხრიკებს, „მოსკოვის ხელს". თუმცა ეს მითიც მონაგონ და ავყია ხასიათს ატარებს, რომელიც გარკვეულ მიზნებს ემსახურება.

ახლებური აზროვნების ინტერნაციონალური პოტენციალი

ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ახლებური აზროვნება რაღაც დასრულებულ სისტემად. არ ვთვლით, რომ ჭეშმარიტება ვპოვეთ და სხვებს ისღა დარჩენიათ, შემოუერთდნენ მას ან უარყონ იგი, ანუ დაადგნენ პოზიციას, რომელსაც ჩვენ მცდარს ვუწოდებთ. არა. თვით ჩვენთვისაც ახლებური აზროვნება რჩება პროცესად, რომლის დროსაც განვაგრძობთ სწავლას და ნიადაგ ვეწაფებით ახალ ცოდნას. როგორც ცნობილია, ლენინს მიაჩნდა, სამოცდაათი მარქსიც კი ვერ გასწვდებოდა იმას, რომ შთელ ურთიერთობებში გაეანალიზებინა მსოფლიო ეკონომიკის პროცესები. მას შემდეგ კი მსოფლიო ასე გართულდა! ახლებური აზროვნების ჩამოყალიბება მოითხოვს ცოცხალ ურთიერთობას არა მარტო თანამზრახველებთან, არამედ იმ ადამიანებთანაც, რომლებიც სხვაგვარ — ჩვენებური თვალსაზრისისაგან როგორც ფილოსოფიურად, ისე პოლიტიკურად განსხვავებულ, — შეხედულებებს ადგანან.

ვინაიდან ისინი ასევე შატარებელნი არიან იმ თავიანთი ხალხების ისტორიული გამოცდილების, კულტურის, სპეციფიკისა, რომ-

ლებიც ახლა მსოფლიო განვითარების სუბიექტებად გვეელინებიან და უფლება აქვთ იქონიონ თავიანთი აზრი და ქმედითად მონაწილეობდნენ მსოფლიო პოლიტიკაში. დარწმუნებული ვარ, თანამედროვე პოლიტიკოსები ალღოიანად უნდა აღიქვამდნენ სხვა ქვეყნებისა და ხალხების ინტელექტუალურ პოტენციალს, თორემ სხვა-გვარად მათი საქმიანობის წილხვედრია პროვინციალიზმი, ეროვნული შეზღუდულობა, თუ არა სხვა, რაღაც უარესი.

აი რატომ არის, რომ ჩვენ ფართო დიალოგის, თვალსაზრისთა დაპირისპირების, კამათის, პაექრობის მომხრენი ვართ. ეს აღაგზნებს აზრს, არ ანებებს მას მოდუნდეს, ჩაიკეტოს ჩვეულ წარმოდგენათა წრეში. და რაც მთავარია — შესაძლებლობას გვაძლევს გავამდიდროთ ახლებური აზროვნება ინტერნაციონალური შინაარსით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „სხვადასხვასამყაროელი“, საქმიანობის გვარეობითა და შეხედულებებით განსხვავებული ადამიანების ცოცხალ ურთიერთობას, როდესაც ისინი ერთად შეიყრებიან ხოლმე.

თუკი მათ ამოძრავებთ საერთო საზრუნავი კაცობრიობაზე, მაშინ დავა და წინააღმდეგობრივი არგუმენტების მრავალფეროვნება სულაც არ უშლის ხელს იპოვონ თანხმობა, მორიგდნენ უმთავრესის შესახებ. ისინი თითქოს მინიატურული ფორმით ცხადყოფენ მთელი მსოფლიო გაერთიანებისათვის ასეთ შესაძლებლობას.

ეს ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვნების, კულტურის მოღვაწეთა შეხვედრებზე. მათი საზრუნავი და წუხილი მშვიდობის სვე-ბედისათვის, ადამიანის დანიშნულების, შესაძლებლობების შესახებ, მათი ზნეობრივი ენერგია და გულისტკივილი ყოველივე იმის გამო, რაც ჯერ კიდევ არ ეთანადება არსებობის ადამიანურ პირობებს, გამსჭვალულია გულწრფელობითა და კომპეტენტურობით. ეს კი უდიდესი ღირებულებაა ჩვენს ხანაში. როდესაც მეცნიერება და ცოდნა ბუნების, ყოველივე ცოცხალის ულრმეს წიაღში იჭრებიან და ფაქტობრივად განსაზღვრავენ ისტორიის მოძრაობას. ამიტომ ასეც კი ვიტყოდი: პოლიტიკოსთა და მეცნიერების, კულტურის წარმომადგენელთა არაფორმალური, ცოცხალი ურთიერთობა დროის მოთხოვნაა.

შაგრამ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა მარტოოდენ თეორიულად და ფილოსოფიურად როდი გვამდიდრებს. იგი, უნდა ვაღიარო, გავლენას ახდენს აგრეთვე პოლიტიკურ ნაბიჯებზე, გადაწყვე-

ტებზე, რომელთა მიღება მოგვიხდა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

კარგად მახსოვს 1985 წლის ნოემბრის ერთი ასეთი შეხვედრა ნობელის პრემიის ლაურეატ მეცნიერთა კონგრესის დელეგაციასთან. ესენი იყვნენ ჯ. უოლდი (აშშ), ტ. კნიპენბერგი და ს. გაბრიელი (ნიდერლანდი), ა. ენგლენდერი (ავსტრია), ა. მ. პროხოროვი (სსრ კავშირი). გვესწრებოდნენ აგრეთვე აკადემიკოსები ა. თ. ალექსანდროვი და ე. პ. ველიხოვი. ვესაუბრე მათ ცოტა ხნით ადრე, სანამ ჟენევაში გავემგზავრებოდი პრეზიდენტ რეიგანთან ჩემს პირველ შეხვედრაზე. მეცნიერებმა გადმომცეს მიმართვა თავიანთი კონგრესის მონაწილეთა სახელით, გაიმართა ძალზე სერიოზული სჯა-ბაასი: ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ, ბირთვული გამოცდის აკრძალვის მნიშვნელობის შესახებ, კოსმოსის მილიტარიზაციის საფრთხის შესახებ. ჩვენ ვთქვით, რომ განიარაღების მეშვეობით უშიშროების გზა უკავშირდება ძალისხმევას ადამიანის შესაფერისი არსებობის მისაღწევად.

დამახსომდა ნობელის ლაურეატთა მიერ გამოთქმული აზრი, რომ ამჟამად ვაუკაცობა გვმართებს არა ომის მოსამზადებლად, არამედ მშვიდობის დასამკვიდრებლად. ამ შეხვედრამ განამტკიცა მორალური პოზიციები, რომლებიც ჩვენ მოვამზადეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრისათვის.

მეორე მაგალითი. „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის“ მოსკოვის საერთაშორისო ფორუმზე — წარმომადგენლობითა და მონაწილეების ავტორიტეტით უპრეცედენტო შეხვედრაზე — მე შევეხე, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო ინტელექტუალური ელიტის განწყობილებებს, აზრთა წყობასა და იდეებს. მათთან ურთიერთობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კონგრესის შედეგები განვიხილეთ პოლიტბიუროში ჩემს კოლეგებთან ერთად. გადავწყვიტეთ: გადაგვედგა ახალი დიდი, კომპრომისული ნაბიჯი — გაგვეხსნა რეიკიავიკის პაკეტი და იქიდან გამოგვეყო ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემა.

კიდევ მაგალითი. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა რამდენჯერმე გაუგრძელა ვადა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს. და უნდა ითქვას, რომ ეს იყო შედეგი იმ მრავალგზისი განცხადებების სერიოზული განხილვისა, რომლებითაც საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის მოუმართავთ საზღვარგარეთის ინტე-

ლიგენციის სხვადასხვა წრეებს. მათს წუხილს და არგუმენტებს ჩვენ აღვიქვამდით მთელი სერიოზულობით, ვინაიდან გვესმოდა, რომ პასუხისმგებლური პოლიტიკა არ შეიძლება არ უწევდეს ანგარიშს საზოგადოებრიობის ლამის ყველაზე ავტორიტეტული ნაწილის აზრს. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკა, რომელსაც არ ანაყოფიერებს ადამიანის სვე-ბედზე ფიქრი, — არადა. სწორედ ეს არის ნამდვილი ინტელიგენციის დანიშნულება, — ეს ამორალური პოლიტიკაა და იგი პატივისცემას არ იმსახურებს.

ახლებური აზროვნების შინაარსის შესახებ ჩვენს განსჯაში ღრმა კვალი დატოვა ისიკ-ყულის ფორუმმა, რომელზეც საბჭოთა მწერლის ჩინგიზ აითმათოვის მოწვევით ჩამოვიდნენ მსოფლიო კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი. მე შევხვდი ფორუმის მონაწილეებს. ჩვენი აზრთა გაზიარების მთავარი თემა იყო პრობლემა: ჰუმანიზმი და პოლიტიკა, ზნეობრივი და ინტელექტუალური საწყისი ბირთვული ეპოქის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. მე მაშინ ვთქვი: ადამიანებს ძველ უბედურებათაგან გამოუტანიათ გაკვეთილი, მოუკრებიათ ძალები, აზრები, დაუძლევიათ გაჭირვება და სიდუხჭირე, დანაკარგები, კვლავ წელში გამართულან და განუგრძიათ წინსვლა, თითოეულს თავ-თავისი გზით. მაგრამ რა მოხდება, თუკი ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი საკაცობრიო სახლის გადარჩენას მოახლოებული ბირთვული საფრთხისაგან? ეშიშობ, რომ უკვე აღარ მოგვეცემა შესაძლებლობა გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომა. აი, ზეამოცანა. აი რატომ არის, რომ მსოფლიო კულტურის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალი პრაქტიკულ პოლიტიკაში უნდა ჩაებას.

მსოფლიო საზოგადოებრივ ცნობიერებაზე სულ მოკლე ვადაში უდიდესი გავლენა მოახდინა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობამ. მისი ფუძემდებლები არიან ამერიკელი პროფესორი ბ. ლაუნი და ჩვენი აკადემიკოსი ე. ი. ჩაზოვი. მასში უკვე ჩაება ათიათასობით ამერიკელი, ევროპელი, აზიელი, აფრიკელი, ავსტრალიელი ექიმი. მე წინათაც შევხვედრივარ პროფესორ ლაუნს, ამჯერად კი მოსკოვის მორიგი კონგრესის შემდეგ ერთად შევხვდი მოძრაობის ყველა ხელმძღვანელს. ის, რასაც ეს ადამიანები ამბობენ, შეუძლებელია უგულებელყო. ის, რასაც ისინი აკეთებენ, უდიდეს პატი-

ვისცემას იწვევს, ვინაიდან ერთიც და მეორეც გამსჭვალულია ზუსტი ცოდნით და მგზნებარე მისწრაფებით თავიდან ააცილონ კაცობრიობას მოახლოებული უბედურება.

მათი არგუმენტების, მკაცრად მეცნიერული მონაცემების შუქზე, რომლებიც სწავლულებს მოეპოვებათ, გგონია, რომ პოლიტიკანობას საფუძველი გამოეცალა. და არავითარ სერიოზულ პოლიტიკოსს არა აქვს უფლება არ გაუწიოს ანგარიში მათ დასკვნებს, უგულებელყოს იდეები, რომელთა მეშვეობითაც ადიან ისინი მსოფლიო საზოგადოებრივი შეგნების თვისებრივად ახალ საფეხურზე.

საბჭოთა ხელმძღვანელობაზე ვიტყვი — ჩვენ გვაინტერესებს იმ ადამიანთა აზრი (და კრიტიკაც კი), რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს მთელ მრავალფეროვნებას შეადგენენ. მათთან ცოცხალი ურთიერთობის მეოხებით ვამოწმებთ ახლებური აზროვნების შესაძლებლობებსა და ჩვენი პოლიტიკის რეალიზმს. ხოლო სიახლოვე, ანდა შეხედულებათა დამთხვევაც, ამ ურთიერთობაში რომ წავაწყდებით ხოლმე, იმის დასტურია, რომ ჩვენი ახლებური მიდგომები მიემართება იგივე კალაპოტით, რომლითაც კაცობრიობის პატიოსნად მოაზროვნე ნაწილის ძიება.

მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა, საერთოდ ინტელიგენციის საერთაშორისო კონტაქტების აქტივიზაციაში, მათს პროფესიულ მოძრაობებში ჩვენ ვხედავთ ცდას გაუძღვნენ ერებისა და ხალხების საუკეთესო ძალებს, დაეხმარონ მათ გაიგონ თანამედროვე მსოფლიო და გამოთქვან აზრი მისი მომავლის შესახებ, რათა თავიდან აიცილონ უბედურება, რომელიც ყველას ერთად შეიძლება დაგვატყდეს თავზე.

ეს ეხება არა მარტო განიარაღებას, ცნობიერებისა და საზოგადოების დემილიტარიზაციას, არამედ ისეთ საკაცობრიო პრობლემებსაც, როგორიც არის ეკოლოგიური საფრთხე, ენერგეტიკისა და რესურსების პერსპექტივები, ჯანდაცვა, განათლება, სურსათი და მოსახლეობა, საინფორმაციო აგრესია და ა. შ. ძალზე ბევრ შეხების წერტილს, ძალზე ბევრ სასარგებლოს ვიღებთ კონტაქტებიდან, ამ პრობლემებთან დაკავშირებით რომ გვაქვს მეცნიერებისა და კულტურის ადამიანებთან, საზოგადოებრიობის ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან.

მე ვიტყოდი, წარმოიშვა საჭიროება — და ახლანდელ პირობებში იგი თითქოს პოლიტიკოსთა და მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა ქცეულიყო — იქონიონ ურთიერთობა, შეხვდნენ ერთმანეთს, ნიადაგ გაუზიარონ აზრი ერთურთს.

ამ ცოტა ხნის წინ ვესაუბრე გამოჩენილ ლათინურამერიკელ მწერალს გაბრიელ გარსია მარკესს. ეს უდიდესი მოაზროვნეა. მისი აზროვნების თვალსაწიერი გლობალურია: საკმარისია წაიკითხო მისი თუნდაც ერთი წიგნი, რომ დარწმუნდე ამაში. და აი აღმოჩნდა, რომ როდესაც საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნაზე საუბრობ, შესაძლებელი ყოფილა ჩაეღრმავდე თანამედროვეობის ნებისმიერ საერთაშორისო და სოციალურ პრობლემას. რამეთუ მთელ მსოფლიოს ესაჭიროება გარდაქმნა, ანუ თვისებრივი ცვლილებანი, პროგრესული განვითარება. ასეთი ადამიანის აზრი ბევრს ნიშნავს. იგი შთაგაგონებს, იმიტომ, რომ გამოხატავს მილიონების — თეთრკანიანების, შავკანიანების, ყვითელკანიანების, მსოფლიოს ყველა ადამიანის აზრებს, საზრუნავსა და გუნება-განწყობილებას. შაშასადამე, იმან, რაც ჩვენში წამოვიწყეთ, შეიძლება სხვა ხალხებსაც არგოს.

ჩემთვის, კომუნისტისათვის, ბუნებრივია მუდმივი ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური მოძრაობის წარმომადგენლებთან. ამ ურთიერთობის ხასიათში ბევრი რამ შეიცვალა უკანასკნელი პერიოდის მანძილზე. ჩვენ თანდათან „გადავეჩვიეთ“ პარტიათშორის დიპლომატიას, რომელსაც ხშირად გადმოუცია სიმართლე მოთაფლული სახით ანდა, საერთოდ, სადღაც ქვეტექსტში დაუტოვებია იგი.

რასაც უნდა ფიქრობდნენ კომუნიზმის მოწინააღმდეგენი მასზე, ეს შოძრაობა წარმოიშვა და არსებობს ადამიანისათვის — მისი თავისუფლების, მისი ჭეშმარიტი უფლებების დასაცავად, ქვეყნად სამართლიანობის დასაცავად. მასში ჩაქსოვილია ჰუმანიზმის უდიდესი პოტენციალი..ამიტომ იდეებს, შეფასებებს, მოსაზრებებსა და ორმხრივ კეთილმოსურნე კრიტიკას, რომლებსაც ჩვენ ვუზიარებთ მეგობრებს — სულისკვეთებით, მსოფლმხედველობით მეგობრებს, სწორუპოვარი მნიშვნელობა აქვს ახლებური აზროვნების ჩამოყალიბება-გაღრმავებისათვის და პოლიტიკაში იმ ინტერნაციონალური გამოცდილების მთელი სიმდიდრის სწორი გამოყენებისათვის,

რომელიც მშრომელი მასების ინტერესებსა და განწყობილებას გაშოხატავს.

ჩვენ მივესალმებით იმას, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანი საზოგადოებრივი მოძრაობების — პროფკავშირული, ქალთა, ახალგაზრდული, ომის საწინააღმდეგო, ეკოლოგიური მოძრაობების უშუალო გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე. ისინი მომთხოვნელად და პასუხისმგებლურად იჭრებიან დიპლომატიის ოდესღაც ნაკრძალ ზონებში.

და სამართლიანია, რომ სურთ პირველწყაროდან იცოდნენ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა განზრახვები, რომლებზეც არის პრაქტიკულად დამოკიდებული მოვლენათა მიმდინარეობა საერთაშორისო ცხოვრების საკვანძო მიმართულებებზე. მე შევხვედრივარ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის — იმ უდიდესი პროფცენტრის დელეგაციას, რომლის უკანაც დგას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ასეულ მილიონობით მშრომელი. დელეგაციამ გადმომცა პროფკავშირთა XI მსოფლიო კონგრესის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მოწოდებას ჩემდამი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა, ჩემი აზრით, ის არის, რომ იგი გამოხატავს მუშათა კლასის ნებას, რომელიც ასახავს ზოგადსაკაცობრიო ინტერესს მშვიდობის დასამკვიდრებლად. ამ დოკუმენტმა, პროფკავშირულ ლიდერებთან გულახდილმა და შინაარსიანმა საუბარმა მე შემძინა ღრმა რწმენა, რომ მუშათა კლასის — თავისი და მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების გამომხატველის — ისტორიული მისია გრძელდება ახალ პირობებშიც, ძირეულად რომ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს მისია მან პირველად გაიცნობიერა.

დიდად აშაღელვა ქალთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1987 წლის ივნისში. მთხოვეს, იქ გამოვსულიყავი. ეს იყო 150-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსულ ქალთა უჩვეულო წარმომადგენლობითი ფორუმი. დელეგატთა გამოსვლებში, სიტყვებში, მათთან საუბრებში იგრძნობოდა გულშიჩამწვდომი პირადი წილნაყარობა ყოველივე იმასთან, რაც მსოფლიოში ხდება. დიახ, ქალებში, რომლებისთვისაც ბუნებას დაუწესებია შეინარჩუნონ და განაგრძონ ადამიანთა მოდგმა, მშვიდობის იდეას დღეს ჰყავს ყვე-

ლაზე უანგარო, თავდადებული და მასობრივი დამცველი. ამ კონგრესზე ყოფნამ პირადად მე ბევრი რამ შემძინა, — ემოციურადაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ყოველდღიურად მომდის ათობით წერილი, მომართვა, დეპეშა დედამიწის ყველა კუთხიდან. მწერენ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, ქალაქის მერები, პარლამენტარები, ბიზნესმენები და ყველაზე მეტად — უბრალო ადამიანები, მეუღლენი, მთელი ოჯახები. ბევრია კოლექტიური მომართვები, ბავშვთა წერილები, კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც. ხშირად გულიც აგიჩუყდება კაცს: წერილებს ურთავენ ლექსებს, მთელ პოემებს, ნახატებს, პატარა თვითნაკეთ სუვენირებს, რომელიღაც სკოლისა თუ წრის, კლუბის სიგელებს, დიპლომებს, ლოცვებსაც კი. ადამიანთა გრძნობებისა და აზრების მთელ ამ მრავალფეროვნებაში გამოსჭვივის წუხილი მსოფლიოს სვე-ბედისათვის, იმედი, რომ კაცობრიობა ღირსია უკეთესი ხვედრისა, ვიდრე ბირთვული კატასტროფის ჩრდილში ცხოვრება.

მთელი ჩემი მოუცლელობის მიუხედავად, ვცდილობ შეძლებისდაგვარად ვუპასუხო წერილებს. ამ მომართვებსა და მოწოდებებში ჩვენთვის ყველაზე მთავარია ნდობა საბჭოთა კავშირის, ჩვენი ახლანდელი პოლიტიკისადმი. ამ ნდობას ჩვენ ვუფრთხილდებით და გავამართლებთ ჩვენი საქმეებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

მთელი მსოფლიოს ადამიანებთან ასეთი ურთიერთობა განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ცივილიზაციის პერსპექტივები არ ყოფილა უიმედო, რადგან საუკეთესო მოაზროვნენი და პატიოსანი ადამიანები ფიქრობენ და წუხან მის აწმყოსა და მომავალზე, მზად არიან მთელი თავიანთი ნიჭი, ცოდნა, დრო, ემოციური ენერგია გაიღონ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და ავაშენოთ უკეთესი, უფრო სამართლიანი სამყარო.

მაშ ასე, როდესაც ჩვენს პოლიტიკას ახლებურ აზროვნებაზე ვაფუძნებთ, სულაც არ გვინდა გამოვიკეტოთ ჩვეული იდეებისა და ჩვეული პოლიტიკური ენის წრეში. ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ყველას გამარქსისტებას. ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას შეუძლია შეისისხლხორცოს და უნდა შეისისხლხორცოს კიდეც სხვა ხალხების გამოცდილება, უზრუნველყოს ნაირგვარი კულტურული ტრადიციების ორმხრივი გამდიდრება და შერწყმა.

ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საბჭოთა ხელმძღვანელობა ისწრაფვის ახლებურად წარმართოს საქმეები. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა დავასახელო დიალოგი. უდიალოგოდ ძნელიც კია ლაპარაკი ურთიერთგაგების მიღწევაზე. მას შემდეგ, რაც ახლებური აზროვნების პრინციპებს დავადექით, ჩვენ ვიწამეთ დიალოგი საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში მათი აპრობირების ამოსავალ ინსტრუმენტად. უფრო მეტიც, – დიალოგის მეშვეობით ვამოწმებთ ჩვენი იდეების, ინიციატივების, საერთაშორისო საქმეებში თვით ჩვენი ქცევის რეალისტურობას. და ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეს სიტყვა, თუმცა იგი „პერესტროიკისაგან“ განსხვავებით არ არის რუსული წარმოშობისა, უკანასკნელ წლებში მტკიცედ დამკვიდრდა დიპლომატიურ ლექსიკონში. ხოლო თვით პოლიტიკური დიალოგი უმაგალითოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

უკანასკნელი ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტი მიკავია, მქონდა ას ორმოცდაათზე მეტი შეხვედრა და საუბარი სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებთან, პარლამენტებისა და პარტიების — კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური, კონსერვატიული პარტიების ლიდერებთან, ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან.

ეს ნორმალურ პრაქტიკად დაუმკვიდრდა საბჭოთა ხელმძღვანელობაში მოღვაწე ბევრ ჩემს კოლეგასაც. ეს დიდი სკოლაა. ვფიქრობ, ჩვენი შეტი წილი მოსაუბრეებისათვის ასეთი დიალოგი უსარგებლო არ იქნება. მის დროს ყალიბდება და მკვიდრდება ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობანი, რომლებიც ასე სჭირდება თანამედროვე მსოფლიოს.

შემდეგ. გვინდა საერთაშორისო ურთიერთობაში სიტყვებს დავუბრუნოთ მათი ჭეშმარიტი პირვანდელი აზრი. ვაცხადებთ რა პატიოსანი და გულახდილი პოლიტიკისადმი ერთგულებას, ჩვენ ვგულისხმობთ პატიოსნებას, წესიერებას, გულწრფელობას და მივდევთ კიდეც ამ პრინციპებს პრაქტიკულად. თავისთავად ეს პრინციპები ახალი არ არის. ისინი ლენინმა დაგვიტოვა. ახალი ის არის, რომ

ვცდილობთ თავიდან მოვიშოროთ ორაზროვნობანი, რომლებიც ესოდენ გავრცელდა თანამედროვე მსოფლიოში. ახალია ისიც, რომ ამჟამად შექმნილი ვითარება მათ საკალდებულოს ხდის ყველასათვის.

ჩვენ პრაქტიკულად გამოვრიცხეთ ყოველგვარი განსხვავება იმას შორის, რასაც ჩვენს საზღვარგარეთელ მოსაუბრეებს ვეუბნებით დახურულ დარბაზში, და იმას შორის, რასაც ვაცხადებთ და ვაკეთებთ საჯაროდ. გამოგიტყდებით, მე არა ვარ ისეთი მიკიბულ-მოკიბული დიპლომატიის მომხრე, როდესაც შეხვედრის ან წერილების გაზიარების შედეგად ვერ გაგიგია, მაინც, რისი თქმა უნდოდა მოსაუბრეს. მე გახლავართ გულახდილი პოლიტიკის, რეალურ საქმეთა პოლიტიკის მომხრე. იგი არ უნდა იყოს ორლესული, ვინაიდან მისი განშვრეტის ბუნებრიობა საერთაშორისო სტაბილურობის უცილობელი პირობაა. მეტი სინათლე, მეტი საჯაროობა საგარეო-პოლიტიკურ საქმეებში, ნაკლები ტაქტიკური ეშმაკური ფანდები და სიტყვიერი ხრიკები. ახლა ვერავინ ვერ მოატყუებს ვერავის. მე ამას სულ მუდამ ვუმეორებ ჩემს დასავლელ მოსაუბრეებს.

დღეს ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ რეალობათა ზუსტი ცოდნა, ნათელი გონება, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა. ანუ გვჭირდება სერიოზული პოლიტიკა, და არა პოლიტიკური ინტრიგანობა, რასაც პოლიტიკანობას ვუწოდებთ.

მე ვფიქრობ, საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სტილი გულისხმობს ამ ურთიერთობის ფარგლების გაფართოებას ისე, რომ ისინი გასცდეს საკუთრივ დიპლომატიური პროცესის ჩარჩოებს. მთავრობებთან ერთად საერთაშორისო კონტაქტების სულ უფრო აქტიური მონაწილენი ხდებიან პარლამენტები — და ეს სასიკეთო სიმპტომია. იგი მოწმობს საგარეო-პოლიტიკურ სფეროში დემოკრატიზაციის ტენდენციას. ჩვენი დღეების დამახასიათებელი ნიშანი, როგორც უკვე ვთქვი, ის არის, რომ ამ სფეროში ფართოდ შეიჭრნენ საზოგადოებრივი აზრი, საერთაშორისო და ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საჯარო, სახალხო დიპლომატია — უშუალოდ ხალხებისადმი მიმართვა — სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალური საშუალება ხდება.

საჯარო დიპლომატიის მეთოდების გამოყენება ჩვენი მხრივ ფანდი არ არის. უბრალოდ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ გამალე-

ბული შეიარაღების მთელი სიმძიმე აკისრიათ ხალხთა მასებს, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო კონფლიქტების შესაძლო შედეგებზე. ჩვენ გვინდა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციებს იცნობიერებდნენ ხალხები.

აქ უნდა შევეხო მწვავე, აქტუალურ საკითხს პოლიტიკისა და პროპაგანდის თანაფარდობის შესახებ. რამდენჯერ ყოფილა, რომ ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების პასუხად გაგვიგონია: „ეს პროპაგანდაა!“ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ხანაში, მასობრივი ინფორმაციისა და საერთაშორისო პრობლემატიკისადმი მასობრივი ინტერესის ხანაში ყველა საგარეო-პოლიტიკური წინადადება მეტნაკლებად პროპაგანდისტული თანხლებით გვევლინება. ისინი „შთაბეჭდილებას უნდა ახდენდნენ“. მაგალითად, ამერიკელი ხელმძღვანელები საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთი შესაძლო ნაბიჯების პროპაგანდას იწყებენ ჯერ კიდევ მათს ოფიციალურ წარდგენამდე კარგა ხნით ადრე, თანაც ყოველთვის წარმოსახავენ მათ, როგორც—„თვალსაჩინოს“, „ისტორიულს“, „გარდამტეხს“ და ა. შ. მაგრამ მთელი საქმე ის არის, როგორია წინადადებათა ჭეშმარიტი ხასიათი, როგორია მათი მიზანი: განკუთვნილია თუ არა ისინი პრაქტიკული განხორციელებისათვის, რეალურია თუ არა ისინი, ითვალისწინებენ თუ არა ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს. თუ მათ განზრახ აყენებენ მხოლოდ იმისათვის, რომ ააგორონ პროპაგანდისტული ტალღა. აი, მე კი შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მთელი ჩვენი ინიციატივები — ეს არის საქმიანი წინადადებები, ეს არის, თუ ლენინის გამოთქმას ვიხმართ, „მოქმედების ლოზუნგები“, და არა „პროპაგანდის ლოზუნგები“.

ალალი გულით შემიძლია გავიმეორო აქ ის, რაც 1985 წლის აგვისტოში ვთქვი ჟურნალ „ტაიმის“ კითხვების პასუხად. თუკი ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მართლაც მარტოოდენ პროპაგანდას ხედავენ, მაშინ რატომ არ უპასუხებენ მას პრინციპით „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“? ჩვენ შეეწყვიტეთ ბირთვული აფეთქებანი. აი თქვენც, ამერიკელებსაც, გეჩვენებინათ — თქვენზე ნაკლები არა ვართო და იგივე გექნათ. ამით ხომ მოგვაყენებდით კიდევ ერთ „პროპაგანდისტულ დარტყმას“ — ვთქვათ, შეაჩერებდით ერთ-ერთი ახალი სტრატეგიული რაკეტის შემუშავებას. ჩვენ კი ასეთივე „პროპაგანდით“ გიპასუხებდით. და ასე შემდეგ და

სხვა მისთანანი. საკითხავია, ვის ავნებდა ასეთ „პროპაგანდაში“ შეჯიბრება?

ორ წელიწად-ნახევარი მცირე დროა. მაგრამ ყველა საწყაოს მიხედვით, პერიოდი, რომელზეც ჩვენ გვაქვს საუბარი, ღრმა შინაგანი შინაარსით აღსავსე აღმოჩნდა. რა არის აქ მთავარი? შეიძლება თქვან, ახლებური პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ გაჭირვებით იკვალავსო გზას მსოფლიო პოლიტიკაში. და ეს სწორი იქნება. შეიძლება თქვან, ძველი ინერცია ჯერ კიდევ ახალ ტენდენციებს ჯობნისო. ესეც სწორია. და შაინც, მთავარი ის არის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნას მიეცა ძნელი დასაბამი. და ჩვენ გვწამს, რომ მსოფლიოში დაიწყება სასიკეთო შეცვლა. კიდეც დაიწყო.

თავი IV

სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნა და სოციალისტური სამყარო

ჩვენი ინტერნაციონალისტური პრინციპია: როდესაც შენთან სახლში რაღაც დიდმნიშვნელოვანს, არსებითს ჭკეთებ, საფუძვლიანად უნდა აწონ-დაწონო, რა შედეგებს მოუტანს ეს მთლიანად სოციალიზმს. უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ვერც ერთი სოციალისტური ქვეყანა ვერ შეძლებს წარმატებით, ჯანსაღი რიტმით წინსვლას, თუ არ ექნა გაგება, სოლიდარობა და ორმხრივხელსაყრელი თანამოქმედება სხვა მოძმე ქვეყნებთან, თუ არ ექნა საერთოდ მათი დახმარება.

რეალური სოციალიზმის შესახებ

გარდაქმნის კურსს რომ დავადექით, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ გარდაქმნა, რომელიც საბჭოთა ხალხის ღვიძლი საქმეა და მოწოდებულია ჩვენი საზოგადოება თვისებრივად ახალ მიჯნაზე გაიყვანოს, მოქმედებს და იმოქმედებს მთლიანად სოციალიზმის განსამტკიცებლად. ეს პირველი.

და შეორე. ჩვენ მიერ არჩეულმა კურსმა, ნაბიჯის მკვეთრად მომატების საჭიროებამ გვაიძულა ფართო ისტორიული პოზიციებიდან შეგვეხედა სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან თანამოქმედების განვითარებისათვის. ამის შედეგად გამოვიტანეთ დასკვნა — და მას ყველა მოძმე პარტია იზიარებს, — ჩვენს თანამშრომლობას უნდა მიენიჭოს მეტი დინამიზმი, და ამ სფეროშიც მომწიფდა თავისებური გარდაქმნა. ჩვენი განსჯა, მერე კი ინიციატივებიც, ეფუძნებოდა შემდეგს.

ომისშემდგომი ათწლეულების მანძილზე სოციალიზმი გადაიქცა ძლავრ საერთაშორისო წარმონაქმნად, იგი მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი ფაქტორი გახდა. ქვეყნების დიდ ჯგუფში ფუნქციონირებს სოციალისტური მეურნეობა. შექმნილია საერთაშორისო სოციალისტური შრომის დანაწილების საფუძვლები. შეძენილია სოციალისტურ სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი ორგანიზა-

ციების საქმიანობის მრავალფეროვანი გამოცდილება. დიდი მასშტაბი შეიძინა მეცნიერულმა და კულტურულმა გაცვლამ. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო სოციალიზმის გზა მარტოოდენ წარმატებით იყო მოფენილი. სოციალიზმის გზაზე დამდგარი ქვეყნების საწყისი ეკონომიკური დონე არსებითად განსხვავდებოდა. და ეგი არც დღეს არ არის ერთნაირი. ესეც ერთ-ერთი სიძნელეა სოციალიზმის ზოგადი პოტენციალის რეალიზაციისა, ინტეგრაციის მექანიზმთა საბოლოო გამართვისა.

სოციალიზმმა განვითარების რთული ეტაპები გამოიარა. პირველ ომისშემდგომ ათწლეულებში მარტო საბჭოთა კავშირს ჰქონდა ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილება. მას თითქოს უხდებოდა პასუხი ეგო ყოველივესათვის, რაც ხდებოდა, — ავისა თუ კარგისათვის. ამას შეესაბამებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათიც, რომლებიც ვითარდებოდა საბჭოთა ნედლეულისა და სათბობის მიწოდების აქცენტით, მრეწველობის საბაზო დარგების შექმნაში საბჭოთა კავშირის დახმარების წყალობით. თვით მოძმე სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო მშენებლობის სფეროშიც მნიშვნელოვანწილად საბჭოთა მაგალითის იმედად იყვნენ. გარკვეულწილად ეს გარდაუვალი იყო. „საბჭოური მოდელის" თავს მოხვევასთან დაკავშირებით გაჩაღებული სპეკულაციები ამახინჯებენ იმხანად ამ ობიექტურ საჭიროებას. მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გამოცდილება და დახმარება მთლიანად სასიკეთო ფაქტორი იყო სხვა ქვეყნების ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

მაგრამ მოგვდიოდა ხარჯებიც, თანაც სერიოზული. სსრ კავშირის გამოცდილებიდან ბევრ რამეს იღებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. უარესი — ჩვენი ზოგიერთი თეორეტიკოსი და განსაკუთრებით პრაქტიკოსი, რომლებიც ლამის ჭეშმარიტების ერთადერთ მცველთა როლს იჩემებდნენ, ამ შაბლონურ მიდგომას „აშუქებდნენ" იდეოლოგიურად. არ ითვალისწინებდნენ პრობლემათა სიახლეს, სოციალისტური ქვეყნების სპეციფიკას, და ისინიც ზოგჯერ ეჭვის თვალით უყურებდნენ მათს ძიებას.

მეორე მხრივ, მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში წარმოიშვა საკუთარ ნაკუწში გამოკეტვის გარკვეული ტენდენციები, რაც ნიადაგს უქმნიდა სუბიექტივისტურ შეფასებებსა და მოქმედებას. მე

უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თავიანთი გაჩენის მომენტიდან სოციალისტური ქვეყნები წარმოადგენდნენ იმპერიალიზმის მასირებული პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური ზემოქმედების ობიექტს.

ყოველივე ამას მთელ რიგ შემთხვევებში შედეგად მოსდევდა ის, რომ ობიექტურ პროცესებსა და მომწიფებულ პრობლემებს დროზე ვერ ამჩნევდნენ მმართველი პარტია, ხელმძღვანელობა. ხოლო სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი მეგობრები, თუკი ხედავდნენ რაღაც ისეთს, რაც მათს შეშფოთებას იწვევდა, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებდნენ. არ იყო მიღებული სიწრფელე და გულახდილობა. იგი, როგორც იტყვიან, შეიძლებოდა „არასწორად გაეგოთ". ზოგიერთმა სოციალისტურმა ქვეყანამ თავის განვითარებაში სერიოზული კრიზისები განიცადა. ასე იყო, მაგალითად, უნგრეთში 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიაში — 1968 წელს, პოლონეთში — 1956 წელს, ხოლო შემდეგ — 80-იანი წლების დამდეგს. ამ კრიზისთაგან თითოეულს თავისი სპეციფიკა ჰქონდა. და მათ სხვადასხვაგვარად აღწევდნენ თავს. მაგრამ ობიექტური ფაქტი ასეთია: სოციალიზმის არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ძველი წესწყობილების დაბრუნება. დავძენ, რომ სოციალისტური ქვეყნების განვითარების სიძნელეებსა და სირთულეებში ბრალი მიუძღვის, რა თქმა უნდა, არა სოციალიზმს, არამედ ძირითადად მმართველი პარტიების ხარვეზებს. და, რაღა თქმა უნდა, არ უნდა დავუკარგოთ „ამაგი" არც დასავლეთს, მის გამუდმებულ და ჯიუტ ცდებს — ძირი გამოეთხარა სოციალისტური სახელმწიფოების განვითარებისათვის, გამოეკრა მათთვის სარმა.

მკაცრი, ზოგჯერ მწარე განსაცდელის ფასად გროვდებოდა სოციალისტური გარდაქმნების გამოცდილება. მმართველი კომუნისტური პარტიების პრაქტიკიდან, თეორიული მუშაობიდან იქმნებოდა და ყალიბდებოდა უფრო სრული და ზუსტი წარმოდგენა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მეთოდების, ფორმების, ხერხების შესახებ. მარქსი, ენგელსი, ლენინი, რომლებმაც თეორიულად დაასაბუთეს სოციალიზმის პრინციპები, არ ცდილან დაეხატათ მომავალი საზოგადოების დეტალური სურათი. ეს შეუძლებელიც იყო. იგი ყალიბდებოდა და ყალიბდება ყველა სოციალისტური სახელმწიფოს რევოლუციური შემოქმედებისაგან.

მომხდარა სერიოზული შეფერხებანი სოციალისტური ქვეყნე-

ბის ურთიერთობებშიც. განსაკუთრებით მძიმე იყო მეგობრული ურთიერთობის დარღვევა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ალბანეთს შორის. ერთი სიტყვით, მწარე გაკვეთილები შრავლად გვქონდა. და კომუნისტები სწავლობდნენ. სწავლას განვაგრძობთ ახლაც.

საერთოდ, სოციალიზმის ერთ-ერთი უპირატესობაა მისი უნარი — სწავლობდეს. სწავლობდეს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. სწავლობდეს იმ კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილებას, რომელთა შექმნა-გამოყენებასაც ცდილობს ჩვენი მოწინააღმდეგე: სწავლობდეს წინააღუდგენ სოციალისტური სამყაროს ფენებად დაშლის, ქვეყნების ერთმანეთისათვის წაკიდების ცდებს. სწავლობდეს არ დაუშვან სხვადასხვა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების კოლიზიები, უზრუნველყონ მათი ორმხრივი ჰარმონიზება, მიაგნონ ყველაზე რთული პრობლემების ურთიერთმისაღებ გადაწყვეტებს.

რით მოვიდა მსოფლიო სოციალიზმი 80-იანი წლების შუახანებში? ახლა შეგვიძლია დავადასტუროთ: სოციალისტური წყობილება მკვიდრად დადგა ფეხზე სახელმწიფოთა დიდ ჯგუფში. ნიადაგ იზრდება სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი, მისი სულიერი ღირებულებანი ღრმად ზნეობრივია და აღამაღლებს ადამიანს.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება წამოიჭრას კითხვა: თუკი ყველაფერი ასე კარგად გაქვთ, მაშინ რატომ არის, რომ გარდაქმნა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში „იჭრებაო“? საესებით კანონიერი კითხვაა.

ზოგადი ფორმით პასუხიც საკმაოდ უბრალოა: მსოფლიო სოციალიზმის პირვანდელი ჩამოყალიბების, მისი ფორმირების ეტაპი უკან დაგვრჩა, ხოლო იმ დროს ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა ფორმები პრაქტიკულად არ შეცვლილა. საკმაოდ გულახდილადაც არ გაგვირკვეია არც ამ ურთიერთობებში წარმოშობილი ნეგატიური დანაშრევები, მაშასადამე, არ გამოგვივლენია ყველა „მამუხრუჭებელი მოწყობილობა“, რომლებიც აკავებდნენ მათს განვითარებას, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გასვლას. ამავე დროს თითოეულმა სოციალისტურმა ქვეყანამ, ყოველმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ცხოვრების ყველა სფეროში დიდი საკუთარი გამოცდილება შეიძინეს. და დღეს, ებღაუჭებოდე თანამშრომლობის ძველ

ფირმებს, სჯერდებოდე მათ. ნიშნავს უშუალო ზიანს აყენებდე სოციალიზმის პრესტიჟსა და შესაძლებლობებს.

მართლაც. 70-იანი წლების დამლევიდან მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელთა კონტაქტებს თანდათან დაედო პარადულობის ელფერი. მათში ნაკლებად იგრძნობოდა მიმნდობლობა, საქმიანი სულისკვეთება.

ახლა ბევრი რამ შეიცვალა. ორ წელიწად-ნახევრის მანძილზე გაერთიანებული ძალებით დიდი მუშაობაა გაწეული. იგი გასაგრძელებელია და გრძელდება კიდეც. სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ ურთიერთობათა მთელი გამა ახლდება. ეს ნაკარნახევია არა ემოციებით, არამედ შინაგანი განვითარების და მოლიანად საერთაშორისო სიტუაციის ობიექტური მოთხოვნილებებით.

ახლებური ურთიერთობისაკენ

საბჭოთა კავშირის როლს თანამეგობრობაში გარდაქმნის ეტაპზე განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ობიექტური მდგომარეობა. და ჩვენ გვილაჩინს თუ გვიპირს — ეს გარდაუვალად ახდენს გავლენას ყველაზე. მაგრამ თანამოქმედების ის დონე, რომელზეც ახლა გავდივართ, მარტოოდენ იმ მუშაობის შედეგი რომ ია, რომელსაც ჩვენში ვეწეოთ. ეს არის მოძმე ქვეყნების ერთობლივი საქმიანობისა და გაერთიანებული ძალისხმევის შედეგი. ჩვენ არა ერთხელ განგვიხილავს ჩვენს მეგობარ-მოკავშირეებთან თანამშრომლობის ყველა ასპექტი.

ჩვენ ყველანი იმით ვხელმძღვანელობთ, რომ მსოფლიო განვითარების ახლანდელ რთულ პერიოდში სოციალიზმმა მთელი სისრულით უნდა წარმოაჩინოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დინამიზმი, ჰუმანური ცხოვრების წესი. დროის მოთხოვნების შესაბამისად სოციალისტურ თანამეგობრობაში ურთიერთობათა გარდაქმნა უკვე მიმდინარეობს. ჩვენ ეიფორიაში არ ვვარდებით. მუშაობა ჯერ მხოლოდ ეს-ეს არის ჩაღდება. მაგრამ საკვანძო ორიენტირები გამოიკვეთა.

რა არის მათი არსი? საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი სისტემა განუხრელად ემყარებოდეს სრული დამოუკიდებლობის საფუძველს. ეს მოძმე ქვეყნების ყველა ხელმძღვანელის საერთო თვალსაზრისია. ყოველი პარტიის დამოუკიდებლობა, მისი უფლება -

სუვერენულად წყვეტდეს თავისი ქვეყნის საკითხებს, საკუთარი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა — უცილობელი პრინციპებია.

ასევე ღრმად ვართ დარწმუნებული იმაშიც, რომ თანამეგობრობის წარმატებანი შეუძლებელია, თუ ყოველმა პარტიამ და სახელმწიფომ არ გამოიჩინა მზრუნველობა არათუ საკუთარი, არამედ აგრეთვე საერთო ინტერესებისათვის, თუ არ მოეკიდა პატივისცემით მეგობარ-მოკავშირეებს, თუ უსათუოდ არ გაითვალისწინა მათი ინტერესი, უურად არ იღო სხვათა გამოცდილება.

მსოფლიოს სოციალიზმის ინტერესებისა და შინაგანი ამოცანების ამ კავშირის გაგებაა ჩვენი ძალის წყარო. და ამ წყაროში ვეწაფებით რწმენას იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც დრო გვიყენებს.

სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის სული და გული იყო და არის მმართველი კომუნისტური პარტიების თანამოქმედება. უკანასკნელი წლების მანძილზე პრაქტიკულად არ ყოფილა არც ერთი მოძმე პარტია, რომლის ხელმძღვანელობასთანაც არ გვქონოდა შეხვედრები და საფუძვლიანი საუბრები. ახლდება თვით თანამშრომლობის ფორმებიც ყალიბდება მისი ახალი. შესაძლოა, საკვანძო როლი — მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელთა მრავალმხრივი სამუშაო შეხვედრების ინსტიტუტი. ისინი საშუალებას გვაძლევენ ოპერატიულად, ამხანაგურად მოვეთათბიროთ ერთმანეთს სოციალისტური მშენებლობის პრობლემათა მთელი კომპლექსის, მისი საშინაო და საგარეო ასპექტების გამო.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ქონდა ვარშავის ხელშეკრულების გაგრძელებას — მის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პერიოდული თათბირების ფარგლებში მიმდინარეობს მის მონაწილეთა იდეებისა და ინიციატივების ერთგვარი აკუმულაცია, ხორციელდება „საათების შეჯერება“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმას, რომ საერთაშორისო საქმეებში თითოეული ქვეყნის ინიციატივა ორგანულად ეხამებოდეს ყველას მიერ შეთანხმებულ ზოგად გეზს. „ამოცდილებამ გვიჩვენა, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ამ ფორმულის ორივე ელემენტი. ვერც ერთი მოძმე ქვეყანა — და ამას სრულად შივაკუთვნებთ საკუთარ თავსაც — ვერ გადაწყვეტს თავის ეროვნულ ამოცანებს საერთაშორისო ასპარეზზე, თუ საერთო კურსისაგან იზო-

ლაციაში იქნა. და ზუსტად ასევე, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკუმულირდება და მხედველობაში მიიღება თითოეული სახელმწიფოს წვლილი საერთო საქმეში.

რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობას, ჩვენ მას წარვმართავთ ნაცვალგებისა და ურთიერთდახმარების პრინციპების თანამიმდევრული დაცვის საფუძველზე. შეიქმნა საერთო გაგება, რომ დღეს ჩვენ ყველას გვესაჭიროება სერიოზული დაწინაურება მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის გზით. ამ მიზნით შევიმუშავეთ და მივიღეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთობლივი კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების გაორკეცება-გასამკეცებას 2000 წლისათვის. უტოპიაა? არა. სოციალისტურ თანამეგობრობას საამისოდ მოეპოვება ყოველივე: აქვს მძლავრი საწარმო პოტენციალი, სოლიდური მეცნიერულ-ტექნიკური მარაგნაკეთი, ბუნებრივი რესურსები, ჰყავს კადრები. და გეგმიანი სისტემაც თავისთავად საშუალებას გვაძლევს თავი მოვუყაროთ დიდ რესურსებს გადამწყვეტი მიმართულებებით.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს ყველამ გამოვიტანეთ დასკვნა: სოციალისტური სისტემის ფარგლებში საჭიროა უზრუნველვყოთ მისი ყველა სტრუქტურის უფრო პროდუქტიული ფუნქციონირება. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში პროცესები ერთნაირად წარიმართება. ყოველ მათგანს აქვს თავისი ტრადიციები, თავისებურებანი, განსხვავებანი პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაში. მაგრამ პრინციპულად ყველა სოციალისტური ქვეყანა მეტ-ნაკლებად ჩაბმულია განახლების, ღრმა გარდაქმნების ძიების პროცესში. თუ რა მასშტაბით აწარმოოს ისინი, როგორი უნდა იყოს მათი ფორმები, ტემპი, მეთოდები, ამას თითოეული ქვეყანა, მისი ხელმძღვანელობა და ხალხი დამოუკიდებლად წყვეტენ. აქ არ არის წინააღმდეგობანი, არის თავისებურებანი.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟ. შირაკმა მკითხა: „რიგგორ გგონიათ, ხომ არ მოახდენს გარდაქმნის სულისკვეთება ზემოქმედებას აღმოსავლეთ ევროპის ყველა სოციალისტურ სახელმწიფო-

ზე?“ მე ვუპასუხე, რომ აქ გავლენა ორმხრივია. ჩვენ რაღაცას ვიძენთ მეგობართა გამოცდილებიდან, ისინი კი ჩვენგან იძენენ იმას, რაც მათ არგებთ. ერთი სიტყვით, ეს არის ორმხრივი გაცვლისა და ორმხრივი გამდიდრების პროცესი.

ვაღიარებ, მომეჩვენა, რომ თვით შეკითხვა გამოწვეული იყო არა მარტო ჩვენი საქმეებისადმი ინტერესით, არამედ, გარკვეულწილად იმ ლაპარაკით, რომ ზოგიერთი ჩვენი მეგობარი „არ ეთანხმება“ საბჭოთა ხელმძღვანელობის გარდაქმნის კურსს. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? მეგობრებთან და მოკავშირეებთან რაიმე სერიოზული განსხვავებანი ჩვენ არა გვაქვს, ხოლო ჩვენი სკაბაასი ყოველთვის გულახდილი და საქმიანია. ის კი არა, ჩემი აზრით, ყველაფერზე რომ ერთსულოვნად გვიკრავ ტაში, ეს უარესიც იქნება, ვიდრე ჩვენი მოქმედებისა და ინიციატივების დაინტერესებული კრიტიკული გააზრება. ეს პირველი. და მეორეც — გავიმეორებ იგივეს მოცემული კონტექსტითაც, — ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია მონოპოლია ვიქონიოთ იმაში, რაც შეეხება ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება კი წარმოიშობა ერთობლივი ძიებითა და გარჯით.

მაგრამ დავუბრუნდები ეკონომიკურ საქმეებს. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ინტეგრაციის გაღრმავების ძირითადი რეზერვი და ბერკეტი — ეს არის გაერთიანებებსა და საწარმოებს შორის პირდაპირი კოოპერაციული კავშირის განვითარება, სპეციალიზაცია. სწორედ ამ კალაპოტით გარდავქმნით საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ვაუქმებთ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან საწარმოებს ეძებონ შესაფერისი პარტნიორები მოძმე ქვეყნებში, თავად მოილაპარაკონ ერთობლივი მუშაობის შესახებ. ვთანხმდებით ერთობლივი სოციალისტური ფირმების, მათ შორის ისეთების შექმნას, რომლებიც დაგვეხმარება უფრო სწრაფად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნების საჭიროება ყველაზე თანამედროვე ნაწარმზე. ასეთი ფირმები წარმოიშობა მომსახურების სფეროში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე. საბჭოთა კავშირი მზად არის შესთავაზოს მათ დიდი შეკვეთები. მზად ვართ დადებითად მოვეკიდოთ ასეთი ფირმების საქმიანობაში აგრეთვე დასავლელ მეწარმეთა ჩაბმასაც.

მომავალ წლებში განსხვავებული გვაქვს დავაჩქაროთ ინტეგრაციული პროგრესის მიმდინარეობა. ამ მიზნით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობა, ჩანს, სულ უფრო მეტად კონცენტრირდება ორ მთავარ ამოცანაზე.

ჯერ ერთი, ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმებაზე, უმნიშვნელოვანეს დარგებში თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებაზე, დიდი ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაზე. აქ კვლავ შესაძლებელი და მიზანშეწონილია ვეთანამშრომლოთ არასოციალისტურ ქვეყნებს, მათს გაერთიანებებს, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას.

მეორე, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო უმთავრეს ყურადღებას დაუთმობს იმას, რომ შეიმუშაოს და შეათანხმოს უშუალო კოოპერაციული ურთიერთობების ინტეგრაციული მექანიზმის ნორმატიული საფუძვლები, სამართლებრივი და ეკონომიკური პირობები და მათ შორის, ბუნებრივია, ფასწარმოქმნა.

ჩვენ ვისწრაფვით, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში იყოს რაც შეიძლება ნაკლები ადმინისტრირება, რაც შეიძლება ნაკლები ყოველგვარი კომიტეტები და კომისიები, იყოს მეტი ყურადღება ეკონომიკური ბერკეტების, ინიციატივის, სოციალისტური გერგილიანობისადმი, ამ პროცესში შრომითი კოლექტივების ჩაბმისადმი. ჩვენც და ჩვენს მეგობრებსაც მიგვაჩნია, რომ უნდა გავათავისუფლოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო „მაკულატურული“ საქმიანობისაგან, ქაღალდის მორევისაგან.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს არსებობა არამც და არამც არ ლახავს რომელიმე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, მის სუვერენულ უფლებას — განაგებდეს თავისი ქვეყნის რესურსებს, პოტენციალს, იღვწოდეს თავისი ერის საკეთილდღეოდ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო სულაც არ არის ერისზედა ორგანიზაცია. მასში ყველაფერი წყდება არა ხმის უმრავლესობით, არმედ კონსენსუსის, ანუ ერთსულოვნების პრინციპის საფუძველზე. ოღონდ შთავარია, რომ რომელიმე პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესის უქონლობა ან უნდომლობა ხელს არ უშლიდეს სხვებს. თუ გაქვს ინტერესი — მიიღე მონაწილეობა, არა გაქვს ინტერესი — ადექვნე თვალი, როგორ წარიმართება საქმე. ყოველი მხარე თავად განსაზღვრავს, რამდენად არის მზად იგი ასეთი თანამშრომლობისათვის და რაოდენ ღრმა მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ამ საქმეში. ჩემი აზრით, ეს ერთადერთი სწორი მიდგომაა.

უდიდესი მასშტაბის ამოცანა დგას ყოველი ჩვენგანის წინაშე აგრეთვე სულიერ დარგში თანამშრომლობის მხრივაც. ცვლილებები აქაც კარს მოგვადგა. არსებითად, ყოველი სოციალისტური ქვეყანა წარმოადგენს სოციალურ ლაბორატორიას, სადაც მიმდინარეობს სოციალისტური შემოქმედების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოცდა. აი რატომ არის, რომ ჩვენი აზრით, მკვეთრად გაიზრდება სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარების, განზოგადების მნიშვნელობა.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, როდესაც სოციალიზმის მომავალზე ვფიქრობთ, ორიენტირად ვიღებთ ლენინის იმ აზრს, რომ იგი უნდა ყალიბდებოდეს სხვადასხვა ქვეყნის მთელი რიგი ცდებისაგან. სწორედ ამიტომ ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ მმართველი კომუნისტური პარტიის სერიოზულობის საიმედო საზომია არა მარტო მისი დამოკიდებულება საკუთარი გამოცდილებისადმი, არამედ აგრეთვე მეგობართა გამოცდილებისადმი, მსოფლიო გამოცდილებისადმი. რაც შეეხება ამ გამოცდილების ფასეულობას, კრიტერიუმი ერთი გვაქვს: საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები, სოციალიზმის ნამდვილი განმტკიცება. ახლა ჩვენი მეცნიერება, ჩვენი პრესა, ჩვენი პრაქტიკოსები წინანდელზე გაცილებით უფრო ფართოდ და აქტიურად აანალიზებენ და შემოქმედებითად უსადაგებენ საბჭოურ პირობებს მოძმე ქვეყნების გამოცდილებას.

თავის მხრივ, უდიდეს ინტერესს იჩენენ იმისადმი, რაც ჩვენში ხდება. ამას ვხედავ სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან, რიგითს მოქალაქეებთან ჩემი შეხვედრების დროს, როდესაც საზღვარგარეთ მიხდება ყოფნა.

აი, ნათქვამის მცირე ილუსტრაცია. ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტის დროს პრაღის ქუჩებსა და საწარმოებში, როდესაც ჩვეულებრივ საუბროდ ვიწვევდი ადამიანებს, პასუხად მესმოდა: „ეს სწორია, რასაც თქვენ ახლა აკეთებთ!“ ერთმა ახალგაზრდამ შენიშნა: „გამოდის ასეა, მიხეილ სერგის ძევ: ილაპარაკე სიმართლე, გიყვარდეს სიმართლე და ნუ დაუშურავ სიმართლეს სხვას“. მე კი დავძინე: „მაგრამ სამართლიანადაც იმოქმედე. ეს ყველაზე ძნელი მეცნიერებაა“. და კიდევ ვთქვი: „ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი სკოლა, და მასში ყოველთვის როდი გამოგივა ყველაფერი იოლად. ზოგჯერ უკან უნდა დაიხიო, მერე კი შე-

ტევაზე გადახვიდე. რა ძნელია, იფიქრო ერთი, გაიაზრო, შემდეგ კი იძულებული გახდე ხელახლა გაიცნობიერო — ამისა არ უნდა გეშინოდეთ".

საბჭოთა ხელმძღვანელობის ზოგადი დასკვნა ასეთია: შრომითი კოლექტივების, ადამიანთა ურთიერთობის განვითარების მეშვეობით, გამოცდილების გაზიარების მეშვეობით ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ ურთიერთობის ახალ დონეს. ჩვენი ურთიერთობა ცხოვრების ყველა სფეროში სულ უფრო აქტიური ხდება. აღებულია კარგი სტარტი. უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მოძმე ქვეყნების თანამშრომლობისათვის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხაზით დამკვიდრებულ ურთიერთობათა მტკიცე ქსელს. ურთიერთობის დონეები ჩვენში სხვადასხვაგვარია — საწარმოებიდან, ბრიგადებიდან, ოჯახებიდან, ბავშვთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან, უნივერსიტეტიდან და სკოლებიდან, შემოქმედებითი კავშირებიდან და კულტურის მოღვაწეებიდან, ინდივიდუალური კონტაქტებიდან უწყებათა ხელმძღვანელების, მთავრობის წევრების ცენტრალური კომიტეტის მდივნების მუდმივ საქმიან ურთიერთობამდე.

შინდა მოგახსენოთ ურთიერთობაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სადაც „ოთხი მოდერნიზაციის" პროცესში რეალიზდება ძალზე საინტერესო, მრავალმხრივ პროდუქტიული იდეები. ჩინეთი ჩვენ დიად სოციალისტურ სახელმწიფოდ მიგვაჩნია და ვდგამთ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რათა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდეს კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის კალაპოტით. გარკვეული გაუმჯობესება, გარკვეული წინსვლა აქ უკვე შეიმჩნევა. ჩვენ გვჯერა, რომ გაუცხოების პერიოდი წარსულს ჩაბარდა. ჩინელ ამხანაგებს მოვუწოდებთ, რომ ერთად ვიმოქმედოთ, რათა ვამრავლოთ და განვავითაროთ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კეთილი ურთიერთობა.

ისტორიული განვითარების ახლანდელმა ხანამ სოციალისტური სახელმწიფოების წინაშე დააყენა მკაცრი მოთხოვნა: მკვეთრად მოვუმატოთ ნაბიჯს, გავიდეთ ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე, დამაჯერებლად ცხადვყოთ სოციალისტური ცხოვრების წესის მიმზიდველობა.

ჩვენ გულახდილად და თვითკრიტიკულად შევაფასეთ წარსული განვითარება და ვიკისრეთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა იმი-

საათვის, რაც არ გამოგვივიდა სოციალისტურ სამყაროში. გამოხმაურებამ არ დაახანა. ამის მეოხებით გაგვეხსნა გზა ურთიერთობის გარდასაქმნელად, ახალ, თანამედროვე დონეზე გადასაყვანად.

უკანასკნელ ხანს გაერთიანებული ძალებით ბევრი რამ გავაკეთეთ — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ინფორმაციაში. ოუკ დღესდღეობით ზოგი რამ ჯერ კიდევ არ გამოგვდის, ჩვენ არ ვნერვიულობთ, ვმუშაობთ შეუპოვრად. ვეძებთ ახლებურ მიდგომებს. მთავარია, ჩვენ გვწამს თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა, გვწამს მისი გამდიდრების საჭიროება. ისტორიის ახლანდელ ეტაპზე, რომელიც არსებითად გარდამტეხია, სოციალისტური ქვეყნების მმართველ პარტიებს ესმით თავიანთი ეროვნული და საერთაშორისო პასუხისმგებლობის უდიდესი მნიშვნელობა, დაბეჯითებით ეძებენ საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარების რეზერვებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ორიენტაცია, მასების შემოქმედება, დემოკრატიის განვითარება — ეს იმის საწინდარი, რომ მომავალ პერიოდში, ათასგვარ ავისმდომთა წინასწარმეტყველების მიუხედავად, სოციალიზმი კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენს მასში მოქცეულ პოტენციალს.

რევოლუციური ცვლილებები შემოდის დიდ საერთაშორისო სოციალისტურ სახლში. ისინი ძალას იკრებენ ეს ეხება სოციალისტურ ქვეყნებს, მაგრამ ეს არის აგრეთვე ცივილიზაციის პროგრესში შეტანილი წვლილიც.

თავი V

„მესამე სამყარო“ საერთაშორისო გაერთიანებაში

თანამედროვე მსოფლიოს დიად რეალობათა შორის არის ის, რომ საერთაშორისო სარბიელზე გამოვიდა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ასზე მეტი სახელმწიფო, რომლებიც თავისთავადი, დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ. ჩვენ მივესალმებით XX საუკუნის ამ ფენომენს. ეს არის ვეებერთელა და მრავალსახოვანი სამყარო თავისი დიდი ინტერესებითა და ძნელი პრობლემებით. გვესმის, რომ კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა გზით განვითარდება იგი.

მარტოოდენ თვით მათ როდი აწევთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ამ ათობით ქვეყანამ და დედამიწის მოსახლეობის მრავალმილიონიანმა მასებმა შეძლონ თავიანთი უმდიდრესი პოტენციალის წარმოჩენა და რეალიზება მსოფლიო პროგრესის სასიკეთოდ.

ერთი მხრივ, „მესამე სამყაროში“ ჩვენ ვხედავთ სწრაფი, თუმცა უთანაბრო, მტკივნეული ეკონომიკური ზრდის მაგალითებს. ბევრი ქვეყანა თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოების მწყობრში დგება. ზოგიერთი უკვე დიდი სახელმწიფოების როლში გვევლინება. „მესამე სამყაროს“ უმეტესი სახელმწიფოების დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც მოპოვებულ ეროვნულ ღირსებას ემყარება, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს მთლიანად საერთაშორისო საქმეებზე.

მეორე მხრივ, ყოფილ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში მცხოვრები 2,5 მილიარდი ადამიანის ცხოვრების განმსხვავებელ ნიშნად კვლავ რჩება სიღარიბე, სიღატაკე, უბრალოდ ყოველდღიური ყოფის არაადამიანური პირობები, უწიგნურობა და უმეცრება, კვების ნაკლებობა და შიმშილი, შეუწყნარებელი ბავშვთა სიკვდილიანობა, ეპიდემიები. ასეთია მწარე სიმართლე. 80-იანი წლების

დამდეგს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე იქ 11-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს განსხვავება კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის მდიდარი სახელმწიფოები განაგრძობენ ნეოკოლონიური „ხარკის“ აკრეფას. მარტო ბოლო ათწლეულში ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციების მიერ განვითარებადი ქვეყნებიდან ამოქაჩულმა მოგებამ ოთხჯერ გადააჭარბა მათს დაბანდებებს.

განვითარებად ქვეყნებს კოლოსალური საგარეო დავალიანების ტვირთი აწევს. თუ მზარდ დავალიანებას ყოველწლიურად იქიდან გატანილი მოგების მოცულობასთან შეეაერთებთ, ეს მოასწავებს მხოლოდ ერთ რამეს: განვითარების პერსპექტივების შევიწროებას, ისედაც მძიმე სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების შემდგომი გამწვავების გარდაუვალობას.

მახსენდება ჩემი საუბარი პრეზიდენტ მიტერანთან. ამ საუბრის აზრი შემდეგი იყო. ცხადია, რომ ყოველი კაპიტალისტური საწარმო მაქსიმალურ მოგებას ესწრაფვის. მაგრამ, ამასთან ერთად, იგივე კაპიტალისტი ანდა კომპანია იძულებულია, მნიშვნელოვანწილად მშრომელთა ზეგავლენით, ანგარიში გაუწიოს იმას, რომ მისი საწარმოების ეფექტიანი, ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა უზრუნველყოს მუშაკთა ისეთი შემოსავალი, რომელიც, დაბალი დონის მიუხედავად, მაინც მისცემდა შესაძლებლობას მათ აღედგინათ საწარმოო უნარი, შეენარჩუნებინათ ჯანმრთელობა, აემაღლებინათ კვალიფიკაცია, აღეზარდათ ბავშვები. კაპიტალისტი იძულებულია ეს მოიმოქმედოს, რადგან ესმის, რომ ამით უზრუნველყოფს თავის მოგებას დღესაც და მომავალშიც. ხოლო ერთობლივ კაპიტალისტს დასავლეთის ქვეყნების სახით ამ უბრალო ჭეშმარიტების გაგებაც კი არ უნდა თავისი ყოფილი კოლონიების მიმართ. ერთობლივმა კაპიტალისტმა ეკონომიკური ურთიერთობა აზიასთან, აფრიკასთან, ლათინურ ამერიკასთან იქამდე მიიყვანა, რომ მთელი ხალხები განწირული არიან ეკონომიკური სტაგნაციისათვის, არ ძალუძთ უზრუნველყონ თავიანთი უპირველესი საჭიროებანი, გახლართულნი არიან უზარმაზარი ვალების ქსელში.

დღევანდელ პირობებში ამ ქვეყნებს, რა თქმა უნდა, არ ძალუძთ ვალების დაბრუნება. ასეთ სიტუაციას, თუ სამართლიანი გადაწყვეტილება არ გამოიძებნა, შესაძლოა ნებისმიერი შედეგები

მოპყვეს. განვითარებადი ქვეყნების დავალიანება თავისებური ნელი მოქმედების „სოციალურ ბომბად“ გადაიქცა. თუ იგი აფეთქდა, ამან შეიძლება საშინელი უბედურება გამოიწვიოს. გროვდება უდიდესი დამანგრეველი ძალის სოციალური აფეთქების პოტენციალი.

განვითარებადი ქვეყნების დავალიანების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა მსოფლიოში. იგი დიდი ხანია არსებობს. მაგრამ მას ან სამერმისოდ დებდნენ, ან ყურადღებას არ აქცევდნენ. ანდა ზოგადი მსჯელობით იფარგლებოდნენ. დასავლეთის ლიდერები სათანადოდ ვერ აფასებენ მომავალ საფრთხეს, სრულიად არ ესმით შესაძლო ეკონომიკური ძვრების მთელი სერიოზულობა. სწორედ ამიტომ გვთავაზობენ ნაწილობრივ ზომებს, ცდილობენ პალიატივებით განმუხტონ სიტუაცია, მაგრამ აშკარად არ სურთ ნამდვილი, არსებითი ნაბიჯები გადადგან განვითარებად ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ნორმალიზაციისათვის.

მძიმე ბრძოლა მოგველის, ვიდრე შესაძლებელი გახდება ნამდვილი ცვლილებების განხორციელება, ურთიერთობის გადაყვანა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესის კალაპოტში. წინ არის გრძელი და მძიმე გზა, და მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნა ხომ ყველა ქვეყნის ინტერესთა გათვალისწინებას მოითხოვს, ინტერესების ბალანსს მოითხოვს, ბევრს კი არაფრის დათმობა არ უნდა.

რეგიონალური კონფლიქტები

განვითარებადი ქვეყნების გაჭირვებული მდგომარეობა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის მრავალი კონფლიქტის ნამდვილი წყაროა. როცა ჯერ კიდევ ყენევის შეხვედრის დროს პრეზიდენტ რეიგანთან ამაზე სიტყვა ჩამოვარდა, მას ვუთხარი: უწინარეს ყოვლისა უნდა გავიგოთ, საიდან ჩნდება რეგიონალური კონფლიქტები.

სიმართლე ასეთია: თუმცა მათ განასხვავებს თავიანთი ბუნება და ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ხასიათი, ისინი, როგორც წესი, წარმოიქმნებიან ადგილობრივ ნიადაგზე, იმ საშინაო და რეგიონალურ წინააღმდეგობათა შედეგად, რომლებსაც წარმოშობს ან კოლონიური წარსული, ან ახალი სოციალური პროცესები, ან დამპყრობლური პოლიტიკის რეციდივები, ანდა ერთიც, მეორეცა და მესამეც, ერთად აღებული.

კრიზისები და კონფლიქტები ნოყიერი ნიადაგია საერთაშორი-

სო ტერორიზმისათვის. საბჭოთა კავშირი პრინციპულად უარყოფს ტერორიზმს და მზად არის ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად. მიზანშეწონილია, რომ ეს მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში იქნეს კონცენტრირებული. სასარგებლო იქნებოდა მისი ეგიდით შექმნილიყო საერთაშორისო ტერორიზმის აქტების გამომძიებელი ტრიბუნალი. დასავლეთის ქვეყნებთან ორმხრივი დიალოგის მსვლელობაში, — ბოლო წლის განმავლობაში კი ამის თაობაზე შეხედულებათა გაღრმავებული გაზიარება გვქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იტალიასთან, კანადასთან, შვეციასთან — ჩვენ ვემხრობით ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებას. მზად ვართ დავდოთ სპეციალური ორმხრივი შეთანხმებანი. იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი გაფართოვდება მომდევნო წლებში.

მაგრამ საჭიროა საკუთარ თავს ანგარიში იმის თაობაზეც მივცეთ, რომ ტერორიზმის აღმოსაფხვრელად უცილობელია კონფლიქტებისა და ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების მოსპობა. არაერთხელ წავწყდომივარ დასავლეთის წამყვანი პოლიტიკოსების თვალსაზრისს, რომლებსაც რეგიონალური კონფლიქტების თვით არსებობაც კი „კრემლის შეთქმულებრივი საქმიანობის“ ნაყოფად მიაჩნიათ. ხოლო როგორია რეალობა?

ახლო აღმოსავლეთში უკვე მრავალი ათეული წელია გრძელდება კონფლიქტური სიტუაცია ისრაელსა და მის მეზობლებს შორის. ვინ არის დამნაშავე? თურმე, მოსკოვი, რომელიც განუხრელად ილაშქრებს ისრაელის ექსპანსიის წინააღმდეგ, იცავს არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის, სუვერენულ უფლებებს. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირს მიაწერენ არარსებულ ანტიისრაელურ წინასწარშექმნილ აზრებს, თუმცა ჩვენი ქვეყანა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნას.

სერიოზულ საგნებზე სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ. ახლო აღმოსავლეთი — ეს არის რთული, აბურდული კვანძი, სადაც გადახლართულია ბევრი სახელმწიფოს ინტერესები. ვითარება იქ კვლავ საშიშია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთისთვისაც, დასავლეთის-

თვისაც, და საერთოდ მთელი მსოფლიოსთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კვანძის გახსნას. მაგრამ ასეთი თვალსაზრისიც არსებობს: ახლო აღმოსავლეთის პრობლემები არ შეიძლება გადაწყდეს. ასეთი თვალსაზრისის გაგებაც კი ძნელია. მას არ შეიძლება დაეთანხმო არც პოლიტიკური, არც მორალური მოსაზრებებით. აქედან ხომ ლოგიკურად ერთი რამ გამოდის: რომ ჩვენ გარდაუვალად მოგველის ახალი გამწვავებანი, საომარ მოქმედებათა ახალი აფეთქებები, ახალი უბედურებანი ამ რეგიონის ხალხებისათვის. განა არა სჯობს აქტიური პოზიცია დავიკავოთ და მხარი ავუბათ იმათ ძალისხმევას, ვინც ახლო აღმოსავლეთის ჩიხიდან გამოსავალს სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების გზებზე ეძიებს?

გვესმის, რომ საქმის არსებულ ვითარებაში ძნელია მივაღწიოთ კონფლიქტში მყოფ მხარეთა ინტერესების ჰარმონიას. მაგრამ უნდა ვეძებოთ, უნდა ვცადოთ, რომ როგორღაც გავაერთმნიშვნელიანოთ არაბების, ისრაელის, მისი მეზობლების, სხვა სახელმწიფოთა ინტერესები. ამასთან ერთად ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ მოწესრიგების მსვლელობამ და ფორმებმა, თვით ამ პროცესის მიზნებმა შელახოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ბუნებრივი ინტერესები, ჩვენ არ ვცდილობთ ამერიკის შეერთებული შტატების გაძევებას ახლო აღმოსავლეთიდან, და ეს არც არის რეალური. მაგრამ არც შეერთებულმა შტატებმა არ უნდა დაისახონ არარეალური მიზნები.

აქ უმთავრესია ყველა მხარის ინტერესთა გათვალისწინება. სწორედ ამით აიხსნება ჩვენი კარგა ხნის ინიციატივა, რომ მოვიწვიოთ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის თაობაზე. მე უკვე გავიხსენე ეს ამბავი ჯ. კარტერთან საუბარში. ათი წელი დასჭირდათ ამერიკელებს, რათა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ (თუმცა მათ შეეძლოთ წინამორბედთა გამოცდილების გამოყენება), რომ სეპარატული გარიგებები არაფერს იძლევა, რომ ამ გზით სიარული არაპროდუქტიულია. მხოლოდ ახლა, როგორც ჩანს, თავისებური „გადამზადების“ კურსის გავლის შემდეგ, ვაშინგტონში იხრებიან სიტუაციის უფრო რეალისტური გაგებისაკენ და უბრუნდებიან ამ საკითხების უფრო ფართო საფუძველზე განხილვას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოლაპარაკების პროცესი ამოძრავდეს, რომ მან მოიცვას უკვე არსებული ორმხრივი, მრავალ-

მხრივი კონტაქტები, რომ სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების ძიება აქტიურად წარმოებდეს. თუ კონფერენცია არ გადაიქცევა სეპარატული გარიგებებისა და ნაბიჯების საფარ „ქოლგად“, თუ მას მიზნად ექნება ნამდვილი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში, არაბული ქვეყნების, მათ შორის — პალესტინელების, და ისრაელის ინტერესების გათვალისწინებით, მზად ვართ გავუწიოთ მას ყოველგვარი დახმარება, როგორსაც შევძლებთ, და მონაწილეობა მივიღოთ ასეთი კონფერენციის ყველა სტადიაში, თანაც კონსტრუქციული მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ, პრინციპულად, არავითარი მტრობა არა გვაქვს ისრაელის მიმართ. ვცნობთ მისი არსებობის კანონიერ უფლებას. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში და იმ ქმედებათა შუქზე, რომლებსაც ისრაელი სჩადის, ვერ აღვადგენთ დიპლომატიურ ურთიერთობას. ხოლო თუ სიტუაცია შეიცვლება, თუ დავინახავთ, რომ ახლო აღმოსავლეთში ნორმალიზაციისა და მოწესრიგების გზაზე იქმნება წინსვლის შესაძლებლობა, შეიძლება ეს საკითხიც განვიხილოთ. აქ არავითარი კომპლექსები არა გვაქვს. რაც შეეხება ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე არსებულ კონტაქტებს, თავს არ ვარიდებთ მათ.

ავიღოთ პლანეტის სხვა „მტკივნეული წერტილი“ -- ცენტრალური ამერიკა. რა არის კონფლიქტის არსი? ნიკარაგუაში ამხობენ სამოსას ანტიხალხურ რეჟიმს, იმარჯვებს სახალხო რევოლუცია. და ისევე, რომ იტყვიან, ერთი ხელის დაკვრით, სანდინისტურ რევოლუციას „მოსკოვისა და კუბის ნახელავად“ აცხადებენ. აი ისიც — სტანდარტული, გაცვეთილი იდეოლოგიური დასაბუთება გამოუცხადებელი ომისა პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ უნდა თავისებურად იცხოვროს, სხვისი მეთვალყურეობის, სხვისი კარნახის გარეშე. სხვათა შორის, ის, რაც ნიკარაგუაში მოხდა, გვიჩვენებს, თუ რას შეიძლება მოველოდეთ სხვა ქვეყნებშიც. ჩვენთვის უცნაურად ჟღერს, როცა გვესმის, ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას „ემუქრება“, რომ საცაა იქ შეიქმნება საბჭოთა სამხედრო ბაზებიო, რომელთა შესახებ ამერიკელებმა თითქოს იციან, მე კი ყურიც არ მომიკრავს.

ამ თემაზე გაცხოველებული დისკუსია მქონდა მარგარეტ თეტჩერთან.

მე ვამბობდი: ცხოვრების აუტანელმა პირობებმა აიძულეს ნიკარაგუელები მოეხდინათ რევოლუცია. ეს პირობები კი შექმნეს დიდი ბრიტანეთის ამერიკელმა მეგობრებმა, რომლებიც თვითნებურად ექცევიან ცენტრალურ და მთელ ლათინურ ამერიკას, დაუნდობლად ქაჩავენ იქიდან რესურსებს, მერე კი უკვირთ, რატომ ჯანყდება ხალხიო.

ის, რაც მოხდა და ხდება ნიკარაგუაში, — სანდინისტების, ნიკარაგუას ხალხის საქმეა. ჩვენი საუბარი პირდაპირი, გულახდილი იყო. მე ვკითხე მ. თეტჩერს: „თქვენ ბრალად გვდებთ ნიკარაგუასთან სოლიდარობას, მაგრამ რატომ მიგაჩნიათ ნორმალურად მხარი დაუჭიროთ აპარტეიდს, რასისტებს? განა არ გაწუხებთ, თუ როგორ გამოიყურებით მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში? ჩვენ თანავუგრძნობთ განმათავისუფლებელ მოძრაობებს სოციალური სამართლიანობისათვის, თქვენ კი, როგორც მე მესმის, არ თანაუგრძნობთ. აქ ჩვენ სხვადასხვაგვარი მიდგომა გვაქვს“.

მერწმუნეთ, თუ შეერთებული შტატები ჩამოეხსნება ნიკარაგუას, ეს თვით მათთვისაც უკეთესი იქნებოდა, სამხრეთამერიკელებისათვისაც და მთელი მსოფლიოსათვისაც.

არ შეიძლება ფეთქებადი პრობლემების გადადება, ისინი თავისთავად არ მოწესრიგდებიან. უკვე კარგა ხანია ბობოქრობს აფრიკის სამხრეთი. იქ საავდრო სიტუაციაა. აპარტეიდის წინააღმდეგ გამოდიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო მასები, იზრდება ამ ზნედაცემული და რეპრესიული რეჟიმის საერთაშორისო იზოლაცია. მაგრამ ამ საკონფლიქტო სიტუაციასაც დასავლეთში ბევრი აღიქვამს როგორც „კომუნისტური შეთქმულების“ შედეგს, აქაც „მოსკოვის ხელს“ ხედავენ, თუმცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩვენ საერთოდ „არა ვართ“, რასაც ვერ იტყვი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის პარტნიორებზე.

იგივე შეიძლება ითქვას სპარსეთის ყურის ზონაში შექმნილ სიტუაციაზე. სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარების, მისი გამწვავების მიზეზების ჩვენეული შეფასება ცნობილია, იგი გადმოცემულია ოფიციალურ განცხადებებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც

მოითხოვს ცეცხლის და ყველა საომარი მოქმედების შეწყვეტას. და, აგრეთვე იმას, რომ ირანმა და ერაყმა ჯარები გაიყვანონ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებამდე. საბჭოთა კავშირმა ხმა მისცა ამ რეზოლუციას. მაგრამ შეერთებული შტატები ამ რეზოლუციის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ ეძებენ საბაბს, რათა ჩაერიონ ირან-ერაყის კონფლიქტში, ზრდიან სამხედრო ყოფნას სპარსეთის ყურეში, ისევ იმავე საბაბით, რომ დაიცვან დასავლეთის ინტერესები „მუქარისაგან", რომელიც თითქოს საბჭოთა კავშირის მხრივ მოდის. და პირობას იძლევიან კონფლიქტის მოგვარების შემდეგაც დარჩნენ ყურეში.

ასე მსჯელობენ ყველა რეგიონალური კონფლიქტის შესახებ. ყველა მათგანი განიხილება საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაპირისპირებულობის თვალთახედვით. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს რეგიონალური კონფლიქტები სჭირდებათ როგორც კონფრონტაციის დონით, ძალის პოლიტიკით მანევრირებისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდის მუდმივი რეზერვი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება მათი გადაქცევა ორი სისტემის, განსაკუთრებით სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, დაპირისპირებულობის სარბიელად.

რამდენადაც სიტყვა ჩამოვარდა რეგიონალურ კონფლიქტებზე, მკითხველს, ალბათ, უჩნდება კითხვა: რას ფიქრობს გორბაჩოვი ავღანეთის პრობლემაზე?

შესაძლოა, ყველამ არ იცის, რომ ავღანეთი არის პირველი ქვეყანა, რომელთანაც საბჭოთა კავშირმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. და ამ ქვეყანასთან ყოველთვის — მეფეებთან იქნებოდა ეს თუ ტომთა ბელადებთან — კარგი ურთიერთობა გვქონდა. რა თქმა უნდა, ავღანეთს ქვეყნის უკიდურესი ჩამორჩენილობით გამოწვეული მრავალი პრობლემა აქვს. არცთუ ბოლო რიგში ეს ინგლისის ბატონობის ნაყოფიც არის. და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ავღანელებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ დახმარებოდნენ ხალხს თავი დაეღწია შუასაუკუნეობრივობისათვის, მოეხდინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოდერნიზაცია, მეტი დინამიზმი მიენიჭებინათ განვითარებისათვის. მაგრამ, როგორც კი ავღანეთში დაისახა პროგრესული ცვლილებები, დაიწყო ქვეყანაზე გარედან ზემოქმედება. საქმეში

ჩაერივნენ იმპერიალისტური წრეები. ამიტომ ავღანეთის ხელმძღვანელობამ, ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს (მან 11-ჯერ მოგვმართა, ვიდრე ჩვენ დავთანხმდებოდით შეგვეყვანა საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტი).

ჩვენ გვინდა შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მალე დავაბრუნოთ საბჭოთა ჯარები სამშობლოში. პრინციპულად ეს საკითხი გადაწყვეტილია. მაგრამ იგი დაკავშირებულია ავღანეთში პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ ავღანეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის ეროვნული დაზავების გეზს. საბჭოთა კავშირს უნდა, რომ ავღანეთი მომავალშიც იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული, მიუმხრობელი სახელმწიფო. თუ რა გზით წავა იგი, როგორი მთავრობა ეყოლება მას, განვითარების რა პროგრამები განხორციელდება —ეს ავღანეთის ხალხმა გადაწყვიტოს, ეს მისი სუვერენული უფლებაა. ამერიკის ჩარევა კი აფერხებს ჩვენი ჯარების გამოყვანას, ამუხრუჭებს ეროვნული შერიგების პროგრამის განხორციელებას, და, მაშასადამე, ავღანეთის მთელი პრობლემის მოწესრიგებასაც. ხოლო კონტრრევოლუციური ბანდებისათვის „სტინგერების“ გადაცემა, რომლებითაც ისინი სამგზავრო თვითმფრინავებს აგდებენ, პირდაპირ უზნეო საქმეა და მას არავითარი გამართლება არა აქვს.

განვითარების საკუთარი გზის უფლება:

ყველა ხალხს უნდა დარჩეს უფლება აირჩიონ განვითარების საკუთარი გზა, უფლება განაგონ თავიანთი ბედი, თავიანთი ტერიტორია, ადამიანთა და ბუნებრივი რესურსები. თუ ყველა სახელმწიფოს ყველა პოლიტიკოსს არ ექნება ასეთი გაგება, შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალური კალაპოტით წარმართვა. იდეოლოგიური და სოციალური განსხვავებებიც, განსხვავებებიც პოლიტიკურ სისტემებში ხომ ასევე ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგია. და ასეთი არჩევანი არ უნდა გახდეს იმის საბაბი, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში წარმოიქმნას მოვლენები და ტენდენციები, რომლებიც შეიძლება კონფლიქტებად ანდა სამხედრო კონფრონტაციად გადაიქცნენ.

დროა დასავლეთის ლიდერები — მათ მაინც მოუწევთ ამის გაკეთება — განთავისუფლდნენ კოლონიური იმპერიების დროს ჩა-

მოყალიბებული ფსიქოლოგიისა და შეხედულებებისაგან. მანამდე, ვიდრე დასავლეთი „მესამე სამყაროს“ უყურებს როგორც გავლენის სფეროს, სადაც იგი მიეჩვია საუკუნეობით მბრძანებლობას, დაძაბულობის კერებიც იარსებებს. გაძლიერდება წინააღმდეგობა იმპერიალიზმისადმი, რაც ახალი „ცხელი წერტილების“ წარმოშობას გამოიწვევს.

ჩვენს ოპონენტებს დასავლეთში არ მოსწონთ, როცა ასე ველაპარაკებით. ისინი სიმშვიდეს კარგავენ, აღშფოთებაც კი ეუფლებათ, როცა საგნებს თავიანთ სახელებს ვუწოდებთ. ჩვენს შეფასებებს თავისებურად განმარტავენ: როგორც ხელყოფას განვითარებად ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ტრადიციულ კავშირებზე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

არაერთხელ მომიხდა ამეხსნა, რომ არ ვისახავთ დასავლეთის ინტერესებისათვის მტრულ მიზნებს. ვიცით თუ რა მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ინტერესებისა და ნედლეულის მიღების თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთი ევროპისათვის ახლო აღმოსავლეთს, აზიას, ლათინურ ამერიკას, „მესამე სამყაროს“ სხვა რაიონებს, თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ჩვენ ის როდი გვინდა, რომ გავწყვიტოთ ეს კავშირები, არ ვეწევით ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირურთიერთობის დარღვევის პროვოცირებას.

მაგრამ დადგა ჟამი ვაღიაროთ, რომ „მესამე სამყაროს“ ხალხებს უფლება აქვთ თავიანთ თავს ეკუთვნოდნენ. ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ მათ მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ისინი ესწრაფვიან აგრეთვე ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამ ქვეყნების სათავეში მდგომი ადამიანები, — მე კი ბევრ მათგანთან მისაუბრია, — ემყარებიან თავიანთი ხალხების ნებასა და მხარდაჭერას, უნდათ რაიმე გააკეთონ მათთვის. მათ უნდათ გამოიყვანონ ეს ხალხები ნამდვილი დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის გზაზე. ეს ქვეყნები ხომ უზარმაზარ რესურსებს — ბუნებრივსა და ადამიანურს — ფლობენ, და გასაგებია მათი მისწრაფება, რომ საკუთარი განვითარების ინტერესებისათვის გამოიყენონ ეს რესურსები. მათ სურთ იცხოვრონ ისე, როგორც განვითარებული ქვეყნების ხალხები ცხოვრობენ

და არა უარესად. მათ კი შიმშილი და სნეულებანი ტანჯავთ. მათი რესურსები არაეკვივალენტური გაცვლის არხებით განვითარებულ სახელმწიფოებში მიედინება და ამ სახელმწიფოთა ეროვნულ შემოსავალს ერთვის. განვითარებად ქვეყნებს არ სურთ შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას.

ასეთია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი რეალობა, რომელსაც დასავლეთში ყველა არ ითვალისწინებს, თუმცა ყველას ესმის ეს. მაგრამ გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება. ახლა ხომ საქმე მრავალ ათობით სახელმწიფოს ეხება.

რაც უფრო მალე გაიცნობიერებენ ამ რეალობას ყველანი და ყველა კონტინენტზე, მით უფრო მალე ჩადგება საერთაშორისო ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში. მით უფრო ჩქარა გაუმჯობესდება მთელი საერთაშორისო ვითარება. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის პრობლემათა პრობლემა.

მიმაჩნია, რომ დადგა დრო იგი საერთაშორისო თვალსაზრისით დავაყენოთ, ვეძიოთ მიდგომები ინტერესთა ბალანსის საფუძველზე მის გადასაწყვეტად. ვეძიოთ ასეთი გადაწყვეტის რაღაც ორგანიზაციული ფორმები საერთაშორისო გაერთიანების ჩარჩოებში. საამისოდ საუკეთესო ფორუმია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ჩვენ ვამზადებთ წინადადებებს ამის თაობაზე. ეს ვაცნობე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, რომელსაც ჩემთან საუბარში არ დაუმალავს თავისი დადებითი დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის დაყენებისადმი.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მიუმხრობლობის პოლიტიკას აღიარებს. ამ პლატფორმაზე აღმოცენდა მიუმხრობლობის მოძრაობა — 100-ზე მეტი სახელმწიფო, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმომადგენლობენ. ამჟამად ეს მოძრაობა მძლავრი ძალაა, საერთაშორისო პოლიტიკის დიდი ფაქტორია. იგი ხელს უწყობს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის აშენებას — რა თქმა უნდა, მასში არსებული ყველა ნიუანსითა და თავისებურებით.

მიუმხრობლობის მოძრაობა განასახიერებს განთავისუფლებული ხალხების მისწრაფებას თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისაკენ, რომ ყველა აღიარებდეს კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს,

რომ საერთაშორისო ცხოვრებიდან გამოირიცხოს ბატონობისა და დიქტატის, ჰეგემონიაზე პრეტენზიების გამოვლინებანი. საბჭოთა კავშირისათვის გასაგებია მიუმხრობლობის მოძრაობის მიზნები. იგი სოლიდარულია მასთან.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამ მოძრაობის მონაწილეებს მიაჩნდათ, რომ განიარაღების, ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია „დიდი სახელმწიფოების“ — შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საქმეა, განვითარებად ქვეყნებს კი ეს არ ეხებათ.

მაგრამ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VIII კონფერენციაზე, რომელიც ჰარარეში გაიმართა, მოძრაობამ ცხადყო განიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირის ღრმა გაგება და ოფიციალურად გამოაცხადა თავისი პოზიცია. მართლაც, თუ მოხერხდება გამალებული შეიარაღების შეჩერება და განიარაღების განხორციელება, გამოთავისუფლდება საკმაო რესურსები, რათა დავეხმაროთ განვითარებად ქვეყნებს მათი უმწვავესი პრობლემების გადაწყვეტაში.

განიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირი განვიხილე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან პერეს დე კუელიართან ერთად. ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უაღრესად სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. საბჭოთა კავშირმა კონკრეტული წინადადებები წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციას განიარაღებისა და განვითარების საკითხებზე. სამწუხაროდ, შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა ამ კონფერენციაში მონაწილეობაზე.

დღეს არა მარტო სოციალისტური, არამედ ბევრი კაპიტალისტური ქვეყანაც აღნიშნავს, რომ მიუმხრობლობის მოძრაობა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი და პოზიტიური ფაქტორია. საბჭოთა კავშირი მიესალმება ამას და ითვალისწინებს თავის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში.

აზია-წყნარი ოკეანის კვანძი

ცივილიზაციის განვითარება სულ უფრო ენერგიულ ხასიათს იძენს აღმოსავლეთში, აზიასა და წყნარი ოკეანის ზონაში. ჩვენი ეკონომიკა ასევე ინაცვლებს ცენტრში, შორეულ აღმოსავლეთში. ასე რომ ჩვენ ობიექტურად ვაინტერესებს თანამშრომლობის გამდიდრება აზია-წყნარ ოკეანეში.

საბჭოთა კავშირი არა მარტო ევროპული ქვეყანაა, არამედ აზიურიც, და იგი მომხრეა, რომ ვეებერთელა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც, როგორც ჩანს, მომავალ ასწლეულში გადაინაცვლებს მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი, შეიქმნას საფუძვლები, რათა გადაისინჯოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, ასეთი ინტერესების ბალანსის გათვალისწინების საფუძველზე. იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ეს რეგიონი ვინმეს სამეკვიდრეო მამულად გადაიქცეს. ყველას ვთავაზობთ ნამდვილ თანასწორუფლებიანობას, თანამოქმედებასა და საერთო უშიშროებას.

აზიაში მშვიდობის პრობლემები ნაკლებად მწვავე როდია, ვიდრე ქვეყნიერების სხვა კუთხეებში, ზოგან კიდევ უფრო მწვავე და მტკივნეულიცაა. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირი, ინდოეთი, სხვა სახელმწიფოები, რომლებიც შეშფოთებული არიან ამით, სხვადასხვა წლებში შესაბამის ინიციატივებს აყენებდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია წინადადება ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის შესახებ. მას მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ და მიუმხრობლობის მოძრაობამ.

აზიაში, წყნარ ოკეანეზე და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობის ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ აღებული ვალდებულება — არ გამოიყენონ პირველებმა ბირთვული იარაღი.

როდესაც 1985 წლის მაისში, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, პირველად შევხვდი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის, გამოვთქვი ასეთი მოსაზრება: საჭირო ხომ არ იქნებოდა ადრე წამოყენებული ინიციატივებისა და აგრეთვე, ევროპის გამოცდილების გათვალისწინებით გვეფიქრა აზიაში უშიშროების პრობლემისადმი საერთო კომპლექსური მიდგომისა და ამ მიმართულებით აზიის სახელმწიფოთა ძალისხმევის გაერთიანების შესაძლებლობის შესახებ?

საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან, მათს სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებში ეს აზრი სიმტკიცეს იძენდა. უნებლიეთ ვადარებდი აზიაში შექმნილ ვითარებას ევროპის სიტუაციასთან. და იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ წყნარი ოკეანის

რეგიონი, მილიტარიზაციის საშიშ სიჩქარეს რომ ,ძენდა, ასევე საჭიროებს „მცველების“ რაღაც სისტემას, მსგავსად ჰელსინკის პროცესისა, ევროპაში.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობისადმი ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს აზიისა და წყნარი ოკეანის მიმართულება. ჩვენ დავადასტურეთ, რომ აქ საჭიროა გადაუდებლად ვეძიებდეთ საკუთარ გადაწყვეტებს, საკუთარ გზებს, ამასთან უნდა დავიწყოთ მტკივნეული პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების ინტერესებისათვის ძალისხმევის კოორდინაციით, შემდეგ კი გაერთიანებით, რომ ამის პარალელურად, იმავე საფუძველზე, თუნდაც დავაცხროთ სამხედრო დაპირისპირების სიმწვავე აზიის სხვადასხვა რაიონში, მოვახდინოთ იქ ვითარების სტაბილიზაცია. შესაბამისი წინადადებები ჩემ მიერ წამოყენებულ იქნა ვლადივოსტოკში (1986 წლის ივლისი)[1].

როცა ამ ქალაქში ვიყავი, განსაკუთრებით მართებულად მეჩვენებოდა, რომ მსოფლიო პოლიტიკის საკითხებისათვის აზია-წყნარი ოკეანის თვალსაზრისით შემეხედა. ვითარებას მთლიანად შორეულ აღმოსავლეთში, აზიასა და მის მიმდებარე ოკეანის სივრცეებში, სადაც ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ და ზღვაოსნობას მივდევთ, ჩვენთვის ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესი აქვს. აქ, ამ უკიდეგანო სივრცეზე, რომელიც დედამიწის თითქმის ნახევარს მოიცავს, მდებარეობს ბევრი უდიდესი სახელმწიფო, მათ შორის სსრ კავშირი, ამერიკის შერეთებული შტატები, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ვიეტნამი, მექსიკა, ინდონეზია. აქ არის სახელმწიფოები, რომლებიც საშუალოდ ითვლებიან, მაგრამ ევროპული მასშტაბით საკმაოდ დიდი არიან, — კანადა, ფილიპინები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, და მათთან ერთად არის ათობით მცირე და სულ მთლად ერთი ციცქნა ქვეყნები.

სიტყვამ მოიტანა და, როგორი ხმაური ატყდა ვლადივოსტოკში

[1] აზიასა და წყნარ ოკეანეში ბირთვული იარაღის გავრცელებისა და გაზრდის გზაზე დაბრკოლების შექმნის შესახებ; წყნარ ოკეანეში სამხედრო ფლოტების აქტიურობის შემცირების შესახებ; აზიაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ; რეგიონში ნდობის ღონისძიებებისა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

ჩემს გამოსვლასთან დაკავშირებით! რამდენი ცილი დაგვწამეს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა წყნარ ოკეანესაც მოკიდოს ხელი, „იქაც“ თავისი ჰეგემონია დაამყაროს და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შელახოს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიო.

თუმცა, მიჩვეული ვართ ასეთი ჯურის „გამოქვაბულის ადამიანთა“ რეაქციებს ჩვენს ინიციატივებზე. ჩვენს სულ მცირე ცდასაც კი, დავამყაროთ სასიკეთო, თუნდაც უბრალოდ დიპლომატიური ანდა სავაჭრო ურთიერთობა რეგიონის ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, უმალვე მზაკვრული ხრიკების სიაში შეიტანენ.

როგორ არის საქმე სინამდვილეში? შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრების წლისთავთან დაკავშირებით ინტერვიუ მივეცი ინდონეზიის გაზეთ „მერდეკას“. მთავარმა რედაქტორმა ბ. მ. დიახმა სავსებით სწორად შეაფასა იქ წარმოთქმული ჩემი სიტყვის აზრი— როგორც რეგიონის ყველა ქვეყნის მიპატიჟება პრობლემების ერთად გადასაწყვეტად. მაგრამ, როცა ქვეყნები ჩამოთვალა, დაავიწყდა შეერთებული შტატების მოხსენიება. მე მას შევახსენე ამის შესახებ და ვთქვი: ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის იმედი გვაქვს. ხოლო მსჯელობა, თითქოს ჩვენი აქტიურობა და ჩვენი ინტერესი ამ რეგიონისადმი სხვათა ინტერესებს ემუქრება — ეს აბსურდია. ის, რაც ვლადივოსტოკში ითქვა, ჩვენი გააზრებული პოლიტიკის გამოხატულებაა. მან არავის შეშფოთება არ უნდა გამოიწვიოს. ჩვენ ვამბობთ, რომ მზად ვართ ისევე ვითანამშრომლოთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც იაპონიასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ქვეყნებთან, ინდოეთთან, სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენ ყველას ვიწვევთ მშვიდობის ინტერესებისა და საერთო სარგებლობის მიზნით თანამოქმედებისათვის.

პასუხებში „მერდეკას“ რედაქტორის კითხვებზე მე ჩვენი ნამდვილი ზრახვები ამ რეგიონში დავადასტურე ახალი კონკრეტული წინადადებებით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წინადადება სსრ კავშირის აზიის ნაწილში ყველა ჩვენი საშუალო სიშორის რაკეტის ლიკვიდაციის შესახებ, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან „გლობალური ნოლის“ საფუძველზე.

ჩვენი მიდგომა მსოფლიოს ამ გიგანტური ნაწილის მიმართ,

სადაც თავმოყრილია უამრავი ასე განსხვავებული სახელმწიფო და ხალხი. ემყარება აქ არსებულ რეალობათა აღიარებას და გაგებას. ჩვენი წარმოდგენები აზიასა და წყნარ ოკეანეში საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამოქმედების ჩამოყალიბების შესახებ, ემყარება ამ რეალობებს, ისინი ნაკარნახევია გულწრფელი მისწრაფებით, რომ ერთად ვაშენოთ ახალი, სამართლიანი ურთიერთობა ამ რეგიონში.

ერთი წლის შემდეგ ჩვენ შეეძელით დაგვედასტურებინა ამის თაობაზე ზემონასსენებ ინტერვიუში ვილაპარაკე მთელი რიგი პოზიტიური ტენდენციები. მაგრამ სირთულეები, წინააღმდეგობანი არ შემცირებულა, კლავინდებურად იზრდება კონფრონტაციის ტენდენცია. ამან გვაიძულა წამოგვეყენებინა აზიასა და წყნარ ოკეანეში დაძაბულობის შენელების დამატებითი ზომები, რომლებმაც დააკონკრეტეს და განავითარეს ვლადივოსტოკის ინიციატივები.

ჩვენ დაკვირვებით ვსწავლობთ თვით მსოფლიოს ამ ნაწილში მდებარე სახელმწიფოების შეხედულებებსა და ინიციატივებს. უკვე ჩნდება და რეგიონალურ ურთიერთობაში ერთვება ორიგინალური, კონსტრუქციული წინადადებები. აქ მცხოვრებ ხალხთა მსოფლმხედველობის თავისებურებებმა, მათმა ისტორიულმა და პოლიტიკურმა გამოცდილებამ, კულტურულმა თავისთავადობამ მ რითაც ბევრი, ყველასათვის გასაგები და მისაღები რამ შეიძლება გვიკარნახოს რეგიონის პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენს მოწონებას იმსახურებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის სულ უფრო მზარდი წვლილი საერთაშორისო საქმეებში. მზად ვართ განვავითაროთ ურთიერთობა როგორც ამ ასოციაციის წევრ თითოეულ ქვეყანასთან ცალ-ცალკე, ისე ასოციაციასთან, როგორც ორგანიზაციასთან იმ თავისთავადი დამოუკიდებელი წვლილის პატივისცემის საფუძველზე, რომელიც ამ ქვეყნებს ერთად და ცალ-ცალკე შეაქვთ საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების საქმეში.

რატომ ვლაპარაკობ იმ დამოუკიდებელი კურსის მნიშვნელობაზე, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული ქვეყნები ან ქვეყანათა ჯგუფი? არა იმიტომ, რომ, თუ მხარს დავუჭერთ ასეთ დამოუკიდებელ კურსს, ჩვენ შეეცდებით ვიმოქმედოთ ვიღაცის საზიანოდ.

არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი კურსის საფუძველზე შეიძლება დავიწყოთ ახალი საერთაშორისო ურთიერთობის მშენებლობა. დღემდე საერთაშორისო ურთიერთობა ბევრად იყო დამოკიდებული გარკვეული ქვეყნების ანდა ქვეყანათა ჯგუფების მოქმედებაზე. ეს ხელს არ უწყობდა ვითარების გაუმჯობესებას მთელ მსოფლიოში. ასეთია წარსულის გაკვეთილი, რომელიც ყველა სერიოზულმა პოლიტიკოსმა უნდა აითვისოს. ახალი ურთიერთობის მშენებლობა ჩვენს რთულ სამყაროში, ასეთ რთულ რეგიონში, როგორიცაა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, შესაძლებელია მხოლოდ ყველა ქვეყნის თანამშრომლობისა და ინტერესთა შეკრების გზით. დღეს უკვე ყავლი გაუვიდა ურთიერთობის ტიპს, რომელიც მემკვიდრეობით გადმოვიდა წარსულიდან, როდესაც ერთ მხარეს იყვნენ მეტროპოლიები, მეორე მხარეს — კოლონიები. მან ადგილი უნდა დაუთმოს ურთიერთობის ახალ ტიპს.

ბევრი კომენტარი გამოიწვია იდეამ, რომ ოდესმე თვალმისაწვდომ მომავალში ჩავატაროთ წყნარი ოკეანის კონფერენცია ყველა იმ ქვეყნის მონაწილეობით, რომლებიც ოკეანეს ესწრაფვიან. ეს იდეა გამოითქვა როგორც ერთგვარი სამუშაო ჰიპოთეზა, უკეთ რომ ვთქვათ — როგორც მიწვევა განხილვისათვის. ჰელსინკის დამოწმება კი დაკავშირებულია იმასთან, რომ მსოფლიოს გაერთიანებას ჯერჯერობით, არ გააჩნია ასეთი სახის სხვა გამოცდილება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ევროპული „მოდელი“ შეიძლება აზია-წყნარი ოკეანის ნიადაგზე გადავიტანოთ. თუმცა ჩვენს დროში, ნებისმიერ საერთაშორისო ექსპერიმენტშიც არის ზოგადი, გლობალური იდეები.

იმ კითხვებს შორის, რომლებიც გაზეთმა „მერდეკამ“ მომცა, იყო ერთი ასეთი: როგორი უნდა იყოს, თქვენი შეხედულებით, სსრ კავშირის როლი რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში? ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შესაბამისად ჩვენ მეტ ყურადღებას ვაქცევთ ურალს გადაღმა მდებარე ტერიტორიებს, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი რამდენჯერმე აღემატება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის აქტივებს. მიგვაჩნია, რომ ამ რაიონთა სიმდიდრეების ათვისებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ერთობლივმა ფირმებმა და საწარმოებმა, რომლებიც შეიქმნებოდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების საქმიან წრეებთან თანამშრომლობით.

აზიაში ბირთვული განიარაღების შესახებ

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ითვალისწინებს აზიის ქვეყნების აზრსა და შეშფოთებას, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — დათანხმდა „გლობალურ ორმაგ ნოლზე“ საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების მიმართ. ჩვენ აგრეთვე გამოვთქვით მზადყოფნა, რომ ავიღოთ ვალდებულება არ გავზარდოთ ოვითმფრინავების — ბირთვული იარაღის მატარებლების — რაოდენობა ქვეყნის აზიურ ნაწილში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დამატებით არ განალაგებენ აქ ისეთ ბირთვულ იარაღს, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიას მიაღწევს. იმედს ვამყარებთ, რომ ყველაფერი ეს იმპულსს შესძენს ბირთვული განიარაღების პროცესს აზიაში.

აზია-წყნარი ოკეანის სიტუაციის მთელი სირთულისა და სიჭრელის მიუხედავად, ნათელი და მუქი ტონების განლაგების ყველა ელფერის მიუხედავად გამოიყოფა საერთო სურათის ანტიბირთვული კომპოზიცია. და არსებობს შესაძლებლობა, რომ უკვე ახლა დაიწყოთ მოძრაობა მარშრუტით, რომელსაც აზიაში ბირთვული იარაღის მოსპობისაკენ მივყავართ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, მაგალითად, უბირთვო ზონების შექმნა. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა რაროტონგას ხელშეკრულების შესაბამის ოქმების წინადადებებს, რომ ასეთი ზონა შექმნილიყო წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. ჩვენ მხარს ვუჭერთ სხვა ქვეყნების წინადადებებს, რომ ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონები შეიქმნას სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში, კორეის ნახევარკუნძულზე. ბირთვული განიარაღების მიზნებს მოემსახურებოდა აგრეთვე საერთაშორისო კონფერენცია ინდოეთის ოკეანის შესახებ, სადაც შეიძლება განხილული და გადაწყვეტილი ყოფილიყო საკითხი ამ რაიონის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ.

აზიაში, ისევე როგორც ევროპაში, ჩვენი მეთოდოლოგია, ჩვენი მიდგომა ბირთვული განიარაღებისადმი ერთიანია. იგი უნდა განხორციელდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლით, ადგილებზე ინსპექციის ჩათვლით. ჩვენ გამუდმებით ვაყენებთ წინადადებას, რომ დაიწყოთ მოლაპარაკება შეერთებულ შტატებთან აზია-წყნა-

რი ოკეანის რეგიონში ბირთვული შეიარაღების შესახებ და გადავწყვიტოთ ეს პრობლემა ნაცვალგების საფუძველზე, ყველას უშიშროების ინტერესების მკაცრი დაცვით.

ასეთია ერთიანობაში ჩვენი გაგება იმისა, თუ როგორ უნდა გაიხსნას აზიის ბირთვული ხლართი. ამ რაიონში განლაგებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელს მოკიდებდნენ ამ პრობლემას, შეეძლებოდათ შესდგომოდნენ უშიშროების რეგიონალური სისტემის აშენებას. რა არის, კაცმა რომ თქვას, ნორმალური ურთიერთობის, კარგი ვითარების შექმნა რეგიონში, სადაც ორნახევარი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს? ეს შეიძლება შეევადაროთ შენობის აგებას, რომლის კედლებს ყველა დაადებს თითო ან რამდენიმე აგურს, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთიანი ძალისხმევით აშენდეს ყველასათვის მოხერხებული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების კონსტრუქცია. ეს დიადი, ძნელი, მაგრამ რეალური მიზანია.

ამ მიმართულებით ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის — ქვეყნების ძალისხმევა შეიძლება გაერთიანდეს ევროაზიურ პროცესად, რომელიც მძლავრ იმპულსს მისცემდა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას.

ბოლო დროის მოვლენები სულ უფრო გვარწმუნებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში უშიშროების საკითხთა დაყენების სისწორესა და დროულობაში. მნიშვნელოვანმა ინტერესმა გაიღვიძა რეგიონალური და კონტინენტური მასშტაბით თანამშრომლობის გზების ძიებისათვის. მეტი დინამიზმი შეიძინა ჩვენმა ორმხრივმა ურთიერთობამ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ზოგიერთ ქვეყანასთან.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა

ინდოეთი — ეს არის ჩვენი სამხრეთი მეზობელი, ქვეყანა 800-მილიონიანი მოსახლეობით, დიდი სახელმწიფო, რომელიც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს მიუმხრობლობის მოძრაობაში, აქვს დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. ეს მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აზიასა და მთლიანად მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა უკვე დიდი ხანია და მტკიცედ მიდის აღმავალი გზით. მე არაერთხელ შეხვედრივარ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის — მოსკოვშიც, დელიშიც. ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ინდოეთში ვიზიტმა 1986

წელს. იქ მივიღეთ ამჟამად უკვე სახელგანთქმული დელის დეკლარაცია.

გასაგებია ამ დოკუმენტით გამოწვეული საყოველთაო ინტერესი. დელის დეკლარაცია არაორდინალური მოვლენაა. იგი გვიჩვენებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისადმი პოლიტიკურ-ფილოსოფიური მიდგომის სრულიად ახალ მაგალითს. დეკლარაციის ფილოსოფიური და ზნეობრივი საფუძველია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტი ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეში. თუმცა ეს დოკუმენტი ერთობლივად შეიმუშავა ორმა ქვეყანამ, მისი მნიშვნელობა შორს სცილდება ორმხრივ და რეგიონალურ ჩარჩოებს.

დელის დეკლარაციის თვით წარმოშობაში აისახა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის უნიკალური ხასიათი. ჩვენ სხვადასხვა სოციალური სისტემები გვაქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ისეთ თანამშრომლობას, რომლის შედეგიცაა ურთიერთის სულიერი გამდიდრება, თანამედროვეობის ძირეულ საკითხებზე შეხედულებათა ფართო ერთიანობა. შეხედულებათა ამ ერთიანობამდე ჩვენი ქვეყნები მოვიდნენ თავთავიანთი გზით, საკუთარ მაიძულებელ მოტივებზე დაყრდნობით.

ურთიერთობას ინდოეთსა და სსრ კავშირს შორის შეიძლება სამაგალითო ეწოდოს მრავალი თვალსაზრისით — მრავალფეროვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული შინაარსით ამ ურთიერთობის ავსების თვალსაზრისითაც, ორი ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემისა და სიმპათიის თვალსაზრისითაც და იმ ტონალობის თვალსაზრისითაც, რომელშიც ასახულია ურთიერთნდობა მეგობრობის ღრმა ორმხრივ მოთხოვნილებასთან შეხამებით.

რატომ მოხდა, რომ ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს — განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბდა ასეთი მაღალი სინჯის ურთიერთობა? იმიტომ, რომ ორივე მხარე — არა სიტყვით, არამედ საქმით — თავის პოლიტიკას ამყარებს სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანამშრომლობის, იმის აღიარების პრინციპებზე, რომ თითოეული ხალხი თავისუფალია აირჩიოს საკუთარი პოლიტიკური წყობილება, საზოგადოებრივი განვითარების საკუთარი ფორმები.

სწორედ ამიტომ ვამბობთ სიამაყის გრძნობით, რომ საბჭოთა კავშირი და ინდოეთი გვიჩვენებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მაგალითს, რომელმაც შეიძლება სხვებიც მიიზიდოს. ამ ურთიერთობაში ჩვენ ვხედავთ ისეთი საერთაშორისო წყობილების ყლორტებს, როცა მშვიდობიანი თანაარსებობა და კეთილმოსურნე ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა უნივერსალური ნორმა გახდება.

ძნელ უღელტეხილზე

ბოლო წელიწად-ნახევრის — ორი წლის განმავლობაში ბევრი შეხვედრა და საფუძვლიანი საუბარი მქონდა აფრიკის პოლიტიკურ მოღვაწეებთან. შევხვდი (ზოგიერთს არაერთხელ) რ. მუგაბეს, მენგისტუს, ჟ. ე. დუშ სანტუშს, ო. ტამბოს, ტრაორეს, მ. კერეკუს, შ. ბენჯედიდს და სხვებს. ამ დიდ მოღვაწეებთან, ჯიარებულ ეროვნულ ლიდერებთან საუბრებიდან შემექმნა შთაბეჭდილება, რომ აფრიკის კონტინენტი თავისი განვითარების ახალ, უაღრესად პასუხსაგებ და აქტიურ ეტაპზე იმყოფება. იგი მოძრაობაშია. იქ დიდი ცვლილებები ხდება. მაგრამ, ბევრი მწვავე, ძნელი პრობლემაც არსებობს.

ამასთან, რა თქმა უნდა, აფრიკას არ განვიხილავთ როგორც კონტინენტს, სადაც ყველაფერი ერთმნიშვნელობიანია, სადაც ყველა პროცესი ერთი სქემით მიმდინარეობს. როგორც ყველგან მსოფლიოში, თითოეულ აფრიკულ ქვეყანას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახე აქვს, საკუთარ პოლიტიკურ გეზს ახორციელებს. და თვით აფრიკელი ლიდერებიც განსხვავებული ადამიანები არიან, საკუთარი თავისებურებები გააჩნიათ. ერთნი შედარებით დიდი ხანია, რაც თავიანთი ქვეყნების საჭესთან დგანან და კარგად არიან ცნობილი მთელ მსოფლიოში, მეორენი მხოლოდ ახლა გამოდიან აფრიკისა და მსოფლიო სარბიელზე, აგროვებენ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებას.

ჩვენ გვესმის იმ ამოცანების სირთულე, რომლებსაც დღეს აფრიკის პროგრესული რეჟიმები წყვეტენ. რეალობა ისეთია, რომ მათი ქვეყნები ისტორიულად არიან დაკავშირებული ყოფილ მეტროპოლიებთან, ის კი არა, ეკონომიკურადაც მათზე არიან დამოკიდებული. მაგრამ, მიუხედავად იმპერიალიზმის მცდელობისა ეკონომიკური, ფინანსური, თვით სამხედრო საშუალებებითაც კი შე-

ინარჩუნოს თავისი პოზიციები, ამ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იარონ ეროვნულ მონაპოვართა განმტკიცების გზით.

საბჭოთა კავშირი სოლიდარობას უწევს აფრიკის სახელმწიფოთა ამ ძალისხმევასა და ამ პოლიტიკას. იმიტომ, რომ საქმე ეხება პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეუვალობას, ვინაიდან მხოლოდ მათზე შეიძლება ავაგოთ საერთაშორისო ურთიერთობა თანამედროვე მსოფლიოში. აფრიკის თითოეულ ხალხს აქვს კანონიერი უფლება აირჩიოს საკუთარი განვითარების გზები. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ მათ საშინაო საქმეებში ჩარევის ნებისმიერ ცდას. ჩვენი ქვეყანა მხარს უჭერდა და კვლავაც მხარს დაუჭერს აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, კერძოდ აფრიკის სამხრეთში, სადაც მდებარეობს რასიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი ბასტიონი.

როცა აფრიკის ეროვნული კონგრესის პრეზიდენტს ოლივერ ტამბოს შევხვდი, ვუთხარი: ჩვენ თქვენ მხარეს ვართ აპარტეიდის რეჟიმისა და მის ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის, განვითარების დამოუკიდებელი გზისათვის, იმისათვის ბრძოლაში, რომ ყველა რასისა და ეროვნების ადამიანები თანასწორობის პირობებში ცხოვრობდნენ. ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თეთრკანიანი საზოგადოების სულ უფრო მეტი წარმომადგენელი იწყებს აპარტეიდის დაგმობას, ცდილობს შეხვდეს აფრიკის ეროვნულ კონგრესს, აცხადებს, რომ მხარს უჭერს მის მიზნებს. ეს მხოლოდ ამტკიცებს, რომ აპარტეიდს არა აქვს მომავალი.

მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს აგრეთვე აფრიკის სამხრეთის „ფრონტისპირა“ სახელმწიფოებთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ სამართლიან პოზიციებს, გადაჭრით ვგმობთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ განხორციელებულ მტრულ აქციებს.

საბჭოთა კავშირს არა აქვს განსაკუთრებული ინტერესები აფრიკის სამხრეთში. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა — რომ, ბოლოს და ბოლოს, რეგიონის ხალხებმა და ქვეყნებმა მიიღონ შესაძლებლობა, მშვიდობისა და სტაბილურობის პირობებში, სუვერენულად გადაწყვიტონ თავიანთი განვითარების საკითხები, თავისი საშინაო და საგარეო საქმეები.

ლათინური ამერიკა: დიდი ცვლილებების დრო

იმავე ზოგადი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობაშიც. ეს არის თავისებური ისტორიული ტრადიციების, უდიდეს შესაძლებლობათა კონტინენტი. ლათინური ამერიკის ხალხები დიდად ესწრაფვიან უკეთეს მერმისს, ცდილობენ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, განახორციელონ თავიანთი იმედები და მოლოდინი. თავისუფლების გზა ყოველთვის ძნელი გზაა. მაგრამ გვწამს, რომ ლათინური ამერიკის წინსვლა პროგრესისაკენ დაჩქარდება.

მემარჯვენე წრეები, და მათ შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდა ლათინური ამერიკისადმი ჩვენს ინტერესს ისე გამოსახავენ, თითქოს იქ „სოციალისტური რევოლუციების" სერიის მოწყობა გვინდოდეს. ეს სისულელეა! ეს არასგზით არ ესადაგება მრავალი ათეული წლის მანძილზე ჩვენს მოქმედებას. ეს არ ესადაგება ჩვენს თეორიას, ჩვენს პრინციპებს, მთელ ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას.

მე პრეზიდენტ რეიგანს ვუთხარი: თქვენ ათეულობით წლების მანძილზე ლათინურ ამერიკას უყურებდით როგორც საკუთარ წინკარს და ამის შესაფერისადაც იქცეოდით იქ. ხალხებს მეტი აღარ უნდათ, რომ ასე იყოს. როგორ განახორციელებენ თავიანთ იმედებს — მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი გზით, ეს მათი არჩევანის საქმეა. თქვენ თვითონ ჩადეთ ლათინურ ამერიკაში ბომბი კონტინენტის ქვეყნების უზარმაზარი დავალიანების სახით. აი, რა არის საფიქრელი.

შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს შეგნებული აქვთ ეს, მაგრამ არ უნდათ აღიარონ. მაშინ ხომ პოლიტიკის შეცვლა მოუწევთ. და ყველა დაინახავს, რომ უბადაღებული „მოსკოვის ხელი" გრანდიოზული სიცრუე ყოფილა.

ჩვენ მართლაც თანავუგრძნობთ ლათინური ამერიკის ქვეყნების ბრძოლას ყველა სფეროში თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ნეოკოლონიალიზმის ყველა ბორკილისაგან განთავისუფლებისათვის. და არც ვმალავთ ამას. დიდად ვაფასებთ მექსიკის, არგენტინის აქტიურ საგარეო პოლიტიკას, მათ პასუხისმგებლურ მიდგომას განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების პრობლემებისადმი, მათ წვლილს „ექვსის ინიციატივაში". მხარს

ვუჭერთ კონტადორული ჯგუფის მშვიდობისმყოფელ ძალისხმევას. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა მეთაურების ინიციატივებს. გვატემალის შეთანხმებას. მივესალმებით რეჟიმების დემოკრატიზაციის პროცესს ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. გაგებით ვეკიდებით კონტინენტის ქვეყნების მზარდ კონსოლიდაციას ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით.

ამასთან ერთად მინდა ამ შემთხვევაშიც ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ არ ვეძებთ რაიმე გამორჩენას ამ რეგიონში. ჩვენ არ გვჭირდება არც იქაური ნედლეული, არც იაფი მუშახელი. არ ვაპირებთ ანტიამერიკული განწყობილებების გამოყენებას და, მით უმეტეს, მათს წაქეზებას. ჩვენ არ მიველტვით მიზანს, რომ დავარღვიოთ ლათინურ ამერიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთკავშირები. ეს პოლიტიკა კი არა, ავანტიურიზმი იქნებოდა. ჩვენ კი რეალისტები ვართ და არა ავანტიურისტები. მაგრამ, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი იბრძვის, რათა თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ჩვენი სიმპათიები ყოველთვის მის მხარეს იქნება. ამის თაობაზე თავს ნურავინ მოიტყუებს.

არა კონფრონტაცია, არამედ თანამშრომლობა

დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობა ისეთ ეტაპს მიადგა, როცა ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული. არ შეიძლება მოვწყვიტოთ ერთი ქვეყანა მეორეს, ერთი ხალხი მეორეს, და, მით უმეტეს, ერთმანეთს დავუპირისპიროთ ისინი. კომუნისტურ ლექსიკონში ამას ინტერნაციონალიზმი ეწოდება. მაგრამ ეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას ემთხვევა.

საბოლოო ანგარიშით, დასავლეთის მმართველი წრეებიც იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ინტერესებს. მე ვკითხე ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეს გ. ჰარტს: ნუთუ ამერიკას არ შეუძლია განვითარებადს ქვეყნებს სხვა პოლიტიკა შესთავაზოს, ვიდრე ის, რომელსაც დღეს ახორციელებს? ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალუძს ბევრი რამ გააკეთოს სახელმწიფოთა შორის ახალი ურთიერთობის მშენებლობისათვის და ამასთან არაფერს დაკარგავს ეკონომიკური თვალსაზრისით, პირიქით — მოიგებს. რატომ უნდა უარყოს შეერთებულმა შტატებმა ეს, რატომ უნდა გადაჭრა ტოტი, რომელზეც ზიხარ?

ამერიკის შეერთებული შტატების, მთლიანად დასავლეთის პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, ის, შევძლებთ თუ არა თანამედროვე მსოფლიოს პრობლემათა ხლართის გახსნას, განვითარების შესაძლებლობათა დებლოკირებას. თუ ავაგებთ ყველას თანასწორუფლებიანობასა და ინტერესთა გათვალისწინებაზე დამყარებულ ახალ ურთიერთობებს, მაშ რისთვისლაა საჭირო სამხედრო მანქანა, რომელიც შეიქმნა სწორედ როგორც ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის იარაღი?

გასაგებია, რომ ეს მანქანა ჩამოყალიბდა საუკუნეთა მანძილზე და მისი ლიკვიდაცია არც ისე ადვილია. მაგრამ ახლა ჩვენ იმ წერტილს მივუახლოვდით, როცა ეს აუცილებელი გარდაუვალობა ხდება, კერძოდ იმიტომ, რომ აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში მცხოვრებ მილიარდობით ადამიანს სურს ადამიანურად იცხოვროს. დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ მსოფლიოში ახალი ურთიერთდამოკიდებულების შექმნის გზების ძიების საქმეში.

ჩვენ ამერიკის ხელმძღვანელობას მოვუწოდებთ ერთად გამოვძებნოთ „მესამე სამყაროს“ პრობლემების გადაჭრის გზები. საამისოდ, გარდა იძულებისა, არსებობს სხვა გზები, სხვა მეთოდები. ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, სავსებით რეალისტურია. შეერთებულმა შტატებმა უნდა გამონახოს შესაძლებლობა, რომ თავისი ძლიერება, თავისი კაპიტალი, ყველაფერი, რაც ახლა სამხედრო მიზნებს ხმარდება, გამოიყენოს სხვა მიზნებით, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მწამს, რომ ეს შესაძლებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია დასავლეთის სხვა ქვეყნებიც ჩაბას ამ საქმეში. და, ვიმეორებ, ამავე დროს არაფერი არ წააგოს, მხოლოდ მოიგოს.

თავი VI

ევროპა საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში

თავს ნებას მივცემ ერთი პირადი შენიშვნა გავაკეთო. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დასავლეთში პირველად გავემგზავრე 1985 წლის ოქტომბერში, როცა საფრანგეთში ვიყავი. დაახლოებით ერთი წლით ადრე, 1984 წლის დეკემბერში, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური ვეწვიე დიდ ბრიტანეთს. ამ ორივე მოგზაურობამ მაიძულა ბევრ რამეზე მეფიქრა, პირველ ყოვლისა — ევროპის როლსა და ადგილზე მსოფლიოში.

ფ. მიტერანმა მაშინ გამოთქვა მოსაზრება, რომელიც მნიშვნელოვნად მეჩვენა. „რატომ არ უნდა დავუშვათ იმის შესაძლებლობა, — ამბობდა ივი, — რომ თანდათან... წავიდეთ უფრო ფართო ევროპული პოლიტიკის' გზით?", ხოლო ერთი წლის შემდეგ, უკვე მოსკოვში, მან თქვა: „საჭიროა, რომ ევროპა კვლავ გახდეს საკუთარი ისტორიის მთავარი მოქმედი პირი, რომ მან სრულად შეასრულოს წონასწორობისა და სტაბილურობის ფაქტორის როლი საერთაშორისო ურთიერთობაში". სწორედ აქეთ იყო მიმართული ჩემი ფიქრებიც. უშუალო კონტაქტებმა დასავლეთი ევროპის ორი წამყვანი სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, პარლამენტარებთან, პოლიტიკური პარტიებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შესაძლებლობა მომცეს უკეთ, უფრო ზუსტად შემეფასებინა ევროპაში არსებული სიტუაცია.

სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის ევროპული მიმართულება დახასიათებულ იქნა როგორც ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. და ჩვენ გვინდა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიცია დასავლეთი ევროპის მიმართ ყველამ სწორად გაიგოს.

როგორც ყრილობამდე, ისე მას შემდეგ მე მომიხდა შეეხვედროდი დასავლეთი ევროპის ბევრ ცნობილ მოღვაწეს, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკებს ეკუთვნოდნენ, და მესაუბრა მათთან. ეს კონტაქტები ადასტურებენ: დასავლეთი ევროპის სახელმწიფოები აგრეთვე დაინტერესებული არიან, რომ განავითარონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენს ქვეყანას მათს საგარეო პოლიტიკაში არსებითი ადგილი უჭირავს.

მაშ ასე, რატომ ვაძლევთ ასეთ მნიშვნელობას ევროპას?

ისტორიის შემკვიდრეობა

ზოგი ვინმე დასავლეთში ცდილობს „გამორიცხოს" ევროპიდან საბჭოთა კავშირი. წამდაუწუმ, ვითომდა უნებლიეთ, ტოლობის ნიშანს უსვამენ ცნებებს „ევროპა" და „დასავლეთ ევროპა"

მაგრამ ასეთი ხრიკები ვერაფერს შეცვლიან არსებულ გეოგრაფიულ და ისტორიულ რეალობებში. ევროპის სხვა ხალხებთან და სახელმწიფოებთან რუსეთის კავშირები — სავაჭრო, კულტურული, პოლიტიკური — საუკუნეთა სიღრმეში მიდის. ჩვენ ევროპელები ვართ. ძველი რუსეთი ქრისტიანობამ დააკავშირა ევროპასთან. ჩვენი წინაპრების მიწაზე მისი შემოსვლის ათასი წლისთავი 1988 წელს აღინიშნება. რუსეთის ისტორია დიადი ევროპული ისტორიის ორგანული ნაწილია. რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა, მოლდაველებმა, ლიტველებმა, ლატვიელებმა, ესტონელებმა, კარელებმა, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებმა არცთუ ცოტა წვლილი შეიტანეს ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. და სამართლიანად მიიჩნიეთ თავისი თავი ამ ცივილიზაციის კანონიერ მემკვიდრეებად.

ჩვენი საერთო-ევროპული ისტორია რთული და ჭკუის სასწავლებელია, დიადი და ტრაგიკულია; იგი იმსახურებს, რომ მას სწავლობდნენ, გაკვეთილები გამოჰქონდეთ იქიდან.

ევროპის ისტორიის ეტაპები ოდითგანვე ომები იყო. XX საუკუნეში ეს კონტინენტი ორი მსოფლიო ომის კერად იქცა — ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომებისა, რომლებიც კი ოდესმე უნახავს კაცობრიობას. ჩვენმა ხალხმა ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. იმ საზარელ ომში 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა.

ამას იმისათვის როდი შეგახსენებთ, რომ დავამდაბლოთ სხვა ევროპელი ხალხების როლი ფაშიზმთან ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანები პატივს სცემენ ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყნისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა წვლილს ფაშისტური უწმინდურობის განადგურებაში. მაგრამ ვერასგზით ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს საბჭოთა კავშირი ხაცისტურ გერმანიასთან შეტაკებაში „მხოლოდ“ 1941 წელს ჩაება, მანამდე კი სხვები ებრძოდნენ „პირისპირ“ გერმანიასო.

როცა ასეთი მოსაზრება გამოთქვა ჩემთან მ. თეტჩერმა, მე შევეკამათე, შევახსენე მას, საბჭოთა კავშირი ფაშიზმს პოლიტიკურად ებრძოდა 1933 წლიდან, ხოლო 1936 წლიდან — იარაღითაც, როცა ეხმარებოდა ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას. რაც შეეხება თავდაუსხმელობის პაქტს გერმანიასთან (რომლის აზრსაც გამუდმებით ამახინჯებენ ჩვენი ოპონენტები), იგი შეიძლებოდა არც ყოფილიყო, როგორც ბევრი სხვა რამ, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმდროინდელი მმართველი წრეები რომ დათანხმებულიყვნენ ეთანამშრომლათ საბჭოთა კავშირთან აგრესორის წინააღმდეგ.

განა ვინ მისცა ნაცისტებს დასაფლეთად ჩეხოსლოვაკია? ჩემბერლენმა მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ინგლისელ ხალხს მშვიდობა ჩამოუტანა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი უკეღმა მოხდა, მან ომი ჩამოიტანა. და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ინგლისის მმართველი წრეები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდნენ: როგორ წარემართათ ჰიტლერი აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორ გაესრისათ კომუნიზმი.

არ მინდა გავამარტივო: არც აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს რგებიათ იოლი მემკვიდრეობა. ავიღოთ. მაგალითად, ურთიერთობა რუსეთსა და პოლონეთს შორის — ასობით წლების მანძილზე მას ართულებდა ორივე ქვეყნის მმართველი კლასების ბრძოლა. მეფეები პოლონელებს რუსებთან აომებდნენ, რუსებს — პოლონელებთან. ომები, ძალადობა, დაპყრობა კი სულს უწამლავდა ხალხებს, აღვიუებდა ურთიერთსიძულვილს.

სოციალიზმი მოასწავებდა ღრმა შემობრუნებას მსოფლიოს ამ ნაწილის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ფაშიზმის განადგურებამ და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებამ აღმოსავლეთ

ევროპის ქვეყნებში ახალი სიტუაცია წარმოქმნა კონტინენტზე — აქ ჩამოყალიბდა მძლავრი ძალა, რომელმაც მიზნად დაისახა გაეწყვიტა შეიარაღებული კონფლიქტების გაუთავებელი ჯაჭვი. და აი, უკვე მეხუთე ათეული წელია, რაც ევროპის ხალხებს ომი აღარ უნახავთ.

ამავე დროს ევროპა კვლავ მწვავე იდეოლოგიური, ეკონომიკური და სამხედრო კონფრონტაციის სარბიელია. ზოგიერთები ევროპის გათიშვას იალტასა და პოტსდამს უკავშირებენ, კითხვის ქვეშ აყენებენ იქ დადებულ ისტორიულ ხელშეკრულებებს. აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული.

იალტამ და პოტსდამმა საძირკველი ჩაუყარეს ევროპის ომისშემდგომი მოწყობის საქმეს. მათი ცხოველმყოფელობა ის არის, რომ ეს იყო ანტიფაშისტური, თავისი არსით დემოკრატიული შეთანხმებები. ისინი ითვალისწინებდნენ ჰიტლერული „ახალი წესრიგის“ ლიკვიდაციას, რომელმაც მთელ ხალხებსა და სახელმწიფოებს წაართვა დამოუკიდებლობა და თავისუფლებისა და თავისთავადობის თვით იმედებიც კი მოუსპო.

მოძველებული პოლიტიკური აზროვნების ლოგიკამ გამოიწვია ის, რომ ევროპა ორ დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკად გაითიშა. დასავლეთში გავრცელებულია ვერსია, რომლის თანახმად ევროპა კომუნისტებმა გათიშეს. მაგრამ ჩერჩილის სიტყვა ფულტონში? ტრუმენის დოქტრინა? ევროპის პოლიტიკურ გათიშვას დასაბამი მისცეს მათ, ვინც დაშალა ანტიჰიტლერული კოალიცია, ვინც წამოიწყო „ცივი ომი“ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ვინც შექმნა ნატოს ბლოკი როგორც სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის იარაღი ევროპაში. ერთხელ კიდევ მინდა შეგახსენოთ, რომ ვარშავის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ნატოს შექმნის შემდეგ.

ნატოს მიზეზით ევროპა კვლავ შებმული აღმოჩნდა მილიტარისტულ ეტლში, რომელიც ამჟამად ბირთვული მუხტებით იყო ავსებული. და დღეს ევროპის გათიშვისათვის მთავარი ანგარიში იმათ უნდა წავუყენოთ, ვინც იგი რაკეტულ-ბირთვული დაპირისპირების მოედნად გადააქცია, ვინც მოითხოვს ევროპის სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვასა და ტერიტორიულ-პოლიტიკურ რეალობათა მორყევას.

ჩვენ არაერთხელ მოგვიწოდებია დაგვეშალა სამხედრო ბლოკები ან, ყოველ შემთხვევაში დასაწყისისათვის, ორივე კავშირის სამხედრო ორგანიზაციები. რამდენადაც ამაზე არ თანხმდებიან, იძულებული ვართ ამ რეალობასაც გავეწიოთ ანგარიში. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბლოკების შენარჩუნების პირობებშიც კი უნდა გავიკვლიოთ უკეთესი მსოფლიოს, ისეთი საერთაშორისო ურთიერთობის გზები, რომლებიც რაღაც ეტაპზე ყველა სამხედრო დაჯგუფების მოსპობამდე მიგვიყვანდა.

ომისშემდგომ ევროპაში ბევრი დრამატული სიტუაცია და შემობრუნება იყო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ევროპის ქვეყნები კონკრეტული პირობებისა და თავიანთ შესაძლებლობათა მიხედვით განსაზღვრავდნენ თავიანთ არჩევანს: ერთნი კაპიტალისტურ ქვეყნებად დარჩნენ, მეორენი სოციალიზმისაკენ დაიძრნენ. ნამდვილად ევროპულ პოლიტიკას, საერთო-ევროპულ პროცესს შეიძლება ვაშენებდეთ, თუ ვცნობთ და პატივს ვცემთ ამ რეალობას.

ჩვენ ვერ შეეურიგდებით გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ევროპა განწირულია ბლოკებს შორის კონფრონტაციისა და ერთმანეთთან ომის მომზადებისათვის. სოციალისტური ქვეყნები რომ არ ეთანხმებიან ასეთ პერსპექტივას, ამას მოწმობს მათი ინიციატივა, რომელმაც მთელი ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ჰელსინკში მიიყვანა. იქ მიღებულმა დასკვნითმა აქტმა გვიჩვენა მშვიდობის თანასწორუფლებიან საფუძველზე კონტინენტის ერთიანობის მიღწევის რეალური გზა.

მაგრამ ფინეთის დედაქალაქში გამართული სახელგანთქმული კონფერენციის იმპულსს თანდათან აქრობენ ჩამოწოლილი მეორე „ცივი ომის" ქარები. ამის მიზეზებზე ბევრი ითქვა და ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ. თვითკრიტიკის წესით გავიხსენებ მხოლოდ ერთს — სოციალიზმის ეკონომიკური პოზიციების შესუსტებას 70—80-იანი წლების მიჯნაზე, რომელიც ჩვენ დავუშვით. ამავე დროს ეს კიდევ ერთხელ, თითქოსდა შექცეულად, ამტკიცებს, რომ სწორედ სოციალიზმს ეკუთვნის მთავარი როლი განმუხტვის მტრების ალაგმვაში. ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციაში. საკმარისია სოციალიზმი მოეშვას, რომ მაშინვე აქტიურდება მილიტარიზმი, ძალის პოლიტიკა, საიმპერიო ამბიციები.

ამჟამად საბჭოთა კავშირმა, სოციალისტურმა თანამეგობრობამ კვლავ თავის ხელში აიღეს ინიციატივა. სოციალიზმის განმტკიცებით ჩვენ დამატებით ძალას და ცხოველმყოფელობას ვძენთ პერესტროიკის პროცესს. დროა, ბოლოს და ბოლოს, შევიგნოთ უბრალო აზრი: დღეს არსებული ბარიერები შეიძლება დაძლეულ იქნეს არა იმ თვალსაზრისით, რომ დასავლეთი თავს მოახვევს აღმოსავლეთს, ანდა აღმოსავლეთი — დასავლეთს თავის წესებს. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევით გადავიყვანოთ საქმე კონფრონტაციიდან და სამხედრო შეტოქეობიდან მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის რელსებზე. მხოლოდ ასეთი გაგება გააერთიანებს ჩვენს კონტინენტს.

ევროპა ჩვენი საერთო სახლია

ეს მხატვრული გამოთქმა როგორღაც ერთ-ერთი საუბრის დროს მომივიდა აზრად. თითქოსდა შემთხვევით ვთქვი, მაგრამ გონებაში დიდი ხანია ასეთ ფორმულას ვეძებდი. იგი უცბად კი არ იშვა, არამედ ხანგრძლივი განსჯისა და. კერძოდ, მრავალ ევროპელ მოღვაწესთან შეხვედრების შემდეგ.

როცა საკუთარი თავი ახლებური პოლიტიკური აზროვნებისათვის განვაწყე. უკვე აღარ შემეძლო ძველებურად აღმექვა ევროპის მრავალფეროვანი, თითქოს ნაპრების საბანიაო, პოლიტიკური რუკა. მან ომითაც გული იჯერა, ტირილითაც საკმაოდ მოიოხა გული. ეყოფა. როცა ვაკვირდებოდი ამ მრავალტანჯული მიწის პანორამას, როცა ვფიქრობდი ამ მრავალსახოვანი, მაგრამ არსებითად ერთიანი ევროპული ცივილიზაციის საერთო ფესვებზე. სულ უფრო მწვავედ ვგრძნობდი ბლოკებად დაპირისპირების პირობითობას, დროებითობას. „რკინის ფარდის“ არქაიზმს. ალბათ, სწორედ ასე იშვა აზრი ერთიან ევროპულ სახლზე. საჭირო მომენტში სწორედ ეს გამოთქმა როგორღაც თავისთავად წამომცდა.

შემდეგ კი, თითქოს დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყოო, გაზეთების გვერდებზე გამოჩნდა. საყვედურებიც გაისმა — ძალზე აბსტრაქტულიაო, უშინაარსოაო. მაშინ გადავწყვიტე მთლიანობაში გადმომეცა ჩემი შეხედულებები ამ პრობლემაზე. მომეცა შესაფერისი შემთხვევაც — ვიზიტი ჩეხოსლოვაკიაში. სადაც სწორედ ევროპის გეოგრაფიული ცენტრი მდებარეობს. სწორედ ამან მიკარნახა „ევროპული თემა“ პრაღაში საჯარო გამოსვლისას.

ევროპა მართლაც ჩვენი საერთო სახლია, სადაც გეოგრაფია და ისტორია მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ათობით ქვეყნისა და ხალხის ბედს. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს საკუთარი პრობლემები აქვს, ყველას უნდა საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს, საკუთარ ტრადიციებს მისდიოს.

ამიტომ, თუ მეტაფორას განვავრცობთ, შეიძლება ვთქვათ: სახლი კი საერთოა, მაგრამ თითოეულ ოჯახს თავისი ბინა და სადარბაზოებიც სხვადასხვა აქვს. მაგრამ ევროპელებს მხოლოდ ერთად, კოლექტიურად, საერთო ცხოვრების გონიერი ნორმების გამოყენებით ძალუძთ შეინარჩუნონ იგი, დაიფარონ იგი ხანძრისაგან და სხვა უბედურებისაგან, გააუმჯობესონ და უფრო უსაფრთხო გახადონ ის, დაიცვან მასში სათანადო წესრიგი.

ზოგიერთს ეს მარტოოდენ ლამაზ ფანტაზიად შეიძლება ეჩვენოს. მაგრამ ეს ფანტაზია კი არაა, არამედ კონტინენტზე შექმნილი სიტუაციის სერიოზული ანალიზის შედეგია. თუ მსოფლიოს ახალი ურთიერთობა ესაჭიროება, ევროპას — განსაკუთრებით. ევროპის ხალხებმა, შეიძლება ითქვას, ტანჯვა-წამებით დაიმსახურეს ეს ურთიერთობა.

ცნება „საერთო-ევროპული სახლი", პირველ ყოვლისა, ნიშნავს გარკვეული მთლიანობის აღიარებას, თუმცა საქმე ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ სისტემებს მიეკუთვნებიან და დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში შედიან. ამ ცნებაში შეხამებულია **აუცილებლობა** და **შესაძლებლობა**.

აუცილებლობა: საერთო-ევროპული პოლიტიკის იმპერატივები

შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე ობიექტური გარემოება, რომლებიც საერთო-ევროპული პოლიტიკის საჭიროებას ქმნიან.

1. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და ურბანიზაციის დონის არსებობისას ევროპა გადატვირთულია როგორც ბირთვული, ისე სხვა იარაღით. დღეს მის შესახებ უკვე აღარ კმარა ითქვას — „დენთის საწყობიაო". აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი უძლიერესი სამხედრო დაჯგუფება, რომლებიც აღჭურვილი არიან უაღრესად თანამედროვე ტექნიკით, სრულყოფას რომ განიცდის. აქ თავმოყრილია ათასობით ბირთვული მუხტი, მაშინ როცა სულ

რამდენიმე ათეულიც კი კმარა, რომ ევროპის მიწა ჯოჯოხეთის ცეცხლად იქცეს.

2. დღეს ევროპისათვის არათუ ბირთვული, „ჩვეულებრივი" ომიც კი დამღუპველია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა „ჩვეულებრივი" იარაღი მეორე მსოფლიო ომში გამოყენებულზე მრავალჯერ უფრო დამანგრეველია. არამედ იმიტომაც, რომ მის ტერიტორიაზე არის ატომური ელექტროსადგურების 200-მდე ბლოკი, დიდი რაოდენობით მძლავრი ქიმიური ქარხნები. ამ ობიექტების დაზიანება „ჩვეულებრივი" საომარი მოქმედების დროს კონტინენტს საცხოვრებლად უვარგისს გახდიდა.

3. ევროპა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ინდუსტრიალიზებული რეგიონია. ინდუსტრიალიზაციისა და ტრანსპორტის განვითარების მასშტაბები კონტინენტზე ისეთია, რომ ეკოლოგიურმა საფრთხემ აქ უკვე კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ეს პრობლემა შორს გასცდა ეროვნულ საზღვრებს და საერთო-ევროპული მასშტაბი მიიღო.

4. ევროპის ორივე ნაწილში ინტენსიურად მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები. უკვე დროა ვიფიქროთ, თუ რა მოჰყვება ამას? ისინი შემდგომშიც ევროპის გასათიშად იმოქმედებენ, თუ შეიძლება მათი შეხამება როგორც მისი აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ნაწილის საკეთილდღეოდ, ამასთანავე დანარჩენი მსოფლიოს ინტერესებისათვის. ევროპის ორივე ნაწილში ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებები, და, აგრეთვე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გვაიძულებს ვეძებოთ ურთიერთსასარგებლო კოოპერაციის რაღაც ფორმები. საქმე ეხება არა „ევროპულ ავტარკიას", არამედ იმას, რომ უკეთ გამოვიყენოთ ევროპის ერთობლივი პოტენციალი იქ მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ და დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობაში.

5. ევროპის ორ ნახევარს ბევრი საკუთარი პრობლემა აქვთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზის გაყოლებით, მაგრამ ჩრდილოეთ-სამხრეთის უმწვავესი პრობლემის გადაწყვეტისათვის მათი დაინტერესება ერთიანია. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები ინაწილებენ პასუხისმგებლობას დასავლეთი ევროპის სახელმწიფოთა წარსული კოლონიური პოლიტიკისათვის. მაგრამ დღეს საქმე ეხება სხვა რამეს: განვითა-

რებადი ქვეყნების ხალხთა ბედ-იღბლის არად ჩაგდებას, განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებული უფსკრულის დაძლევის უმწვავესი პრობლემის იგნორირებას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოსათვის.[1] როგორც დასავლეთევროპულ სახელმწიფოებს, ისე საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს ფართო კავშირები აქვთ „მესამე სამყაროსთან" და შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა მისი განვითარების ხელისშეწყობის მიზნით.

ასეთია ძირითადად საერთო-ევროპული პოლიტიკის მთავარი იმპერატივები, რომლებიც განპირობებულია ევროპის, როგორც გარკვეული მთლიანობის, ინტერესებითა და მოთხოვნილებებით.

ევროპის შესაძლებლობანი

ახლა ევროპელთა, როგორც „საერთო სახლის" მცხოვრებთა, მოქმედების შესაძლებლობებისა და წანამძღვრების შესახებ.

1. ევროპის ხალხებს ორი მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე და მწარე გამოცდილება აქვთ. მათ ისტორიულ მეხსიერებაში ყველა სხვაზე უფრო ძლიერ დაილექა ახალი ომის დაუშვებლობის შეგნება. ტყუილად როდია, რომ სწორედ აქ არის ყველაზე მასობრივი, ყველაზე ავტორიტეტული, ყველა სოციალური წრის მომცველი ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა.

2. ევროპული პოლიტიკური ტრადიცია ყველაზე მდიდარია საერთაშორისო საქმეების გაძღოლის კულტურის თვალსაზრისით. სახელმწიფოთა ევროპულ კომპლექსში ერთმანეთზე უფრო სწორი წარმოდგენები აქვთ, ვიდრე ნებისმიერ სხვა რეგიონში. პოლიტიკური „ნაცნობობა" უფრო ფართოა, ხანგრძლივია და, ამიტომ, უფრო ახლობლურია.

3. მთელი კონტინენტის[2] მასშტაბით არსად არ არსებობს

---

[1] ამ მხრივ ჩვენ ვიზიარებთ ჩრდილოეთი — სამხრეთის პრობლემაზე „ბრანდტის კომისიის" მოხსენებებისა და ვილი ბრანდტისა და მაიკლ შეხლის ხელმძღვანელობით მომზადებული სოციალისტური ინტერნაციონალის მოხსენების „გლობალური გამოწვევა" სულისკვეთებას და მიმართულებას.

[2] არსებობს აგრეთვე სახელმწიფოთა ლათინურამერიკული კომპლექსი, მაგრამ მას სხვა ისტორიული წანამძღვრები და განსხვავებული თავისებურებანი გააჩნია.

ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების, კონსულტაციების, ხელშეკრულებების, ფაქტობრივად ყველა დონეზე კონტაქტების ისეთი ვრცელი სისტემა, როგორც ევროპაში. არის საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ისეთი უნიკალური მონაპოვარი, როგორიცაა ჰელსინკის პროცესი. დამაიმედებელი შედეგები მოგვცა სტოკჰოლმის კონფერენციამ. შემდეგ ესტაფეტა მიიღო ვენამ, სადაც, როგორც ვიმედოვნებთ, ახალი ნაბიჯი გადაიდგმება ჰელსინკის პროცესების გასავითარებლად. ასე რომ პრაქტიკულად მზად არის ნახაზები „ევროპის საერთო სახლის" ასაშენებლად.

4. უდიდესია ევროპის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. იგი გათიშულია, კონტინენტის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის არსებული განზიდვის ძალები ჭარბობს შიზიდვის ძალებს, მაგრამ თანამედროვე საქმის ვითარება ეკონომიკაში როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, და პერსპექტივების შეგრძნება ისეთია, რომ შესაძლებელი ხდება გამოინახოს ევროპის ორივე ნაწილში ეკონომიკური პროცესების შეხამების რაიმე მოდუსი ყველას სასარგებლოდ.

ასეთია ევროპული მატერიალური ცივილიზაციის შემდგომი მოძრაობის ერთადერთი გონივრული გზა.

5. ევროპა „ატლანტიკიდან ურალამდე" — ეს არის ისტორიულ-კულტურული მთლიანობაც, რომელსაც აერთიანებს აღორძინებისა და განმანათლებელთა ეპოქის, XIX—XX საუკუნეების დიად ფილოსოფიურ და სოციალურ მოძღვრებათა ერთიანი მემკვიდრეობა. ეს არის ძლიერი მაგნიტები, რომლებიც პოლიტიკოსებს უადვილებენ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დონეზე ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გზების ძიების შესაძლებლობას.

ევროპულ კულტურულ მემკვიდრეობაში მშვიდობისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკის უდიდესი პოტენციალია. ერთი სიტყვით, ახლებურ, მხსნელ აზროვნებას ევროპაში გაცილებით უფრო ხელსაყრელი ნიადაგი გააჩნია, ვიდრე ორი სოციალური სისტემის შეხების ნებისმიერ სხვა რაიონში.

დასამალი არ არის, ჩვენ გვახარებს, რომ „ევროპის საერთო სახლის" იდეას გაგებით ეკიდებიან არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ დასავლეთი ევროპის ცნობილი პოლიტიკური და საზოგა-

დოებრივი მოღვაწენი, მათ შორის ისინიც, ვისი პოლიტიკური შეხედულებებიც ბევრად სცილდება ჩვენსას. ასე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა განაცხადა, რომ მზად არის „მიიღოს ევროპის საერთო სახლის კონცეფცია და იმუშაოს საბჭოთა კავშირთან ერთად იმისათვის, რომ იგი ნამდვილად საერთო სახლი გახდეს". ამავე სულისკვეთების აზრი გამოთქვეს ჩემთან საუბარში ფედერალურმა პრეზიდენტმა რ. ფონ ვაიცზეკერმა, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. ანდრეოტიმ და სხვა მოღვაწეებმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დაკარგული არ არის ევროპის კულტურის ერთიანობის, კონტინენტის ყველა ქვეყნის ბედ-იღბლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების, მათი თანამშრომლობის სასიცოცხლო აუცილებლობის შეგნება.

მაგრამ არიან იდეოლოგები და პოლიტიკოსები, რომლებიც კვლავ უნდობლობას თესენ საბჭოთა კავშირის მიმართ. დასავლეთი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, არ იგრძნობა ისტერიული სტატიების ნაკლებობა, მაგრამ, როგორც საერთოდ ყოველთვის, განსაკუთრებით ცდილობს საფრანგეთის მემარჯვენე პრესა. ის, მართლაც რომ, შეძრწუნებულია ევროპაში ვითარების გაუმჯობესების თვით პერსპექტივით. მაგალითისათვის აიღეთ ფრანგული ყოველკვირეული „ექსპრესი". 1987 წლის 6 მარტს მან ჩვენ მოგვაწერა ევროპაში გაბატონების მისწრაფება. სტატია, რომელიც დაიბეჭდა მყვირალა სათაურით „გორბაჩოვი და ევროპა", აგებულია წითელქუდასა და რუხი მგლის შესახებ საყოველთაოდ ცნობილი ზღაპრის სქემის მიხედვით.

ვიფიქრე: ნუთუ ევროპელი მკითხველი, ევროპის ხალხები იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ ასეთი ნაჯღაბნისა სჯერათ? ჩვენ გვწამს ევროპელების კეთილგონიერება, ის, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ისწავლიან სიმართლისა და მონაჩმახის გარჩევას. ჩანს, თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, უმრავლესობა დასავლეთ ევროპაში ღირსეულად აფასებს სსრ კავშირის გულახდილ საევროპო პოლიტიკას, რომლის მიზანია ბოლო მოუღოს გაუთავებელ კინკლაობას ამ კონტინენტზე.

ორი გერმანული სახელმწიფო

საერთო-ევროპული სახლის კონცეფციაზე მსჯელობისას შეუძლებელია არაფერი ვთქვათ ჩვენს დამოკიდებულებაზე იმ სიტუაციისადმი, რომელიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპის ცენტრში, იქ, სადაც დღეს არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამის თაობაზე საკმაოდ საფუძვლიანი საუბარი გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან რ. ფონ ვაიცზეკერთან.

იგი ამბობდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უურადღებით ეკიდება „საერთო-ევროპული სახლის" ლოზუნგს. როგორ გესმით ეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში? — ვკითხე მე. თავს ნებას მივცემ გავიმეორო აქ მომდევნო მოკლე დიალოგი:

რ. ფონ ვაიცზეკერი. ეს არის ორიენტირი, რომელიც გვეხმარება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს წესრიგი ამ საერთო-ევროპულ სახლში. კერძოდ, რამდენად მისაწვდომი იქნება იქ ბინები ურთიერთსტუმრობისათვის.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს ყველაფერი სწორია. მაგრამ ყველას როდი მოსწონს, როცა სტუმრად ღამით მოდიან.

რ. ფონ ვაიცზეკერი. მაინცდამაინც არც ჩვენ მოგვწონს, როცა საერთო სასტუმრო ოთახს ღრმა თხრილი ყოფს.

იგი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაყოფილი არიან საერთაშორისო საზღვრით, რომელიც, კერძოდ, ბერლინზე გადის. ასეთია ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად იშვა.

როგორი იქნებოდა დღეს გერმანია, პოსტდამის ხელშეკრულება რომ მთლიანი მოცულობით შეესრულებინა, ამაზე შეიძლება რამდენიც გინდა იმარჩიელო. ერთიანობის სხვა საფუძველი, გარდა პოტსდამისა, არ არსებობდა. მაგრამ არა მარტო მაშინდელი ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი ხელმძღვანელები უწევდნენ საბოტაჟს ჩვენთან შეთანხმებებს. პოტსდამის წინააღმდეგ ამხედრდნენ ძალის პოლიტიკის დასავლეთგერმანელი მომხრეები. მათთვის პოტსდამი „კოშმარი" იყო. შედეგი სახეზეა.

ჩვენ. ბუნებრივია, ვერ შეგვაშფოთებს. როცა გვესმის, რომ „გერმანიის საკითხი“ ღიაა, „აღმოსავლეთის მიწების“ გამო ყველაფერი ნათელი არ არის, იალტა და პოტსდამი კი „არამართლზომიერიაო“. ასეთი გამონათქვამები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. როგორც ცნობილია. იშვიათობა არ არის. უნდა პირდაპირ ვთქვათ: განცხადებები „გერმანელთა ერთიანობის“ ალორძინების თაობაზე სულაც არ არის „რეალპოლიტიკ“. გერმანულ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ. 40 წლის განმავლობაში მათ ვერაფერი შესძინეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. მხარდაჭერა ილუზიისა, რომ აღდგეს „გერმანია 1937 წლის საზღვრებში“, ეს ნიშნავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი მეზობლებისა და სხვა ხალხების ნდობის შერყევას.

რასაც არ უნდა ამბობდნენ ამის თაობაზე რ. რეიგანი, დასავლეთის სხვა ლიდერები, სინამდვილეში მათ არ ძალუძთ რაიმე რეალური შესთავაზონ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეგრეთ წოდებულ გერმანიის საკითხში. ის, რაც აქ ისტორიულად ჩამოყალიბდა, ისტორიასვე უნდა დავუტოვოთ. მათ შორის გერმანელი ერის, გერმანელთა სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმების საკითხიც.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ასპექტს. არის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების მქონე ორი გერმანული სახელმწიფო. მათ თავ-თავიანთი ღირებულებები აქვთ. ორივემ გამოიტანა გაკვეთილები ისტორიიდან და თითოეულ მათგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის და მსოფლიოს საქმეებში. რა იქნება 100 წლის შემდეგ — ამას ისტორია გადაწყვეტს. ჯერჯერობით კი უნდა დავეყრდნოთ ჩამოყალიბებულ რეალობებს და მოვეშვათ ომისგამჩაღებლურ სპეკულაციებს.

უკან დავიხევ და თავს ნებას მივცემ შემოგთავაზოთ ერთი შოგონება, რომელიც ვაიცზეკერს გავუზიარე. 1975 წელს, როცა ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავი შესრულდა, მე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიყავი. მაინის ფრანკფურტთან მდებარე ერთ ავტოგასაწყობ სადგურზე მის პატრონს გამოველაპარაკე. მან მითხრა: „სტალინმა განაცხადა: ჰიტლერები მოვლენ და წავლენ, გერმანელი ხალხი კი დარჩებაო. მერე კი,

როცა ომი დამთავრდა, საბჭოთა კავშირმა აიღო და გაყო გერმანელი ხალხი". ;

გაიმართა დისკუსია. მე შევახსენე გერმანიის სახელმწიფოს დაქუცმაცების გეგმები. რომლებიც ჩერჩილმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა შეიმუშავეს ჯერ კიდევ ომის დროს. ჩვენ ამ გეგმების წინააღმდეგნი ვიყავით, გვინდოდა შეგვექმნა ერთიანი და სუვერენული დემოკრატიული გერმანული სახელმწიფო. მოვიგონე ისიც, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მსარი დაუჭირეს სეპარატიული სახელმწიფოს შექმნას დასავლეთ გერმანიაში და მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ იალტისა და პოტსდამის შემდეგაც იმის მომხრე ვიყავით, რომ გერმანიის დენაციფიკაციის, დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის საფუძველზე შეგვექმნა ერთიანი, სუვერენული და. უპირველეს ყოვლისა, მშვიდობიანი გერმანული სახელმწიფო. მაგრამ დასავლეთში აღმოჩნდნენ ძალები, რომელთაც ისე წაიყვანეს საქმე, რომ მივიღეთ ის, რაც დღეს არის. ასე, რომ საბჭოთა კავშირი როდია დამნაშავე გერმანიის გათიშვაში, დამნაშავენი სხვაგან უნდა ვეძებოთ. დღეს კი არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო, რომელთა რეალობა აღიარებულია საერთაშორისო შეთანხმებებით. მხოლოდ ამით შეუძლია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა რეალურმა პოლიტიკოსმა.

აი, ასეთი საუბარი გვქონდა.

საბჭოთა კავშირს, იმ საშინელი ომის გადატანის შემდეგაც, პრინციპული პოზიცია ეკავა. ჩვენ არ გვიღალატა რეალობის გრძნობამ. ერთმანეთში არ აგვირეევია გერმანელი ხალხი და ნაცისტური რეჟიმი. იგი როდია დამნაშავე იმ უბედურებებში, რაც თავს დაგვატეხა ჰიტლერულმა აგრესიამ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში ჩვენ ვითვალისწინებთ მის პოტენციალს და შესაძლებლობებს, მის ადგილს ევროპასა და მსოფლიოში, მის პოლიტიკურ როლს. ისტორია გვავალდებულებს სათანადოდ მოვეპყროთ ერთმანეთს. ევროპის მშენებლობა წარმოუდგენელია, ჩვენი ორი სახელმწიფოს აქტიური ურთიერთქმედება თუ არ იქნა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის საფუძვლიანობას ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ექნებო-

და. ორივე სახელმწიფოს, რომლებიც კვლავ ის იქნებიან, რაც არიან თავიანთ სისტემებსა და თავიანთ კავშირებში, ძალუძს ძალზე დიდი როლი შეასრულოს ევროპისა და მსოფლიოს განვითარებაში. საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საიმედო უშიშროებით. თუ სტაბილური არ იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ვერც ევროპის, ესე იგი, ვერც მსოფლიოს სტაბილურობაზე . დავამყარებთ იმედს. ხოლო სტაბილური ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს ვითარებას ევროპაში.

ევროპა და განიარაღება

ევროპასთან პირდაპირ და უშუალო დაპოკიდებულება აქვს ყველაფერს, რის შესახებაც ითქვა რეიკიავიკში. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი კონტაქტების დროს არასოდეს ვივიწყებთ ევროპის ინტერესებს.

რეიკიავიკის შემდეგ შეეხვდი ნატოში შემავალი მთელი რიგი დასავლეთევროპული სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებს: დანიისა — პ. შლიუტერს, ნიდერლანდებისა — რ. ლიუბერსს, ნორვეგიისა — გ. ჰარლ ბრუნდტლანდს, ისლანდიისა — ს. ჰერმანსონს, იტალიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს — ა. ფანფანის და ჯ. ანდრეოტის. ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ თემაზე „ევროპა და განიარაღება“.

ბევრი რამ საინტერესო გავიგე ჩემი თანამოსაუბრეებისაგან. შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობაში სერიოზულად ავწონ-დავწონეთ მათი არგუმენტები და იდეები. და, რაც სამართლიანად ჩავთვალეთ, გავითვალისწინეთ ჩვენს პოლიტიკაში. კერძოდ, ევრორაკეტების საკითხი, მაგრამ იყო კამათიც. განსაკუთრებით მწვავედ ვიკამათეთ მ. თეტჩერთან და ჟ. შირაკთან მათი და საერთოდ ნატოს „ბირთვული შეკავების“ კონცეფციის თაობაზე. მათ გავუზიარე ჩემი გაკვირვება იმ აურზაურის გამო, რაც მოჰყვა რეიკიავიკს დასავლეთის ზოგიერთ დედაქალაქში. რეიკიავიკის შედეგებში შეუძლებელი იყო დასავლეთ ევროპის უშიშროებისათვის რაიმე მუქარის დანახვა, ზოგ-ზოგებს კი ეს მოეჩვენათ. ასეთი დასკვნები და შეფასებები „ცივი ომის“ დროის მოძველებური აზროვნების ნაყოფია.

საზღვარგარეთის მოღვაწეებთან საუბრებში ხდება ხოლმე, რომ პირდაპირ დაუსვამ მათ კითხვას: გჯერათ, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს თქვენს ქვეყანაზე, საერთოდ დასავლეთ ევროპაზე თავდასხმას? თითქმის ყველა პასუხობდა: არა, არ გვჯერა. მაგრამ ზოგიერთი მაშინვე დასძენდა: სსრ კავშირის უდიდესი სამხედრო ძლიერების თვით ფაქტი „ობიექტურად" ქმნის პოტენციურ მუქარასო. რას იზამ, ასეთი მსჯელობა კიდევ შეიძლება გაიგო. მაგრამ გაცილებით ძნელი გასაგებია, როცა ეროვნულ პრესტიჟს და ეროვნულ სიდიადეს ბირთვული იარაღის ფლობას უკავშირებენ, თუმცა იციან, რომ, თუ ბირთვული ომი ატყდა, ეს მათი იარაღი მხოლოდ მიიზიდავს ცეცხლს მათ წინააღმდეგ. სხვა რეალური დანიშნულება ამ იარაღს არ ექნება.

როცა ლაპარაკია განიარაღებაზე, როგორც აუცილებელ და პირველი რიგის კონსტრუქციაზე საერთო-ევროპული სახლის მშენებლობაში, ბუნებრივია, პირველ რიგში მიემართავთ ევროპის ბირთვულ სახელმწიფოებს — ინგლისსა და საფრანგეთს. როცა განიარაღების შესახებ დღევანდელი მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს დათანხმდა მიედველობაში არ მიიღოს მათი ბირთვული შეიარაღება, საბჭოთა კავშირმა უდიდესი ნდობა გამოიჩინა დასავლეთ ევროპის მიმართ. ჩვენი ამ ნაბიჯის მთავარი მოტივი ის არის, რომ ფიქრებშიც კი, აღარაფერს ვამბობ სტრატეგიულ გეგმებზე, გამოვრიცხავთ თვით შესაძლებლობას ინგლისთან ან საფრანგეთთან ომისა, მით უმეტეს — ევროპის უბირთვო სახელმწიფოებთან ომისა.

და როცა ჩვენ წინადადებებთან დაკავშირებით შევეჩეხეთ უბედობას, ხომ არ განუზრახავს მოსკოვს მოტყუება, ხომ არ უნდა გათიშოს ნატო, მოადუნოს სიფხიზლე, მერე კი დასავლეთი ევროპა გათელოსო, როცა კვლავ დაიწყეს უბირთვო ევროპის იდეის — როგორც მავნე და საშიში იდეის — ლანძღვა-გინება, მე საჯაროდ ვუთხარი ყველა ამ მოღვაწეს: „რისი გეშინიათ, ბატონებო? ნუთუ ასეთი ძნელია დადგეთ საბჭოთა კავშირში, მთელ სოციალისტურ სამყაროში გაშლილი ნამდვილად ისტორიული პროცესების რეალური შეფასების დონეზე? ნუთუ არ ძალგიძთ გაიგოთ ამ პროცესების ობიექტური, განუყოფელი კავშირი ჭეშმარიტად სასიკეთო განზრახვებთან საგარეო პოლიტიკაში?".

ბოლოს და ბოლოს, დროა ბოლო მოვუღოთ ჭორებს საბჭოთა კავშირის აგრესიულობის შესახებ. არასოდეს, არავითარ გარემოებაში ჩვენი ქვეყანა არ დაიწყებს საომარ მოქმედებას დასავლეთი ევროპის წინააღმდეგ, თუ ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები ნატოს მხრივ თავდასხმის ობიექტი არ გავხდებით! ვიმეორებ, არასოდეს!

დაე დასავლეთი ევროპა რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს მისთვის თავსმოხვეული შიშისაგან საბჭოთა კავშირის მიმართ. დაე ჩაუფიქრდეს იმას, რომ ევროპაში ბირთვული იარაღის მოსპობა არა მარტო დასავლეთისათვის, არამედ ჩვენთვისაც ახალ სიტუაციას შექმნიდა. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ შემოსევები ჩვენ ტერიტორიაზე წინაბირთვულ ეპოქაში ხდებოდა, თანაც არაერთხელ, დასავლეთის მხრიდან. და განა თავისთავად ცხადი არ არის ის ფაქტი, რომ ნატოს სამხედრო წვრთნების დროს ყოველთვის თამაშდება შეტევითი მოქმედების ვარიანტი?

ჩვენ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორად მიგვაჩნია ის, რომ ევრორაკეტების პრობლემის გადაწყვეტის სასარგებლოდ ზმა აიმაღლეს საბერძნეთმა, ჰოლანდიამ, ესპანეთმა, იტალიამ, შვეციამ, ფინეთმა, ბევრმა სხვა ევროპულმა ქვეყანამ.

დასავლეთის მხრიდან ლაპარაკობენ უთანაბრობაზე, დისბალანსზე. სწორია, ევროპაში ორივე მხრიდან არის დისბალანსები და ასიმეტრიები შეიარაღებისა და შეიარაღებულ ძალთა ცალკეული სახეობების მიხედვით, რაც განპირობებულია ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ აღმოვფხვრათ რაღაც ელემენტებში წარმოქმნილი უთანაბრობა, მაგრამ არა ჩამორჩენილთან გაზრდის ხარჯზე, არამედ წინწასულთან შემცირების ხარჯზე.

აქ ბევრი კონკრეტული საკითხი მოელის გადაწყვეტას: ტაქტიკური ბირთვული იარაღის შემცირება და, საბოლოო ანგარიშით, ლიკვიდაცია შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ერთდროულ რადიკალურ შემცირებასთან ერთად, უშუალო შეხებიდან შეტევითი იარაღის გამოყვანა, რათა გამოირიცხოს უეცარი თავდასხმის შესაძლებლობა, შეიარაღებულ ძალთა მთელი სტრუქტურის შეცვლა მათთვის მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის მინიჭების მიზნით. ამის შესახებ მე ვილაპარაკე, კერძოდ, პრაღაში გამართულ მიტინგზე. ამის თაობაზე წინა-

დადებები დაწვრილებით არის გადმოცემული ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ბუდაპეშტის პროგრამაში.

ახლებური აზროვნების სულისკვეთების მქონე ნდობის უდიდეს აქტად იქცა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მიერ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1987 წლის მაისის სხდომაზე, რომელიც ბერლინში გაიმართა, თავიანთი სამხედრო დოქტრინის გამოცხადება. ყველა თავის კომპონენტში დოქტრინა დამუშავებულია როგორც მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი.

ევროპის უშიშროების განმტკიცების მიზნებს ხელს შეუწყობდა ისეთი ზომებიც, როგორიცაა უბირთვო ზონების, ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა. ჩვენ მხარს ვუჭერთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობების მიმართვას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი, სადაც წამოყენებულია წინადადება შეიქმნას უბირთვო კორიდორი ცენტრალურ ევროპაში. როგორც ცნობილია, ამ იდეის შემუშავებაში თავისი წვლილი შეიტანა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ჩვენ მზად ვართ გარანტია მივცეთ და პატივი ვცეთ ამ ზონის უბირთვო სტატუსს. დროულად და პერსპექტიულად ჭიგვაჩნია პოლონეთის კომპრომისული გეგმა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირებისა და ნდობის განმტკიცების საკითხზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიარაღება უნდა შემცირდეს გონივრული საკმარისობის დონემდე, ესე იგი იმ დონემდე, რომელიც აუცილებელი იქნება მხოლოდ თავდაცვითი ამოცანების გადაწყვეტისათვის. დადგა დრო, საჭირო კორექტივები შევიტანოთ თავდაცვითი მიმართულებით ორივე სამხედრო კავშირის სტრატეგიულ კონცეფციებში. „ევროპულ სახლში“ თითოეულ ბინას უფლება აქვს თავი დაიცვას მძარცველებისაგან, მაგრამ ისე, რომ არ დაანგრიოს მეზობელი ბინები.

საერთო-ევროპული თანამშრომლობა

„საერთო-ევროპული სახლის“ მშენებლობა საჭიროებს მატერიალურ საძირკველს — საქმიან თანამშრომლობას სრულიად სხვადასხვა სფეროებში. ჩვენ საბჭოთა კავშირში მზად ვართ ამისათვის, მათ შორის კოოპერაციისა და თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიებისათვის, რომელიც მოიცავდა ერთობლივი შერეული საწარ-

მოების შექმნას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას „მესამე ქვეყნებში“ და ა. შ.

ჩვენ ფართო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხს სულაც არ ვაყენებთ როგორც მთხოვნელები, რომელთაც სამაგიეროდ შესათავაზებლად არაფერი გააჩნიათ. სამწუხაროდ, სწორედ ამ მიმართულებით აღმართავენ ყველაზე მეტ ხელოვნურ ბარიერს. იმოწმებენ იმას, რომ საქმე ეხება „მგრძნობიარე ტექნოლოგიას“, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვსო. „მგრძნობიარე ტექნოლოგიად“ მიიჩნევენ, პირველ ყოვლისა, ელექტრონიკას. მაგრამ ახლა არ არსებობს ნამდვილად მოწინავე პოზიციაზე მდგომი სამრეწველო წარმოების არც ერთი სფერო, სადაც ელექტრონიკას არ იყენებდნენ.

„ვარსკვლავეთის ომების“ მილიტარისტული პროგრამა როდი უქმნის დასავლეთ ევროპას ტექნოლოგიური ნახტომის შესაძლებლობას. კოსმოსის მილიტარიზაცია როდია ტექნოლოგიური პროგრესის გზა. ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა, რომელიც ათვეფილია ტექნოლოგიურ იმპერიალიზმში. არსებობს მშვიდობიანი მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ბევრი გზა და ობიექტი. უკვე გვაქვს კოსმოსურ აპარატ „ვეგას“ დახმარებით გალეას კომეტას გამოკვლევის საქმეში ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. ამ პროექტის განხორციელებამ შესაძლებელი გახადა მიგვეღო ახალი კონსტრუქციული მასალები, ახალი აღმოჩენები რადიოელექტრონიკის, მართვის სისტემების, მათემატიკის, ოპტიკის დარგებში და ა. შ. პერსპექტიული ჩანს ჯ. ანდრეოტის „მსოფლიო ლაბორატორიის“ იდეა. ეს პრინციპულად ახალი საერთაშორისო კვლევითი პროექტი, ვგონებ, უკვე იძენს რეალურ კონტურებს.

რიგში დგას თერმობირთვული ენერგიის ერთობლივად ათვისება. საამისო მეცნიერული ბაზა უკვე შეიქმნა მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერთა მუშაობის შედეგად იმ იდეის საფუძველზე, რომელიც საბჭოთა მეცნიერებამ წამოაყენა. ცხადია, ამ მუშაობაში შეიძლებოდა ამერიკის მეცნიერებაც ჩართულიყო. წინ არის ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა კოსმოსის, მზის სისტემის პლანეტების, ზეგამტარიანობის, ბიოინჟინერიის პრობლემების ერთობლივი კვლევა და ათვისება.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გააღრმავებდა ევროპის სახელ-

მწიფოთა ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულებას. მაგრამ იგი სარგებლობას მოუტანდა ორივე მხარეს, გაზრდიდა პასუხისმგებლობას, თავშეკავებას.

თუ თანამშრომლობის სულისკვეთებით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს იმ ფართო სფეროში, „ჰუმანიტარულს" რომ უწოდებენ. ამ გზაზე დიდ ეტაპად შეიძლება იქცეს საერთაშორისო კონფერენცია ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხებზე, რომელიც, საბჭოთა კავშირის წინადადებით, შესაძლოა მოსკოვში ჩატარდეს. კონფერენციაზე შეიძლება განხილულიყო ამ პრობლემის ყველა ასპექტი, რომლებიც შეეხებოდნენ როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს, მოიცავდნენ ადამიანის უფლებების მრავალპლანიან პრობლემასაც. ეს ახალ მძლავრ იმპულსს შესძენდა ჰელსინკის პროცესს.

მაგრამ, აი რა არის აქ საინტერესო. როგორც კი ჩვენ შევთავაზეთ სერიოზულად, საქმიანად გვესაუბრა ადამიანის უფლებებზე, ურთიერთსაჯაროობის ვითარებაში შეგვედარებინა, თუ ნამდვილად როგორ ცხოვრობენ ადამიანები ჩვენთან და კაპიტალის ქვეყნებში, იქ, როგორც ჩანს, განერვიულდნენ და დაჟინებით ცდილობენ მთელი ეს თემა ცალკეული პერსონალური კაზუსებით შემოფარგლონ, თავი აარიდონ ყოველივე დანარჩენის განხილვას.

მე როგორც საჯაროდ, ისე საზღვარგარეთის უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან და დელეგაციებთან საუბარში მითქვამს, რომ მზად ვართ ჰუმანურობის სულისკვეთებით განვიხილოთ კერძო შემთხვევებიც, მაგრამ მტკიცედ ვართ განწყობილი აშკარად და ფართოდ ვილაპარაკოთ მთელი ამ პრობლემატიკის ირგვლივ.

შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის და შეჯიბრების ურთიერთობამ მთლიანობაში შესაძლოა სარგებლობა მოუტანოს ორივე მხარეს, და მოაქვს კიდეც. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიძლება შეიტანონ ევროპის პატარა და საშუალო ქვეყნებმა. ამის შესახებ საუბარი გვქონდა როგორც ისლანდიის ყოფილ პრემიერთან ჰარმანსონთან, ისე ნიდერლანდების პრემიერთან ლიუ-

ბერსთან, შვეიცის პრემიერთან კარლსონთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან.

ახლებური აზროვნების ელორტები ევროპაში

მე მგონია, ბოლო ხანებში, განსაკუთრებით რეიკიავიკის შემდეგ, დასავლეთმა ევროპამ უფრო მწვავედ შეიგრძნო იმის საჭიროება, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ვითარების გაუმჯობესებაში კონტინენტზე. ჩვენს მოწონებას იმსახურებს ის, რომ ევროპელები უკვე ბევრ რამეს აკეთებენ პოლიტიკური ატმოსფეროს გასაწმენდად მსოფლიოში.

ეფიქრობ, დიდ საიდუმლოს არ გავთქვამ, თუ მოვიხსენიებ შემდეგ ეპიზოდს, რომელიც მე ა. ფანფანისაგან გავიგე. იგი მიამბობდა თავის საუბარზე მსოფლიოში ცნობილ კინორეჟისორთან ედუარდო დე ფილიპოსთან. ისინი ლაპარაკობდნენ რთულ საერთაშორისო ვითარებაზე და დე ფილიპომ იკითხა: „მაშ, რას უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ?“ ფანფანიმ, როგორც მან თქვა, უპასუხა: „ვიქონიოთ ღვთის იმედი“. ამაზე დე ფილიპო შეეპასუხა: „მოდით, ადამიანები, ისე მოვიქცეთ, რომ ღმერთს დაბრკოლებებს ნუ შევუქმნით“.

აი ასეთი გაგება, რომ ყველა აგებს პასუხს მსოფლიოს ბედისათვის, განსაკუთრებით საჭირო და ძვირფასია დღეს. საკადრისი უნდა მივუზღოთ იმ დასავლეთევროპელ პოლიტიკოსებს, რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ რეიკიავიკში ჩაყრილი საძირკველი ყველა ევროპელის საერთო ძალისხმევით უნდა იქნეს შენარჩუნებული.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ, რომ დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა საერთაშორისო ურთიერთობაში ახლებურად აზროვნების პირველი ყლორტები. გარკვეული ცვლილებები ხდება მმართველ წრეებში. თავდაცვითი პოლიტიკისა და უშიშროების სფეროში ახალ მიდგომებს იმუშავებს დასავლეთი ევროპის ბევრი სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტია. მათ სათავეში უდგანან მსოფლიო პრობლემებზე ფართო შეხედულების მქონე გამოცდილი პოლიტიკოსები.

1985 წელს, საფრანგეთში ვიზიტის წინა ხანებში, ფრანგმა ჟურნალისტებმა მთხოვეს დამეხასიათებინა ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენ შეგვექმნა ევროპის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობებთან. მე ვთქვი, რომ ბოლო ხანს აქტიურად ვთანამშრომლობთ

სოციალ-დემოკრატებთან ომისა და მშვიდობის საკითხებში. სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების დელეგაციებთან საუბრებზე მოდის საზღვარგარეთის მოღვაწეებთან ჩემი შეხვედრებისა და საუბრების საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი.

მე მივიღე სოციალისტური ინტერნაციონალის საკონსულტაციო საბჭო კ. სორსას მეთაურობით, შევხვდი ვ. ბრანდტს, ე. ბარომს, ფ. გონსალესს და სხვა სოციალ-დემოკრატ ლიდერებს, და ყოველთვის ვადასტურებდით, რომ საერთაშორისო უშიშროებისა და განიარაღების აქტუალურ საკითხებზე ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს უახლოვდებოდა ან ემთხვეოდა. ძალზე ვწუხვარ, რომ ვერ გავიცანი ულოფ პალმე, რომლის ტრაგიკული დაღუპვა ღრმად განვიცადეთ. იდეა „უშიშროება ყველასათვის", რომელიც უ. პალმემ წამოაყენა და საერთაშორისო „პალმეს კომისიამ" განავითარა, ბევრ რამეში ეხმაურება საყოველთაო უშიშროების ჩვენს კონცეფციას.

კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის წამოწყებული დიალოგი სულაც არ ნიშნავს, რომ ქრება ან როგორღაც იშლება არსებული იდეოლოგიური განსხვავებები. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ ერთმანეთს, რომ დიალოგის ზოგიერთმა მონაწილემ დაკარგა თავისი სახე და პარტნიორის უღელქვეშ მოექცა. ასეთი საფრთხე, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, არ არსებობს.

კარგი ურთიერთობა, სასარგებლო კონტაქტები გვაკავშირებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, შვეციის, დანიის სოციალ-დემოკრატებთან, ინგლისის ლეიბორისტებთან, ესპანეთის სოციალისტებთან და ა. შ. ჩვენ ვაფასებთ ამას. საერთოდ, ჩვენ ღია გვაქვს თანამშრომლობის კარი ყველასთან, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ დაძლიონ საშიში ტენდენციები მსოფლიო ვითარების გაუმჯობესებაში.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ევროპის წვლილი მშვიდობისა და უშიშროების საქმეში გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბევრ დასავლეთევროპელ ლიდერს არ ყოფნის პოლიტიკური ნებისყოფა ან, იქნებ, შესაძლებლობა. მაგრამ ცხოვრება გვაიძულებს რეალურად შევაფასოთ ის, რაც ირგვლივ ხდება.

ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ

დასანანია, რომ ნატოს ქვეყნების მთავრობები, მათ შორის ისინიც, ვინც სიტყვით ემიჯნება ამერიკული პოლიტიკის საშიშ უკიდურესობებს, ბოლოს და ბოლოს ვერ უმკლავდებიან ზემოქმედებას და ამით თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას გამალებული შეიარაღებისათვის. საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისათვის.

აი კონკრეტული მაგალითი. 1986 წლის აპრილში ამერიკის ავიაციამ დაბომბა ტრიპოლი, ბენგაზი, სხვა ობიექტები ლიბიის ტერიტორიაზე. ეს იყო პირდაპირი აგრესიის აქტი ისეთი საბაბით, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ცივილიზებულ საზოგადოებაში. ამერიკის თვითმფრინავებმა სტარტი აიღეს ინგლისში განლაგებული ბაზებიდან, გადალახეს დასავლეთ ევროპის საჰაერო სივრცე. მერედა, რა ქნა დასავლეთმა ევროპამ? ნატოს ქვეყნების მთავრობები, არსებითად, მდუმარედ უყურებდნენ იმას, რაც ხდებოდა, ვერ გაბედეს წინააღმდეგობა გაეწიათ ამერიკის ამ აქციისათვის. მე მაშინ ვუთხარი შვეიცის პრემიერ-მინისტრს, რომელსაც ვესაუბრე საჰაერო თავდასხმის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ, რომ ასეთი პოზიცია მაგონებს აგრესორის „დაშოშმინების“ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში. იქნებ ამერიკის სამხედრო პირებს უცებ „მოესურვოთ“ დაბომბვით დასაჯონ ვარშავის ხელშეკრულების წევრი რომელიმე ქვეყანა? მაშინ რაღა ვქნათ? ისევ „ბუჩქებში“ დავიმალოთ? მაგრამ ეს ხომ ომია! ბირთვულ საუკუნეში განუზომლად იზრდება ყველას პასუხისმგებლობა.

ძველ ბერძნებს აქვთ მითი ევროპის მოტაცების შესახებ. ამ ზღაპრულმა სიუჟეტმა მოულოდნელად თანამედროვე ელერადობა შეიძინა. ცხადია, ევროპა, როგორც გეოგრაფიული ცნება, თავის ადგილას რჩება. მაგრამ დრო და დრო იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოიტაცეს და ოკეანის გაღმა გააქვთ დასავლეთევროპული სახელმწიფოების დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომ უშიშროების დაცვის საბაბით იჯარით გაიცემა ეროვნული ინტერესები.

სერიოზული საფრთხე ემუქრება ევროპის კულტურას. ამ საფრთხეს შეიცავს ოკეანის გაღმიდან მოზღვავებული „მასობრივი კულტურა“. ჩვენთვის გასაგებია დასავლეთი ევროპის ინტელიგენ-

ციის შეშფოთება ამის გამო. ნამდვილად მხოლოდ გაოცებას იწვევს, როცა ღრმა, აზრითა და ადამიანურობით გამსჭვალული ევროპული კულტურის ადგილს იპერს ძალადობისა და პორნოგრაფიის პრიმიტიული თარეში, იაფფასიანი გრძნობებისა და წვრილმანი აზრების ნიაღვარი.

როცა ხაზგასმით აღვნიშნავთ ევროპის დამოუკიდებელი პოზიციის მნიშვნელობას, ხშირად პასუხად გვიყენებენ ბრალდებას, რომ ვცდილობთ ერთმანეთს წავკიდოთ დასავლეთი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. ასეთი განზრახვა არც გვქონია და არცა გვაქვს. ჩვენ არც გვიფიქრია, რომ უგულებელვყოთ ან დავამციროთ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული ისტორიული კავშირები. აბსურდულია საბჭოთა კავშირის ევროპული პოლიტიკა განვიხილოთ როგორც რაღაც „ანტიამერიკანიზმის" გამოხატულება, ჩვენ არ ვაპირებთ დიპლომატიურ ეკვილიბრისტიკას მივყოთ ხელი, არ გვსურს გამოვიწვიოთ ქაოსი საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს შეუთავსებელია ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანთან — ხელი შევუწყოთ სტაბილურ და მტკიცე მშვიდობას, რომელიც ემყარება სახელმწიფოების ურთიერთნდობას და თანამშრომლობას.

ჩვენი წარმოდგენა „საერთო-ევროპულ სახლზე" სულაც არ განიზრახავს ვინმეს ჩაუკეტოს მისი კარები. ჩვენ მართლაც არ გვინდა, რომ ვინმე წიხლით აღებდეს ევროპის სახლის კარს და სხვის ბინაში მაგიდის თავში ჯდებოდეს. მაგრამ ეს უკვე ბინის პატრონის საქმეა. თავის დროზე სოციალისტურმა ქვეყნებმა პოზიტიურად აღიქვეს ამერიკის შეერთებული შტატების, ისევე როგორც კანადის, მონაწილეობა ჰელსინკის პროცესის ჩარჩოებში.

ევროპის პასუხისმგებლობა

მაშ, ასე, სულაც არ ვამცირებთ რა სხვა კონტინენტების, სხვა ხალხების მნიშვნელობასა და როლს, ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპის უნიკალურ როლზე.

ევროპის პროცესის წარმატება საშუალებას მისცემდა მას კიდევ უფრო მეტი წვლილი შეეტანა მთელი დანარჩენი მსოფლიოს პროგრესში. ევროპამ თავი არ უნდა აარიდოს შიშის, დავალიანების, სუსტად განვითარებულობის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას, შეიარაღებული კონფლიქტების აღმოფხვრისათვის ხელის შეწყობას.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპის უკლებლივ ყველა ხალხი ემხრობა კეთილმეზობლობისა და ნდობის, თანაარსებობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრებას კონტინენტზე. ეს ახლებური პოლიტიკური აზროვნების ტრიუმფი იქნებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ევროპას ძალუძს ღირსეული მაგალითი უჩვენოს სხვებს. მსოფლიო დღეს გზაჯვარედინზე დგას, და ის, თუ საით წავა იგი, ბევრად არის დამოკიდებული ევროპის პოლიტიკურ პოზიციაზე.

ვერც მსოფლიო პოლიტიკაში, ვერც მსოფლიოს განვითარებაში ევროპას, მისი უდიდესი შესაძლებლობებით და გამოცდილებით, ვერავინ შეცვლის. ევროპის როლი შეიძლება და უნდა იყოს კიდეც კონსტრუქციული, ნოვატორული, კეთილისმყოფელი.

თავი VII

განიარაღების პრობლემები და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა

ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს მაინტერესებდა შეერთებული შტატების ისტორია, ბევრი ამერიკელი ავტორი წავიკითხე, გამუდმებით თვალს ვადევნებდი, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ურთიერთობა. ვარდნილები კი ამ ურთიერთობაში მართლაც რომ ციცაბო იყო: მეორე მსოფლიო ომში კავშირიდან 40—50-იანი წლების „ცივ ომამდე", 70-იანი წლების დაძაბულობის შენელებიდან ურთიერთობის მკვეთრ გამწვავებამდე 80-იანი წლების მიჯნაზე.

მანძილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმიდან, რომელიც შემობრუნების პლენუმი იყო ჩვენთვის, ამ წიგნის გამოქვეყნებამდე ბევრი მოვლენა ჩაიტია, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.

ამჟამად ჩვენ დიალოგი გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დროდადრო წერილებს ვცვლით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან. ჩვენი წარმომადგენლები ნამდვილად მნიშვნელოვან პრობლემებს განიხილავენ მოლაპარაკებებზე.

უკანასკნელ ერთ-ორ წელიწადში ოდნავ გალხვა ჩვენი კონტაქტები ისეთ დარგებში, როგორიცაა მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა. სხვადასხვა დონეზე განიხილება ახლა საკითხები, რომლებიც ადრე მხოლოდ ურთიერთმხილების საგანი იყო. დაისახა კონტაქტები თვით ისეთ სფეროში, როგორიცაა საინფორმაციო საქმიანობა, რომელიც უნდა განთავისუფლდეს ძალადობის, მტრობის პროპაგანდისაგან, სხვის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან.

რაო ვითომ, „ყინული დაიძრა", ურთიერთობა რაღაც უფრო მშვიდ და კონსტრუქციულ ფაზაში შედის? ვისურვებდი, რომ პროცესი გაგრძელდეს. მაგრამ იმის მტკიცება, რომ რაღაც შესამ-

ჩნევ შედეგებს მივაღწიეთ, ნიშნავს შევცოდოთ ჰეშმარიტების წინაშე. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის რეალურ გაუმჯობესებაზე ზრუნვა მისი მდგომარეობის პატიოსან შეფასებას მოითხოვს. ცვლილებები უკეთესობისაკენ, თუ ისინი არის კიდეც, უაღრესად ნელა მიმდინარეობს, ადრინდელ უსაფუძვლო მიდგომებს ხშირად უპირატესობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განახლების სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან შედარებით.

შეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, ინფორმატიკამ დააახლოვეს დღეს ადამიანები. შეიძლება ეს პროცესები ისე გამოიყენონ, რომ ურთიერთგაგება იზრდებოდეს. მაგრამ მათი ისე გამოყენებაც შეიძლება, რომ ისინი გათიშავენ ადამიანებს. აქამდე ეს როგორღაც ადვილად ჩაივლიდა ხოლმე, პაჯრამ დანაკარგები ამის გამო, თანაც უდიდესი დანაკარგები, უკვე არის. აი, მსოფლიო მიადგა ისეთ მიჯნას — ეს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც შეეხება და სსრ კავშირსაც, — რომ დროა ვიფიქროთ, თუ როგორ განვაგრძოთ ცხოვრება. თუ გავაგრძელებთ ისევე, როგორც იყო და არაფერს შევცვლით, მაშინ ძნელი იქნება ვიწინასწარმეტყველოთ სად ვიქნებით 10—15—20 წლის შემდეგ. მე მგონია, რომ იზრდება შეშფოთება ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის, მთელი ცივილიზაციის მომავლისათვის. იგი იზრდება საბჭოთა ხალხშიც, ამერიკელ ხალხშიც.

არასოდეს არ დავეთანხმები — ვინც რა უნდა მითხრას, — რომ ამერიკელი ხალხი აგრესიულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ამას ვერ დავეთანხმები. არიან. ალბათ, ადამიანები, რომელთაც ხელს აძლევს დაძაბულობა, კონფრონტაცია ანდა მწვავე მეტოქეობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ალბათ და ნამდვილად — ამით ვიღაცა რაღაცას იგებს. მაგრამ ჩვენი ხალხების დიდ, ფართო ინტერესებს ასეთი მდგომარეობა არ უპასუხებს.

ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. იგი ამას საჭიროებს. ჩვენ ხომ ამ თვალსაზრისით წინ ვერ წავიწიეთ, კერძოდ, 70-იანი წლების შუახანებთან შედარებით. ბევრი რამ, მაშინ შექმნილი და გაკეთებული, დაინგრა კიდეც. წინ კი არ მივდიოდით, პირიქით. ჩვენ ვამბობთ, რომ დამნაშავენი არიან ამერიკელები. ამერიკელთა მხარე ამბობს, რომ დამნაშავეა საბჭოთა კავშირი. ეტყობა უნდა გავერკვეთ იმის მიზეზებში, რაც მოხდა, საჭიროა გამოვიტანოთ გაკვეთილები წარსული-

დან, მათ შორის ჩვენი ურთიერთობის წარსულიდან. ეს არის მეცნიერება, სერიოზული მეცნიერება, პასუხსაგები მეცნიერება, თუ, რა თქმა უნდა, სიმართლის პოზიციებზე დგახარ. და, მაინც, ამჟამად მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ მომავალში როგორ ვიცხოვროთ ერთად ამ სამყაროში, როგორ ვითანამშრომლოთ.

მე ბევრჯერ შევხვდი ამერიკის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებს. ზოგჯერ ეს დიდად ძაბავს ჩემს გრაფიკს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ გამოვნახო დრო ასეთი შეხვედრებისათვის. ამასთან ჩემს ამოცანად მიმაჩნია არა მარტო ის, რომ მათ გავაგებინო ჩვენი პოლიტიკის აზრი, თუ როგორ ვხედავთ სამყაროს, არამედ ის, რომ შევიგრძნო, უკეთ გავიგო და გავერკვე ამერიკელთა გონება-განწყობილებაში, უფრო სრულად ჩავწვდე, თუ როგორია ამერიკელთა პრობლემები და პოლიტიკური პროცესების თავისებურებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში. სხვანაირად არ შეიძლება. მეცნიერული პოლიტიკა უნდა ყალიბდებოდეს სინამდვილის ზუსტი გათვალისწინებით. შეუძლებელია დავამყაროთ უფრო ჰარმონიული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, თუ კვლავ იდეოლოგიური მითების ტყვეობაში ვიქნებით.

ჩვენ არ გვყოფნის ურთიერთობა, ერთმანეთის გაგება, თვით პატივისცემაც კი არ გვყოფნის. საამისოდ ძალზე ბევრი იმუშავეს ცნობილმა ძალებმა. ძალზე ბევრი ისეთი წარმოდგენა დაგროვდა, რომლებიც აფერხებენ თანამშრომლობას, გზას უღობავენ მის განვითარებას.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ისტორია ამ წიგნის თემა არ არის. მაგრამ, როცა გაიაზრებ თუნდაც უახლოესი წარსულის მოვლენებს, ხედავ, თუ რა არასასიკეთო როლი შეასრულეს წინასწარშექმნილმა აზრებმა, ახლის მიუღებლობამ. 1987 წლის ზაფხულის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ ჯ. კარტერთან შეხვედრისას გულწრფელად ვუთხარი მას, რომ—სულაც არ მიმაჩნია ნეგატიურად ყველაფერი, რაც მისი პრეზიდენტობის დროს ხდებოდა. არა, პოზიტიური ამბებიც იყო. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, მეორე ხელშეკრულება სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შეზღუდვის შესახებ, რომელსაც, თუმცა რატიფიცირებულიც კი არ არის, დიდი სარგებლობა მოაქვს, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტა-

ტების ადმინისტრაციის ახლანდელი გეზისა. ამ ხელშეკრულების სულისკვეთება ცოცხლობს. ამავე დროს არ შეიძლება არ ითქვას, რომ ხელიდან გავუშვით ბევრი შესაძლებლობა. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ 80-იანი წლების მიჯნაზე, როგორც იტყვიან, ორ ნაბიჯზე იყო მნიშვნელოვანი შეთანხმებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღი, იარაღით ვაჭრობა, საშხედრო საქმიანობის შეზღუდვა ინდოეთის ოკეანეში, ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგება. ათი წლის წინ! რამდენი დრო, სახსრები გამალებულ შეიარაღებაზე და ადამიანის სიცოცხლე დაიკარგა!

ჩან მოველით ამერიკის შეერთებული ჰტატებისაგან?

1985 წლის აგვისტოს დამლევს ამერიკულ ჟურნალ „ტაიმის" კითხვებზე პასუხისას ვამბობდი: ჩვენი ქვეყნები უბრალოდ თავს ნებას ვერ მისცემენ კონფრონტაციამდე მიიყვანონ საქმე. ამაში ნამდვილად დაინტერესებული არიან როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელი ხალხი. და ეს ასახული უნდა იქნეს რეალური პოლიტიკის ენით. აუცილებელია შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, ხელი მოვკიდოთ განიარაღებას, ნორმალურ კალაპოტში გადავიყვანოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა. ჭეშმარიტად დროა ორი დიდი ხალხის ურთიერთობა მათი ისტორიული როლის ღირსი გავხადოთ. ჩვენს ურთიერთობაზე ხომ მართლაც დამოკიდებულია მსოფლიოს ბედი, მსოფლიო ცივილიზაციის ბედი, მზად ვართ ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით.

უნდა ვისწავლოთ რეალურ მსოფლიოში ცხოვრება, მსოფლიოში, სადაც არის როგორც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესები. მაგრამ არის ჩინეთის, ინდოეთის, ავსტრალიის, პაკისტანის, ტანზანიის, ანგოლის, არგენტინის ინტერესებიც, თავისი ინტერესები აქვთ პოლონეთსაც, ვიეტნამსაც, კუბასაც — ყველას. ამის აუღიარებლობა ნიშნავს, რომ წავართვათ ხალხებს თავისუფალი არჩევანის უფლება, თავისებური სოციალური წყობილების დამყარების უფლება. მაშინაც კი, თუ ხალხს შეეშალა არჩევანი, მან თვითონ უნდა იპოვოს გამოსავალი. ეს მისი უფლებაა.

ამაზე ბევრ ამერიკელთან მქონდა საუბარი. მათ შორის ჯ. შულცთანაც, 1987 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში. საუბარი მრავლისმომცველი იყო, მაგრამ მე გამუდმებით ერთი აზრისაკენ წარვმარ-

თავდი მას: მოდით ვცადოთ ვიცხოვროთ რეალურ სამყაროში, მოდით გავითვალისწინოთ ორივე ქვეყნის ინტერესები. ეს კი შეუძლებელია მსოფლიო გაერთიანების სხვა წევრების ინტერესთა გაუთვალისწინებლად. თუ მარტო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიდან გამოვალთ, საერთაშორისო ურთიერთობა არ მოგვარდება. საჭიროა ბალანსი.

ისტორიის თითოეულ ეტაპზე ეს ამოცანა ახლებურად დგება. იცვლება ინტერესები, იცვლება ბალანსიც. და საჭირო ხდება ახლებური პიდგომა. ვიმეორებ: XX საუკუნის მიწურულში საშიში და მავნე იქნებოდა, თუ პოლიტიკას ავაგებდით იმ მიდგომათა მიხედვით რომელთაც საფუძვლად უდევს ტრუმენის დოქტრინა და ფელტონში ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა. დიდი ხანია დროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გარდაქმნას. და თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ მბრძანებლობის ჩვეულებისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ. არც საბჭოთა კავშირს, არც შეერთებულ შტატებს, არც სხვა ქვეყნებს არ ძალუძთ შეხედონ მსოფლიოს, ან მის რომელიმე ნაწილს, როგორც ექსპლუატაციის ობიექტს, თუნდაც „ეროვნული ინტერესების“ ლოზუნგით.

ახლა უკვე ძნელად ხერხდება ურთიერთობის დამყარება დიქტატზე, ძალადობაზე, მბრძანებლობაზე. დროთა განმავლობაში კი ეს საერთოდ შეუძლებელი გახდება. ახალ რეალობათა გაცნობიერების პროცესი იოლი საქმე არ არის. იგი დროს და ყველას ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ თუ დაიწყო, ეს პროცესი გაგრძელდება კიდეც. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა და გაგება. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ვთანამოქმედებდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ვთანამოქმედებდეთ კონსტრუქციულად, ვეუბნებოდი ჯ. შულცს, და პასუხისმგებლობას, რომელიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აწევს, ვერავინ შეენაცვლება.

მახსენდება საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთან, რ. ნიქსონთან. მან მოიგონა უინსტონ ჩერჩილის სიტყვები, ვიმედოვნებ, არა წინასწარმეტყველური, რომ მეცნიერების კაშკაშა ფრთებზე დედამიწას შეიძლება დაუბრუნდეს ქვის ხანა, და ხაზგასმით ამბობდა, რომ მე, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, და პრეზიდენტ რეიგანს,

აგრეთვე ჩვენი საქმის გამგრძელებლებს მოგვიწევს გავაკეთოთ ისტორიული არჩევანი მშვიდობიანი მომავლის სასარგებლოდ.

მაშინ მე ვუამბე რ. ნიქსონს, რომ ერთხელ ვნახე კინოფირი, რომელიც მოგვითხრობდა ამერიკელი ტურისტების მოგზაურობას ვოლგაზე. ეკრანზე იყვნენ ჩვენი მოქალაქეები და ამერიკელები. იოლი არ არის გაარჩიო რომელია ამერიკელი და რომელი რუსი. ადამიანები გაცხოველებით საუბრობენ, იგრძნობა, რომ მეგობრულად ლაპარაკობენ, ერთმანეთის ესმით, პოლიტიკოსებს კი ეს აკლიათ.

კარგია, რომ მარტო პოლიტიკოსები როდი ლაპარაკობენ, არამედ ხალხთა უშუალო წარმომადგენლები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ამას მივესალმებოდი. დაე უფრო ხშირად ხვდებოდნენ საბჭოთა ადამიანები და ამერიკელები, დაე, ყველა მათგანს ჩამოუყალიბდეს საკუთარი შეხედულება ერთმანეთზე. უდიდესი საქმეა ურთიერთობა, ადამიანთა უშუალო ურთიერთობა. უამისოდ, თუ ხალხებს შორის ფართო ურთიერთობა და ურთიერთგაგება არ იქნა, პოლიტიკა ბევრს ვერაფერს მოგვცემს.

რ. ნიქსონის ყურადღება მივაპყარი იმას, რომ დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე სერიოზული რეალობაა კოლოსალური საომარი, მათ შორის ბირთვული არსენალის არსებობა სწორედ ჩვენს ორ ქვეყანაში. ვეუბნებოდი მას: თუ ჩვენ ერთმანეთის მიმართ და მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიმართ პოლიტიკას მცდარ წანამძღვრებზე ავაგებთ, მაშინ საქმე შეიძლება კონფრონტაციის უკიდურეს წერტილამდე მივიდეს უაღრესად ტრაგიკული შედეგებით სსრ კავშირისთვისაც, ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც, მთელი მსოფლიოსთვისაც.

დღესაც მზად ვარ გავიმეორო იმ საუბრისას ნათქვამი: საბჭოთა საზოგადოებაში, არამარტო ხელმძღვანელობაში, ჩამოყალიბდა მტკიცე განზრახვა — ვეძიოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის გზები, ვიპოვოთ და გავაფართოოთ შეხების წერტილები, რათა, საბოლოო ანგარიშით, მეგობრულ ურთიერთობამდე მივიდეთ. შეიძლება ჯერჯერობით ასეთი მიზანი მეტისმეტად მაღალი გვეჩვენოს, მაგრამ გვწამს, რომ უნდა გავაკეთოთ სწორედ ეს არჩევანი, რადგანაც სხვაგვარად წარმოუდგენელია სადამდე მივალთ.

უკეთესობამდე ,ან უარესობამდე, მაგრამ პოლიტიკა არ ცნობს კავშირებითს კილოს. ისტორია ურეპეტიციოდ სრულდება. მას თავიდან ვერ ითამაშებ. მით უფრო მნიშვნელოვანია მისი მსვლელობის, მისი გაკვეთილების გააზრება.

ამერიკის შეერთებული შტატები — „გორაკსა ზედა მოციალე ქალაქი"?

ჩვენ ძალზე ხშირად ვაწყდებით დამახინჯებულ წარმოდგენებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, გასავლიან ანტისაბჭოურ სტერეოტიპებს, ამიტომ უაღრესად კარგად ვიცნობთ შეგნებული თუ შეუგნებელი სიცრუით წარმოქმნილ ბოროტებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ და მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში აღვიქვათ.

ვიცი, რომ ამერიკული პროპაგანდა, დიახ, დიახ, პროპაგანდა ცდილობს ამერიკა წარმოგვიდგინოს როგორც „გორაკსა ზედა მოციალე ქალაქი".

ამერიკას დიდი ისტორია აქვს. ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ამერიკის რევოლუციის მნიშვნელობა კაცობრიობის სოციალური პროგრესისათვის ანდა ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური გენია, მისი მიღწევები ლიტერატურაში, არქიტექტურაში, ხელოვნებაში? ამერიკას აქვს ყველაფერი ეს. მაგრამ დღევანდელ ამერიკას გააჩნია მწვავე სოციალური და სხვა ხასიათის პრობლემებიც, რომლებზეც ამერიკის საზოგადოებამ ჯერჯერობით პასუხი ვერ იპოვა, კიდევ უარესი — ისეც ხდება, რომ პასუხებს ეძებს იქ და ისე, რომ სხვებს შეიძლება შავი დღე დაადგეთ.

ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი საწარმოო პოტენციალი, მატერიალური სიმდიდრე და მილიონობით დაბეჩავებული. მართლაც რომ დასაფიქრებელია. ლამის მისიონერული ჟინი ქადაგებისა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ და საკუთარ სახლში ამ ელემენტარულ უფლებათა უზრუნველყოფის არად ჩაგდება — ასევე დაფიქრების საბაბს იძლევა. გაუთავებელი ლაპარაკი ადამიანის თავისუფლებაზე და საკუთარი ცხოვრების წესის სხვებისათვის თავმოხვევა, ძალისა და ძალმომრეობის კულტის მასირებული პროპაგანდა. როგორ გავიგოთ ეს? ძალით, სამხედრო ძალით გატაცება, მუდმივად მზარდი ხარჯები შეიარაღებაზე და ბიუჯეტის უკმარისობა, საშინაო, ახლა კი უკვე საგარეო ვალიც. რისთვის? რა ამოძრავებს ამერიკის შეერთებულ შტატებს? ყველა ამ და ბევრ სხვა შეკითხვას ვაძლევთ საკუთარ თავს, ვცდილობთ

გავერკვეთ ამერიკის სინამდვილეში, დავინახოთ ის ზამბარები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა.

გულახდილად ვიტყვი, ის რაც ჩვენ ვიცით, არ გვიქმნის წარმოდგენას ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც „გორაკსა ზედა მოციალე ქალაქზე". ასევე გარკვეულად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ არც „ბოროტების იმპერიად" ვთვლით ამერიკის შეერთებულ შტატებს. როგორც ყველა ქვეყანაში, ამერიკის სინამდვილეშიც არის ნათელი და მუქი ფერები. ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ისეთად ვხედავთ, როგორიც ის სინამდვილეში არის, ვხედავთ ამერიკის საზოგადოებაში და ამერიკის საზოგადოების შესახებ შეხედულებათა და მსჯელობათა მთელ მრავალფეროვნებას.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ერთი განზომილებით როდი აღიქვამს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მკაფიოდ ანსხვავებს ყველა სპექტრს: მილიონობით შრომის ადამიანებსაც, რომლებიც დაკავებული არიან თავიანთი საქმეებითა და საზრუნავით, საერთოდ სამშვიდობოდ არიან განწყობილნი, რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, გავლენიან კონსერვატიულ და, მათ გვერდით, რეაქციულ წრეებსაც, რომლებიც დაკავშირებული არიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან და სამხედრო წარმოების მოგებასთან, ჩვენს მიმართ ჯანსაღ, ნორმალურ ინტერესსაც, და საკმაოდ გავრცელებულ დაბაბრშავებელ ანტისაბჭოურობას, ანტიკომუნიზმსაც.

მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემა, საზოგადოებრივი წყობილება — თვით ამერიკელი ხალხის საქმეა. მან უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ მართოს თავისი ქვეყანა, როგორ აირჩიოს ხელმძღვანელობა, თავისი მთავრობა. ჩვენ პატივს ვცემთ მის ამ სუვერენულ უფლებას. ეპვის ქვეშ რომ დაგვეყენებინა ამერიკელი ხალხის არჩევანი, რა გამოვიდოდა აქედან? პოლიტიკას უნდა ვაგებდეთ რეალობებზე, იმის გაგებაზე, რომ თითოეულ ხალხს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს საკუთარი ცხოვრების წესი, მართვის თავისი სისტემა.

შეერთებული შტატები — ეს არის სახელმწიფო, რომელთანაც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, ურთიერთობა ვიქონიოთ. ეს არის რეალობა. ჩვენი ურთიერთობის მთელი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე

ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ვერც ამერიკის შეერთებული შტატები გააკეთებს რაიმეს უჩვენოდ. ჩვენ ვერსად გავექცევით ამერიკელებს, და ამერიკელები კი ჩვენ. ამიტომ საჭიროა კონტაქტები, დიალოგი, აუცილებელია ურთიერთობის გაუმჯობესების გზების ძიება.

კარგად ვიცით და გვესმის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ადმინისტრაცია — თეთრი სახლი, და არის კონგრესი. გვინდა ვითანამშრომლოთ ადმინისტრაციასთანაც და კონგრესთანაც. ამჟამად ვაღრმავებთ ჩვენს წარმოდგენებს ამერიკის პოლიტიკური პროცესის შესახებ. კერძოდ, ვხედავთ განსხვავებას ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამოქალაქო მინისტრისა და პროფესიული სამხედროების შეხედულებათა შორის. პირველისათვის ბევრს ნიშნავს ბიზნესი, სამხედრო შეკვეთები, რეალისტურად მოაზროვნე პროფესიონალები კი ჯეროვნად აფასებენ იმას, თუ რა აქვთ ხელთ და რა შეუძლია მოუტანოს ამან მთელ მსოფლიოს. ასეთი გაგება ადასტურებს იმას, რომ სამხედროები რეალიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობას იჩენენ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სამხედროებს სწორად ესმოდეთ არსებული სიტუაცია.

ნათქვამს დავუმატებ, რომ ჩვენ არ ვაპირებთ შეერთებული შტატების შიგნით არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ორიენტაციით ჩამოვაყალიბოთ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების საჭესთან რესპუბლიკელები დგანან, ხვალ დემოკრატები ან ისევ რესპუბლიკელები დადგებიან. აქ დიდი განსხვავება არ არის. მაგრამ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სახელმწიფოს, ინტერესები. ურთიერთობა გვექნება იმ ადმინისტრაციასთან, რომელიც დგას ხელისუფლების სათავეში. დაე ამერიკელთა საქმეები ამერიკელებს დარჩეს, ჩვენი კი — ჩვენ. ასეთია ჩვენი პრინციპული პოზიცია.

„მტრის სახე"

არც საშინაო და არც ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ინტერესებისათვის სრულებითაც არ გვჭირდება ამერიკა „მტრის სახედ" მივიჩნიოთ.

მითიური ან რეალური მტერი მაშინ არის საჭირო, თუ განეწყობით დაძაბულობის შენარჩუნებისათვის, კონფრონტაციისათვის,

რომელსაც შორს მიმავალი და, დავუმატებ, გაუთვალისწინებელი შედეგები მოსდევს. ჩვენ კი სხვა ორიენტირი გვაქვს.

ჩვენ რაც შეგვეხება, საბჭოთა კავშირში არ არის ამერიკელებისადმი სიძულვილის, ამერიკისადმი უპატივცემლობის პროპაგანდა. ამას ვერ ნახავთ ვერც პოლიტიკაში, ვერც სწავლებაში, ვერსად. ჩვენ ვაკრიტიკებთ პოლიტიკას, რომელსაც არ ვეთანხმებით. მაგრამ, ეს სხვა საქმეა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიჩენთ უპატივცემლობას ამერიკელი ხალხისადმი.

1987 წლის ზაფხულში შევხვდი ამერიკის შეერთებული შტატების რუსული ენის მასწავლებელთა ჯგუფს, რომლებიც ორი თვე სტაჟირებას გადიოდნენ ლენინგრადში. კარგი საუბარი გვქონდა — გულწრფელი, თბილი, მოვიყვან ერთ მოკლე ნაწყვეტს სტენოგრამიდან.

მ. ს. გორბაჩოვი. ამერიკელებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების თუნდაც ერთ ფაქტს თუ წააწყდით ამ დღეებში?

დ. პადულა. არა. მართალია, ერთხელ ერთმა კაცმა მკითხა ქუჩაში: როდის იქნება მშვიდობა? მე ვუპასუხე, იმედი მაქვს მშვიდობა მალე იქნება-მეთქი.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს ძალზე საინტერესო ცნობაა. დარწმუნებული ვარ, მეგობრებო, რომ სადაც არ უნდა მოხვდეთ საბჭოთა კავშირში, თქვენ ვერ შეხვდებით ამერიკელებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას. ვერსად. თქვენ ჩვენი პრესის წაკითხვაც შეგიძლიათ. იქ ნახავთ მთავრობის პოლიტიკის, ამა თუ იმ ჯგუფის განცხადების და მოქმედების კრიტიკას, გარჩევას, განსჯას ან შეფასებას მაგრამ ვერსად ნახავთ ამერიკის ან ამერიკელებისადმი უპატივცემულობას. ასე, რომ „წითლები“ თუმცა „მოდიან“, მაგრამ ისინი თქვენთან ერთად მოდიან ზოგადსაკაცობრიო გზით.

მაგრამ, აი, შეერთებულ შტატებში ვიღაცას თურმე საბჭოთა კავშირი „სპირდება“ როგორც მტრის სახე. სხვაგვარად ძნელი გასაგებია ზოგიერთი კინოფილმი, წამქეზებლური ამერიკული გადაცემები მიუნხენიდან, სტატიებისა და გადაცემების ნიაღვარი, რომლებიც აღსავსეა შეურაცხყოფითა და სიძულვილით საბჭოთა ხალხისადმი. ყველაფერი ეს მოდის, თუ უფრო ადრე არა, 40-იანი წლების სიღრმიდან.

სრულებითაც არ ვაპირებ, რომ გავაიდეალო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თითოეული ნაბიჯი ბოლო ათწლეულების განმავ-

ლობაში. იყო შეცდომებიც. მაგრამ ძალიან ხშირად ეს იყო ანგარიშმიუცემელი რეაქცია ამერიკის მოქმედებაზე, იმ პოლიტიკაზე, რომელსაც მისი შემოქმედნი „კომუნიზმის უკუგდებას" უწოდებდნენ.

ჩვენ მწვავედ და, არ დავმალავ, დაძაბულად აღვიქვამთ საბჭოთა კავშირის კულტივირებას „მტრის სახით". მით უმეტეს, რომ საქმე ეხება არამარტო „საბჭოთა სამხედრო მუქარის", „მოსკოვის ხელის", „კრემლის ხრიკების" შესახებ ჩვეული ფანტაზიების სულისკვეთებით იდეოლოგიურ ვარჯიშს და ჩვენი საშინაო საქმეების უაღრესად ნეგატიურ წარმოსახვას. ლაპარაკიც კი არ მინდა ასეთი აბსურდული მტკიცებების თაობაზე, მაგრამ არც იმ ფაქტის იგნორირება შეიძლება, რომ პოლიტიკაში ყველაფერს თავისი მიზანი აქვს. ამრიგად, საქმე ეხება პოლიტიკურ პრაქტიკას, რომლის მიღმა შეუძლებელია გარკვეული ზრახვები და გეგმები არ იდგეს. საჭიროა განვთავისუფლდეთ ყოველგვარი შოვინიზმისაგან. ჩვენს ქვეყნებში, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ძალას, რომელიც ორივეს გააჩნია, შოვინიზმმა შეიძლება დაუშვებელი ელემენტები შემოიტანოს პოლიტიკაში.

მწარე, ტრაგიკული ფაქტი ის არის, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ქვევით მიექანებოდა. ურთიერთობის გაუმჯობესების მოკლე პერიოდებს ცვლიდა დაძაბულობისა და მტრობის გაღვივება. მწამს, რომ ახლა ყველა საფუძველი არსებობს მდგომარეობის გამოსასწორებლად და, მგონი, რაღაც უკვე გამოდის. ჩვენ მზად ვართ ყოველნაირად ხელი შეეუწყოთ უკეთესობისაკენ ცვლილებებს.

რისთვის და ვისთვის არის ხაჭირო გამალებული შეიარაღება?

როცა ჩაუფიქრდები კითხვას, თუ რა ამძიმებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, აკეთებ დასკვნას — უპირველეს ყოვლისა გამალებული შეიარაღება. მე არ ვაპირებ მისი ისტორიის აღწერას. მხოლოდ ერთხელ კიდევ შევნიშნავ, რომ თითქმის ყველა ეტაპზე საბჭოთა კავშირი მდევრის როლში გამოდიოდა. 70-იანი წლების დამლევს ჩვენ თითქმის მივაღწიეთ სამხედრო-სტრატეგიულ პარიტეტს, მაგრამ, პირდაპირ რომ ვთქვათ, საშიშ დონეზე. ახლა საბჭოთა კავშირსაც და შეერთებულ შტატებსაც აქვთ შესაძლებლობა მრავალჯერ მოსპონ ერთმანეთი.

თითქოს, ლოგიკური იქნებოდა, რომ სტრატეგიული პატის გარდაუვალობის გამო შეეჩერებინათ გამალებული შეიარაღება, დაეწყოთ განიარაღება. მაგრამ ხდება სულ სხვა რამ. ისედაც პირამდე სავსე არსენალები ივსება დახვეწილი სახეობის ახალი იარაღით, ითვისებენ სამხედრო ტექნიკის შემუშავების ახალ მიმართულებებს. და ამ საშიშ, თუ არ ვიტყვით, დამღუპველ საქმიანობას ტონს აძლევს ამერიკის შეერთებული შტატები.

არავითარ საიდუმლოებას არ გავთქვამ, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირი ყველა საპირო ზომას იღებს თავისი თავდაცვის თანამედროვე და საიმედო დონეზე შენარჩუნებისათვის. ეს ჩვენი ვალია საკუთარი ხალხის წინაშე, ჩვენი მოკავშირეების წინაშე. ამავე დროს მინდა სრული გარკვეულობით ხაზგასმით აღვნიშნო — ეს არ არის ჩვენი არჩევანი. იგი ჩვენ თავს მოგვახვიეს.

ცდილობენ ამერიკელებს ათასგვარი ეკვი ჩაუნერგონ განიარაღების დარგში საბჭოთა კავშირის ზრახვების თაობაზე. მაგრამ, ისტორია გვიჩვენებს, რომ ჩვენ არ ვიცით სიტყვის გატეხვა, აღებულ ვალდებულებებს კი ვასრულებთ. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით შეერთებული შტატების შესახებ. ადმინისტრაცია ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს, აშინებს საბჭოთა მუქარით, და ამას განსაკუთრებული შეუპოვრობ.თ აკეთებს, როცა უნდა კონგრესში გაათრიოს მორიგი სამხედრო ბიუჯეტი. ჩვენ გვებადება კითხვა: რისთვის კეთდება ყოველივე ეს, რა მიზანს ისახავს ამერიკის შეერთებული შტატები?

სრულიად ნათელია, რომ მსოფლიოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ბირთვული იარაღის მსოფლიოში, ამ იარაღის გამოყენების ხებისშიერი ცდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული პრობლემების გადასაჭრელად — თვითმკვლელობა იქნებოდა. ეს ფაქტია. არა მგონია, რომ იგი გაცნობიერებული არ ჰქონდეთ ამერიკელ პოლიტიკოსებს.

კიდევ მეტი, ახლა შეიქმნა ეშმარიტად პარადოქსული სიტუაცია. მაშინაც კი, თუ ერთი ქვეყანა გამუდმებით შეიარაღდება, გაზრდის შეიარაღებას, მეორე კი არაფერს გააკეთებს, ის მხარე, რომელიც იარაღდება, მაინც ვერაფერს მოიგებს ამით. სუსტ მხარეს შეუძლია უბრალოდ ააფეთქოს ყველა თავისი ბირთვული მუხტი თუნდაც საკუთარ ტერიტორიაზე და ეს მოასწავებდა მის თვითმკვლელობას და მოწინააღმდეგის ნელ სიკვდილს. აი რატომ არის,

რომ სამხედრო უპირატესობისაკენ მისწრაფება მითის გამოდევნებაა. მისი გამოყენება რეალურ პოლიტიკაში შეუძლებელია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არც მეორე ილუზიასთან განშორებას ჩქარობენ. ლაპარაკია ამორალურ ვარაუდზე, რომ სულ უფრო ღრმად და ღრმად ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი გამალებული შეიარაღების მორევში და ამით ეკონომიკურად დააუძლურონ იგი, არ მისცენ საშუალება განახორციელოს აღმშენებლობითი გეგმები.

წინადადებას ვაძლევ მკითხველს თვალი გადაავლოს ომისშემდგომი ათწლეულების გამოცდილებას. საბჭოთა კავშირი უმძიმეს მდგომარეობაში გამოვიდა მეორე მსოფლიო ომიდან. დიახ, ჩვენ გავიმარჯვეთ ფაშიზმთან ბრძოლაში, გავიმარჯვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა მონაწილეებთან ერთად. მაგრამ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა და ამერიკის მიწაზე მტრის არც ერთ გასროლას არ დაუქუხია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ვეებერთელა ნაწილი გააფთრებული ბრძოლების ასპარეზი იყო. ჩვენი დანაკარგები — ადამიანებისაც და მატერიალურიც — უდიდესი იყო. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით დანგრეულის აღდგენა, გავზარდეთ ეკონომიკური პოტენციალი და სავსებით მტკიცედ დავძლიეთ თავდაცვითი ამოცანები. განა ეს საკმომავლო გაკვეთილი არ არის?

დაუშვებელია, რომ სახელმწიფოებმა პოლიტიკა ააგონ მცდარ წარმოდგენებზე. ჩვენთვის ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, და საერთოდ დასავლეთში, გავრცელებულია შეხედულება რეალური საფრთხე საბჭოთა კავშირიდან იმიტომ კი არ გვემუქრება, რომ იგი ბირთვულ იარაღს ფლობს. მსჯელობენ ასე — ზემოთ უკვე ვთქვი ამის შესახებ სხვა რამესთან დაკავშირებით: საბჭოებმა კარგად იციანო, რომ თუ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაესხმებიან, თავიდან ვერ აიცილებენ სამაგიერო დარტყმასო. ზუსტად ასევე ამერიკის შეერთებული შტატებიც შესანიშნავად აძლევენ ანგარიშს თავის თავს, რომ სსრ კავშირზე თავდასხმას საპასუხო დარტყმა მოჰყვება. ამიტომ მხოლოდ გიჟს შეუძლია ბირთვული ომის დაწყებაო. ხოლო ნამდვილი საფრთხე, ამ მოღვაწეთა აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთის სამყაროს დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი განახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების თავის გეგმებს,

ყველას უჩვენებს თავის ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებს. აი, ამიტომ ცდილობენ ეკონომიკურად გამოფიტონ საბჭოთა კავშირი.

ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ ამერიკელებს: შეეცადეთ მოიშოროთ ასეთი მიდგომა ჩვენი ქვეყნისადმი, ამაოა იმის იმედი, რომ ტექნოლოგიის, მოწინავე ტექნიკის რაღაც უპირატესობათა გამოყენებით გაუსწროთ ჩვენს ქვეყანას. ღრმად ცდება ის, ვინც იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ საბჭოთა კავშირი „გამოუვალ მდგომარეობაშია“ და საჭიროა მხოლოდ მეტი დაწოლა, რათა გამოვწუროთ ყველაფერი, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ესაჭიროება. არაფერი ამ გეგმებიდან არ გამოვა. რეალურ პოლიტიკაში არ შეიძლება სასურველი ნამდვილად მივიჩნიოთ. თუ საბჭოთა კავშირმა, როცა ახლანდელზე გაცილებით სუსტი იყო, შეძლო ყველა გამოწვევაზე გაეცა პასუხი, მერწმუნეთ, ახლა მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, რომ მრავალგზის გაიზარდა ჩვენი შესაძლებლობანი შევინარჩუნოთ ძლიერი თავდაცვა და ამავე დროს გადავწყვიტოთ სოციალური და სხვა ამოცანები.

ვიმეორებ, რაც შეეხება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, იგი ემყარება სულ ცოტა, ორ შეცდომას. პირველი, რწმენა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა საცაა დაინგრევა და გარდაქმნის საქმეში მას არაფერი არ გამოუვა. მეორე — ვარაუდი, რომ დასავლეთს უპირატესობა აქვს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში და, საბოლოო ანგარიშით, სამხედრო სფეროშიც. ეს ილუზიები კვებავენ იმ გეზს, რომ გამოფიტონ სოციალიზმი გამალებული შეიარაღების მეშვეობით, რათა შემდეგ უკარნახონ თავისი პირობები. ასეთია სქემა, იგი გულუბრყვილოა.

პირდაპირ ვიტყვი — დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკაში იგრძნობა პასუხისმგებლობისა და ახლებური აზროვნების დეფიციტი. თუ არ შევჩერდებით, რეალურ განიარაღებაზე არ გადავალთ, ყველა ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს ჯოჯოხეთურ მატარებელში, რომელიც გაუჩერებლად მიექანება კატასტროფისაკენ.

დღეს, როგორც არასდროს, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს პასუხისმგებლური პოლიტიკა ესაჭიროებათ. ჩვენც და ამერიკელებსაც საკუთარი პრობლემები გვაქვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში. საქმე არ გვაკლია. ამ დროს სხვადასხვა ტვინის ტრესტებში ამუშავებენ სტრატეგიულ სქემებს, რო-

მელთა ავტორები ოინბაზებივით განაგებენ მილიონობით ადამიანის ბედს. ამ ტვინის ტრესტების რეკომენდაციები ის არის, რომ საბჭოთა კავშირი, თურმე, მთავარი საშიშროებაა ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც, და ყველგან მსოფლიოშიც. უკვე ვთქვი: საჭიროა უარი ვთქვათ გამოქვაბულის ადამიანის აზროვნებაზე. მესმის, რომ არიან პოლიტიკოსები და დიპლომატები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე დაკავშირებული იყვნენ ასეთ პოლიტიკასთან და ასეთ აზროვნებასთან. მაგრამ მათ განა დრომ არ გაუსწრო? ბირთვულ საუკუნეში საჭიროა ახლებური აზროვნება, და, პირველ ყოვლისა, იგი ესაჭიროებათ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს, როცა საქმე ეხება მათს ურთიერთობას.

ჩვენ რეალისტები ვართ და ამიტომ ვემყარებით იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ყველას, თვით უაღრესად პატარა ქვეყნებს, აქვთ თავიანთი სახელმწიფო ინტერესები და დროა შეეგნოთ, რომ წავიდა, ანდა ყოველ შემთხვევაში, მიდის დრო, როცა დიდ სახელმწიფოებს შეეძლოთ თავის გემოვნებით დაეთარგათ მსოფლიო.

კიდევ ერთხელ რეალობათა შესახებ, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის დეიდეოლოგიზაციისათვის

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დიდი ხანია დროა თვალახელილებმა შეეხედოთ გარე სამყაროს, ჩავუფიქრდეთ წარსულის გამოცდილებას, უშიშრად შეეფასოთ, თუ სადა ვართ ახლა. როცა ერთი ქვეყანა მეორეს აღიქვამს როგორც „აბსოლუტურ ბოროტებას", თავის თავს კი „აბსოლუტურ სიკეთედ" აცხადებს, ამით ჩიხში შეჰყავს ურთიერთობა. ახლა ანტიკომუნისტურ რიტორიკაზე როდი ვლაპარაკობ. თუმცა მას უდიდესი ზიანი მოაქვს. ვლაპარაკობ ადამიანთა მოდგმის ერთობის, მისი სვე-ბედის ერთობის გაცნობიერების უუნარობასა და სურვილის უქონლობაზე, ვლაპარაკობ იმის აუცილებლობაზე, რომ ვისწავლოთ სწორად, ცივილიზებულად ვიცხოვროთ ერთად, ერთ პლანეტაზე.

დღევანდელ თაობებს მემკვიდრეობად ერგოთ წარსულისაგან კონფრონტაციული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მაგრამ განა განწირული ვართ იმისათვის, რომ მტრობის ეს ესტაფეტა შემდგომშიც ფატალურად ვატაროთ?

რა თქმა უნდა, უკვე მრავალი წელია მშვიდობიანად ვცხოვრობთ. მთლიანობაში ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება თანამედროვე

საერთაშორისო სიტუაცია შევაფასოთ როგორც დამაკმაყოფილებელი. გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით ბირთვული, გრძელდება. არ ქრება რეგიონალური კონფლიქტები, ომის რისკი იზრდება. გამოსავალი საერთაშორისო ურთიერთობის ჰუმანიზაციაა. ეს ძნელი საქმეა. ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ: უნდა დავდგეთ იდეოლოგიურ უთანხმოებებზე მაღლა, დაე თითოეულმა გააკეთოს თავისი საკუთარი არჩევანი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. და სწორედ ამისათვის არის საჭირო ახლებური პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ემყარება საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების გაგებას და რომელსაც საფუძვლად უდევს ცივილიზაციის გადარჩენის იდეა. თუ შევძლებთ ასეთი აზროვნების კრიტერიუმებზე შეთანხმებას, მაშასადამე, მივაგნებთ მსოფლიო გაერთიანების წინაშე მდგომი პრობლემების ადეკვატურ გადაწყვეტას. თუ ამას გაიცნობიერებენ პოლიტიკოსები და შეძლებენ მის განხორციელებას, ეს გონების გამარჯვება იქნება.

როცა მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღებას მოვითხოვთ, ჩვენ ვთვლით, რომ არის ორი ნიშანი, რომლებიც განასხვავებენ რეალისტურ საგარეო პოლიტიკას: საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინება და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების პატივისცემა. ეს ძლიერი და საღი პოზიციაა. იგი შეუპოვრად უნდა დავიცვათ. ჩვენ ასე ვფიქრობთ და ვცდილობთ ასეც მოვიქცეთ.

განკერძოება ბოროტებაა

ზოგჯერ ამბობენ, მე თვითონაც ვამბობ ხოლმე, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ უერთმანეთოდ ცხოვრება. ჩვენ სავსებით შეგვიძლია ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე ვიცხოვროთ. ამერიკაც იცხოვრებს უჩვენოდ. ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი რამ შესაძლებელია. ჩვენი საავჭრო კავშირები ხომ დღესაც უმნიშვნელოა. და არა გვიშავს, ვცხოვრობთ. ამერიკელებისაგან მიღებულ გაკვეთილებსაც ვითვისებთ.

ჩვენთვის საგრძნობი იყო საკვები მარცვლეულის იმპორტი. ახლა ჩვენ უზრუნველვყავით თავი ამ მხრივ არა მარტო მარცვლეულის მიღების წყაროების დივერსიფიკაციით, არამედ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით, რამაც საშუალება მოგვცა მკვეთრად გაგვედიდებინა მოსავლიანობა, დასახულია ამოცანა, რომ უახლოეს ხანებში მსოფლიო ბაზარზე გავიტანოთ მარცვლეული.

დასავლეთში შეიქმნა საექსპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატები ფიზიზლად ადევნებს თვალყურს, რომ უმკაცრესად იქნეს დაცული მის მიერ გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა, მოითხოვს იმ საქონლის ნუსხების გაფართოებას, რომლის ჩვენთვის მოყიდვა ნებადართული არ არის, არ თაკილობენ ამ აკრძალვითი სისტემის მონაწილეთა საშინაო საქმეებში ჩარევას.

ჩვენი რეაგირება მწვავე იყო. შემუშავდა შესაბამისი პროგრამა. მან მიიღო სახელწოდება „პროგრამა 100", ვინაიდან საქმე ეხებოდა სწორედ 100 მასალას. ეს პროგრამა სამ წელიწადზე ნაკლებ დროში შევასრულეთ. ჩვენ უკვე 90 პროცენტით დამოუკიდებლად უზრუნველვყოფთ საკუთარ თავს ასეთი მასალებით. ასე, რომ ძირითადად გადავწყვიტეთ დასახული ამოცანა.

პირდაპირ ვთქვით: ბოლო უნდა მოვუღოთ არასრულფასოვნობის კომპლექსს. ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია, რესურსები — კოლოსალური, მეცნიერული პოტენციალი — შთამბეჭდავი, საერთაშორისო კაპიტალისტური პარტნიორები კი ყოველთვის როდი არიან საიმედონი, ზოგჯერ არ თაკილობენ, რომ ვაჭრობა პოლიტიკური შანტაჟის, ზემოქმედებისათვის გამოიყენონ. ჩვენ მიერ მიღებული ზომები უკვე იძლევიან კონკრეტულ შედეგებს. გაჩნდა პრინციპულად ახალი გამოკვლევები გამომთვლელი ელექტრონული მანქანების, სუპერგამომთვლელი ელექტრონული მანქანების, ზეგამტარიანობის სფეროებში და ა. შ. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა.

ბერწმუნეთ, შეერთებული შტატები წინდაუხედავად და თვითდაჯერებულად იქცევა, იმედი აქვს, რომ ყოველთვის წინ იქნება. ჩვენ კი მუდამ კუდში ვიჩანჩალებთ. თუმცა ვიცით, რომ ბევრი ამერიკელი სწავლული სხვაგვარად ფიქრობს.

მაგრამ ეკონომიკის — საბჭოთა იქნება ეს თუ ამერიკის — განვითარების რამდენი ხელსაყრელი შესაძლებლობა დაიკარგა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული განკერძოების მრავალი წლის მანძილზე! და ვინ მოთვლის, რამდენი სასიკეთო ერთობლივი საქმე არ გავაკეთეთ იმის გამო, რომ ჩვენი ურთიერთობა უნდობლობითა და ეჭვიანობით არის მოწამლული.

ასე რომ, განკერძოება სიკეთე კი არა, ბოროტებაა. თანაც დიდი ბოროტება. ამასთან ერთად ეკონომიკური ურთიერთობა პოლიტიკური ურთიერთობის, მისი გაუმჯობესების მატერიალური ბაზაც

არის. ეკონომიკური ურთიერთკავშირები წარმოშობენ ურთიერთდაინტერესებას, რომელიც ხელს უწყობს გადაწყვეტილებათა გამონახვას პოლიტიკურ სფეროშიც. ვფიქრობ, თუ ნამდვილად გავაუმჯობესებდით სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, გავაგრძელებდით პროცესს, რომელიც არცთუ სწრაფად, მაგრამ მაინც ვითარდება კულტურის დარგში, მაშინ შეეძლებდით გაგვემტკიცებინა ნდობა ჩვენს ქვეყნებს შორის. მაგრამ ეკონომიკურ სფეროში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბევრი ხერგილი შექმნა, ბევრი ღობე ააგო.

დიახ, ჩვენ ვაიდულობთ მარცვალს. მაგრამ ახლა ამას უფრო იმისთვის ვაკეთებთ, რომ თუნდაც, რაღაც სავაჭრო ურთიერთობა მაინც შევინარჩუნოთ, სხვაგვარად იგი საერთოდ ჩაკვდება. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, მალე შეიძლება აღარც დაგვჭირდეს მისი შესყიდვა. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი სხვა სახის ვაჭრობა კი, არსებითად, ნოლს უდრის. როგორც კი ჩვენმა საქონელმა სულ ოდნავ შეაღწია ამერიკის ბაზარზე, იქ უკვე შეშფოთდნენ, ზომებს იღებენ, რომ შეზღუდონ, აკრძალონ. რამდენი ყოველგვარი კანონდებულება მოქმედებს შეერთებულ შტატებში, რომ არ დაუშვან ვაჭრობის განვითარება ჩვენთან!

კიდევ ვიტყვი: ზოგადად რომ ითქვას, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებიც ცხოვრობენ უჩვენოდ და ჩვენც შეგვიძლია ვიცხოვროთ უამერიკოდ ვაჭრობის თვალსაზრისით. მაგრამ, თუ ჩავუფიქრდებით იმას, რომ მსოფლიოში ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენზე და ჩვენს ურთიერთგაგებაზე, იგი, ეს ურთიერთგაგება, ნორმალურად უნდა ვითარდებოდეს, ღრმავდებოდეს, და მაშასადამე, იგი ვაჭრობის განვითარებასაც გულისხმობს. ეს ნორმალურიც იქნებოდა და საინტერესოც.

ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების მხრივ კი არ არის გულგახსნილობა, ნაცვალგების სურვილი. არ არის ეს. აი, თუ შეიძლება სადღაც რაღაც წაგლიჯონ საბჭოთა კავშირს, მაშინ — კი ბატონო. მაგრამ ნაცვალგების საფუძველზე არაფერი არ არის.

შესაძლოა რაღაც, ან იქნებ ბევრი რამ, ჩვენზეც არის დამოკიდებული. შესაძლოა, ვაჭრობის უნარი არ შეგვწევს. ან, იქნებ, არც ჩვენ ვიჩენთ განსაკუთრებულ ძალისხმევას, რადგან უამისოდაც იოლად გავდივართ. ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ დავშალოთ

ხერგილები, საჭიროა არა მარტო საბჭოთა ბულდოზერი, არამედ ამერიკულიც.

სწორედ ასე უნდა გადაწყდეს ნდობის პრობლემა. შელოცვით აქ ვერაფერს გახდები. ნდობა ყალიბდება რეალური პროცესის შედეგად, პრაქტიკული საქმეების საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა კავშირების განვითარებისათვის მხარეების ძალისხმევის საფუძველზე, და, რა თქმა უნდა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღებისათვის ძალისხმევის საფუძველზე. ნდობას ხელს შეუწყობს აგრეთვე ერთობლივი ზრუნვა რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებისათვის.

როცა მეუბნებიან, რომ ჯერ უნდა ვიზრუნოთ ნდობაზე, და მხოლოდ მერე გადავწყვიტოთ ძირითადი პრობლემებიო, ეს გაუგებარია ჩემთვის. ეს უფრო მომიზეზებას წააგავს, რაო, ვითომ, ნდობას უფალი შთაგვინერგავს? თუ იგი წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მოჰყვებიან განმეორებას ნდობას ვემხრობითო? რა თქმა უნდა არა. ეს არის პროცესი. და ნდობის დონე ყოველთვის, ყველა დროში დამოკიდებული იყო რეალური ურთიერთობის, სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის განვითარების დონეზე.

ჩვენ უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი შემთხვევითობა, გაუთვალისწინებლობა, რომელთაც მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ თანამშრომლობა გვესაჭიროება არა მხოლოდ და არა იმდენად ეკონომიკური ფაქტორების გამო, არამედ სწორედ პოლიტიკური მოსაზრებებით. ვფიქრობ, რომ, რაგინდ ძნელიც უნდა იყოს, რაგინდ რთულად უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ურთიერთობა საშინაო თუ საგარეო მიზეზების გამო, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ძირითადი მიზანი — ურთიერთობის გაჯანსაღება ჩვენ ქვეყნებს შორის.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა და მრავალრიცხოვანი პირადი კონტაქტების საფუძველზე გვაქვს წარმოდგენილი, რეალისტურად მოაზროვნე ადამიანებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, და საერთოდ ყველგან, სურთ თანამშრომლობა და არა კონფრონტაცია. ისინი მიესალმებიან რეალიზმს სსრ კავშირის პოლიტიკაში, დიდ იმედებს ამყარებენ ამაზე. საქმიანი წრეების

მრავალ წარმომადგენელთან შეხვედრებისას ვრწმუნდები, რომ ისინი ფართო კატეგორიებით აზროვნებენ, თუმცა არც თავისი ბიზნესი ავიწყდებათ. სიამოვნებით ვიხსენებ არაერთ საუბარს დოქტორ ა. ჰამერთან, რომელიც ბევრს აკეთებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. ამას წინათ კი გადმომცეს საუბარი აგრეთვე ერთ-ერთ უმდიდრეს ამერიკელთან, ე. ბრონფმანთან. მან თანამოსაუბრეს შესთავაზა გორბაჩოვის სადღეგრძელო და უთხრა: „მატერიალური თვალსაზრისით მე უკვე ყველაფერი მივიღე ცხოვრებისაგან. მაგრამ ახლა საქმე ეხება კაცობრიობის სვე-ბედს. თუ საბჭოთა კავშირი განაგრძობს განვითარებას — ეს იმას ნიშნავს, რომ უნარი ექნება შეინარჩუნოს ძალთა თანაფარდობა, იმას ნიშნავს, რომ ბაზარიც იქნება და მშვიდობაც“.

უდავოა, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ორი უძლიერესი სახელმწიფოა ფართო ინტერესებით. ჩვენი ქვეყნებიდან თითოეულს თავისი მოკავშირეები და მეგობრები ჰყავს. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ არ მიმაჩნია, რომ აქედან გარდაუვალად გამომდინარეობდეს, თითქოს განწირულები ვიყოთ კონფრონტაციისათვის. უფრო ლოგიკური იქნებოდა გაგვეკეთებინა სხვა დასკვნა — მსოფლიოს ბედისათვის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული, გაზრდილი პასუხისმგებლობის შესახებ.

ბირთვული იარაღი ძირითადად თავმოყრილია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო რაც ამ ორ ქვეყანას გააჩნია იმის ათი პროცენტი, რა სათქმელია — ერთი პროცენტიც კი, საკმარისია, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მთელ პლანეტას და მთელ საკაცობრიო ცივილიზაციას.

მაშასადამე, ამ თვალსაზრისითაც ჩვენ და ამერიკელებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა გვაწევს ყველა ხალხის წინაშე. პოლიტიკოსებს, ჩვენს სახელმწიფოებს, ჩვენს ორ ხალხს განსაკუთრებული, უნიკალური პასუხისმგებლობა აწევთ ადამიანთა მთელი საზოგადოების წინაშე. ამერიკელ ხალხს ეყო პოტენციალი საიმისოდ, რომ დღევანდელი ამერიკა შეექმნა. საბჭოთა კავშირში გვეყო პოტენციალი საიმისოდ, რომ ჩამორჩენილი ქვეყანა დღევანდელ საბჭოთა კავშირად გვექცია. და დღეს, მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც ჩვენ გადავიტანეთ მძიმე ისტორიის მანძილზე, — ეს არის ვე-

ებერთელა, მძლავრი, განვითარებული სახელმწიფო, განათლებული ხალხი, რომელსაც უდიდესი ინტელექტუალური შესაძლებლობანი გააჩნია. მაშ, ნუთუ ჩვენ და ამერიკელებს, რომელთაც ეყოთ ძალა ასეთი ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, არ ეყოფათ სიბრძნე, უნარი, პასუხისმგებლობა და ურთიერთპატივისცემა საიმისოდ, რომ გაერკვნენ დღევანდელ სამყაროში და არ დაუშვან კატასტროფა.

მძაფრად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის პირდაპირ პრობლემების გორები დაგროვდა. შემუიდროებულ ვადებში შეუძლებელია იმის განხილვა, და მოწესრიგება, რაც მრავალი წლის მანძილზე დაგროვდა. ასე ფიქრი ილუზია, ფუჭი ოცნება იქნებოდა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მთავარი ის კი არ არის, რომ მითებს გამოვეკიდოთ, არამედ ის, რომ რეალურ ნიადაგზე ვიდგეთ.

ჩვენ მსოფლიოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვიმეორებ, რეალისტური პოლიტიკის პოზიციებიდან ვუყურებთ. ამოსავალ პუნქტად ვიღებთ ფაქტს, რომ ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს არ სურთ თვითგანადგურება. ვეურდნობით რა ამას, ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესების კურსს დავადექით და ნაცვალგების იმედი გვაქვს.

გზად ვინეოსაკენ

როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობამ მოახდინა საქმის ვითარების, შათ შორის საგარეო საქმეების, ღრმა „რევიზია“, იგი დარწმუნდა: ვითარება მსოფლიოში მეტისმეტად საშიშია, რათა უგულებელვყოთ თუნდაც უმცირესი შანსი საიმისოდ, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა და წინ წავიწიოთ უფრო მყარი და მტკიცე მშვიდობისაკენ.

ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით, რომ გვეცადა საბუთების, მაგალითის ძალით, გონიერების დემონსტრაციით გარდატეხა შეგვეტანა მოვლენათა საშიშ მსვლელობაში. თვით სიტუაციის სიმწვავე გვარწმუნებდა, რომ უშუალო ლაპარაკი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან საჭიროა თუნდაც შეხედულებათა გაზიარების გაღრმავების, ერთმანეთის პოზიციების უკეთ ცოდნისათვის.

შეხვედრის წინა ხანებში, რამდენიმე თვით ადრე თითქოსდა მისკენ გზის გაკვალვას, სასიკეთო კლიმატის შექმნას შევუდექით.

ჯერ კიდევ 1985 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყველა ბირთვული აფეთქება, გამოთქვა მზადყოფნა დაუყოვნებლივ განეახლებინა მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტისათვის. ჩვენ დავადასტურეთ აგრეთვე ცალმხრივი მორატორიუმი თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის გამოცდაზე, შევიტანეთ რადიკალური წინადადებები ბირთვული არსენალების შემცირების შესახებ. ჩვენს მტკიცე პოზიციას — არ დავუშვათ გამალებული შეიარაღების კოსმოსში გადატანა — დაემატა წინადადება კოსმოსის მშვიდობიანი გამოკვლევისა და გამოყენებისათვის უაღრესად ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის გაშლის შესახებ.

ჟენევის შეხვედრის წინადღეებში სოფიაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც გაისმა სოციალისტური ქვეყნების ძალუმი ხმა მშვიდობის, დაძაბულობის შენელების დასაცავად, შეიარაღებისა და კონფრონტაციის წინააღმდეგ, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების სასარგებლოდ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

ჟენევა

მეხსიერებაში ცოცხლად შემომრჩა ჟენევის შეხვედრის ყველა წვრილმანი. ორი დატვირთული დღის განმავლობაში რამდენჯერმე პირისპირ ვესაუბრე პრეზიდენტ რ. რეიგანს. უფრო ზუსტად, ასეთი საუბარი ხუთი იყო, თუ არ ჩავთვლით კიდევ ერთს, როცა ჩვენ ცოტა ხნით შევხვდით გამოსამშვიდობებლად.

ჩვენი საუბრები, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო გულახდილი, ხანგრძლივი, მწვავე, ცალკეულ მომენტებში მეტისმეტად მწვავეც. დავინახეთ, რომ გვაქვს, როგორც მიმაჩნია, ის საერთო რამ, რაც შეიძლება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების საწყის პუნქტად იქცეს. ეს არის იმის გაგება, რომ ბირთვული ომი დაუშვებელია, რომ არ შეიძლება მისი წარმოება და მასში არც გამარჯვებული იქნება.

ეს აზრი არაერთხელ გამოითქვა როგორც ჩვენი, ისე ამერიკელების მხრივ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ცენტრალური პრობლემა უშიშროების პრობლემაა. პრეზიდენტს ვეუბნებოდი მოდით ვიფიქროთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ როგორც საბჭოთა, ისე ამე-

რიკელი ხალხის ინტერესებისათვის, რომ როგორღაც გავაუმჯობესოთ ორმხრივი ურთიერთობა, მერე კი, იმ გაგებაზე დამყარებით, რომ ჩვენი ქვეყნები არა მარტო განსხვავებული, არამედ ურთიერთდაკავშირებულნიც არიან, ეს ურთიერთობა მეგობრულიც კი გავხადოთ. ალტერნატივა ხომ საყოველთაო განადგურებაა.

სწორედ ამ თვალსაზრისით ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ საჭიროა მივიღოთ ზომები, რათა არ დავუშვათ გამალებული შეიარაღება კოსმოსში და შევწყვიტოთ იგი დედამიწაზე, სტრატეგიული პარიტეტის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ, მისი დონის შემცირების შესახებ. ამ თვალსაზრისით ვლაპარაკობდით გარე სამყაროზე, რომელიც არის მრავალსახიანი ერთობლიობა ქვეყნებისა და ხალხებისა, თავიანთი ინტერესები, თავიანთი მისწრაფებები, თავიანთი პოლიტიკა, ტრადიციები, ოცნებები რომ გააჩნიათ. იმის შესახებ, რომ თითოეულ ხალხს აქვს ბუნებრივი სურვილი განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ სფეროში. თითოეულ ქვეყანას აქვს არჩევანის უფლება — გზის, სისტემის, მეგობრების არჩევანისა. თუ ამას არ ვცნობთ, შეუძლებელია ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის აგება.

ზოგ რამეში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მეთანხმებოდა, ბევრ რამეში კი ვერ შევთანხმდით. ჩვენ შორის რჩებოდა დიდი უთანხმოებანი პრინციპულ საკითხებზე. ჟენევაში არ მოხერხდა გვეპოვა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და მშვიდობის განმტკიცების კარდინალური პრობლემის გადაწყვეტები.

მაგრამ მაშინაც, 1985 წლის შემოდგომაზე, და დღესაც მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ შეხვედრა აუცილებელი და სასარგებლო იყო. ისტორიის მკვეთრ, გარდამტეხ ეტაპებზე ხანდახან უბრალოდ ჰაერივით საჭიროა ჭეშმარიტების მომენტები. საერთაშორისო სიტუაცია ძალზე შემაშფოთებელი გახდა გამალებული შეიარაღების გამო, ძალზე ბევრი ზღაპარი შეთხზეს ამის თაობაზე. გაჩნდა საჭიროება გაგვეფანტა ეს ბურუსი, საქმით შეგვემოწმებინა სიტყვები. უფრო უკეთ, ვიდრე უშუალო ლაპარაკის დახმარებით, ისეთი ლაპარაკისა, როგორიც ივარაუდება უმაღლეს დონეზე შეხვედრაში, ამას ვერ გააკეთებ. უშუალო ლაპარაკის დროს სიმართლეს ვერ დაემალები.

ჟენევაში უკეთ გავიცანით ერთმანეთი, უფრო ნათლად გავიგეთ უთანხმოებათა ხასიათი, სათავე დავუდეთ დიალოგს. ხელი მო-

ვაწერეთ შეთანხმებას კულტურული გაცვლის შესახებ, რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება და ურთიერთსარგებლობა მოაქვს. დავიწახეთ, რომ დამაკმაყოფილებელ ურთიერთგაგებამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ, რომ უნდა ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ, რათა მივაღწიოთ სასიკეთო ცვლილებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, და საერთოდ მსოფლიოში.

ენენევის შემდეგ

რა ხდებოდა ჟენევის შემდეგ? თავიდანვე შეგნებული გვქონდა, რომ თუ ინიციატივას არ გაშოვიჩენთ, რათა განვაგრძოთ მოლწეული, თავისთავად არაფერი არ მოხდება. ჟენევის დამავალდებულებელი შეთანხმებები ომის დაუშვებლობის, სამხედრო უპირატესობისადმი მისწრაფების დაუშვებლობის, ჟენევის მოლაპარაკებათა დაჩქარების შესახებ პრაქტიკულ მოქმედებად უნდა გადაგვექცია. სწორედ ასე მოვიქეცით.

მორატორიუმი

1986 წლის 1 იანვარს ვადა გაუვიდა ჩვენს ცალმხრივ მორატორიუმს ბირთვულ აფეთქებებზე. საბჭოთა კავშირმა იგი გააგრძელა. ეს იყო უდიდესი ნაბიჯი, ჩვენთვის გარკვეულ რისკთან დაკავშირებული, რამდენადაც მიმდინარეობს კოსმოსური ტექნიკის, ბირთვული იარაღის ახალ სახეობათა განვითარების პროცესი, მაგალითად ლაზერული იარაღისა ბირთვული დატუმბვით. მაგრამ გვეყო გამბედაობა გადაგვედგა ეს ნაბიჯი და შეგვეთავაზებინა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გაჰყოლოდა ჩვენს კეთილ ნების მაგალითს, ეხელმძღვანელა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ინტერესებით.

ბირთვული აფეთქებების აკრძალვა — ეს არის სასინჯი ქვა. თუ გულწრფელად გსურს ბირთვული იარაღის მოსპობა, მაშინ დათანხმდები ასეთ აკრძალვას, რომელსაც მივყავართ არსებული არსენალის შემცირებამდე და ბირთვული საშუალებების სრულყოფის შეწყვეტამდე. თუ ეს ნამდვილად არ გინდა, მაშინ ყველაფერს გააკეთებ, რომ გამოცდა გაგრძელდეს.

ბირთვული გამოცდების შეწყვეტა ისეთი ღონისძიებაა, რომელიც უცებ შეიტანდა ახალ სასიხარულო ელემენტს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, და საერთოდ მსოფლიო სიტუაციაშიც. ამ ნაბიჯის გადასადგმელად არცთუ ცუდი ბაზაც არსებობდა. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმოწერები აზის ხელშეკრულებას ბირთვული გამოცდების სამ გა-

რემოში შეწყვეტის შესახებ. ჩვენ შევიმუშავეთ შეთანხმება მიწისქვეშა ბირთვული გამოცდების შეზღუდვის შესახებ, არსებობდა მისი სრული აკრძალვის თაობაზე მოლაპარაკების რაღაც გამოცდილება.

ადრე სიძნელეებს იწვევდა კონტროლის საკითხი. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს და განვაცხადეთ, რომ მზად ვართ დავთანხმდეთ კონტროლის ნებისმიერ ფორმებს, გამოვიყენოთ საამისოდ როგორც ეროვნული ტექნიკური საშუალებები, ისე საერთაშორისო კონტროლი საქმეში მესამე ქვეყნების ჩაბმით.

საბჭოთა კავშირის მორატორიუმმა ბირთვულ აფეთქებებზე, რომელიც მოქმედება იყო და არა მხოლოდ წინადადება, საქმით დაადასტურა ბირთვული განიარაღების ჩვენი პროგრამის, ახალი პოლიტიკისადმი — რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკისადმი — ჩვენი მოწოდებების სერიოზულობა და გულწრფელობა.

კეთილი ნების ადამიანები მიესალმნენ ჩვენს გადაწყვეტილებას ბირთვულ აფეთქებებზე მორატორიუმის შესახებ. დედამიწის ყველა კუთხიდან მოგვესმა მოწონებისა და მხარდაჭერის სიტყვები. პოლიტიკოსებმა და პარლამენტარებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და მასობრივმა ორგანიზაციებმა ამ აქციაში დაინახეს თანამედროვე პრობლემისადმი სწორი მიდგომის მაგალითი, იმედი იმისა, რომ განთავისუფლდებოდნენ ბირთვული კატასტროფის წინაშე შიშისაგან. საბჭოთა მორატორიუმი მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ — სახელმწიფოთა ყველაზე წარმომადგენლობითმა საკრებულომ მსოფლიოში.

ჩვენ მხარი დაგვიჭირეს გამოჩენილმა სწავლულმა ფიზიკოსებმა და ექიმებმა, ვისაც, კაცმა რომ თქვას ყველაზე უკეთ აქვს წარმოდგენილი ატომში ჩაბუდებული საშიშროება. ჩვენმა მორატორიუმმა აქტიური მოქმედებისათვის აღაფრთოვანა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების წარმომადგენლები.

მაგრამ ახლებურად აზროვნების ყველა ამ აშკარა და დამაიმედებელ გამოვლინებებს უპირისპირდება მილიტარიზმი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ესოდენ საშიშრად ჩამორჩა საერთაშორისო ცხოვრების ღრმა ცვლილებათა პროცესს.

ამერიკის ადმინისტრაციის რეაგირება საბჭოთა მორატორიუმის გაგრძელებაზე ერთმნიშვნელოვანი იყო: იგი განაგრძობდა ბირთვული მუხტების გამოცდების სერიას. მისმა წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ეს მოსკოვის საქმეა – გამოცდის, თუ არ გამოცდის ბირთვულ მუხტებსო. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, გამოცდები დაჟინებით გაგრძელდებაო.

ჩვენს ბირთვულ პოლიგონებზე სიჩუმემ დაისადგურა. ცხადია, ავწონ-დავწონეთ საფრთხე, რომელიც დაკავშირებული იყო ვაშინგტონის მოქმედებასთან, ვხედავდით, თუ რა დემონსტრაციულად და გამომწვევად არ იშლიდა ამერიკის ადმინისტრაცია თავისას, სავსებით უგულებელყოფდა მოწოდებებს, რომ ბოლო მოღებოდა ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას. და მაინც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და საბჭოთა კავშირის მთავრობამ, რომლებმაც ყოველმხრივ აწონ-დაწონეს ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, 1986 წლის აგვისტოში მიიღეს გადაწყვეტილება 1987 წლის 1 იანვრამდე გაეგრძელებინათ ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე. მაგრამ შეერთებული შტატები მაინც არ გაჰყვა საბჭოთა მაგალითს.

გამოდის, რომ ჩვენი მორატორიუმი უნაყოფო აღმოჩნდა? მე ასე არ ვფიქრობ. მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა გაიგო, რომ ბირთვულ გამოცდებს შეიძლება ბოლო მოეღოს, და იცის, ვინ ეწინააღმდეგება ამას. სწორია, რომ ისტორიული შანსი გამაღებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე მაშინ არ იქნა გამოყენებული. მაგრამ მთელი ამ ამბის პოლიტიკურმა გაკვეთილმა ამაოდ არ ჩაიარა. და დღეს, როცა მიღწეულია შეთანხმება, რომ 1987 წლის 1 დეკემბრამდე დაიწყოს სრულმასშტაბიანი ეტაპობრივი მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების პრობლემებზე, შეგვიძლია ჩვენ თავსაც და ყველა სხვასაც მივულოცოთ საქმის ადგილიდან დაძვრა.

ბირთვული განიარაღების პროგრამა. 1986 წლის 15 იანვარს ჩვენ წამოვაყენეთ 15 წელიწადზე გაანგარიშებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული იარაღის ეტაპობრივ ლიკვიდაციას XX საუკუნის დამლეგამდე. ზედმიწევნით გავიანგარიშეთ ეს პროგრამა, ვესწრაფოდით ყოველ მის ეტაპზე უზრუნველგვეყო ინტერესების ურთიერთმისაღები ბალანსი, ისე, რომ არც ერთ

ეტაპზე არ შელახულიყო არავის უშიშროების ინტერესები. ყველა სხვა მიდგომა უბრალოდ არარეალისტური იქნებოდა. ამ პროგრამის ბაზაზე ჩვენმა წარმომადგენლებმა დიდი კომპრომისული წინადადებები შეიტანეს ჟენევის მოლაპარაკებაზე. ისინი ეხებოდა საშუალო სიშორის რაკეტებს, სტრატეგიულ თავდასხმითს იარაღს, კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობას.

15 იანვრის განცხადებას საპროგრამო ხასიათი ჰქონდა. გვინდოდა გამოგვეყო ცივილიზაციის მთავარი საფრთხე, რომელიც უკავშირდება ბირთვულ იარაღს, ბირთვულ აფეთქებებს, ამასთან გვერდი არ აგვიელია ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის, ჩვეულებრივი შეიარაღების ღრმა შემცირების საკითხებისათვის. ეს არის ლონისძიებათა თავისებური კომპლექსი, რომელიც დეტალურად არ არის გაშლილი. ყველა ეტაპზე მოქმედი მთავარი პრინციპია წონასწორობის შენარჩუნება. საჭიროა არა პოლიტიკური თამაში, არა ეშმაკობა, არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ნათელი გაგება იმისა, რომ არავინ არავის არ მოატყუებს, როცა საქმე ეხება ისეთ მგრძნობიარე სფეროს, როგორიცაა სახელმწიფოთა უშიშროება.

ასეთი ნაბიჯისათვის, როგორიც 1986 წლის 15 იანვარს გადავდგით, საჭირო გახდა არა მარტო საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნება, არამედ სიმტკიცე, პოლიტიკური ნებისყოფა. ჩვენ ვემყარებოდით იმას, რომ ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში საჭიროა ახლებური მიდგომა უშიშროების საკითხებისადმი. ასეთივე იყო მთელი ჩვენი ხალხის ნება.

როცა ამ ნაბიჯს ვდგამდით, ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდით პროპაგანდისტულ მოგებაზე, იმაზე, რომ გვეჯობნა მეორე მხარისათვის. ამას გვკარნახობდა პასუხიმგებლობა ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ჩვენი პოზიცია აქ ემთხვეოდა მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრს და, კერძოდ, ეხმაურებოდა „ექვსთა ჯგუფის“ (ინდოეთი, არგენტინა, შვეცია, საბერძნეთი, მექსიკა, ტანზანია) მოწოდებას.

ჩვენ დიდად ერთგული ვართ უბირთვო მსოფლიოს იდეისა. ამ იდეამ. რომელიც გამდიდრდა ინდოეთის პოლიტიკური ტრადიციით, ინდოეთის ფილოსოფიისა და კულტურის თავისებურებებით, განვითარება პოვა დელის დეკლარაციაში ბირთვული იარა-

ღისაგან თავისუფალი და არაძალმომრეობითი მსოფლიოს პრინციპების შესახებ. ჩვენთვის ეს ვიღაცის წარმოსახვის გასაოცებლად გამოგონებული რაღაც ლოზუნგი როდია. უშიშროება პოლიტიკური საკითხია, და არა სამხედრო მეტოქეობის ფუნქცია. თუ ამას არ შევიგნებთ, შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ომი მთელი მისი კატასტროფული რეზულტატებით. თუ დაგროვილი ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის შეიარაღების უზარმაზარი არსენალები ამოქმედდა, მსოფლიოსაგან აღარაფერი დარჩება. საქმე ეხება კაცობრიობის გადარჩენას. ჩვენთვის უბირთვო მსოფლიოს იდეა სიმწრით მოპოვებული რწმენაა. უშიშროებას განვიხილავთ როგორც ყოვლისმომცველ კონცეფციას, რომელიც არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ ასპექტებსაც მოიცავს.

სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენ ყოველმხრივ დავასაბუთეთ **საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის კონცეფცია.** იგი შევთავაზეთ მთელ მსოფლიოს, მთავრობებს, პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოძრაობებს, რომელთაც ნამდვილად აღელვებთ მშვიდობის ბედი დედამიწაზე.[1]

---

[1]ასეთი სისტემის პრინციპული საფუძვლები — ასე გვაქვს წარმოდგენილი.

1. **სამხედრო დარგში**

— ბირთვულ სახელმწიფოთა მიერ უარის თქმა ერთმანეთის ან მესამე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომზე — როგორც ბირთვულზე, ისე ჩვეულებრივზე;

— გამალებული შეიარაღების დაუშვებლობა კოსმოსში, ბირთვული იარაღის უველა გამოცდის შეწყვეტა და მისი სრული ლიკვიდაცია, ქიმიური იარაღის აკრძალვა და მოსპობა, უარის თქმა მასობრივი განადგურების სხვა საშუალებების შექმნაზე;

— სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალების დონეთა მკაცრად კონტროლირებული შემცირება გონივრული საკმარისობის ზღვრამდე;

— სამხედრო ჯგუფების დაშლა, ხოლო როგორც ამის საფეხური — უარის თქმა მათს გაფართოებასა და ახლების შექმნაზე;

— სამხედრო ბიუჯეტის პროპორციული და თანაზომიერი შემცირება.

2. **პოლიტიკურ დარგში**

— საერთაშორისო პრაქტიკაში ყოველი ხალხის მიერ თავისი განვითარების გზებისა და ფორმების სუვერენულად არჩევის უფლების უთუო პატივისცემა;

— საერთაშორისო კრიზისებისა და რეგიონალური კონფლიქტების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგება;

— ისეთ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, რომელთა მიზანია სახელ-

ჩვენ არც დღეს ვამბობთ უარს ჩვენი საყრილობო პროგრამის რომელიმე წინადადებაზე, მზად ვართ ზედმიწევნით გულდასმით

მწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება, მათზე გარედან თავდაუსხმელობის, მათი საზღვრების ხელშეუხებლობის ქმედით გარანტიათა შექმნა;

— საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილების ეფექტიანი მეთოდების შემუშავება, მათ შორის საერთაშორისო სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციებით სარგებლობის უშიშროების უზრუნველყოფა.

3. ეკონომიკურ დარგში

— საერთაშორისო პრაქტიკიდან ყველა ფორმის დისკრიმინაციის გამორიცხვა, უარის თქმა ეკონომიკური ბლოკადებისა და სანქციების პოლიტიკაზე, თუ ეს უშუალოდ არ არის გათვალისწინებული მსოფლიო გაერთიანების რეკომენდაციებით;

— დავალიანების პრობლემის სამართლიანი მოწესრიგების გზების ერთობლივი ძიება;

— ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესის დამყარება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს თანაბარ ეკონომიკურ უშიშროებას;

— მსოფლიო გაერთიანების, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების საკეთილდღეოდ იმ სიმსარების ნაწილის გამოყენების პრინციპების შემუშავება, რომლებიც გამოთავისუფლდება სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შედეგად;

— მეცადინეობის გაერთიანება კოსმოსის კვლევასა და მშვიდობიან გამოყენებაში, გლობალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებზეც დამოკიდებულია ცივილიზაციის ბედ-იღბალი.

4. ჰუმანიტარულ დარგში

— თანამშრომლობა მშვიდობის, განიარაღების, საერთაშორისო უშიშროების იდეების გავრცელებაში; საერთო ობიექტური ინფორმირების, ხალხების მიერ ერთმანეთის ცხოვრების ურთიერთგაცნობის დონის ამაღლება, მათს ურთიერთობაში ურთიერთგაგებისა და თანხმობის სულისკვეთების გაძლიერება;

— გენოციდის, აპარტეიდის, ფაშიზმისა და ყოველგვარი სხვა რასობრივი, ეროვნული და რელიგიური განსაკუთრებულობის ქადაგების, აგრეთვე ამ საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის აღმოფხვრა;

— ადამიანის პოლიტიკური, სოციალური და პირადი უფლებების განხორციელებაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება თითოეული ქვეყნის კანონების პატივისცემის პირობით;

— ოჯახების გაერთიანების, ქორწინებათა გაფორმების საკითხების ჰუმანური და პოზიტიური სულისკვეთებით გადაწყვეტა, ადამიანების, ორგანიზაციების კონტაქტების განვითარება;

— კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, განათლებისა და მედიცინის სფეროში თანამშრომლობის ახალი ფორმების განმტკიცება და ძიება.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ. 115-117).

მოვეკიდოთ ნებისმიერ იდეას, რომელიც სამსახურს გაუწევდა მშვიდობიანი თანაარსებობის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის უნივერსალური პრინციპის, დამკვიდრებას.

ყრილობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზეც ვილაპარაკეთ. მინდა შეგახსენოთ ჩვენი განცხადება ამის თაობაზე: „საბჭოთა კავშირი მტკიცედ არის განწყობილი იმისთვის, რომ გაამართლოს ჩვენი ორი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს ხალხთა იმედები, რომლებიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებისაგან მოელიან კონკრეტულ ნაბიჯებს, პრაქტიკულ მოქმედებას, რეალურ მორიგებას, როგორ შეაჩერონ გამალებული შეიარაღება. ჩვენ ამისათვის მზად ვართ".[1] მთელი არსი ყრილობის პოზიციისა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სიტყვით: ჩვენ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ და ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე მშვიდობის შენარჩუნებას ვერ შევძლებთ.

ამერიკის შეერთებული შტატები ვენეკის შემდეგ

როგორ იქცეოდა ამერიკის ადმინისტრაცია ჟენევის შემდეგ? უკვე მერამდენჯერ გაიშალა ხმაურიანი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ანტისაბჭოთა ვნებათაღელვის გაღვივებას. ისევ და ისევ ცდილობდნენ რაღაც საფრთხობელად დაეხატათ საბჭოთა კავშირი, დაეთესათ შიში, რათა კონგრესში გაეტანათ მორიგი სამხედრო ბიუჯეტი, ნაგვის ვროვიდან ამოათრიეს „ბორიტების იმპერია", პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა, რომ უარს არ ამბობდა ამ განსაზღვრებაზე.

ყოველივე ეს შეიძლებოდა რიტორიკის თანრიგის მიხედვით ჩამოგვეწერა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მტრული რიტორიკაც წამლავს ურთიერთობას. შემდეგ, რაც დრო გადიოდა — სულ უფრო ემატებოდა: დაიწყო უფრო სერიოზული ამბები — მოთხოვნა, რომ საბჭოთა კავშირს 40 პროცენტით შეემცირებინა თავისი დიპლომატების რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში; ამერიკის სამხედრო გემებმა გადაკვეთეს საბჭოთა ტერიტორიული წყლები ყირიმის ნაპირებთან; სამხედრო დარტყმა განიცადა სუვე-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 106.

რენულმა ლიბიამ. ამერიკის ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება ჟენევის შემდეგ ჩვენ შევაფასეთ როგორც დემონსტრაციული გამოწვევა, და არა მარტო საბჭოთა კავშირისა.

ეს იყო მთელი მსოფლიოს, მათ შორის ამერიკელი ხალხის გამოწვევაც.

იმავე ხანებში გამოცხადდა, რომ აშშ აპირებს სტრატეგიული შეტევითი იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულება 2-დან გასვლას. განაცხადეს, რომ ეს დოკუმენტი „მკვდარია“. ნაცვლად იმისა, რომ ეცადა ახალი დიდი შეთანხმებების მიღწევა გამალებული შეირაღების შეწყვეტის ინტერესებისათვის, ადმინისტრაციამ ამჯობინა უკვე არსებულ შეთანხმებათა დემონტაჟი მოეხდინა. დაიწყო საკუთარი და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფსიქოლოგიური დამუშავება, რათა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ უვადო ხელშეკრულებაც კი დაერღვიათ.

ჟენევის შემდგომმა პერიოდმა ცხადყო. რომ თუ ადრე ვბჭობდით და მხოლოდ ვარაუდებს გამოვთქვამდით, ახლა ჩვენს ხელთ იყო ფაქტები, რომლებიც ადასტურებდნენ ჟენევის შეთანხმებათა შესრულების სურვილის უქონლობას. თუმცა ყველაფერს ძველებურად აგრძელებდნენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ „დაემშვიდებინათ“ საზოგადოებრიობა.

ისევ გაგვიჩნდა კითხვები: ნუთუ ვაშინგტონი ფიქრობს, რომ სუსტნერვებიან ხალხთან აქვს საქმე, რომ შეიძლება აზარტულ მოთამაშესავით მოქმედება, რომ საბჭოთა კავშირი, სულ ახალ-ახალი საომარი პოზების შემხედვარე, შედრკება?

იმ ხანებში ქალაქ ტოლიატში უნდა გამოვსულიყავი. უნდა ამეხსნა ამ ქალაქის მუშათა კლასისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, თუ რა მოხდა ჟენევაში.

ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მსოფლიოს წინაშე ჩვენი ვალდებულებები შევასრულეთ, ესე იგი ჟენევაში აღებულ ვალდებულებებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მივუდექით.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რაღა ქნა? მე მოვიყვანე ფაქტები და, ბუნებრივია, ისევ და ისევ გაგვიჩნდა კითხვა — რა უნდა ამერიკას? რა თქმა უნდა, თუ რეალური პოლიტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ და არა განცხადებებისა. ადმინისტრაცია არათუ დაძაბულობის შენელებას არიდებდა თავს, მას ყოველგვარი

დათმობაც კი აფრთხობდა. მე პატიოსნად უნდა მეთქვა საბჭოთა ხალხისათვის, თუ ვის ინტერესებს ემსახურებოდა ეს პოლიტიკა. მართლაც, ამერიკელ ხალხს ხომ არ აინტერესებს სამხედრო მუქარის სულ უფრო გაძლიერება. უნდა მეთქვა შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, რომელიც მოლოხივით შთანთქავდა არა მარტო ამერიკელი და სხვა ხალხების კოლოსალურ რესურსებს, არამედ ბირთვული ომის თავიდან აშორებისათვის გაწეული ძალისხმევის ნაყოფსაც.

ბუნებრივია, ჩვენი ხალხის შეშფოთებას იწვევს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა. ამის თაობაზე არაერთხელ გვითქვამს. მაგრამ, იქნებ ერთხელ კიდევ უნდა შეგვაშინონ? იქნებ აღარ უნდა გვაშინებდეს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა?

რა თქმა უნდა, გულგრილობა დაუშვებელია. ჩვენ ვხედავდით, რომ თუმცა მილიონობით ამერიკელი — მათ შორის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, უბრალო მოქალაქეები, მეცნიერები, მღვდლები, მოსწავლეები და სტუდენტები — ილაშქრებდნენ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის წინააღმდეგ, ისევე როგორც ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები უბრალოდ „ვარსკვლავეთის ომების“ გიჟებად გადაიქცნენ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ წარმოადგენს პირდაპირ შედეგს პოლიტიკური აზროვნების მილიტარიზაციისა, რაც იქ ძალზე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

მაგრამ მაინც საჭირო იყო მთლიანად გაგვექარწყლებინა შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ არ შეგვიქმნია. მთელ იმედებს ხომ იმაზე ამყარებდნენ, რომ სსრ კავშირს ეშინია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისა და, მაშასადამე, უნდა ვაშინებდეთ ამ პროგრამით მორალურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისითაც. სწორედ იმისათვის აჩქარებენ სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, რომ გამოგვფიტონ. გადავწყვიტეთ გვეთქვა: დიახ, ჩვენ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის წინააღმდეგნი ვართ, იმიტომ, რომ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას მოვითხოვთ. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა კიდევ უფრო მერყევს ხდის მსოფლიოს. ჩვენთვის ეს შიშის პრობლემა კი არ არის, არამედ პასუხისმგებლობისა, რადგანაც შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია: სტრატეგიული თავდაცვითი ინი-

ციატივა უშიშროებას კი არ აძლიერებს, არამედ ანგრევს იმის ნარჩენებს, რასაც კიდევ ძალუძს სამსახური გაუწიოს უშიშროებას.

გადავწყვიტე ტოლიატში გამოსვლისას ერთხელ კიდევ მეთქვა, რომ ჩვენი პასუხი სტრატეგიულ-თავდაცვითს ინიციატივაზე ეფექტიანი იქნება. აშშ ვარაუდობს, რომ ჩვენ დავიწყებთ ანალოგიური სისტემების შექმნას, იმედი აქვს იმისა, რომ გაგვისწრებს ტექნოლოგიურად, გამოიყენებს ტექნოლოგიურ უპირატესობებს. მაგრამ ჩვენ, სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ, ვიცით, რომ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკისათვის არაფერია შეუძლებელი იქიდან, რისი გაკეთებაც ძალუძთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მოსასპობი კონტრსისტემის შესაქმნელად საკმარისია 10-ჯერ ნაკლები სახსრები.

ამრიგად გადავწყვიტეთ საბოლოოდ გვემხილებინა დემაგოგია, თითქოს გვეშინია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისა.

ამ გამოსვლაში გავიმეორე ყრილობის ფორმულა: მეტ უშიშროებას არ მოვითხოვთ, ნაკლებზე — არ დავთანხმდებით.

ამრიგად, როცა ვაჯამებდით ჟენევის შემდეგ გასულ თვეებს, გვინდოდა გვეთქვა დასავლეთისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, საერთოდ მთელი ნატოსათვის, რომ სულაც არ ვამბობთ უარს ჩვენს სამშვიდობო გეზზე, მაგრამ ჩვენს საქმეებში ვითვალისწინებთ დასავლეთის რეალურ პოლიტიკას. მშვიდობას არავის გამოვთხოვთ. არაერთხელ გაგვიცია პასუხი გამოწვევებზე, ახლაც შევძლებთ ამას.

ჟენევის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ბუნებრივი პასუხი ჩვენს ინიციატივებსა და მოქმედებებზე თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რომ ხელი გაემართათ ჩვენთვის, გამოხმაურებოდნენ ხალხების მოლოდინს. მაგრამ ეს არ მოხდა. მმართველმა დაჯგუფებამ კაცობრიობისა და საკუთარი ხალხის ინტერესებზე მაღლა ვიწრო ინტერესები დააყენა. თანაც უმნიშვნელო არც ის არის, თუ რა ფორმით გაკეთდა ეს — დემონსტრაციულად, გამომწვევად, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სრული უგულებელყოფით.

ასეთი ქცევა იმაზე მეტყველებდა, რომ პასუხისმგებლობის გრძნობამ კვლავ გზა დაუთმო გრძნობას, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ.

იმედები, რომლებიც ჟენევის შემდეგ იშვა ყველგან, მათ შორის ამერიკის საზოგადოებაშიც, მალე გულგატეხილობამ შეცვალა, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების რეალურ პოლიტიკაში ყველაფერი ძველებურად დარჩა.

ჩერნობილის გაკვეთილი

1986 წლის აპრილმა გვარგუნა უმძიმესი გაკვეთილი — თუ როგორ შეუძლია იმოქმედოს ატომმა, თვით მშვიდობიანმა ატომმაც კი, როცა თავს დააღწევს კონტროლს, მე ჩერნობილის ტრაგედიაზე ვლაპარაკობ. თუ როგორ და რატომ მოხდა ეს, როგორია მისი შედეგები, ამაზე ნათქვამია მთელი სიმართლე. უკვე გაასამართლეს კატასტროფის მთავარი დამნაშავენი. მსოფლიომ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი გაკეთდა უბედურების მასშტაბების შესამცირებლად.

მომხდარი ამბავი მრავალგზის განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში. პირველი ინფორმაციის მიღების შემდეგ მივხვდით, რომ სიტუაცია ძალზე სერიოზული იყო და პასუხს ვაგებდით როგორც მომხდარი ამბის შეფასების, ისე დასკვნების სისწორისათვის. ჩვენს მუშაობას მთელი ხალხი, მთელი მსოფლიო ხედავდა. დაუშვებელი იყო იმაზე ფიქრიც კი, რომ ნახევარზომებით შემოვფარგლულიყავით, გვეეშმაკა. საჭირო იყო რული და ობიექტური ინფორმაცია მომხდარი ამბის შესახებ. ჩაჩრული პოზიცია — უღირსი პოლიტიკაა. არავითარი ისეთი ინტერესები არ არსებობს, რომლებიც გვაიძულებდნენ დაგვემალა ჭეშმარიტება.

საბჭოთა ხელმძღვანელობა უშუალოდ უძღვებოდა ავარიის ლიკვიდაციის მთელ პროცესს. ამაში ვხედავდით ჩვენს მოვალეობას ხალხის წინაშე და ჩვენს საერთაშორისო პასუხისმგებლობას. ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ დავრაზმეთ საუკეთესო მეცნიერული, სამედიცინო და ტექნიკური ძალები. დაგვეხმარნენ — და ამას დიდად ვაფასებთ — საზღვარგარეთის მეცნიერები, სამრეწველო კომპანიები, მედიკოსები, მათ შორის ამერიკელებიც. დაბოლოს, ჩვენ უმნიშვნელოვანესი დასკვნები გამოვიტანეთ ბირთვული ენერგეტიკის შემდგომი განვითარების თაობაზე.

მრავალი ათეული ათასი ადამიანის თავდადებულმა მოქმედებამ, საყოველთაო სახალხო მხარდაჭერამ, კერძოდ, მატერიალურმა

მხარდაჭერამ, შესაძლებლობა მოგვცა შეგვეზღუდა ავარიის შედეგები. მაგრამ სულაც არ ვფიქრობთ, რომ შეიძლება დამშვიდება. არ ვაპირებთ გავაიოლოთ ვითარება არც ჩვენთვის, არც სხვებისათვის.

მუშაობა გრძელდება. ამას წლები დასჭირდება, თუმცა მთელი სიტუაცია, ვიმეორებ, კონტროლს ექვემდებარება.

საქმე კი ეხება მხოლოდ ერთი რეაქტორის ავარიას! ჩერნობილმა დაუნდობლად შეგვახსენა, თუ რა მოგველის ყველას ბირთვული ელჭექის შემთხვევაში.

აღარ მივუბრუნდები ჩერნობილთან დაკავშირებით შეთხზულ ზღაპრებს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დიდად ვაფასებთ ყველას თანაგრძნობას და დახმარებას, ვინც გულთან მიიტანა უბედურება, მაგრამ ერთხელ კიდევ დავინახეთ, თუ რამდენი ღვარძლი და არაკეთილმოსურნეობა დაგროვილა მსოფლიოში.

რეკომენდაციები

ჩვენ ვხედავდით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული პარტია (დემოკრატიულ ან რესპუბლიკურ პარტიებზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ იმათზე, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული სამხედრო ბიზნესთან) ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის სულ მცირედი შერბილების მიმართაც კი ალერგიას განიცდის. ეს პარტია ყოველივე შესაძლებელს თუ შეუძლებელს აკეთებდა, რათა რაც შეიძლება მალე დავიწყებას მისცემოდა ჟენევა, გაექარწყლებინათ ჟენევის სულისკვეთება, გზიდან მოეშორებინათ ყოველგვარი შეზღუდვები და დაუბრკოლებლად გაეგრძელებინათ გამალებული შეიარაღება, ახალი კოსმოსური მიმართულების ჩათვლით.

ამასთან ერთად კარგად გვესმის, რომ მილიტარისტული პარტიით სულაც არ შემოიფარგლება მთელი პოლიტიკური სპექტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც რეალისტურ პოზიციებზე დგანან და საღად აფასებენ მსოფლიო ვითარებას, მოითხოვდნენ მოლაპარაკების გაგრძელებას სსრ კავშირთან, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის გზების ძიებას, ითვალისწინებდნენ, რომ დაჩქარებული შეიარაღება სერიოზულ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს თვით შეერთებული შტატებისათვის. მაგრამ, ასე თუ ისე, როგორც უკვე არაერთხელ მომხდარა, საკითხი მილიტარისტულ დაჯგუფებათა ინტერესების სასარგებლოდ წყდებოდა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის სრულმასშტაბიანი, შედეგიანი შეხვედრის შესაძლებლობა თანდათან ქრებოდა. ახალი შეხვედრის მოწყობა მხოლოდ იმისთვის, რომ ხელი ჩამოგვერთმია ერთმანეთისათვის, გაგვეგრძელებინა ნაცნობობა, არასერიოზული, კიდევ მეტი — უაზრო საქმე იქნებოდა.

მაგრამ, მაინც არ შეგვეძლო დავთანხმებოდით ამერიკელთა „არას" პასუხად ჩვენი შეუპოვარი ძალისხმევისა — დაგვეახლოებინა პოზიციები, შეგვემუშავებინა გონივრული კომპრომისი. შეგნებული გექონდა, რომ საჭიროა დიდი გარღვევა, რომ დრო მუშაობს კაცობრიობის ინტერესების საწინააღმდეგოდ. სწორედ მაშინ იშვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შუალედური შეხვედრის იდეა, რათა ნამდვილად მძლავრი იმპულსი მიგვეცა ბირთვული განიარაღების მთელი საქმისათვის, დაგვეძლია საშიში ტენდენციები, საჭირო მიმართულებით შემოგვებრუნებინა მოვლენათა მსვლელობა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიიღო ჩვენი ინიციატივა: ეს იმედისმომცემი იყო. ასე გაეხსნა გზა რეიკიავიკში შეხვედრას 1986 წლის ოქტომბერში.

უკვე პირველი საუბრის დროს ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ჟენევის შემდეგ შესაძლო გახდა აგვემოქმედებინა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის რთული და ფართო მექანიზმი. მაგრამ ეს მექანიზმი არაერთხელ შეფერხებულა: ორივე მხარის შემაშფოთებელ მთავარ საკითხებზე — როგორ ავიცილოთ ბირთვული საფრთხე, როგორ გამოვიყენოთ ჟენევის სასარგებლო იმპულსი, როგორ მივაღწიოთ კონკრეტულ შეთანხმებებს — მოძრაობა არ შეიმჩნევა. ეს ძალიან გვაწუხებს. ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ჟენევის მოლაპარაკება ნაფტალინიან ნაყარნუყარში იგუდება, შეთქი. მოლაპარაკებაზე ჰაერში დაფრინავს 50—100 ვარიანტი და ერთი-ორიც არა ჩანს, რომლებიც რეალურად ხელს შეუწყობდნენ მოლაპარაკების პროგრესს.

ჩვენ გულდასმით ვემზადებოდით რეიკიავიკისათვის, დიდი მოსამზადებელი მუშაობა განვახორციელეთ. ორიენტაცია ზუსტი და მტკიცე იყო — შევთანხმებულიყავით, საბოლოო ანგარიშით, ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციაზე და ამ მიზნისაკენ მოძრაობის ყველა ეტაპზე უზრუნველგვეყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის თანასწორობა და თანაბარი უშიშ-

ლება. სხვაგვარი მიდგომა გაუგებარი, არარეალური და დაუშვებელი იქნებოდა. ჩვენი რწმენით, რეიკიავიკში შეხვედრას უნდა შეექმნა წანამძღვრები, რათა შემდგომ შეხვედრაზე შეგვძლებოდა ჩელი მოგვეწერა შეთანხმებებისათვის შეიარაღების შეზღუდვის ,ერდინალურად მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ჩვენ რეიკიავიკში ჩავიტანეთ დიდ ღონისძიებათა პროექტი, რომლებიც, მათი მიღების შემთხვევაში, დასაბამს მისცემდა კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ეტაპის — ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ეტაპის — დაბადებას. საქმე უკვე ეხებოდა არა ბირთვული იარაღის შეზღუდვას, როგორც ეს იყო სტრატეგიული შეტევითი იარაღის შეზღუდვის პირველ და მეორე ხელშეკრულებებში, არამედ მათ ლიკვიდაციას შედარებით მოკლე ვადებში.

პირველი წინადადება ეხებოდა სტრატეგიულ შეტევითს იარაღს. მე განვაცხადე, რომ მზად ვართ 50 პროცენტით შევამციროთ იგი პირველი ხუთი წლის განმავლობაში.

პასუხად მოვისმინე ის, რასაც თვეების განმავლობაში ატრიალებდნენ და ღეჭავდნენ ჩვენი დელეგაციები ჟენევის მოლაპარაკებაზე და რამაც ისინი სრულ ჩიხში მოაქცია — დონეები, ქვედონეები, თავსატეხი გაანგარიშებები. მოგვიხდა მწვავე პოლემიკა დაგვეწყო. მაგრამ მალე დავინახე, რომ საუბარმა ბუქსაობა დაიწყო. თავი რომ დაგვეღწია საფლობი ჭაობისათვის, რომელიც, სხვათა შორის, ჟენევის მოლაპარაკებებზე შემთხვევით კი არ გაჩნდა, არამედ სპეციალურად შექმნეს მათი სახელის გატეხვის, კომფორტიად გადაქცევის მიზნით. მე შევთავაზე უბრალო და ნათელი გადაწყვეტა. არსებობს სტრატეგიული შეიარაღების ტრიადა: ბალისტიკური საბრძოლო რაკეტები, საზღვაო ბაზირების რაკეტები და თვითმფრინავები. ისინი აქვს სსრ კავშირსაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. თუმცა თითოეული მხარის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების სტრუქტურას გააჩნია თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებანი. მოდით ყველა ეს სამი ელემენტი, შეიარაღების ტიპი, ტრიადის თითოეული ნაწილი სანახევროდ შევამციროთ. სამართლიანი და თანაბარია.

შეთანხმება რომ გაგვიიოლებინა, ჩვენ დიდ დათმობაზე წავედით. უარი ვთქვით ჩვენს ადრინდელ მოთხოვნაზე, რომ სტრატეგიულ განტოლებაში შეგვეტანა საშუალო სიშორის ამერიკული

რაკეტები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიას აღწევდნენ და მოწინავე ბაზირების ამერიკული საშუალებები. მზად ვიყავით გაგვეთვალისწინებინა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების შეშფოთება ჩვენი მძიმე რაკეტების გამო.

პრეზიდენტი დაეთანხმა ასეთ მიდგომას. უფრო მეტი. მან წამოაყენა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების სრული ლიკვიდაციის იდეა, რასაც. ბუნებრივია, გადაჭრით მხარი დავუჭირე.

მეორე ჩვენი წინადადება შეეხებოდა საშუალო სიშორის რაკეტებს. წინადადება მივეცი პრეზიდენტს მოგვეხდინა ამ კლასის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების სრული ლიკვიდაცია ევროპაში. ამასთან ერთად აქ ჩვენ დიდ დათმობაზე მივდიოდით. გვერდი ავუარეთ ჩვენს წინააღმდეგ მომართულ ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვულ ძალებს. დავთანხმდით გაგვეყინა ათას კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტები და მაშინვე დაგვეწყო მოლაპარაკება მათი შემდგომი ბედის შესახებ. რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანი იყო ევროპის განთავისუფლება ამ სახის რაკეტული შეიარაღებისაგან. დაბოლოს, დავეთანხმეთ ამერიკის წინადადებას მკვეთრად შეგვემცირებინა სსრ კავშირის აზიურ ტერიტორიაზე განლაგებული საშუალო სიშორის რაკეტების რაოდენობა, დაგვეტოვებინა ასი ქობინი ურალის აღმოსავლეთით განლაგებულ ამ რაკეტებზე და ასი ქობინი საშუალო სიშორის ამერიკულ რაკეტებზე, რომლებიც განლაგებული იქნებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ამის შედეგად გაჩნდა შესაძლებლობა დაგვევალებინა საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის დაეწყოთ საშუალო რაკეტებზე ხელშეკრულების პროექტის შემუშავება.

მეხამე საკითხი, რომელიც დავაყენე პრეზიდენტის წინაშე პირველსავე საუბარში და რომელიც ორგანულად შედიოდა ჩვენი წინადადებების ერთობლიობაში — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცება და ბირთვული გამოცდების აკრძალვა იყო.

ვარწმუნებდი პრეზიდენტს: რადგანაც ბირთვული იარაღის შემცირებაზე მივდივართ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ მოიმოქმედებს ისეთ რამეს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მეორე მხარის უშიშროებას. აქედან გამომდინარეობს

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცების საკვანძო მნიშვნელობა. ამავე დროს ვითვალისწინებდით პრეზიდენტის ერთგულებას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის იდეისადმი. წინადადება შევიტანეთ გადაგვეწყვიტა საკითხი, რომ ათი წლის განმავლობაში არ გამოგვეყენებინა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ამასთან ჩაგვეწერა, რომ არ აიკრძალებოდა ლაბორატორიული გამოკვლევები სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის სფეროში. რაც შეეხება ათი წლის მანძილზე ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლების გამოუყენებლობას, ეს აბსოლუტურად აუცილებელია, რათა შეიქმნას რწმენა, რომ ვწყვეტთ რა შეიარაღების შემცირების პრობლემას, ჩვენ ვინარჩუნებთ ორმხრივ უშიშროებას, არ დავუშვებთ კოსმოსური სისტემების გაშლის გზით ცალმხრივი უპირატესობის მიღების ცდას.

პოლიტიკურად, პრაქტიკულად და ტექნიკურად ასეთი შეზღუდვა არავისთვის არავითარ საზიანოს არ შეიცავდა. კიდევ დავუბრუნდები ამ თემას, ახლა კი მინდა შეგახსენოთ, რომ რეიკიავიკში შევთავაზეთ პრეზიდენტს შევთანხმებულიყავით, რათა ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრის დამთავრებისთანავე ჩვენს წარმომადგენლებს დაეწყოთ მოლაპარაკება ბირთვული აფეთქებების აკრძალვის შესახებ. ამასთან, ამ პრობლემას აგრეთვე მოქნილად მივუდექით, განვაცხადეთ, რომ ბირთვული აფეთქებების სრული და საბოლოო აკრძალვის სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების დადებას განვიხილავთ როგორც პროცესს, რომლის განმავლობაში შეიძლებოდა ეტაპობრივად გვემოქმედა. ვთქვათ, პირველ რიგში გადაგვეწყვიტა საკითხი ბირთვული აფეთქებების სიმძლავრის „ზღურბლის", ერთ წელიწადში ასეთი აფეთქებების რიცხვის, 1974 და 1976 წლების ხელშეკრულებათა ბედის შესახებ. და ჩვენ სულ ახლოს ვიყავით ამ საკითხზეც ფორმულირებათა მიგნებასთან.

მე არც ახლა ვფიქრობ, რომ მორატორიუმისაკენ მიმავალი გზა დახშულია. ჩვენ რომ გამოცდების განახლება მოგვიწია, აქედან სულაც არ გამომდინარეობს, თითქოს სცენარის დაწერა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ, ძნელი სათქმელია, როდის დამკვიდრდება რეალიზმი შეფასებებში. მაგრამ ეს დრო

დადგება, და, შესაძლოა, ძალზე მალეც, რადგანაც ცხოვრება გვასწავლის. ისტორია სავსეა მაგალითებით, თუ რა მკვეთრად იცვლება ზოგჯერ სიტუაცია.

მაშ ასე, რეიკიავიკში ისახებოდა შესაძლებლობა შეგვემუშავებინა დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის, რათა მოემზადებინათ შეთანხმებათა სამი პროექტი, შემდეგ კი ხელი მოგვეწერა მათზე უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგი შეხვედრის დროს. მაგრამ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნამდვილად ისტორიული კომპრომისისაკენ გაჭრის ასეთი ნათელი და ხელშესახები პერსპექტივა არ განხორციელდა. იქამდე კი, სიტყვასიტყვით, ერთი ნაბიჯილა გვაკლდა.

დაბრკოლების ლოდად იქცა ამერიკელთა პოზიცია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მიმართ. უკვე რეიკიავიკის შემდეგ ისევ და ისევ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ აარიდა თავი შეერთებულმა შტატებმა შეთანხმებას ამ უვადო ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცების შესახებ. და ყოველთვის ერთი და იგივე დასკვნამდე მივდიოდი: შეერთებული შტატები მზად არ არის, რომ გამოეთხოვოს სამხედრო უპირატესობის მოპოვების იმედს, ამჯერად სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის სამუშაოთა დაჩქარებით უნდა გადაასწროს სსრ კავშირს.

ამასთან დაკავშირებით კიდევ მინდა ვთქვა შემდეგი: თუ შეერთებული შტატები მაინც მოახერხებს თავისი განზრახვის განხორციელებას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის დარგში, რაც ძალზე გვაეჭვებს, ამას მოჰყვება საბჭოთა პასუხი. თუ შეერთებული შტატები უარს არ იტყვის სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივაზე, ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ცხოვრება გავუადვილოთ მას. პასუხი ეფექტიანი, საიმედო და ეკონომიური იქნება. ჩვენ დამუშავებული გვაქვს, თუ როგორ გავაუფასუროთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, თანაც ამისათვის არ დავხარჯოთ ის ზღაპრული თანხა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი შექმნა დაუჯდება. დაე ამერიკელები ერთხელ კიდევ ჩაუფიქრდნენ: ღირს თუ არა წელი მოიწყვიტონ თავიანთი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივით. ყოველ შემთხვევაში, იგი ვერ უზრუნველყოფს საიმედო თავდაცვას.

მაგრამ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა მოასწავებს შეიარაღების გავრცელებას ახალ გარემოში, რაც გამოიწვევს სტრატეგიული სიტუაციის მკვეთრ დესტაბილიზაციას, მეორე მხრივ კი თვით სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ერთგულება მეტყველებს იმ პოლიტიკურ ზრახვებზე, პოლიტიკურ მიზანდასახულობაზე, რომ ნებით თუ არა, ძალით ჩააყენონ საბჭოთა კავშირი არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში. სწორედ ამ პოლიტიკურმა განზრახვებმა, სწორედ ამ ილუზორულმა ვარაუდებმა — „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მეშვეობით დაიკავონ გაბატონებული პოზიციები სსრ კავშირის მიმართ — არ მოგვცეს საშუალება, რომ რეიკიავიკი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებით დაგვეგვირგვინებინა.

ჩვენ ამის თაობაზეც ბევრი ვილაპარაკეთ რ. რეიგანთან, მწვავედ ვილაპარაკეთ. სავსებით გულწრფელად ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ჩვენი შეხვედრის შედეგად არ შეიძლება ერთმა გაიმარჯვოს — ან ორივე გავიმარჯვებთ, ანდა ორივე დავმარცხდებით.

და მაინც რეიკიავიკი მსოფლიო ისტორიის შემობრუნების პუნქტი გახდა. მან თვალნათლივ დაგვანახა მსოფლიო ვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობა. შეიქმნა ადრინდელთან შედარებით თვისებრივად ახალი სიტუაცია. არავის აღარ ძალუძს იმოქმედოს ისე, როგორც ადრე. რეიკიავიკმა დაგვარწმუნა აღებული კურსის სისწორეში, ახლებური პოლიტიკური აზროვნების საჭიროებასა და კონსტრუქციულობაში.

შეხვედრამ, შეიძლება ითქვას, ახალ დონეზე აიყვანა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი, ისევე როგორც მთლიანად დიალოგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იგი ახლა ტექნიკური გამოანგარიშებების, ციფრობრივი შედარებების, პოლიტიკური არითმეტიკის ართურმიდან ახალ პარამეტრებზე გადავიდა. რეიკიავიკის სიმაღლიდან მოჩანს იმ პრობლემების პოლიტიკური გადაწყვეტის პერსპექტივები, რომლებიც კვლავ მწვავედ დგას დღეს — მხედველობაში მაქვს უშიშროება, ბირთვული განიარაღება, გამალებული შეიარაღების ახალ მიმართულებათა დაუშვებლობა. რეიკიავიკმა დასახა ადამიანთა მოდგმის უკვდავების აღდგენის მარშრუტი, უკვდავებისა, რომელიც მან დაკარგა სწორედ იმ მომენტში, როცა ბირთვულმა იარაღმა ნაცარტუტად აქცია ხიროსიმა და ნაგასაკი.

ვფიქრობთ, ისლანდიაში შეხვედრა საეტაპო მოვლენა იყო. ეს არის განიარაღებისათვის ბრძოლის ერთი სტადიის დასასრული და მეორის დასაწყისი.

ჩვენ დავამსხვრიეთ მოლაპარაკების ძველი სქემა, მე ვიტყოდი, პოლიტიკური ბურუსიდან და დემაგოგიიდან გამოვიყვანეთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი. მოლაპარაკების წლების მანძილზე განიარაღების თემატიკა როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მრავალრიცხოვანი წინადადებების გამო ისე დაიხლართა, რომ მასში პოლიტიკური მოღვაწენიც კი ვაი-ვაგლახით ერკვევიან, ფართო საზოგადოებრიობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბირთვული განიარაღების ჩვენი ახალი პროგრამა კი უკიდურესად სადა და გასაგებია. იგი შემოიფარგლება ოთხი პუნქტით და გვერდნახევარზე ეტევა. იგი გასაგებია ფართო წრეებისათვის. ჩვენ შეგნებულად ვესწრაფოდით ამას, რათა მსოფლიოს საზოგადოებრიობა თითქოსდა მოლაპარაკების მონაწილედ გაგვეხადა.

რეიკიავიკის შემდეგ

რეიკიავიკის დიალექტიკა ასეთია: მიზანი მოახლოვდა, უფრო ხელშესახები გახდა, მაგრამ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა და წინააღმდეგობრივი შეიქნა. ნათლად ჩანს მასშტაბებით უპრეცედენტო შეთანხმების მისაწვდომობაც და უდიდესი დაბრკოლებებიც ამ გზაზე. საერთოდ კი ასე ახლოს შეთანხმებასთან არასოდეს არ მივსულვართ.

მართლაც, აღმოჩნდა, რომ ჩვენი პლატფორმის პირველ და მეორე პუნქტებზე — სტრატეგიულ იარაღსა და საშუალო სიშორის რაკეტებზე — მოხერხდა, თუმცა დიდი გაჭირვებით, მიგვეღწია ურთიერთგაგებისათვის. უკვე მარტო ამან უდიდესი გამოცდილება შეგვძინა. ჩვენ გვესმოდა პრეზიდენტის სიძნელეები, გვესმოდა, რომ იგი თავისუფალი არ არის თავის გადაწყვეტილებებში. არც ტრაგედიად მიგვიღია ის, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემამ ნება არ მისცა რეიკიავიკს სრულ წარმატებად გადაქცეულიყო. ჩვენ ვთვლიდით: დაე პრეზიდენტმა გაიაზროს ყველაფერი, რაც მოხდა, დაე მოეთათბიროს კონგრესს. შესაძლოა, საჭირო გახდეს კიდევ ერთი ცდა, რათა გადავაბიჯოთ იმას, რაც ჯერ კიდევ გვთიშავს. ჩვენ შეგვიძლია მოვიცადოთ. და არ ვხსნით რეიკივიაკში ჩატანილ ჩვენს წინადადებებს.

რეიკიავიკმა გაგვიყვანა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე იმის გაგებისა, თუ სად ვიმყოფებით. აქ საჭიროა აზრის სიზუსტე. არ გვჭირდება პრიმიტივიზმი. მე არავითარ შემთხვევაში მარცხს არ ვუწოდებდი რეიკიავიკს. ეს არის რთული და მძიმე დიალოგის, გადაწყვეტების ძიების საფეხური. ისინი ფართოდ უნდა ვეძიოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი შეთანხმება. რეიკიავიკიდან გამოვიტანეთ დასკვნა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა დიალოგის საჭიროება. აი რატომ არის, რომ რეიკიავიკის შემდეგ უფრო დიდი ოპტიმისტი გავხდი.

წიგნი უკვე ხელთ ჰქონდა გამომცემელს, როცა ვაშინგტონში მოხდა შეთანხმება ე. ა. შევარდნაძესა და ჯ. შულცს შორის იმის თაობაზე, რომ შეთანხმება საშუალო სიშორის რაკეტებზე და ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებზე უახლოეს ხანებში მომზადდება და უკვე ამ წელს ხელმოწერილი იქნება. ეს რეალური ბირთვული განიარაღების გზაზე გადადგმული პირველი, თანაც დიდი ნაბიჯი იქნება. და ეს, უეჭველია, რეიკიავიკის პრაქტიკული შედეგია, რომელიც ადასტურებს მის ისტორიულ, გარდამტეხ მნიშვნელობას.

აქ არის, აგრეთვე, პასუხი შეკითხვაზე, რომელსაც მაშინ ბევრი იძლეოდა, — გახდა თუ არა მსოფლიო უფრო უსაფრთხო რეიკიავიკის შემდეგ?

ზოგიერთი ცდილობდა ისე დაეხატა რეიკიავიკის დრამა (სიტუაცია კი ნამდვილად დრამატულად წარიმართა), თითქოს საქმე მხოლოდ ერთ სიტყვას შეეხებოდა, თითქოს ყველაფერი ერთი სიტყვის გამო ჩაიშალა. არა, საქმე პრინციპი იყო. ჩვენ ძალზე დიდი ნაბიჯები გადავდგით საქმის ხელის შესაწყობად, მაგრამ ასეთ დათმობაზე ვერ წავალთ. უკვე მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ორჯერ გამოვედი რეიკიავიკის შედეგებზე. და არა მარტო იმიტომ, რომ აღმედგინა ჭეშმარიტება, რომელსაც ამახინჯებდნენ. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ განმესაზღვრა, თუ რა უნდა გვეკეთებინა შემდგომში. ამას მაშინაც ვამბობდი და ახლაც დარწმუნებული ვარ: რეიკიავიკის წარუმატებლობა დაკავშირებულია სტრატეგიული ხასიათის ორ შეცდომასთან, რაც დასავლეთის გარკვეულ წრეებს ახასიათებს.

პირველი ის არის, რომ რუსებს აშინებთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა და ამიტომ ყოველგვარ დათმობაზე წავლენ.

და მეორე, რომ განიარაღება ჩვენ უფრო გვაინტერესებს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს. ასეთმა განწყობამ რეიკიავიკის მოლაპარაკებაზეც იმოქმედა. ძალიან მალე ვიგრძენით, თუ რას მოელიან იქ ჩვენგან: ამერიკის დელეგაცია ჩამოვიდა გარკვეული პროგრამის გარეშე — მხოლოდ თავის კალათში ნაყოფის ჩასალაგებლად.

ამერიკელი პარტნიორები დაჟინებით იმას გვახვევდნენ თავს, რითაც ამდენი ხანია უშედეგოდ არიან დაკავებული ჩვენი დელეგაციები ჟენევის მოლაპარაკებაზე. ჩვენ კი გვინდოდა რეალური, პრაქტიკული გამოხატულება მიგვეცა იმისათვის, რაზეც პრინციპულად შევთანხმდით ჟენევაში უმაღლეს დონეზე. სხვაგვარად რომ უთქვათ, იმპულსი მიგვეცა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროცესისათვის.

მართლაცდა, ადრე საქმე ეხებოდა ბირთვული შეიარაღების მხოლოდ შეზღუდვას. ახლა — შემცირებასა და ლიკვიდაციას. და რაკი ასეა, საჭირო იყო ყველა გზა გადაგვეკეტა შემოვლითი მანევრებისათვის, რომლებიც უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდნენ. აი რატომ იქცა საკვანძო პუნქტად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შესრულების საკითხი. რეიკიავიკში ამერიკის მხარის პოზიციამ ამ საკითხში ნათლად გვიჩვენა, რომ მას უარი არ უთქვამს უპირატესობის მოპოვების დებულებაზე. და მას არ ეყო არც პასუხისმგებლობა, არც პოლიტიკური გამბედაობა გადაებიჯებინა ამ ზღურბლისათვის, ვინაიდან ეს ნიშნავდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე დამოკიდებულებისაგან ჯანთავისუფლებას.

მიუხედავად ამისა, ამ საქმისათვის ჯვარი არ დაგვისვამს. ვეურდნობოდით იმას, რომ რეიკიავიკი ახალ შესაძლებლობებს უქმნის ყველას გაერკვნენ, თუ რა ხდება: ევროპელებსაც, ამერიკელებსაც, და თვით ჩვენც. ჩვენთვის ჯერჯერობით ერთი რამ არის ნათელი: რაკი უნდათ თავიდან მოიშორონ ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, სურთ დააჩქარონ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, — ეს უპირატესობის, უზრუნველყოფის იარაღი, — მაშინ საჭიროა პაკეტი, მაშინ ყველაფერი ურთიერთკავშირშია. და მოდით ნუ ვიეშმაკებთ: ჩვენ გვინდოდა ამ პაკეტით მთელი მსოფლიოსათვის დაგვენახვებინა,

რომ ბირთვულ განიარაღებაზე შეთანხმების მთავარი დაბრკოლებაა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა.

რეიკიავიკის შემდეგ განვლილი დრო უაღრესად ჭკუისსასწავლებელი გამოდგა. მილიტარისტულ წრეებს აშკარად შეეშინდათ. ისინი ცდილობდნენ, და ახლაც ცდილობენ ყველაზე უაზრო დაბრკოლებები დაახვაონ, რათა რეიკიავიკში დაწყებული პროცესი უკვალოდ გაქრეს. გვთავაზობდნენ რეიკიავიკის საუბრების შინაარსის სხვადასხვა ვერსიას, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემალათ ის ფაქტი, რომ რეიკიავიკში ამერიკის მხარე ხელცარიელი ხელით მოვიდა, მზად იყო მხოლოდ საბჭოთა დათმობები აეკრიფა.

რეიკიავიკის მერე გასულ დღეებსა და კვირებში, თვეებში, ახლა კი უკვე ერთ წელიწადში ყველაფერი იყო. ვამჯობინებ საგნებს თავისი სახელები დავარქვა: არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მაშინ კურსი აიღო რეიკიავიკის შედეგების ლიკვიდაციაზე. ყველა მისი მოქმედება ამ მხრივ ეპვსაც არ ტოვებდა. მოწმენი ვიყავით, თუ როგორ შეჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებს არევ-დარევა იმაში, რაც ნამდვილად მოხდა რეიკიავიკში, თუ როგორ ერცელდებოდა დასავლეთ ევროპაში ლამის პანიკური განწყობილება.

მაგრამ მთავარია შეერთებული შტატების მოქმედება. მხედველობაში მაქვს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულება 2-დან ფაქტობრივი გასვლა, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მწყობრში შეიყვანეს ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი 131-ე სტრატეგიული ბომბდამშენი. შემდეგ, მხედველობაში მაქვს ადმინისტრაციის წრეებში დაწყებული განგებ ხმაურიანი დისკუსია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ეგრეთ წოდებული ფართო ინტერპრეტაციის სასარგებლოდ. 1987 წლის პირველ თვეებში კი ვაშინგტონიდან მოგვესმა, რომ დროა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პირველი კომპონენტების განლაგება კოსმოსშიო.

ევენევის მოლაპარაკებაზეც დუნედ მიდიოდა საქმე. უკან გვეჭაჩებოდნენ, კვლავ დაახვავეს მაგიდებზე ისევ ის დონეები და ქვედონეები. პროპაგანდისტულ გარნირად ფართოდ იყენებდნენ მსჯელობას საბჭოთა კავშირის ულმობლობაზე, სიჯიუტეზე, რომელიც

თავის წინადადებებს პაკეტით აყენებსო, შესაძლებლობას არ იძ-ლევა ვიპოვოთ გადაწყვეტა იქ, სადაც ეს უკვე დღეს შეიძლებაო.

რა უნდა გვექნა? მოგვეხდინა რეაგირება პრინციპით კბილი კბი-ლისა წილ? ასეთ მოქმედებას სიკეთე არასოდეს მოუტანია.

ჩვენ არ გავუყევით ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითს და განვაცხადეთ, რომ კვლავაც სტრატეგიული შეტევიოი შეიარა-ღების შეზღუდვის ხელშეკრულება 2-დან გამომდინარე ჩვენი ვალ-დებულებების ერთგული ვიქნებით. მეტი ბომბდამშენი იქნება თუ ნაკლები —ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ სტრატეგიული ძალების თანამედროვე ბალანსს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება 2-ის დარღვევა ვაშინ-გტონის მიერ უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე სამხედრო. ეს იყო სსრ კავშირის თავისებური „მიწვევა“ დაბრუნებოდა რეი-კიავიკამდელ დროს.

ჩვენ მშვიდი რეაგირება მოვახდინეთ ამერიკის შეერთებული შტატების ექსტრემისტული დაჯგუფებების განცხადებებზე, რომ საჭირო იყო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფორსირება და კოსმოსური ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გა-მოცდისა და განლაგების დაწყების დაჩქარება.

რაც შეეხება მსჯელობას საბჭოთა პაკეტის შესახებ, ახლაც მი-მაჩნია — აშშ რომ დათანხმებულიყო მიეღო ეს პაკეტი, სრულიად დასაშვები დაზუსტებებით, რაიმე მოდიფიკაციით, გადაიდგმებოდა უდიდესი ნაბიჯი. ამ პაკეტში კიდევ უფრო ადრე იყო სტრატეგიუ-ლი შეტევითი შეიარაღების შეზღუდვისა და ლიკვიდაციის და კოს-მოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობის საკითხები. ისინი ორგანუ-ლად არიან დაკავშირებული. ეს არის სტრატეგიული კავშირი. თუ მკაცრად არ შეიზღუდა გამალებული შეიარაღების კოსმოსში გატა-ნა არც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირება მოხდე-ბა. ეს ყველასათვის სავსებით ნათელი უნდა იყოს.

რეიკიავიკში პაკეტში შევიტანეთ საშუალო სიშორის რაკე-ტების საკითხი, რამდენადაც გვინდოდა ერთდროულად წინ წაგვე-წია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა ყველა საკვანძო მიმარ-თულებით. იმავე დროს —ვიმეორებ — გვინდოდა მთელი მსოფ-ლიოსათვის დაგვენახვებინა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინი-ციატივა არის მთავარი დაბრკოლება ბირთვული განიარაღების გზა-

ზე გადასასვლელად. დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი გვაკრიტიკებდა და გვკიცხავდა იმისათვის, რომ ჩვენ პაკეტში დავაბრუნეთ საშუალო სიშორის რაკეტები. ვიცი, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეებიც არ გვეთანხმებოდნენ. მაგრამ, ვფიქრობ, მაშინ სწორად მოვიქეცით.

მოსკოვის ფორუმი და საშუალო სიშორის რაკეტები

ჩემზე, ისევე როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობის სხვა წევრებზე, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის ფორუმმა „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის". ჩვენ უშუალოდ ვგრძნობდით მსოფლიო საზოგადოებრიობის განწყობილებას, მის შეშფოთებასა და წუხილს რეიკიავიკის ბედის გამო. იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა უკვე რეიკიავიკის შემდეგ შეეჩერებინა ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ განიარაღებაზე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება 2, საფრთხე ემუქრება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებას. ყველაფერი სერიოზულად ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ გადაგვედგა კიდევ ერთი ნაბიჯი, რათა სიცოცხლე შთაგვენერგა ევენევის მოლაპარაკებისათვის, მოგვეხდინა პოზიტიური ძვრა განიარაღებაში. მხედველობაში მაქვს საშუალო სიშორის რაკეტების საკითხის გამოტანა პაკეტიდან.

და რა აღმოჩნდა?

ისევე, როგორც რეიკიავიკის შემდეგ, ატყდა აურზაური ნატოს ბანაკში. დასავლეთის შესახვედრად გადადგმული კიდევ ერთი ჩვენი ახალი ნაბიჯის საპასუხოდ ატლანტიკურმა მმართველმა წრეებმა ყველას თვალწინ დაიწყეს ნელ-ნელა ჩამოსვლა იმ პოზიციებიდან, რომლებსაც თვითონვე დიდხანს იცავდნენ. უარს ამბობდნენ ანდა პირობების მესერს ავლებდნენ საკუთარ „ნულოვან ვარიანტს". საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროპის ბირთვული არსენალების შემცირების ნაცვლად წინადადებას იძლეოდნენ გაეზარდათ იგი — „დამატებით შეეიარაღებინათ" ამერიკული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებით.

მოგვესმა ასეთი განცხადებებიც: დასავლეთი ნდობას გაუწევს საბჭოთა კავშირის წინადადებებს შეიარაღების შემცირების შესახებ, თუ იგი შეცვლის თავის პოლიტიკურ სისტემასო, თუ ნიმუშად

დასავლეთის საზოგადოებას მიიღებსო. ეს უკვე სულ მთლად კომიკურია.

რეიკიავიკის შემდეგ, და განსაკუთრებით ჩვენი წინადადების შემდეგ, რომ საშუალო სიშორის რაკეტებზე ცალკე შეთანხმება დაგვედო, ნატოს წრეებში დიდი ხმაური ატეხეს ბირთვული იარაღის გარეშე ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის შეუძლებლობის გამო.

ამის თაობაზე მწვავე კამათი მქონდა მ. თეტჩერთან. იგი მარწმუნებდა, რომ ინგლისისათვის ბირთვული იარაღი ერთადერთი საშუალებაა უზრუნველყოს თავისი უშიშროება ევროპაში ჩვეულებრივი ომის შემთხვევაშიო. მაგრამ ეს ხომ რაღაც განწირულობის ფილოსოფიაა! — ინგლისის პრემიერ-მინისტრს ვეუბნებოდი: „როცა თქვენ ფიცით გვარწმუნებთ, რომ ბირთვული იარაღი სიკეთეა, რომ დაე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა შეამცირონ მისი დონე, ინგლისი კი გვერდზე დარჩებაო, ყველასათვის ხომ მაშინვე ნათელი ხდება — ჩვენ წინ არის ბირთვული იარაღის თავგამოდებული მომხრე. დავუშვათ, დავიწყებთ განიარაღების პროცესს, გავიტანთ საშუალო სიშორის რაკეტებს ევროპიდან, 50 პროცენტით ან სხვა ციფრით შევამცირებთ სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებას, თქვენ კი გაზრდით თქვენს ბირთვულ ძალებს. როგორ გამოჩნდებით მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში, გიფიქრიათ ამაზე?“

ჩემს მოვალეობად ჩავთვალე შემეხსენებინა, რომ ინგლისი იყო მონაწილე სამმხრივი მოლაპარაკებისა ბირთვული გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, მერე კი ამ მოლაპარაკების ინტერესი დაკარგა. ჩვენ წელიწად-ნახევარზე მეტ ხანს ვიცავდით მორატორიუმს ბირთვულ აფეთქებებზე, დიდმა ბრიტანეთმა კი თავი აარიდა ამას.

ბირთვული იარაღის არსებობა მუდამ შეიცავს გაუთვალისწინებლობის რისკს. თუ იმით ვიხელმძღვანელებთ, რომ ბირთვული იარაღი სიკეთეა, უშიშროების საიმედო გარანტია, მაშინ მოდით და ბოლო მოვუღოთ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. მით უმეტეს, რომ დღეს ათობით სახელმწიფოს გააჩნია მეცნიერულ-ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობანი საკუთარი ბომბის შესაქმნელად. რა მორალური უფლება აქვთ დღევანდელ ბირთვულ სახელმწიფოებს უარი უთხრან ამაზე, მაგალითად,

პაკისტანს, ისრაელს, იაპონიას, ბრაზილიას და ვისაც გნებავთ? მაგრამ რა დაემართება მაშინ მსოფლიოს, საერთაშორისო ურთიერთობას?

შეაფასა რა სიტუაცია, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადასტურა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა გადაჭრით არ ეთანხმება პოზიციას, რომლის შესაბამისად საერთაშორისო საქმეების წარმართვა და ეროვნული უშიშროება სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ, თუ არა ბირთვულ იარაღზე დაყრდნობით.

მაგრამ ვუბრუნდები საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემას. ზუსტად რომ ვთქვათ, „ნულოვანი ვარიანტი" ევროპისათვის თავის დროზე პრეზიდენტმა რ. რეიგანმა შემოგვთავაზა. ამ იდეის თავდაპირველ პატენტზე პრეტენზია აქვს ჰ. შმიდტს. მან მართლაც პირველმა წამოაყენა ასეთი წინადადება, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი იყო. რეიკიავიკში მე და პრეზიდენტმა ვიპოვეთ გადაწყვეტილება, პრაქტიკულად შეთანხმების სტადიამდე მივიყვანეთ იგი. ახლა შეიძლება სიცოცხლე შთავბეროთ მას. ერთი დასავლეთგერმანული გაზეთი წერდა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არიან მოღვაწეები, რომლებიც გამუდმებით დაჟინებით შოითხოვენ გორბაჩოვი სიტყვაზე დავიჭიროთო. მაგრამ, „ნულოვან ვარიანტზე" დათანხმებით, გორბაჩოვმა თვითონვე დაიჭირა ისინი სიტყვაზეო. შოდით და ახლა დაამტკიცონ, წერდა გაზეთი, რომ ისინი დემაგოგიას არ ეწეოდნენ და, როცა თავის „ნულს" აყენებდნენ, იმედი არ ჰქონდათ, რომ რუსები უარყოფენ ამასო, გამეცინა, როცა წავიკითხე, მაგრამ გავიფიქრე: გაზეთი მართალს ამბობს-მეთქი.

შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების პრობლემა. ჩვენ მათ ლიკვიდაციას ვემხრობით. მაგრამ რა გამოვიდა? ჩამოდის მოსკოვში (1987 წლის აპრილში) ჯ. შულცი და იწყებს ჩვენს დარწმუნებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება უნდა ჰქონდეს „დამატებით შეიარაღდესო" — გაიჩინოს ამ კლასის გარკვეული რაოდენობის რაკეტები მანამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირი მთლიანად არ მოახდენს მათ ლიკვიდაციასო. რაღაც წარმოუდგენელი ლოგიკაა, საწინააღმდეგო ლოგიკა! ჩვენ ვსპობთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოტანილ მცირე სიშორის რაკეტებს, შემდეგ კი მზად ვართ ამ კლასის დარჩენი-

ლი რაკეტების ლიკვიდაციაც მოვახდინოთ. და აი, როცა შეგვაქვს ეს წინადადება, ნატოში ისე უვლიან მას გარშემო, როგორც კატა ცხელი ფაფით სავსე ჯამს. ისტორია მეორდება.

მაგრამ ამას არ დავუბნევივართ. ჩვენ გავიზიარეთ სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ჟენევის მოლაპარაკებაზე 1987 წლის გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს, ანგარიში გავუწიეთ არა მარტო ევროპის, არამედ აზიის საზოგადოებრიობის აზრს — და კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით.

1987 წლის 22 ივლისს საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით გამოვაცხადე, რომ სსრ კავშირი მზად არის მოსპოს თავისი ყველა საშუალო სიშორის რაკეტა ევროპის აზიურ ნაწილშიც, ესე იგი მოხსნას საშუალო სიშორის რაკეტების იმ ასი საბრძოლო ქობინის საკითხიც, რომელთა შესახებაც შევთანხმდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რეიკიავიკში და რომლებზეც შემდეგ ვლაპარაკობდით ჟენევის მოლაპარაკებაზე. იმ პირობით, რა თქმა უნდა, თუ ამერიკის შეერთებული შტატებიც იმასვე გააკეთებს. ლიკვიდირებულ იქნება აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი მზად არის განახორციელოს „გლობალური ორმაგი ნული“.

უფლება გვაქვს გულდამშვიდებით ვთქვათ: საბჭოთა კავშირმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ სიცოცხლე შთაებერა პირველი დიდი შეთანხმებისათვის არა ერთი, არამედ ორი კლასის ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ.

მაგრამ რამდენ ბარიერს აგებდნენ და დღესაც აგებენ, რომ ხელი შეუშალონ შეთანხმებას. ზღუდეების რა მესერის გარღვევა მოგვიხდა იმისათვის, რომ გონებას, საღ აზრს გაემარჯვა ბირთვულ მანიაზე.

თვითონ განსაჯეთ, როცა დავთანხმდით ორ „ნულზე“, როგორი მოსასმენი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რჩება 72 რაკეტა „პერშინგ-1 ა“ და მათთან ერთად უნდა დარჩეს ამერიკული ბირთვული ქობინების შესაბამისი რაოდენობაო. გამოდის ყველაფერი გვერდზე რჩება — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უბირთვო სტატუსიც, ხელშეკრულებაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, მხარეთა თანასწორობის პრინციპიც. და თუ ასეთი კონფიგუ-

რაციის არსებობისას ჩვენ მოგვმართავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია ანდა პოლონეთი და გვთხოვენ ამერიკა-დასავლეთ გერმანიის რაკეტულ-ბირთვული კომპლექსის საპირისპირო რამ მოგვეცითო? მაშინ რაღა ვქნათ — შევურიგდეთ სიტუაციას, როცა გამალებული შეიარაღება, რომელიც ერთი მიმართულებით გადაიკეტა, ახალი კალაპოტით წავა?

მე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ვუთხარი: ნუთუ იმდენად სუსტი გგონივართ, რომ მზად ვიქნებით დაუსრულებლად ველოლიაოთ თქვენს ადმინისტრაციას? ანდა მიგაჩნიათ, რომ ჩვენ უფრო ვართ დაინტერესებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებით, ამერიკის მხარეს კი, ბუნებრივია შეუძლია არაფერი გააკეთოს ამ მიმართულებით? თუ ეს ასეა, მაშინ ეს ილუზიაა, განსაკუთრებით საშიში ილუზია. ამას პირდაპირ გეუბნებით, დიპლომატიურად არ ვალამაზებ.

მსოფლიო დაქანცა დაძაბულობამ. ადამიანები მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის გაჩნდებოდა შანსი ვითარების გასაუმჯობესებლად, ომის საშიშროების შესამცირებლად, იმისათვის, რომ ასეთი შანსი გაჩენილიყო, საბჭოთა კავშირი უპრეცენდენტო დათმობებზე წავიდა. ამ შანსის ხელიდან გაშვება თავის დაღს დაამჩნევდა მთელ მსოფლიო პოლიტიკას.

საკითხავია, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვიჩქაროთ ჩვენ, საბჭოთა კავშირმა, ამ საქმეებში. ჩვენ ხომ საშუალო სიშორის რაკეტები მეტი უნდა მოვსპოთ, ვიდრე დასავლეთმა, ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებშიც მსგავსი სურათია. ვინ გვაჩქარებს? ჩვენ გვაჩქარებდა მხოლოდ ერთი რამ — ნათელი შეგნება იმისა, რომ საჭიროა თუნდაც რაღაც გაკეთდეს, გადაიდგას რაიმე რეალური ნაბიჯი, რომ თუმც ნელა, თუნდაც იმისგან დამოკიდებულებით, თუ რა კონკრეტული ვითარება შეიქმნება, მაგრამ მაინც დაიწყოს განიარაღების პროცესი.

ყველა მოლაპარაკებასა და ფორუმზე, პირველ ყოვლისა — ჟენევის მოლაპარაკებაზე — უნდა ვეძიოთ, თუ როგორ გავხსნათ მწვავე პრობლემების კვანძი. ჩვენ ამ მოლაპარაკებებს უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ. ვფიქრობ, მკითხველმა ახლა უკვე იცის, თუ რას ვაკეთებდით ჟენევაში პროგრესის მისაღწევად.

ჩვენ არ გვსურს, რომ ისე, ტყუილად ვაწარმოოთ მოლაპარაკება. ამერიკაში ვიღაცას ხელს აძლევს, — და ეს გულწრფელად

უნდა ვთქვა, — რომ უბრალოდ აღინიშნოს: მოლაპარაკება მიდის. ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევს. კარგია, რომ მოლაპარაკება მიდის, მაგრამ იქ წინ უნდა მივდიოდეთ რაღაც მიმართულებით, უნდა იყოს პროგრესი, შეთანხმება მზადდებოდეს, რომ, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს, მთელ მსოფლიოს ყენევის ხელშეკრულებებმა მოუტანოს მწვავე პრობლემების გადაწყვეტა, რაც შესაძლებლობას შექმნის თავი დავაღწიოთ ბირთვულ საფრთხეს, დავიწყოთ განიარაღება.

აი რას ვესწრაფვით. თუ მოლაპარაკებას იყენებენ როგორც შირმას, რათა დაფარონ ყველა სამხედრო პროგრამის გაგრძელება, სამხედრო ბიუჯეტების გაბერვა, მაშინ წინააღმდეგი ვართ, გადაჭრით უარს ვამბობთ. ასეთი მიდგომა მიუღებელია.

თქმა არ უნდა, ძნელია იმ მიდგომების შეცვლა, რომლებზეც 50 წლის განმავლობაში აგებული იყო ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მაგრამ სიახლე პირდაპირ გვიმტვრევს კარ-ფანჯარას. ჩვენ, პოლიტიკურ მოღვაწეთა ახლანდელმა თაობამ, ყური უნდა ვათხოვოთ ამას. სამწუხაროდ, ბევრი პოლიტიკოსი კვლავ მოძველებული კომპლექსებისა და სტერეოტიპების ტყვეობაშია.

დადგა ჟამი არჩევანისა. ყველა ვაბარებთ კეთილი ნების, პოლიტიკური სიმამაცის, გონიერების გამოცდას. ნათელია, რომ იმ პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც უკავშირდება საშუალო სიშორის რაკეტებსა და ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს, მნიშვნელობა ექნება და დიდ შედეგებს გამოიღებს განიარაღების მთელი პროცესისათვის. იგი გადაიქცეოდა ნდობის ფაქტორად, რაც ასე გვაკლია.

ბუნებრივია, რომ კვლავაც განვაგრძობთ მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების, მათი შემცირების შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის დაახლოებითი თანასწორობა, პარიტეტია სტრატეგიული ძალების სიმძლავრისა და პოტენციალის თვალსაზრისით. ამერიკელთა მხრივ არაერთხელ მსმენია, რომ მათ განსაკუთრებულ საფრთხედ მიაჩნიათ ჩვენი საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები. ჩვენ კი ამერიკის მხრივ დიდ საფრთხეს ვხედავთ მათ წყალქვეშა ნავების ბალისტიკურ რაკეტებში, ვინაიდან ისინი ნაკლებად მოწყვლადია, ასევე აღჭურვილნი არიან ხლეჩადი ქობინებით, დიდი სიზუსტე აქვთ. ჩვენ საფრ-

თხედ მიგვაჩნია აგრეთვე სსრ კავშირის ირგვლივ განლაგებული მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზები. მიუხედავად ამისა, ჩვენს შორის არის სტრატეგიული პარიტეტი. ამიტომ, თუ დღეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ახლანდელი სტრუქტურისა და რაოდენობის ფარგლებში სტრატეგიული პარიტეტი უზრუნველყოფილია, მისი 50 პროცენტით შემცირების შემთხვევაში ბალანსი შენარჩუნებული იქნება, მაგრამ უფრო დაბალ დონეზე. ეს კი ცვლის სიტუაციას. სწორედ ეს შევთავაზე პრეზიდენტ რეიგანს რეიკიავიკში — სანახევროდ შეგვემცირებინა მთელი ტრიადა და თითოეული მისი ნაწილი. ეს უკვე უდიდესი მიღწევა იქნებოდა.

და, რა თქმა უნდა, მკაცრად უნდა დავიცვათ ხელშეკრულება. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ. რაც შეეხება სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ განხორციელდეს კვლევითი სამუშაოები ლაბორატორიებში, ინსტიტუტებში, დამამზადებელ ქარხნებში, პოლიგონებზე. ჩვენი ეს წინადადებები, არსებითად, ითვალისწინებს იმ 5—8 პოზიციას, რომლებიც აქვს შეერთებულ შტატებს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისადმი მიდგომის ფარგლებში. დაე, სპეციალისტები ერთად დასხდნენ, გაერკვნენ და განსაზღვრონ, თუ რომელი კომპონენტების გაყვანა შეიძლება კოსმოსში, და რომლის არა. ჩვენი კომპრომისული იდეები გადაწყვეტის კარგ შესაძლებლობას იძლევიან.

საბჭოთა კავშირმა ბევრი ნაბიჯი გადადგა საიმისოდ, რომ შექმნილიყო ახალი სიტუაცია, ახალი შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისათვის დინამიზმის მისანიჭებლად, მის გასაუმჯობესებლად, ბოლო ათწლეულებში არც ერთ ადრინდელ ადმინისტრაციას არ ჰქონდა ასეთი შესაძლებლობა, რომ რაღაც გაეკეთებინა სსრ კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მერე და რა? არაფერი! გარდა შეთანხმებისა, რომ დაიდოს ხელშეკრულება საშუალო სიშორის რაკეტებზე და ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებზე, ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

დრო კი არ გვაცდის. დარწმუნებული ვართ: ან შევთანხმდებით, ანდა არაფერი გამოვა და ისღა დაგვრჩება, რომ მბეუტავ ცეცხლს ფიჩხი დავაყაროთ, რათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა მთლად არ ჩაქრეს.

ჩვენს პოლიტიკაში აუცილებელი ნაბიჯები გადავდგით იმ მიზნით, რომ გაგვეთავისუფლებინა იგი იდეოლოგიური წინასწარ-

შექმნილი აზრებისაგან. საჭიროა დასავლეთმაც გააკეთოს ეს. პირველ რიგში უარი უნდა თქვან შეცდომაზე, თითქოს განიარაღება საბჭოთა კავშირს უფრო ესაჭიროება, ვიდრე დასავლეთს, რომ საკმარისია ხელი მაგრად მოგვკიდონ, ზემოქმედება მოახდინონ, და ჩვენ უარს ვიტყვით თანასწორობის პრინციპზე. ეს არასოდეს მოხდება.

ნახეთ: ყველა საბჭოთა წინადადება, რაგინდ ზედმიწევნით არ უნდა გამოიკვლიონ ისინი, ითვალისწინებენ თანასწორობას, ბალანსს ყველა ეტაპზე. ეს ეხება ბირთვულ იარაღს, ჩვეულებრივ შეიარაღებას, ქიმიურ იარაღს, ეხება ნებისმიერ გეოგრაფიულ რაიონს — აღმოსავლეთს, დასავლეთს, ევროპას, ამერიკას. ჩვენ ზედმიწევნით ვამუშავებთ ჩვენს წინადადებებს და ვემყარებით იმას, რომ არც ერთი ქვეყანა არ დათანხმდება იმოქმედოს თავისი უშიშროების საზიანოდ. წინსვლა არ იქნება.

როცა წინადადებები შეგვაქვს მოლაპარაკებებზე, მაგალითად ჟენევის მოლაპარაკებებზე, ანდა სხვა ადგილებში, ჩვენ ვემყარებით იმას, რომ თუ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ინტერესებს გავითვალისწინებთ და მხედველობაში არ მივიღებთ პარტნიორის ინტერესებს, არავითარი ხელშეკრულება არ გამოვა. ამერიკის მხარესაც ამისკენ მოვუწოდებთ — ასევე მოგვეპყრან ჩვენ. იმიტომ, რომ ჩვენ არ დავუშვებთ უპირატესობას, არ დავუშვებთ საკუთარი უშიშროების ხელყოფას. და არ გვინდა. შევლახოთ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება. თუ ორივე მხარეს ასეთი მიდგომა ექნება, შესაძლო გახდება გადაკრით წინ წავიწიოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის ყველა მიმართულებით.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია მომდევნო ადმინისტრაციას დავუცადოთ. მაგრამ, ვამჯობინებთ უკვე დღევანდელს შევუთანხმდეთ. გვაქვს გარკვეული დასაწყისი, პირადი ურთიერთობა, გაგების გარკვეული დონე. მიგვაჩნია, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალური ატმოსფეროს შექმნას, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა რაღაც ნაბიჯი გადაგვედგა შეთანხმების მიმართულებით. მაგრამ ამერიკის მხარე წამდაუწუმ ბორძიკობს. კიდევ მეტი, ყოველთვის, როცა ჩვენ რაღაც ნაბიჯს ვდგამთ ვაშინგტონის შესაბამისად, იქ აქტიურდებიან წინააღმდეგობის ძალები, რომლებიც ცდილობენ დაამძიმონ საქმე, შეაჩერონ დასახული ძვრა.

ამის ერთ-ერთი მაგალითია საელჩოებში ფარული ყურის გდე-

ბის ამბავი. Ჯ. შულცთან საუბრის დროს მე მას შევთავაზე „ახალი კონცეფცია“: ჩავთვალოთ, რომ სწორედ ის და შევარდნაძე არიან მთავარი „ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘ“. ჩვენი ელჩებიც მოსკოვსა და ვაშინგტონში „ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘ“ არიან. სწორედ იმიტომ სხედან ისინი თავიანთ ადგილებზე, რომ სწორი ინფორმაცია მოგვაწოდონ იმ ქვეყნების საქმეთა ვითარებასა და განწყობილებაზე, სადაც იმყოფებიან. უაზროა მთელი ეს აურზაური საელჩოებში ᲯᲐᲨᲣᲨᲛᲐᲜᲘᲘᲡ გამო. ჩვენ ვიცით ყველაფერი, რაც მთავარია, ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, ამერიკამაც იცის ყველაფერი მთავარი ჩვენს შესახებ. მაგრამ ამᲯერად ᲯᲐᲨᲣᲨᲛᲐᲜᲘᲐ იმიტომ წამოიწყეს, რომ უკვე წესად იქცა: როგორც კი რაიმე დაისახება, შესაძლებელი გახდება რაღაც გადავწყვიტოთ ჩვენს ურთიერთობებში, მაშინვე მოიგონებენ რაიმე ოინს, რომ მთელი საქმე ჩაფუშონ.

ვიცი, ათასგვარ ვარაუდებს გამოთქვამენ საბჭოთა ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე პრეზიდენტ რ. რეიგანის მიმართ. მაქვს საკუთარი შთაბეჭდილება პრეზიდენტზე. სხვა რომ არა, უკვე ორᲯერ შეეხვდით ერთმანეთს, საათობით ესაუბრობდით. მიმაჩნია, რომ მე და პრეზიდენტს, მიუხედავად ყველა სიძნელისა, სერიოზული დიალოგი გვაქვს. ზოგᲯერ უსიამოვნო ამბებსაც ვეუბნებით ერთმანეთს, საᲯაროდაც კი ვლაპარაკობთ ამას და მწვავედაც ვამბობთ. ჩემის მხრივ ვიტყვი: გავაგრძელებთ ჩვენს ძალისხმევას. გავაგრძელებთ თანამშრომლობის, შედეგიანი მოლაპარაკების შესაძლებლობის ძიებას ამერიკელი ხალხის მიერ არჩეულ ნებისმიერ პრეზიდენტთან, ნებისმიერ ადმინისტრაციასთან. ეს ამერიკელების საქმეა ვის აირჩევენ: დემოკრატს თუ რესპუბლიკელს. ვიმეორებ, ვითანამშრომლებთ იმ ადმინისტრაციასთან, რომელსაც ამერიკელი ხალხი ქვეყნის ხელმძღვანელობას მიანდობს. ვფიქრობ, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ ყველა შემთხვევაში. ამერიკის მხარეც ასევე უნდა იქცეოდეს. დაე ამერიკელებმა ისე იცხოვრონ ამერიკაში, როგორც სურთ, ჩვენ კი ისე ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირში, როგორც გვინდა. მოდით, ნუ დავყოფთ პოლიტიკურ მოღვაწეებს ასე — ეს მოკეთეა, ეს კი მოძულე, ეს პატივსაცემია, მეორე კი არა. არის რეალობები, რეალობებს კი ანგარიში უნდა გავუწიოთ, სხვაგვარად პოლიტიკა იმპროვიზაციად, მერყეობად, წინასწარ განუᲭვრეტელ რამედ გადაიქცევა. არ შეიძლება პოლიტიკაში ასე წარვმართოთ საქმეები, მით უმეტეს ისეთი სახელმწიფოების ურ-

თიერთობაში, როგორიცაა შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ეს მეტად სერიოზული საქმეა.

დიდად მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირიც და შეერთებული შტატებიც ემყარებოდნენ რწმენას: ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, ვალდებული ვართ მშვიდობიანად ცხოვრება ვისწავლოთ.

საბჭოთა კავშირსაც და შეერთებულ შტატებსაც ისტორიული მნიშვნელობის დიდი სამუშაო მოელით. ვერც ერთი ჩვენი ქვეყანა ამ სამუშაოს ცალ-ცალკე ვერ განახორციელებს. მხედველობაში მაქვს ჩვენი დღეების პრობლემათა პრობლემა — ბირთვულ ომში კაცობრიობის დაღუპვის საფრთხის თავიდან აშორება. თუ ეს მუშაობა წარმატებით წარიმართება, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის აყვავება, შეიძლება ითქვას, დადგეს „ოქროს ხანა“, რომელიც სიკეთეს მოუტანს სსრ კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყველა სხვა ქვეყანას, მთელ მსოფლიო გაერთიანებას.

დასკვნა

და აი, დრო დადგა წერტილი დავსვა... მაგრამ ორიოდ სიტყვას კიდევ ვიტყვი დასკვნისათვის.

ჩემი ღრმა რწმენით წიგნი არ დასრულებულა, და არც შეიძლება დასრულდეს. მისი წერა უნდა დაამთავროს მუშაობამ, მოქმედებებმა იმ მიზნების მისაღწევად, რომელთა შესახებაც მე ვეცადე გულახდილად მომეთხრო წიგნის ფურცლებზე.

იოლად, უბრალოდ როდი გამოგვდის გარდაქმნა, ჩვენ კრიტიკულად ვიაზრებთ თითოეულ ნაბიჯს, პრაქტიკული შედეგებით ვამოწმებთ საკუთარ თავს, მწვავედ გვაქვს გაცნობიერებული: ის, რაც დღეს მისაღები და საკმარისი ჩანს, ხვალ შესაძლოა მოძველებული აღმოჩნდეს. ასეთია საზოგადოების რევოლუციური განახლების ლოგიკა.

გასულმა ორ წელიწად-ნახევარმა ბევრი რამ შეგვძინა. მომავალი წლები, ან იქნებ, მომავალი თვეებიც კი ახალი არასტანდარტული ნაბიჯებით აღინიშნება. გარდაქმნის მსვლელობაში ვაღრმავებთ და ვაზუსტებთ ჩვენს წარმოდგენებს სოციალიზმის გუშინდელ, დღევანდელ და ხვალინდელ დღეებზე. ხელახლა აღმოვაჩენთ საკუთარ თავს. როგორც უკვე ვთქვი, ამას ჩავდიოდით და ჩავდივართ არა იმისათვის, რომ ვიღაც გავაოცოთ, ვინმეს „მოვეწონოთ“ ან ტაში დავიმსახუროთ. ჩვენ გვამოძრავებს ოქტომბრის, ლენინის იდეები, საბჭოთა ხალხის ინტერესები.

გვჯერა, რომ გარდაქმნის ყლორტები საერთაშორისო ურთიერთობაშიც აღმოცენდება, მათ შორის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. ახლებური პოლიტიკური აზროვნების ათვისება დროის იმპერატივია.

უდიდესი საფრთხე ემუქრება კაცობრიობას. დღეს საკმარისი კონფრონტაციის ელემენტი არსებობს, მაგრამ ჩვენს თვალწინ იზრდებიან და მრავლდებიან ძალები, რომელთაც სურთ და უნარიც შესწევთ შეაჩერონ და დაძლიონ ეს კონფრონტაცია.

ეკვივალენტობა და მტრობა ვანაცვალოთ ნდობას „შიშის წონასწორობა“ — გონებისა და კეთილი ნების წონასწორობას, ვიწროეროვნული ეგოიზმი — თანამშრომლობას — აი რისთვის მოვუწოდებთ, საით არის მიმართული ყველა ჩვენი სამშვიდობო ინიციატივა, აი მერმისშიც რისთვის ვიმუშავებთ მუხლჩაუხრელად.

მსოფლიოში იზრდება ურთიერთგაგების, ურთიერთობის მიდრეკილება, ეს იგრძნობა პოლიტიკოსებშიც, ინტელიგენციის, სულიერი კულტურის წარმომადგენელთა წრეებშიც და მოსახლეობის ფართო ფენებშიც. და, თუ რუსული სიტყვა „ჰერესტროიკა“ ადვილად დამკვიდრდა საერთაშორისო ლექსიკონში, ალბათ, არა მარტო იმის გამო, რომ აინტერესებთ, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. დღეს მთელ სამყაროს ესაჭიროება გარდაქმნა, ესე იგი პროგრესული განვითარება, თვისებრივი ცვლილება.

ადამიანები გრძნობენ ამას და შეგნებული აქვთ ეს. ადამიანებს ესაჭიროებათ იმის განსაზღვრა, თუ სად იმყოფებიან, ესაჭიროებათ გაიგონ კაცობრიობაზე ჩამოწოლილი პრობლემები და გაარკვიონ, თუ როგორ იცხოვრონ შემდგომში. გარდაქმნას საჭიროებს ბირთვული იარაღით ავსებული მსოფლიო; სამყარო, სადაც არის სერიოზული ეკონომიკური, ეკოლოგიური პრობლემები, სადაც არის სიღატაკე, ჩამორჩენილობა, დაავადებანი; საჭიროებს ადამიანთა მოდგმა, რომელიც დღეს უშუალოდ გადააწყდა აუცილებლობას გადაარჩინოს საკუთარი თავი.

ჩვენ ყველანი მოწაფეები ვართ, მასწავლებელი კი ცხოვრებაა, დროა. მჯერა: გაიზრდება გაგება, ბარდაქმნის შედეგად, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სიახლოვე დამკვიდრდება მსოფლიოში. და როცა დადებით შეფასებას დავიმსახურებთ მთავარ მასწავლებელთან — ცხოვრებასთან, ჩვენ XXI საუკუნეში მომზადებულნი შევაბიჯებთ, დარწმუნებულნი იმაში, რომ პროგრესი გრძელდება.

გვსურს, ამ მომავალ საუკუნეში თავისუფლებამ დედამიწის ყველა კუთხეში დაისადგუროს. გვსურს, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების მშვიდობიანი შეჯიბრება შეუზღუდავად ვითარდებოდეს, რომ მან ხელი შეუწყოს მშვიდობიან თანამშრომლობას, და არა კონფრონტაციას და გამალებულ შეიარაღებას. გვსურს, თითოეული ქვეყნის ხალხი შეძლებულად ცხოვრობდეს, სეებედნიერი იყოს. აქეთ მიმავალი გზა უბირთვო, არაძალმომრეობით მსოფლიოზე გადის. ჩვენ ამ გზას დავადექით და აქეთკენ მოვუწოდებთ სხვა ხალხებსა და ქვეყნებს.

შინაარსი

მკითხველისადმი 3

კარი პირველი. გარდაქმნა . . . 9

თავი I. გარდაქმნა: სათავეები, არსი, რევოლუციური ხასიათი 11

გარდაქმნა მომწიფებული მოთხოვნილებაა — 11. ვ. ი. ლენინისადმი მიმართვა გარდაქმნის იდეური წყაროა — 21. არა ზარზეიმული დეკლარაცია, არამედ საგულდაგულოდ მომზადებული პროგრამა — 22. მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია — 34. ისტორიის გაკვეთილები — 36. გარდაქმნის გზით. მოძრაობის იდეური წყარო — 45. გარდაქმნა — ეს რევოლუციაა — 51. „რევოლუცია ზემოდან"? პარტია და გარდაქმნა — 58.

თავი II. გარდაქმნა დაიწყო. პირველი დასკვნები . . 63

I. საზოგადოება ამოძრავდა . . . . . —

როგორ იწყებოდა ყოველივე — 63. გარდაქმნის მქნევარა ბრუნვებს აჩქარებს — 67. ჩვენ „მზამზარეული რეცეპტები" არ გაგვაჩნია — 69. მეტი სინათლე საჯაროობას! — 80. გარდაქმნა და ინტელიგენცია — 87.

II. ახალი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა მოქმედებს . 91

ეკონომიკური რეფორმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმი — 91. სრული სამეურნეო ანგარიშისაკენ — 96. ცენტრალიზმის ახლებური გაგება — 97. ტექნიკური აღჭურვილობის მსოფლიო დონეზე — 101. გარდაქმნის ცოცხალი ქსოვილი — 105. გარდაქმნის სოციალური პოლიტიკა — 108.

III. დემოკრატიზაციის გზით 113

ჩვენი მთავარი რეზერვი — 113. კანონიერება დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია — 117. გარდაქმნა და საბჭოები — 123. პროფკავშირთა ახალი როლი — 126. ახალგაზრდობა და გარდაქმნა — 128. ქალებისა და ოჯახის შესახებ — 130. სოციალის-

ტური ერების კავშირი უნიკალური წარმონაქმნია — 132. ავტორიტეტი და ნდობა — 137.

IV. დასავლეთი და გარდაქმნა 140

კარი მეორე. ახლებური აზროვნება და მსოფლიო 153

თავი III. რობორ ვხედავთ თანამედროვე მსოფლიოს . . 155

სად ვიმყოფებით? — 155. ახლებური პოლიტიკური აზროვნება — 160. ახლებური აზროვნების ჩვენეული გზა — 167. „მოსკოვის ხელი“ — 174. ახლებური აზროვნების ინტერნაციონალური პოტენციალი — 176. პატიოსანი და წრფელი საგარეო პოლიტიკისათვის — 184.

თავი IV. სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნა და სოციალისტური სამყარო 188

რეალური სოციალიზმის შესახებ — 188. ახლებური ურთიერთობისაკენ — 192.

თავი V. „მესამე სამყარო“ საერთაშორისო გაერთიანებაში 201

რეგიონალური კონფლიქტები — 202. განვითარების საკუთარი გზის უფლება — 208. აზია-წყნარი ოკეანის კვანძი — 211. აზიაში ბირთვული განიარაღების შესახებ — 217. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა — 218. ძნელ უღელტეხილზე — 220. ლათინური ამერიკა: დიდი ცვლილებების დრო — 222. არა კონფრონტაცია, არამედ თანამშრომლობა — 223.

თავი VI. ევროპა საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში . . 225

ისტორიის მემკვიდრეობა — 226. ევროპა ჩვენი საერთო სახლია — 230. აუცილებლობა: საერთო-ევროპული პოლიტიკის იმპერატივები — 231. ევროპის შესაძლებლობანი — 233. ორი გერმანული სახელმწიფო — 236. ევროპა და განიარაღება — 239. საერთო-ევროპული თანამშრომლობა — 242. ახლებური აზროვნების ყლორტები ევროპაში — 245. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ — 247. ევროპის პასუხისმგებლობა — 248.

თავი VII. განიარაღების პრობლემები და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა 250

რას მოველით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან? — 253. ამერიკის შეერთებული შტატები — „გორაკსა ზედა მოციალე

ქალაქი“? — 256. „მტრის სახე“ — 258. რისთვის და ვისთვის არის საჭირო გამალებული შეიარაღება? — 260. კიდევ ერთხელ რეალობათა შესახებ, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის დიდეოლოგიზაციისათვის — 264. განკერძოება ბოროტებაა — 265. გზად ევნევისაკენ — 279. ევნევა — 271. ევნევის შემდეგ — 273. მორატორიუმი — 273. ამერიკის შეერთებული შტატები ევნევის შემდეგ — 279. ჩერნობილის გაკვეთილი — 283. რეიკიავიკი — 284. რეიკიავიკის შემდეგ — 291. მოსკოვის ფორუმი და საშუალო სიშორის რაკეტები — 296.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ 306

Михаил Сергеевич Горбачев

ПЕРЕСТРОЙКА
И НОВОЕ МЫШЛЕНИЕ
ДЛЯ НАШЕЙ СТРАНЫ
И ДЛЯ ВСЕГО МИРА

(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1988

რედაქტორები: ლ. თავართქილაძე, ა. ფანჯიკიძე,
მ. ჯაველიძე
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ლ. არჩვაძე, ნ. ბაზუაშვილი
გამომშვები მ. მჭედლიძე

გადაეცა წარმოებას 22.06.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.08.88. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,5. პირ. საღ.-გატ. 19,86. სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,44. ტირაჟი 50.000. შეკვ. № 1643.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.